

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

ნოემბერი-დეკემბერი
NOVEMBER-DECEMBER
НОЯБРЬ-ДЕКАБРЬ

2011

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და პიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი
და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета имени Ив.
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მადლივი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 230-36-68, 599-10-38-16
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევამ გოგოხია – მთავარი რედაქტორი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: **ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიკავა**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიშვილი, რამაზ აბესაძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ეკა ლეკაშვილი, მურთაზ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, ნუგზარ პაიჭაძე, მურმან ტურავა, მირიან ტუხაშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხადური, თემურ შენგელია, ემზარ ჯგერენაია**.

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili, Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Murman Turava, Mirian Tukhashvili, Eter Kharaiashvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia**.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимер Папавა, Автандил Силагадзе, Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили, Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван Маршава, Элгуджа Меквабишвили, Якоб Месхия, Нугзар Пайчадзе, Мурман Турава, Мириан Тухашвили, Етер Хараишвили, Элене Харабадзе, Роман Харбедия, Нодар Хадური, Темур Шенгелия, Эмзар Джгеренаия**.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Brandenburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

შინაარსი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ნუგზარ პაიჭაძე. შრომითი ურთიერთობების ევროპული გამოცდილება და ქართული რეალობა	11
რევაზ გოგონია, გიორგი ღოღონაძე. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები	27
მალხაზ ჩიქობავა. ინფლაციის მუდმივობის მიზეზის შესახებ	41
პაატა კოლუაშვილი, თამაზ კუნჭულია. რას უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია	49
ინეზა ბაგნიძე. მართლმადიდებლური სარწმუნოება - საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი	65
დოდო (ბაბუღია) მღებრიშვილი. ვაზი და ქართული ცივილიზაცია	75

მიკრო-მაკროეკონომიკა

ანდრეას ნასტანსკი, სიმონ ბელაშვილი. ფინანსურ ინდუსტრიაში ბონუსური გადახდების თეორიული და ემპირიული ანალიზი (გერმანულ ენაზე)	83
ვანო ჯანელიძე. კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების ალგორითმი ეკონომიკური კვლევის პროცესში	93
ღავით ნარმაია. სამოქალაქო საზოგადოების როლი ევროკავშირთან ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციაში	101
გურამ მებახეილი. ინფორმატიზაციის განვითარების პერსპექტივები	115

ლეილა ქალაგიშვილი. ცვლილებები ორგანიზაციულ სტრუქტურებში	121
--	-----

მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი

ნუზგარ თოღუა, რატი აბულაძე. სოციალური ქსელის საიტების ბაზრის განვითარების ძირითადი ასპექტები	129
ბელა ბრიგოლაშვილი. კომპანიის სტრატეგიული მართვის სისტემის მდგომარეობის შეფასების მექანიზმი	139
თეიმურაზ გომენაძე. სატენდერო დავალების ელექტრონული ფორმირება	149
ჩარიტა ჯაში. სოციალური ცვლილებების კონცეფციის მოდელი მარკეტინგში	165

შინაწესები და საბანკო საქმე

ლეილა ღულუშაური. საკრედიტო პორტფელის რისკის შედარების თანამედროვე მეთოდები	175
რუსუღან პაპასჰირი. ფინანსური ლევერიჯი დამისიროლი ფინანსურ მენეჯმენტში	189

ახალი წიგნები:

როგორია პროფესიონალ-რეცენზენტთა აზრი?

პაატა კოლუაშვილი, ბიორგიგიზიბაძე. თანამედროვე მოთხოვნათა დონის სახელმძღვანელო	194
ქურნაღ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2011 წლის №1 – 5-ის შინაარსი	196

CONTENTS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

NUGZAR PAICHADZE. European Experience in Labor Relations and Georgian Reality	11
REVAZ GOGOKHIA, GIORGI DOGONADZE. External Trade Tendencies of Georgia	27
MALKHAZ CHIKOBAVA. Regarding the Reasons of Permanence of Inflation	41
PAATA KOGUASHVILI, TAMAZ KUNCHULIA. What should the Strategy of Georgian Agrarian Policy Take into Account	49
INEZA GAGNIDZE. Orthodox Religion – an Important Factor for Raising Georgia’s Economic Competitiveness	65
DODO (BABULIA) MGEBRISHVILI. Vine and Georgian Civilization	75

MICRO-MACROECONOMICS

ANDREAS NASTANSKY, SIMON GELASHVILI. Theoretical and Empirical Analysis of Bonus Payments in the Financial Industry (in German)	83
VANO JANDIERI. Collective Decision-making Algorithm in Economic Research Process	93
DAVIT NARMANIA. The Role of Civil Society in Economic and Social Integration with the European Union	101
GURAM METEKHELI. Prospects of Informatization Development	115

LEILA KADAGISHVILI. Changes in Organizational Structures	121
---	-----

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

NUGZAR TODUA, RATI ABULADZE. The Main Aspects of Development of Social Network Sites Market	129
GELA GRIGOLASHVILI. Estimation Mechanism of Strategic Management System in Companies	139
TEIMURAZ GOGNADZE. Electronic Formation of Tender Commission	149
CHARITA JASHI. The Model of Social Changing Concept in Marketing	165

FINANCE AND BANKING

LEILA GUDUSHAURI. Modern Methods of Credit Portfolio Risk Assessment	175
RUSUDAN PAPASKIRI. Financial Leverage and its Role in Financial Management	189

NEW BOOKS: THE VIEWS OF PROFESSIONAL REVIEWERS

PAATA KOGUASHVILI, GIORGI ZIBZIBADZE. The textbooks meeting modern requirements	194
Contents of Journal “Economics and Business” #1-5, 2011	196

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

НУГЗАР ПАИЧАДЗЕ. Европейский опыт трудового отношения и Грузинская реальность	11
РЕВАЗ ГОГОХИЯ, ГЕОРГИЙ ДОГОНАДЗЕ. Тенденции внешней торговли Грузии	27
МАЛХАЗ ЧИКОБАВА. О причине постоянства инфляции	41
ПААТА КОГУАШВИЛИ, ТАМАЗ КУНЧУЛИЯ. Что должна предусматривать стратегия аграрной политики Грузии	49
ИНЕЗА ГАГНИДЗЕ. Православное христианство - фактор повышения конкурентноспособности Грузинской экономики	65
ДОДО (БАБУЛИЯ) МГЕБРИШВИЛИ. Виноградная лаза и Грузинская цивилизация	75

МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

АНДРЕАС НАСТАНСКИ, С. ГЕЛАШВИЛИ. Теоретический и эмпирический анализ бонусовых выплат в финансовой индустрии (на немецком языке)	83
ВАНО ДЖАНДИЕРИ. Алгоритм и принятия коллективного решения в процессе экономического исследования	93
ДАВИД НАРМАНИЯ. Роль гражданского общества в экономической и социальной интеграции	101
ГУРАМ МЕТЕХЕЛИ. Перспективы развития информатизации	115

ДЖАНДРИ ЗАРАНДИЯ. К вопросу региональной инновационной политики	121
--	-----

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

НУГЗАР ТОДУА, РАТИ АБУЛАДЗЕ. Основные аспекты развития рынка сайтов социальной сети	129
ГЕЛА ГРИГОЛАШВИЛИ. Анализ оценки положения системы стратегического управления компании	199
ТЕЙМУРАЗ ГОГНАДЗЕ. Электрическое формирование тендеровского задания	149
ЧАРИТА ДЖАШИ. Модель концепции социальных изменений в маркетинге	165

ФИНАНСЫ И БАНКОВСКОЕ ДЕЛО

ЛЕИЛА ГУДУШАУРИ. Современные методы оценки кредитовского портфеля	175
РУСУДАН ПАПАСКИРИ. Финансовый левверидж и его роль в финансовом маркетинге	189

НОВЫЕ КНИГИ:

КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛ - РЕЦЕНЗЕНТОВ?	
ПААТА КОГУАШВИЛИ, ГЕОРГИЙ ЗИБЗИБАЛЗЕ. Учебник уровня современных требований	194
Содержание номеров (1-5) журнала „Экономика и бизнес“ 2011 года	196

**შრომითი ურთიერთობის ევროპული
გამოსდილება და ქართული რეალობა**

ნუზჰარ პაიჭაძე

**ივ. ჯავახიშვილის თსუ ასოცირებული
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

ადამიანური რესურსების მართვა უშუალო კავშირშია ქვეყანაში შრომითი ურთიერთობის პრაქტიკასთან, რაც, თავის მხრივ, ძირითადად დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედ “დასაქმების შესახებ” კანონსა და შრომის კოდექსზე, რომლითაც განსაზღვრულია შრომითი დაქირავებისა და შრომის პროცესთან დაკავშირებული პროცედურის იურიდიული ასპექტები. სამწუხაროდ, კანონი “დასაქმების შესახებ” საქართველოში დღეისათვის არ არსებობს, იგი 2006 წელს გააუქმა პარლამენტმა ჩვენთვის (არამარტო ჩვენთვის) გაურკვეველი მიზეზით. ეს კი, ხშირად, ხელის შემშლელია დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისას. მოცემულ პრობლემაზე არაერთი შრომაა შესრულებული¹. მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოში შრომითი ურთიერთობის საკითხებში გამოცდილების მეცნიერული შესწავლა და განზოგადება აქტუალურია. სწორედ ამ პრობლემაზეა შესრულებული წინამდებარე სტატია. მისი მიზანია, შრომითი ურთიერთობის ევროპული პრაქტიკის პროგრესულობის ჩვენებით, უფრო ნათლად წარმოჩინდეს, ამჟამად საქართველოში მოქმედი და შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი, შრომის კოდექსის უარყოფითი მხარეები და გამოითქვას ზოგიერთი მოსაზრება მისი სრულყოფის საკითხებზე.

ზოგადად, ადამიანური ურთიერთობის ძირითადი ასპექტები დაკავშირებულია ადამიანურ რესურსებთან მიმართებით

¹ ადგიშვილი ლ., კერესელიძე დ., შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის ქვეყნების სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, თბ., 2003; Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского. 8-е издание. М., 2007; Веснин В. Управление персоналом. М., 2008; Десслер Г. Управление персоналом. Перевод с английского. М., 1997; Кибанов А. и др. Управление персоналом организации. М., 2001; Эрнберг Р. Дж., Р.С. Смит. Современная экономика труда. Перевод с английского, М., 1996 და ა.შ.

ორგანიზაციის პოლიტიკასთან. ევროკავშირის ქვეყნებში იგი ეყრდნობა შესაბამის კანონმდებლობასა და სასამართლო პრეცედენტებს. ამ ქვეყნებში შრომითი ურთიერთობის საკითხებზე ბოლო წლებში მიღებული კანონები და დადგენილებები ეხება შრომის ანაზაურების მინიმალურ დონეს, მუშაობის ხანგრძლივობასა და არასრული სამუშაო დღის რეჟიმით მომუშავე მუშაკებს. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გაგებით, რომ მისი მიზანია მუშაკთა ხსენებულ კატეგორიას ჰქონდეს სრული სამუშაო დღის რეჟიმში მომუშავეთა თანაბარი უფლებები. აქვე აღსანიშნავია ბრიტანული კანონი (1998წ.), რომელმაც დაამტკიცა, შესაბამისი ევროპული კონვენციით გარანტირებული, ადამიანთა უფლებები და თავისუფლება, სადაც დიდი დოზითაა წარმოდგენილი შრომითი ურთიერთობის საკითხები. თუმცა, ეს უფლებები, არსებითად სამოქალაქო და პოლიტიკური და არა ეკონომიკური და სოციალური. შესაბამისად, არ შეიძლება მისი პირდაპირი გამოყენება. მიუხედავად ამისა, ადამიანთა უფლებების ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ არ შეიძლება კანონით დადგენილი უფლებების (თუნდაც სამოქალაქოსი ან პოლიტიკურის) უგულებელყოფა ან დისკრიმინაცია იმის გამო, რომ ის აღიქმება როგორც სამოქალაქო ან პოლიტიკური უფლებები და დასაქმების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეებმა შრომაზე უფლების კანონის დებულებები უნდა განმარტონ ევროპული დეკლარაციით გამოცხადებული თვითგამოხატვის თავისუფლებასთან შესაბამისობით.

ევროკავშირის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობის პრაქტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია დაქირავების პირობებსა და შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამ ქვეყნებში მიღებული წესის თანახმად, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები აუცილებელდ უნდა აკმაყოფილებდეს შრომითი დაქირავების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნებს. იგი მოიცავს: დასაკავებელი თანამდებობის დასახელებას, მონაცემებს ხელფასისა და მასზე დანამატების სიდიდეზე, სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, შვებულებაზე, გათავისუფლებაზე, საპენსიო უზრუნველყოფის პირობებზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე და ა.შ. წერილობითი ფორმით შედგენილ შრომით ხელშეკრულებაში ჩართული ძირითადი მონაცემები განსხვავებულია დაკავებული თანამდებობის დონიდან გამომდინარე. მისი ტიპური განყოფილებებია: 1) თანამდებობის დასახელება; 2) ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებანი; 3)

სამუშაოს დაწყების დრო და შრომითი სტაჟის გამოთვლის საფუძველი; 4) შრომის ანაზღაურებისა და მასზე დანამატების სიდიდე, ზეგანაკვეთური და მრავალცვლიანი სამუშაოს ანაზღაურება, ხელფასის გაცემის წესი და ვადები; 5) სამუშაო დროის ხანგრძლივობა (სასადილო შესვენებების ჩათვლით) და შეთანხმებები ზეგანაკვეთური და ცვლური სამუშაოების შესახებ; 6) შეთანხმებები შვებულებებზე, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ ქვეანყოფილებებს: ა) ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა; ბ) შვებულების ანაზღაურების გაანგარიშება; გ) შვებულების მიღების უფლებისათვის საჭირო მუშაობის ხანგრძლივობა; დ) ყოველწლიური შვებულებების ნაწილებად დაყოფა; ე) შვებულებების აღების პერიოდები; ე) ერთჯერადად აღებული შვებულების ხანგრძლივობა; ზ) შვებულების გადატანა; თ) ოფიციალური დღესასწაულები; 7) ავადმყოფობა: გაცდენილი დროის ანაზღაურება; საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურების ვადა; ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა; შეტყობინება ავადმყოფობის შესახებ (სამედიცინო ცნობა); 8) დამქირავებლისა და დაქირავებულის მხრიდან კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების ვადები; 9) შრომითი დავების გადაწყვეტის პროცედურა; 10) დისციპლინური პროცედურები; 11) მოქმედი ნორმები; 12) შეთანხმებები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტაზე; 13) განსაკუთრებული პირობები გამომგონებლობაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე და სავაჭრო გარიგებების შეზღუდვები მუშაობის შეწყვეტის შემდეგ; 14) კონტრაქტის პირობების შეცვლაზე დამქირავებლის უფლებები.

შრომაზე მოთხოვნის შეცვლილი პირობებიდან გამომდინარე, მაგალითად, სეზონური წარმოებისას, მსხვილ ორგანიზაციებში ყოველთვის დგება პერსონალის განლაგებაში მოქნილობის პრობლემა. საქმე ისაა, რომ ხელმძღვანელობის მხრიდან თანამშრომელთა ერთი თანამდებობიდან მეორეზე დაუსაბუთებელმა და გაუაზრებელმა გადაყვანამ შეიძლება დააზიანოს ადამიანთაშორისი ურთიერთობა, რაც უარყოფითად იმოქმედებს ორგანიზაციის მისიის შესრულებაზე. ხელმძღვანელობა ხშირად, წარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებულია გადაადგილოს მომუშავენი. გადაადგილებების განხორციელებისას მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ გადასადგილებელთა განცდები, რაც ეხება მომუშავეთათვის ისეთ

არსებით და მტკივნეულ საკითხებს, როგორიცაა: ახალი სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაცია და ჩვევები, შრომის ანაზღაურება, ურთიერთობა შრომით კოლექტივში და ა.შ.

თანამდებობრივი გადაყვანების პოლიტიკაში მნიშვნელოვანია მისი პირობების განსაზღვრა. ევროკავშირის ქვეყნებში, ამჟამად დამკვიდრებული წესის თანახმად, ორგანიზაციის მოთხოვნილებით გადაყვანისას, დაქირავებულ მომუშავეს ხელფასს, ჩვეულებრივ, უნიშნავენ ძველ ან ახალ სამუშაოზე არსებული სარგოებიდან უფრო მაღლის მიხედვით. ეს ასეა დასაქმებულთა სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანისას, ხოლო მუდმივად გადაყვანის შემთხვევაში, ხელფასის სიდიდე იქნება ისეთივე, როგორიცაა იგი ახალ სამუშაო ადგილზე ყველა დანარჩენი მომუშავესათვის. იმ შემთხვევაში, როცა გადაყვანა ხდება მომუშავეთა შემცირების თავიდან ასაცილებლად, ხელფასის სიდიდე დგინდება ახალი სამუშაოს მიხედვით. ამ დროს შემცირებას დაქვემდებარებულ მომუშავეებს ეძლევათ არჩევის უფლება - გათავისუფლდნენ დაკავებული სამუშაოდან ან დათანხმდნენ ახალ სამუშაოზე გადაყვანას, თუნდაც უფრო დაბალი ხელფასით. თანამდებობრივი გადაყვანების პოლიტიკაში შედის, აგრეთვე, გადაყვანის მსურველთა თხოვნებისადმი მიდგომაც. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, უპირატესობა ეძლევა მოცემულ ორგანიზაციაში მუშაობის მეტი სტაჟის, გამოცდილებისა და დამსახურების მქონე პირებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს გადაყვანა სასურველია ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის გამო.

ამა თუ იმ ორგანიზაციის სხვასთან შერწყმის ან გაყიდვისას, ევროკავშირის ქვეყნებში 1981 წლიდან, უმუშევრობისაგან დაცვის მიზნით, არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც ასეთი ორგანიზაციის ყველა მომუშავე ავტომატურად გადაიყვანება სამუშაოდ შერწყმის შედეგად შექმნილ ან მიმდებ ორგანიზაციაში. ისინი ინარჩუნებენ ძველი ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს.

ევროკავშირის ქვეყნებში ორგანიზაციები (კომპანიები, ფირმები და სხვ.) დიდ ყურადღებას აქცევენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების დაცვას. ამ მიზნით, ყველა ორგანიზაციაში სამუშაო დროის გამოყენება მართვადაა. მისი მიზანია, მთელდღი-

ური და შიგაცვლური მოცდენების (დაგვიანებები, სამუშაოდან ადრე წასვლა და სხვ.) მინიმუმამდე შემცირება. ტრადიციის შესაბამისად, საათობრივი ანაზღაურების წესით მომუშავეებისაგან მოითხოვდნენ დაეფიქსირებინათ სამუშაოზე მოსვლისა და სამუშაოდან წასვლის დრო და შრომის ანაზღაურების სიდიდეს ამცირებდნენ არასაპატიოდ მოცდენების შესაბამისად. სადღეისოდ, სულ უფრო და უფრო ძლიერდება დაქირავების პირობების ჰარმონიზაციის ტენდენცია, რაც გამოიხატება მუშებისათვის ისეთი პირობების შეთავაზებაში, როცა შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა სამუშაოზე მოცდენებს და მთავარი ყურადღება გადატანილია მუშებზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაზე. დღეს, ევროკავშირის ქვეყნებში ზოგიერთი საწარმო ყველა მომუშავესაგან მოითხოვს სამუშაოზე გამოცხადების რეგისტრაციას, ხოლო ზოგიერთმა მთლიანად გააუქმა ასეთი რეგისტრაცია. ასევე, ევროკავშირის ქვეყნებში მომუშავე ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, მიუხედავად იმისა ხდება თუ არა სამუშაოზე გამოცხადებისა და დაგვიანების რეგისტრაცია, სამუშაო დროის მოცდენებზე კონტროლის განხორციელება აუცილებელია. ასევე მიჩნეულია, რომ სამუშაოზე გამოცხადების ტაბელური აღრიცხვის ყველაზე საუკეთესო მეთოდია კონტროლის მთლიანად დაკისრება შრომითი კოლექტივის ცალკეულ ჯგუფთა ხელმძღვანელებზე. ისინი ახდენენ შესაბამის ჩანაწერებს, რომელიც ძირითადად კომპიუტერიზებულია და, საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა თანამშრომლები მათდამი ნდობას ბოროტად იყენებენ, მიმართავენ სათანადო ქმედებებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება ხელფასიდან გარკვეული ნაწილის დაკავება, ზოგჯერ სამუშაოდან გათავისუფლებაც კი. მიუხედავად ამისა, მოცემულ შემთხვევაში ხელმძღვანელთა მთავარი ამოცანაა არა მკაცრი ადმინისტრაციული ზომების მიღება, არამედ დაქვემდებარებულთა ეფექტური მართვა და მათი შრომითი სულისკვეთების ამაღლება, რაც მინიმუმამდე შემამცირებს ასეთი ზომების მიღების აუცილებლობას. საერთოდ, ევროპის ქვეყნებში სამუშაო დროის გამოყენებაზე ეფექტური კონტროლი ხორციელდება შემდეგი გზებით: 1) ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის ძალისხმევის ამაღლება მომუშავეთა გაცდენების შესამცირებლად; 2) თანამშრომლებისადმი ნდობის ამაღლება, რომლის საფუძველზე, როგორც პრაქტიკითაა დადასტურებული, ყველაზე უკეთ კონტროლდება სამ-

უშაოზე გამოუცხადებლობა. ასეთ საფუძველზე მომუშავე ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ყველა მომუშავეს აძლევენ დახმარებას ავადმყოფობისას და ეყრდნობიან მათ თავდადებასა და მოტივირებას. ამასთან ერთად, ცდილობენ, მათთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებით, მინიმუმამდე შეამცირონ ამ ნდობის ბოროტად გამოყენება. თუმცა, იტოვებენ უფლებას - გადასინჯონ თავიანთი მოქმედება, თუ სხვადასხვა მიზეზით გაცდენები იმდენად დიდია, რომ იგი მნიშვნელოვნად აფერხებს ორგანიზაციის ნორმალურ ფუნქციონირებას; 3) სამუშაო დროის გამოყენებაზე სრული ინფორმაციის არსებობა. ფაქტობრივად, თანამშრომლებთან მხოლოდ ნდობის საფუძველზე მუშაობა ხშირად არაა საკმარისი. საჭიროა ზუსტი და რეალური ინფორმაცია სამუშაოზე გამოუცხადებლობის შესახებ, რომლის მოპოვება სავსებით შესაძლებელია თანამედროვე კომპიუტერული სასტემების გამოყენებით; 4) სამუშაოზე გამოცხადებისა და იქ მუშაობის ხანგრძლივობის თაობაზე ორგანიზაციაში დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკის არსებობა, რომელშიაც ნათლად იქნება გამოხატული ორგანიზაციის დამოკიდებულება სამუშაოზე არგამოცხადებისადმი და ანაზღაურების წესი ავადმყოფობის შემთხვევაში; 5) მენეჯერებისა და შრომითი კოლექტივის ცალკეული ჯგუფის ხელმძღვანელების პერიოდული სწავლება, რომელიც დაეხმარება მათ გააცნობიერონ თავიანთი მოვალეობა და პასუხისმგებლობა სამუშაოზე გამოუსვლელობათა კონტროლისათვის და, აუცილებლობისას, საჭირო ზომების მიღებაში; 6) სამუშაოს გამცდენ მუშაკებთან მენეჯერთა ინდივიდუალური მუშაობის წახალისება. კარგ შედეგს იძლევა მენეჯერის გასაუბრება სამუშაოს გამცდენებთან, როცა დგინდება გაცდენების მიზეზი და ერთობლივად მუშავდება ღონისძიებები მომავალში მსგავსი შემთხვევების შესამცირებლად; 7) კომუნიკაციები, რაც მომუშავეებს აძლევს ინფორმაციას, რატომაა მნიშვნელოვანი სამუშაოზე გამოცხადების კონტროლი; 8) კონსულტაციები სამუშაოს გამცდენებთან და მათთვის რჩევების მიცემა გაცდენებთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემაზე, რაც ხელს უწყობს ხელმძღვანელობასა და მომუშავეებს შორის ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ევროკავშირის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობისადმი წაყენებული ერთ-ერთი მოთხოვნაა ხელი შეუწყოს მუშაობის, სოციალური უზრუნველყოფისა და განვითარების ყველასათვის თანაბარი პირობების შექმნას. ცხადია, თანაბარი პირობე-

ბის პრინციპი დაცული უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მომუშავეთა სამუშაოზე მიღებისას. ამ ამოცანიდან გამომდინარე, დიდ ბრიტანეთში ფუნქციონირებადი პერსონალისა და განვითარების ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ ქცევის კოდექსში ამ პოლიტიკის გასაბრუნებლად რეკომენდებულია შემდეგი პირობების დაცვა: 1. პერსონალის შერჩევის პროცესისას: ა) არსებობდეს ზუსტი, განახლებული თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც არ შეიცავს სქესობრივ დისკრიმინაციას; ბ) კანდიდატისადმი წაყენებლი მოთხოვნების ჩამონათვალში ზედმეტად აწეული (მაღალი) კრიტერიუმებისაგან თავის არიდება; გ) განცხადებებში ან პერსონალის შერჩევის თაობაზე გამოცემულ სხვადასხვა ლიტერატურაში სქესსა ან რასაზე მინიშნებისაგან თავის შეკავება. 2. გასაუბრებისას - ა) გასაუბრების ჩამტარებელ შესაბამის პირთა სპეციალური მომზადება; ბ) წინასწარი გასაუბრების ჩატარება მხოლოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ; გ) დისკრიმინაციული კითხვებისაგან თავის შეკავება. 3. სწავლებისას: ა) სწავლებისა და განვითარების პროგრამებში ქალებისა და კაცების მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობის არსებობის აუცილებლობის გაცნობიერება; ბ) ახალმიღებულ მუშაკთა ჩაბმა სწავლების პროგრამებში; გ) მომუშავეთა სწავლებისათვის ისეთი კრიტერიუმების არჩევის უზრუნველყოფა, რომლებიც არ ღახავს ქალთა ინტერესებს; დ) ქალებისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სწავლების პოზიტიური პრაქტიკის სისტემატური განხილვა. 4. სამსახურებრივი დაწინაურებისას: ა) მიკერძოებულობის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, შრომის (მუშაობის) ეფექტიანობის მაჩვენებელთა გადასინჯვის პროცედურის სრულყოფა; ბ) დასაწინაურებელი კანდიდატების არჩევისას რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გამორიცხვა; გ) იმ ჭეშმარიტების გაცნობიერება, რომ ქალებსაც და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებსაც სურთ სამსახურებრივი დაწინაურება.

ევროკავშირის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობის პრაქტიკას უკავშირებენ ე. წ. “მრავალფეროვნების“ მართვას, რომლის არსი ისაა, რომ ორგანიზაციათა მომუშავეების ერთობლიობა შედგება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისაგან. მრავალფეროვნება გამოიხატება ადამიანთა შორის ხილულ თუ უხილავ განსხვავებებში, რაც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: სქესი, ასაკი, განათლება, რასა, შრომისუნარიანობის მდგომარეობა, პიროვნების ხასიათი, მუშაობის სტილი და ა. შ.

მრავალფეროვნების მართვის იდეა ემყარება იმის წარმოდგენას, რომ ხელმძღვანელობის მიერ ამ განსხვავებათა შესწავლა დაეხმარება მათ კეთილსასურველი გარემოს შექმნაში, რომელშიაც თითოეული იგრძნობს, რომ მას აფასებენ. ეს კი ხელს უწყობს მათი უნარისა და შესაძლებლობის სრულ გამოყენებას, რაც ორგანიზაციის წინსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

“მრავალფეროვნების“ მართვა იმის გარანტიაა, რომ ყველა მომუშავე სრულად გამოიყენებს თავის პოტენციალს და მაქსიმალურ წვლილს შეიტანს ორგანიზაციის წარმატებაში. ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც აღიარებენ “მრავალფეროვნების“ მართვის აუცილებლობას, გამოდიან შემდეგი ინიციატივებით: 1) მოხდეს ნაწილობრივად (არასრული სამუშაო დღით მომუშავეების) და სრულად დასაქმებულთა უფლებების გათანაბრება; 2) პრაქტიკაში დამკვიდრდეს მუშაკთათვის დამატებითი დროის გამოყოფა კმაყოფაზე მყოფი პირის მოსავლელად იმაზე ზევით, რაც დადგენილია კანონით, მაგალითად, დეკრეტული შევებულების გახანგრძლივება და სხვ; 3) გამოირიცხოს ცალკეულ მომუშავეთათვის უპირატესობის მინიჭება; 4) შეძენილ იქნეს სპეციალური აპარატურა შრომისუნარდაქვეითებულთა შრომის შესამსუბუქებლად; 5) გაუქმდეს ასაკობრივი შეზღუდვები პერსონალის შერჩევისას; 6) თანამშრომლებს გაეწიოთ დახმარება ბავშვის მოვლაში და ა. შ.

შრომითი დაქირავების პრობლემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია - თანაფარდობა დასაქმებასა და ასაკს შორის. ევროპის ქვეყნების მოწინავე ორგანიზაციების ერთ-ერთი ინიციატივაა პერსონალის შერჩევისას უარის თქმა ასაკობრივ შეზღუდვებზე. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ არა მარტო ევროპაში, არამედ აშშ –სა და დანარჩენი მსოფლიოს უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში, დღეს დასაქმებისას ასაკობრივი შეზღუდვა მიჩნეულია დისკრიმინაციად. ამ საკითხზე საინტერესოა ადამიანური რესურსების საკითხებზე მომუშავე, მსოფლიოში ცნობილი, დიდი ბრიტანეთის პერსონალისა და განვითარების ინსტიტუტის შემდეგი პოზიცია: “1)ასაკი ცუდი წინასწარმეტყველია იმისა, თუ როგორ შესრულდება სამუშაო; 2) შეცდომაა ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის გაიგვიება ასაკთან; 3) უფროს ასაკში ახლა უფრო მეტად, ვიდრე წინათ, ადამიანი ცხოვრობს აქტიურად; 4) ასაკი იშვიათადაა დაქირავების ნამდვილად აუცილებელი პირობა; 5) ასაკობრივი დისკრიმინაცია საპენსიო ასაკში მყოფი, მაგრამ

ჯერ კიდევ შრომისუნარიანი ადამიანების თავის თავში რწმენის დაკარგვის, ფინანსური დამოუკიდებლობის შემცირებისა და მისგან გამომდინარე რიგი უარყოფითი მოვლენის მთავარი საფუძველია.¹

საქართველოში ამჟამად შრომითი ურთიერთობა ძირითადად რეგულირდება ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონით - “საქართველოს შრომის კოდექსი”² სამუშაოზე, იგი საკმაოდ შორსაა შრომითი ურთიერთობის რეგულირების ევროპული სტანდარტებისაგან და, ცხადია, ვერ პასუხობს მისდამი წაყენებულ ბევრ სადღეისო მოთხოვნას. მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი ისაა, რომ იგი, თავისი შინაარსით, ცალმხრივია, რაც ძირითადად გამოიხატება დამსაქმებელთა ინტერესების წინ წამოწევით, დასაქმებულთა ინტერესების საზიანოდ. ამასთან ერთად, ზემოხსენებული კოდექსით გათვალისწინებული პირობებიც ხშირად არ სრულდება და ამაზე არავინ რეაგირებს ან თუ რეაგირებს - კანონსაწინააღმდეგოდ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

1) საქართველოში ამჟამად მოქმედი შრომის კოდექსის მე-6-ე მუხლი, რომელიც ეხება შრომითი ხელშეკრულების დადების საკითხებს, მეტად ზოგადია. მასში არაა ჩამოთვლილი ის ძირითადი და აუცილებელი პუნქტები, რასაც უნდა მოიცავდეს დასაქმებულებთან დადებული შრომითი ხელშეკრულება. ამიტომ, რომ დამქირავებელთა საკმაოდ დიდი ნაწილი, შეგნებულად თუ შეუგნებლად (აღბათ, შეგნებულად) თავს იკავებს შრომით ხელშეკრულებებში ცალკე მუხლებად გამოჰყოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ზეგანაკვეთური და ცვლური სამუშაოების ანაზღაურება, ადმინისტრაციის მიზეზით გაცდენილი დროის ანაზღაურება, დაქირავებულის უფლებები შრომითი კონტრაქტის დარღვევის ან მისი პირობების შეცვლისას და ა. შ. ეს კი ხშირად იწვევს გარკვეულ გაუგებრობებსა და კონფლიქტებს დაქირავებულებსა და დამქირავებლებს შორის;

2) სწორედ ზემოაღნიშნულია იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ დამსაქმებლები ხშირად ახერხებენ დასაქმებულებს ზეგანაკვეთური სამუშაო არ აუნაზღაურონ გადიდებული განაკვეთით,

¹ М. Армстронг. Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского. М., 2007, с. 741-742.

² საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი, თბ., 2010.

როგორც ეს მიღებულია ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. საქმე ისაა, რომ მართალია საქართველოს შრომის კოდექსში ამ საკითხის განხილვას ცალკე მუხლი (17) ეძღვნება, მაგრამ იქ კონკრეტულად არაა მითითებული დამქირავებლის ვალდებულებაზე დაქირავებულის წინაშე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას. კერძოდ, ამ მუხლის მე- 4 პუნქტში აღნიშნულია, რომ “ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით“. სინამდვილეში, რადგან დამქირავებელთათვის არაა სავალდებულო შრომით ხელშეკრულებაში ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობების შეტანა, ასეთი სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხოლოდ მისი აუცილებლობის წარმოშობისას. მაგრამ, იმის გამო, რომ დღეს ქვეყანაში საკმაოდ დიდი უმუშევრობაა, დაბალია სახელმწიფოს, პროფკავშირებისა და სხვათა მხრიდან მშრომელთა ინტერესების დაცვის ხარისხი და დასაქმებულს აქვს სამუშაოს დაკარგვის შიში, იგი იძულებულია დათანხმდეს დამქირავებლის ნებისმიერ შემოთავაზებას. ამიტომაც, რომ დღეს საწარმოთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კერძო სექტორში, ზეგანაკვეთური მუშაობისათვის დასაქმებულებს ძირითად განაკვეთზე დამატებით არაფერს უხდის. უფრო მეტიც, არ ხდება მისი აღრიცხვაც კი. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე უქმე დღეებში, ღამის საათებსა და შრომის მაგნე პირობებში მუშაობისას. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს წინა შრომით კოდექსებში პირდაპირ იყო განსაზღვრული აღნიშნული სახეობის სამუშაოების ანაზღაურების წესი. მაგალითად, საბჭოთა პერიოდშიაც კი, შრომის შესახებ სათანადო კანონის შესაბამისად, ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ზეგანაკვეთური მუშაობა 4 საათამდე ხანგრძლივობით, ნაზღაურდებოდა ძირითადი სატარიფო განაკვეთის 1,5-ზე გამრავლებით, ხოლო 4 საათზე მეტი ხანგრძლივობისას - ორმაგად;

3) შრომის მოქმედი კოდექსით, დასაქმებული ყოველად დაუცველია დამსაქმებლის მიერ მისი სამუშაოდან უსაფუძვლოდ გათავისუფლების შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ აღნიშნული კანონის შესაბამის მუხლში (38-ე) არაა განმარტებული, თუ რა შემთხვევებში შეუძლია დამსაქმებელს მოშალის შრომითი ხელშეკრულება მაშინ, როცა დასაქმებულისაგან ადგილი არ აქვს რაიმე ისეთ დარღვევას, რომლის შემთხვევაშიაც იგი იმავე შრომის კოდექსის მიხედვით ექვემდებარება სამუშაოდან გათავისუფლებას. შრომის კოდექსი, დამსაქმებლის ინი-

ციატაციით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს ავალდებულებს მხოლოდ ერთ რამეს - გადაუხადოს დასაქმებულს არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება. გამოდის, რომ დამსაქმებელს, როცა მოეხასიათება, თავისი შეხედულებისამებრ, თუნდაც გამოგონილი მიზეზით, შეუძლია დაითხოვოს მომუშავე და ამ უკანასკნელს, მოქმედი კანონის შესაბამისად, არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ შეეგუოს თავის ბედს და შეუერთდეს უმუშევართა არმიას;

4) როგორც აღინიშნა, ევროკავშირის ქვეყნებში დაქირავებულ მომუშავეთა შემცირებისას დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სამუშაოზე დატოვების უპირატესობას აძლევენ მათ, რომლებსაც მოცემულ ორგანიზაციაში მუშაობის მეტი სტაჟი, გამოცდილება და დამსახურება აქვთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი აუცილებელია ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის გამო. ქართულ სინამდვილეში, ასეთი რამ არც შრომის კოდექსითაა გათვალისწინებული და არც პრაქტიკაშია დამკვიდრებული. პირიქით, ხშირად პირველ რიგში ათავისუფლებენ სწორედ მათ, რომელთაც მოცემულ ორგანიზაციაში მუშაობის მეტი სტაჟი, გამოცდილება და დამსახურება აქვთ, იმ მოტივით, რომ მათი შეხედულებები მყარად ჩამოყალიბებულია და იდეოლოგიზაციას ნაკლებად ექვემდებარება. ეს კი, ცხადია, დიდი შეცდომაა და საზიანოა როგორც ამ კატეგორიის დასაქმებულთათვის, ასევე მოცემული ორგანიზაციისა და მთელი საზოგადოებისათვის, რამდენადაც მისი უშუალო შედეგია, ერთი მხრივ, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა განთესვა და მათი უმეტესობის დატოვება არსებობის წყაროს გარეშე, მეორე მხრივ, ორგანიზაციის პოტენციური შესაძლებლობის დაქვეითება, რაც საზოგადოებრივი პროგრესის შემაფერხებელი ფაქტორია;

5) ევროკავშირის ქვეყნებში უმუშევრობისაგან დაცვის მიზნით, არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ორგანიზაციის ერთმანეთთან შერწყმისას ან მათი გაყიდვისას, იმ ორგანიზაციის ყველა მომუშავე, რომელიც გადაეცა ან შეერწყა სხვა ორგანიზაციას, ავტომატურად გადაიყვანება სამუშაოდ შერწყმის შედეგად შექმნილ ან მის მიმდებ ორგანიზაციაში. ისინი ინარჩუნებენ ძველი ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან მათ მიერ დადებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს. საქართველოში ასეთი რამ არც შრომის კოდექსითაა გათვალისწინებული და არც რაიმე მსგავსი წესია

დამკვიდრებული. როგორც წესი, ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ ორგანიზაციათა თანამშრომლების უმეტესობა რჩება სამუშაოს გარეშე და ავსებს უმუშევართა რიგებს. შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოტანაც.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოში მოქმედი შრომის კოდექსი უფრო ჰარმონიული (როცა თანაბრადაა დაცული როგორც დამსაქმებლების, ასევე დასაქმებულების ინტერესები) და პუმანური გახდებოდა და ხელს შეუწყობდა ადამიანის განვითარებას, მისი უფლებებისა და თავისუფლების იდეის რეალურ განხორციელებას.

მოხდა კი პირიქით - 2010 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შრომის კოდექსი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უკან გადადგმული ნაბიჯია წინა კოდექსებთან, თუნდაც საბჭოურთან შედარებით. მაგალითად: ა) შრომის წინა კოდექსების მიხედვით და რეალურადაც, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლება არ შეიძლებოდა რაიმე სერიოზული მიზეზის გარეშე და, ამასთან ერთად, მას სჭირდებოდა პროფკავშირული ორგანიზაციის აუცილებელი თანხმობა. დღეს კი დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება დამოკიდებულია მხოლოდ დამსაქმებლის ნებაზე (მუხლი 38); ბ) ავადმყოფობის შემთხვევაში დასაქმებულს, მისი დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში, მთელი 4 თვე შეეძლო ყოფილიყო ე. წ. საავადმყოფო ფურცელზე. მას ამ ხნის განმავლობაში უნაზღაურდებოდა გაცდენილი სამუშაო საათები და არ ემუქრებოდა სამუშაოდან გათავისუფლება. ახლა კი ეს ვადა 4-ჯერაა შემცირებული, ანუ 30 კალენდარული დღეა. ამავე შრომის კოდექსით, შემოღებულია შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც, თუ 6 თვის განმავლობაში ავადმყოფობის საერთო ხანგრძლივობა აღემატება 50 კალენდარულ დღეს, იგი ექვემდებარება სამუშაოდან გათავისუფლებას (მუხლი 37, პუნქტი 1). რაც შეეხება შრომის წინა კოდექსებს, მათში ასეთი შეზღუდვა საერთოდ არ არსებობდა; გ) შრომის ახალი კოდექსის მიხედვით, შემცირებულია შეღავათები ფეხმძიმობისა და მშობიარობისას, შრომის მავნე პირობებში და ღამით მუშაობისას და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ შრომითი ურთიერთობის რიგი საკითხი შრომის მოქმედ კოდექსში მეტნაკლებად სწორადაა დაყენებული, მაგრამ მათი ნაწილი არ სრულდება და განმკითხავი არავინაა. მაგალითად, ა) შრომის კოდექსის მიხედვით, დასაქმებულს უფლე-

ბა აქვს ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შეგებულებით. რეალურად, განსაკუთრებით კერძო სექტორში, დასაქმებულები ხშირად წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ ისარგებლონ ასეთი შეგებულებებით; ბ) მოქმედ შრომის კოდექსში მითითებულია, რომ დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების ან ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0,07 % (მუხლი 31, პუნქტი 3). სინამდვილეში, ასეთ დაყოვნებათა შემთხვევა, განსაკუთრებით კერძო სექტორში, ხშირია, მაგრამ დასაქმებულისათვის რაიმე დამატებული თანხის გადახდის შემთხვევა - თითქმის არც ერთი. ასევე, იშვიათად სრულდება შრომის კოდექსით დადგენილი ნორმა, რომლის მიხედვითაც, “თუ შრომის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით“ (მუხლი 32, პუნქტი 1); დ) შრომის კოდექსის მიხედვით, “დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი“ (მუხლი 35, პუნქტი 1). იქვე აღნიშნულია, რომ დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა საწარმოებში აუტანელი შრომის პირობებია, დასაქმებულები აცხადებენ ამის შესახებ, პროტესტის ნიშნად მიმართავენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მხრიდან, სამწუხაროდ, ამას მოჰყვება არა ამ უკანასკნელთა გააქტიურება შრომის პირობების გასაჯანსაღებლად, არამედ სადამსჯელო ქმედებები დასაქმებულების მიმართ. კიდევ უფრო მეტად სამწუხარო ისაა, რომ ამ კონფლიქტში ხელისუფლება და, უპირველეს ყოვლისა, სამართალდამცავი ორგანოები იკავებს არა დაზარალებულების (ამჯერად დასაქმებულების), არამედ კანონდამრღვევთა მხარეს; ე) შრომის ამავე კოდექსში მისი ერთ-ერთი მუხლი ეთმობა გაფიცვასა და ღოკაუტს, რომელშიაც ახსნილია მასთან დაკავშირებული პროცედურები. იქვე მითითებულია, რომ გაფიცვა არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი (მუხლი 49, პუნქტი 10). სამწუხაროდ, შრომის კოდექსის ეს მოთხოვნაც ხშირად არ სრულდება. არის შემთხვევები, როცა გაფიცვა ტარდება შრომის კოდექსის მოთხოვნათა სრული

შესაბამისობით, მაგრამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, კანონსაწინააღმდეგოდ, სამსახურიდან ათავისუფლებს ზოგიერთ გაფიცულს. კიდევ უფრო უარესი, სამართალდამცავები ძალისმიერად აჩერებენ გაფიცვას და მათგან ნაწილს აიძულებენ დაბრუნდნენ სამუშაოზე, ნაწილს კი (ე. წ. „აქტივისტებს“) აპატიმრებენ. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

საქართველოს შრომის კოდექსში და, საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში შრომითი ურთიერთობის რეგულირებაში არსებული ნაკლოვანებების შესამცირებლად საჭიროდ მიგვაჩნია რიგი ღონისძიების გატარება. მათ შორის: აუცილებელია შრომის კოდექსი შესაბამისობაში მოვიდეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციასთან.

ამ მიზნით, საჭიროა სათანადო ცვლილებები შევიდეს საქართველოს შრომის კოდექსში. კერძოდ: 1) კოდექსის შესაბამის მუხლში მკაცრად განისაზღვროს დასაქმებულთან შრომითი ხემკერულების მოშლის პირობები ისე, რომ დამსაქმებელს უფლება არ ჰქონდეს მოშალოს ხელშეკრულება მხოლოდ თავისი პირადი სურვილისა და შეხედულების გამო; 2) აღნიშნული კანონით კონკრეტულად განისაზღვროს ზეგანაკვეთური, უქმე დღეებში, ღამის საათებსა და შრომის მავნე პირობებში სამუშაო ს შესრულებისათვის შრომის ანაზღაურების წესი. მაგალითად, კოდექსში ხსენებული ფრაზა “ ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით“, შეიცვალოს ფრაზით - “ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება ხდება, ზეგანაკვეთური მუშაობის ხანგრძლივობისა და მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე - არანაკლებ 1,5 და არაუმეტეს 2- ჯერ გადიდებული სატარიფო განაკვეთით“. იგივე შეიძლება ითქვას უქმე დღეებში, ღამის საათებსა და შრომის მავნე პირობებში მუშაობისას შრომის ანაზღაურების წესის მიმართ; 3) მიზანშეწონილია შრომის კოდექსმა განსაზღვროს ის ძირითადი მაჩვენებლები, რომელთა შეტანა აუცილებელია შრომით ხელშეკრულებაში და მათში, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, შევიდეს - “შრომის ანაზღაურების წესი ზეგანაკვეთური, უქმე დღეებში, ღამის საათებსა და შრომის მავნე პირობებში მუშაობისას“. ეს კი თავიდან აგვაცილებს სხვადასხვა გაუგებრობას ზემოაღნიშნულ პირობებში სამუშაოთა შესრულებისას; 4) ჩვენთანაც, ისე როგორც ევროკავშირის ქვეყნებშია, დამკვიდრდეს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მომუშავეთა შემცირებისას სამუშაოზე დატოვების უპირატესობით სარგებლო-

ბენ ისინი, რომლებსაც მოცემულ ორგანიზაციაში მუშაობის მეტი სტაჟი, გამოცდილება და დამსახურება აქვთ და ყოველივე ამან ასახვა პოვოს შრომის კოდექსში; 5) შრომის კოდექსში ერთაზროვნად ჩაიწეროს, რომ ორგანიზაციათა შერწყმისას ან გაყიდვისას, როგორც ეს ევროკავშირის ქვეყნებშია, იმ ორგანიზაციის ყველა მომუშავე, რომელიც გადაეცა ან შეერწყა სხვა ორგანიზაციას, ავტომატურად გადაიყვანება სამუშაოდ შერწყმის შედეგად შექმნილ (ან მის მიმღებ) ორგანიზაციაში და ისინი ინარჩუნებენ ძველი ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან მათ მიერ დაღებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს; 6) ავადმყოფობისას გაცდენილი დროის ანაზღაურებისა და ამ მიზეზით შრომითი ხელშეკრულების მოშლის პირობები აღდგეს წინა კოდექსში მოცემული შინაარსით; 7) პერსონალის შერჩევისას, ისე როგორც მაღალგანვითარებულ ქვეყნებშია, ხანდაზმული ადამიანებისათვის მოიხსნას ასაკობრივი შეზღუდვა, განსაკუთრებით ადამიანთა საქმიანობის ისეთ ინტელექტუალურ სფეროებში, როგორიცაა: განათლება, მეცნიერება, მედიცინა და სხვ. ჩვენი აზრით, ასეთი შეზღუდვის დატოვება შეიძლება მხოლოდ ისეთ სფეროებში, რომლებშიაც დასაქმებულთა საქმიანობა მოითხოვს მაღალ ფიზიკურ მონაცემებს. (პოლიცია, არმია და სხვ.).

შრომითი ურთიერთობის სრულყოფასა და განვითარებაში დიდია მშრომელთა პროფესიული კავშირების (პროფკავშირების) როლი. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში იგი არის დასაქმებულთა ინტერესების უპირველესი დამცველი. პროფკავშირული მოძრაობა უშუალო კავშირშია კოლექტიურ ხელშეკრულებასთან. იგი, როგორც წესი, იღებს პროფკავშირებსა და დასაქმებულებს (ან მათ გაერთიანებებს) შორის და მისი პირობების დაცვის ფუნქცია ძირითადად აღებული აქვს პროფკავშირულ გაერთიანებას. სახელმწიფო, მართალია, უშუალოდ არ ერევა დამსაქმებულებსა და პროფკავშირებს ან დასაქმებულებს შორის ურთიერთობაში, მაგრამ არსებული კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, გამოდის როგორც სამართლიანობის დამცველი და მისი აღსრულების გარანტი. საქართველოში დღეს, სამწუხაროდ, პროფკავშირული მოძრაობა ძალიან სუსტია. მას არ აქვს არც საკონმდებლო და არც ფაქტობრივი მხარდაჭერა და, შესაბამისად, მისი როლი დასაქმებულთა ინტერესების დაცვაში მიზერულია. აუცილებელია მომავალში კარდინალურად შეიცვალოს პროფკავშირებისადმი დამოკიდებულება როგორც

სახელმწიფოს, ასევე დამსაქმებლებისა და დასაქმებულების მხრიდან, ხოლო თვით პროფკავშირებმა გაააქტიუროს თავისი საქმიანობა დასაქმებულთა ინტერესების დასაცავად. რაც შეეხება კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების ინსტიტუტს, დღეს იგი ჩვენში ფორმალურ ხასიათს ატარებს. საჭირო და აუცილებელია ამ მხრივაც ყურადღების გამახვილება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აუცილებლად მიგვაჩნია, ისე როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაშია, საქართველოსაც გააჩნდეს კანონი დასაქმების შესახებ, რომელშიც ფორმულირებული იქნება დასაქმებასთან დაკავშირებული ძირითადი მნიშვნელოვანი დებულებები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პარლამენტმა, ქვეყნის განვითარების დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს იგი.

ამრიგად, შრომითი ურთიერთობა ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. მისი მდგომარეობა საქართველოში არასახარბიელოა, რაც მიუთითებს მომავალში ამ პრობლემის კვლევისა და მისი (შრომითი ურთიერთობის) სრულყოფის ეფექტურ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობაზე.

European Experience in Labor Relations and Georgian Reality

N. Paitchadze

The paper discusses the current Labor Code of Georgia. The attention is paid to its significant shortcomings and such important issues of human resource management as hiring and dismissing employees, labor contracts and requirements imposed for them, regulation of remuneration in cases of special working conditions, changes in posts of the staff, the rights of the employees in cases of merging or selling of an organization, creating equal conditions of working, social assurance and development for everyone, managing “variety”, etc.

**საქართველოს საგარეო
ვაჭრობის ტენდენციები**

**რეზაზ გოგუხია, გიორგი ღოღონაძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები,
პროფესორები**

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესები დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებასა და ცალკეული ქვეყნის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ფორმირებაზე, რომელიც, ერთი მხრივ, შიგა ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით და, მეორე მხრივ, საგარეო-ეკონომიკური მოთხოვნების ზემოქმედებით ფორმირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავაჭრო პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ამიტომ, საგარეო ვაჭრობის განვითარება უნდა განვიხილოთ, როგორც ეროვნული ეკონომიკის აღმავლობის მნიშვნელოვანი ბერკეტი და ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში ჩართვისა და ადაპტირების საშუალება.

საქართველოს მცირე ზომის შიგა ბაზარი აქვს და ამიტომ მისი ეკონომიკური ზრდა დიდადაა დამოკიდებული საგარეო მოთხოვნაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ კურსს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებს და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და დღეისათვის საქართველოში მოქმედებს შემდეგი სავაჭრო რეჟიმები:

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most – Favored – Nation - MEN). საქართველო, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, მისი წესდების შესაბამისად, სარგებლობს მის წევრ 153 ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობებში „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით“.

პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System Preferences - GSP), რაც გულისხმობს ბენეფიციარი

ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფების შემცირებული განაკვეთების დაწესებას, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. საქართველო არის: ევროკავშირის, აშშ, იაპონიის, კანადის, შვეიცარიის და ნორვეგიის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის ბენეფიციარი.

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის განთავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადებისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. საქართველო მრავალმხრივი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმით სარგებლობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან (გარდა რუსეთის ფედერაციისა), რომელიც რეგულირდება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით. საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის „სუამი“-ს შეთანხმების მონაწილე ქვეყანა, რომელიც რეგულირდება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით. გარდა ამისა, საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს რუსეთის ფედერაციასთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, თურქმენეთსა და თურქეთთან. ამასთან, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს გამონაკლისებს, კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან გარკვეული სახეობის საქონლის ამოღებას.

სატარიფო პოლიტიკა იმპორტზე. საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან, საიმპორტო ტარიფების 16-თანრიგიანი სატარიფო განაკვეთი შემცირდა სამამდე: 0%, 5% და 12%. საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90%-ზე, აღარ ფუნქციონირებს სეზონური ტარიფები.

სატარიფო პოლიტიკა ექსპორტზე. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი ან რექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონელთა დამატებული ღირებულების დაბეგვრას

დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დამატებული ღირებულებით არ იბეგრება.

არასატარიფო შეზღუდვები. საქართველოს კანონმდებლობით საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვა (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.

რეგულირებადი იმპორტი. ამ პუნქტით ლიცენზიის ან ნებართვის მიღება ხდება შემდეგ პროდუქციასა თუ მასალაზე: ფიტოსანიტარულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციაზე; დაკვირვების ელექტრონულ საშუალებებზე; შეზღუდულად ბრუნვად მასალებზე; იარაღსა და საბრძოლო მასალებზე; ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე; სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებებზე; გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებზე; არაიოდიზებულ მარილზე.

რეგულირებადი ექსპორტი. ამ სფეროს განეკუთვნება: საქართველოს კულტურული ფასეულობები; დაკვირვების ელექტრონული საშუალებები; შეზღუდულად ბრუნვადი მასალები; იარაღი და საბრძოლო მასალები; ორმაგი დანიშნულების პროდუქცია; სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები; გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობები.

წარმოშობის სერტიფიკატები, საქართველოს ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს, გაიცემა 2010 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №420 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაზე, გარდა ყურძნიდან წარმოებული პროდუქციისა, საქონლის წარმოშობის სერტიფიკატებს გასცემს: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მისი ტერიტორიული ადმინისტრაციული ორგანოები; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სსიპ „შემოსავლების სამინისტრო“, სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; ყურძნიდან წარმოებული პროდუქტებისას - სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული

სსიპ ვახისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“.

2010 წლისათვის საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა მსოფლიოს 140-მდე ქვეყანასთან, ეს სია ყოველწლიურად იზრდება. თუმცა, არასახარბიელოა ის გარემოება, რომ საქართველოს სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სადღო აქვს თავისი პარტნიორი ქვეყნების უმრავლესობასთან (100-ზე მეტი ქვეყანა), ხოლო დადებითი - უმცირესობასთან (32-მდე ქვეყანა).¹

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი კვლავაც თურქეთია. 2011 წლის იანვარ-ივლისში თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ 805 მლნ დოლარი შეადგინა, მეორე ადგილზეა ზერბაიჯანი - 525 მლნ, ხოლო მესამეზე - უკრაინა 482 მლნ დოლარით. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ათეულში არიან ასევე: ჩინეთი, გერმანია, რუსეთი, აშშ, ყაზახეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები და სომხეთი. მათი ერთობლივი წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67%-ია.

განხილულ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოდან მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი. ასე, მაგალითად, 2010 წლის იანვარ-ივლისში ქვეყნიდან უცხოეთის ბაზარზე 21928,8 ტ იქნა გატანილი (10214,5 ათასი დოლარის ღირებულებით), ხოლო მიმდინარე წლის იმავე პერიოდში - 28629,1 ტ (14404,2 ათასი დოლარის ღირებულებით).²

ბოლო პერიოდში საქართველოში გატარებული საგარეო ვაჭრობის რეჟიმის ლიბერალიზაციის შედეგად საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, კერძოდ, 2003 წლის 1602,6 მლნ დოლარიდან, 2010 წელს 6678,5 მლნ დოლარამდე გაიზარდა, ანუ - 4,2-ჯერ. აღნიშნულ პერიოდში ექსპორტი 3,4-ჯერ, ხოლო იმპორტი 4,5-ჯერ გაიზარდა. როგორც ჩანს, ექსპორტის ზრდას მნიშვნელოვნად აღემატება იმპორტის ზრდის ტემპი, რამაც განაპირობა საგარეო ვაჭრობის სადღოს დეფიციტის ზრდა 2003 წლის 679,8 მლნ დოლარიდან, 2010 წლის 3511,7 მლნ დოლარამდე (იხ. ცხრილი 1).

¹ იაშა (იაკობ) მესხია. საერთაშორისო ვაჭრობა. რედაქტორი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბ., 2011, გვ. 416.

² „საქსტატი“ მონაცემებით.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა (მლნ აშშ დოლარი)¹
ცხრილი 1

	2000	2003	2005	2010
ექსპორტი	322,8	461,4	866,2	1583,4
იმპორტი	709,4	1141,2	2490,9	5095,1
ბრუნვა	1032,2	1602,6	3357,2	6678,5
საღდო	-386,6	-679,8	-1624,7	-3511,7
ექსპორტის წილი მთლიან ბრუნვაში (%)	31,0	28,0	25,8	23,7

აღნიშნულიდან ნათელია, რომ აუცილებელია საგარეო ბაზარზე გადართვის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ადვილად შეუძლია მთელი ეკონომიკის დესტაბილიზაცია. საქმე ის არის, რომ როგორც ექსპერტები ასკენიან, ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვერ განვითარდება სტაბილურად, თუ ექსპორტის მაჩვენებელმა 40%-ს არ გადააჭარბა.

სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირება საშუალოვადიანი პერსპექტივისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამიტომ, ექსპორტის ხელშეწყობა პრიორიტეტული მიმართულებაა, რამაც უნდა უზრუნველყოს დაბალანსებული საგარეო ვაჭრობა. საქართველოს ექსპორტის ძირითად სასაქონლო ჯგუფებს წარმოადგენს: ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ცემენტი, დამუშავებული ან ნახევრადდამუშავებული ოქრო, შავი ლითონის ჯართი, მინერალური სასუქები, მინერალური წყლები, ნატურალური ღვინოები, თხილი, ხილისა და ხილბოსტნეულის წვენი და სხვ. უკანასკნელ წლებში ექსპორტის სტრუქტურაში გამოჩნდა ელექტროენერგია, მედიკამენტები, თვითმფრინავის სათადარიგო ნაწილები და სხვ. ექსპორტირებული საქონლებიდან: ფეროშენადნობები ძირითადად აშშ-ში (62,2%), თურქეთსა (9,2%) და უკრაინაში (5,8%) მიდის; მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტიდან - აზერბაიჯანსა (45,9%) და სომხეთში (23,9%); შავი ლითონების ჯართიდან - თურქეთსა (81,3%) და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (9,6%); ოქრო - მთლიანად კანადაში; მინერალური სასუქები - თურქეთში (25,3%) მ ბულგარეთში (14,2%), ესპანეთში (10,6%);

¹ გაანგარიშებულია „საქსტატის“ მონაცემების საფუძველზე.

თხილი და კაკალი - გერმანიაში (20,6%), იტალიაში (9,5%), ესპანეთში (9,3%), ერაყში (10,7%), აზერბაიჯანში (6,2%), ჩინეთში (6,2%) და სხვ.; ქართული ღვინო - უკრაინაში (45,8%), ყაზახეთში (15,1%), ბელორუსიაში (10%) და ა.შ.

საქართველოს იმპორტული საქონლებიდან მოდის: ნავთობი და ნავთობპროდუქტები - აზერბაიჯანზე - 42,9%, რუმინეთზე - 17,1%, ბულგარეთზე - 12,4%, თურქმენეთზე - 8,3% და ა.შ.; მსუბუქი ავტომობილები - აშშ-ზე - 27,1%, გერმანიაზე - 23,1%, იაპონიაზე - 22% და ა.შ.; ხორბალი - ყაზახეთზე 40,5%, რუსეთზე - 38,9%, უკრაინაზე - 11,2%; შაქარი - ბრაზილიასა 60,9% და აზერბაიჯანზე - 13,2% და სხვ.¹

მოყვანილი მონაცემებიდან ცხადია, რომ იმპორტის მნიშვნელოვანი შემცირება, მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეუძლებელია. ამიტომ, ტრადიციული საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებთან ერთად აუცილებელია ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნა, რომელთა კონკრეტული წარმოება შესაძლებელია შედარებით დაბალი სავაჭრო ბარიერებისა და ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებით.

ექსპორტის მნიშვნელოვანი რეზერვა: ტურისტული პოტენციალის განვითარება, საქონლისა და ენერგომატარებლების ტრანზიტი რკინიგზის, საზღვაო პორტების და მილსადენი ტრანსპორტით, დიდია ჰიდროელექტრო პოტენციალი. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი უნდა გახდეს თავისუფალი ეკონომიკური ზონების და იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოების განვითარება. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ საქონელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა წარმოებაც ადგილზე შესაძლებელია და რაც მნიშვნელოვანია, უკეთესი ხარისხით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ტურიზმის სფეროს განვითარებაზე, რისთვისაც ქვეყანაში უნდა შეიქმნას შესაბამისი გარემო, რათა ინვესტირებმა ფული ჩადონ მასში.² ტურიზმი რომ უნდა განვი-

¹ ი. მესხია დასახ. ნაშრომი, გვ. 428-429, 430-431.

² გ. ერქომაიშვილი. ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეკონომიკური პოლიტიკა. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, №6, გვ. 75.

თარღეს, საკამათო არაა, მაგრამ გაუმართლებელია ტურიზმზე მასშტაბური აქცენტირება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქართველო არ უნდა გადაიქცეს მასობრივი ტურიზმის ქვეყნად (მას ბევრი სხვა უფრო დიდი მისია აკისრია, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა), ხოლო ჩვენი მოსახლეობა - ტურისტთა მომსახურე ერად, და მეორე, ხომ ფრიად დამაფიქრებელი ფაქტია ის, რომ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, თვით ისეთი უზარმაზარი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყნები, როგორცაა საბერძნეთი და ესპანეთი, ტურისტების გარეშე დარჩნენ. საქართველოში ტურიზმის ოპტიმალურ ღონეზე განვითარება აუცილებელია, მან თავისი ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბების ღონისძიებათა სისტემაში, მაგრამ ყოვლად მიუღებელია და შეუძლებელიც იმ გიგანტურ მასშტაბებზე გასვლა, რაც გულისხმობს ტურისტთა რაოდენობის გაზრდას ორჯერ და მეტად, ვინემ საქართველოს მოსახლეობაა.

საქართველოს ექსპორტის განვითარების დიდი პოტენციური შესაძლებლობებია ენერგეტიკაში. საქართველოს ჰიდრორესურსების ენერგოპოტენციალით ევრაზიაში ერთ-ერთი სალიდერო პოზიცია უკავია, თუმცა, გამოყენებულია მისი მხოლოდ 20%-მდე. არსებული ენერგოპოტენციალის ამოქმედების უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოში მცირე ჰესების მშენებლობა, გარკვეულ პირობებში, უფრო მომგებიანია როგორც ეკოლოგიური, ასევე ეკონომიკური ასპექტით. მით უმეტეს, საქართველოში უამრავი მთის მდინარეა, რომელზეც მცირე ჰესების აგება ყოველნაირად მომგებიანია. ამასთან, ენერგორესურსების პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის არსებული ჰესების მოდერნიზება, რაც ახლების მშენებლობაზე თითქმის ორჯერ იაფი ჯდება. აქვე გასათვალისწინებელია ენერგიის ალტერნატიული - განახლებად წყაროთა მოძიება და მასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების პერსპექტივები. თუ იმასაც დავაფიქსირებთ, რომ საქართველოში ელექტროენერგია თანდათან მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქციად ყალიბდება, შორს არ არის ის დრო, როცა ის ექსპორტის ერთ-ერთი წონადი კომპონენტი გახდება და ამის კვალობაზე ელექტროენერგიაზე სადღეისოდ მოსახლეობისათვის დაწესებული მაღალი ტარიფის საგრძნობლად შემცირება რეალური გახდება.

თუმცა, ეს ჯერჯერობით მხოლოდ სურვილია. რეალ-

ობა კი არის ის, რომ საქართველოს ვაჭრობის საექსპორტო სექტორში, სამწუხაროდ, თითქმის არ გამოჩნდა რაიმე დამატებითი საექსპორტო საქონელი, გარდა მსუბუქი ავტომობილებისა, რომელიც არა წარმოებრივი სექტორის ზრდით, არამედ კანონმდებლობით არის განპირობებული. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში, ასე თუ ისე, ადგილი აქვს ტრადიციული სავაჭრო სეგმენტების სტიმულირებას, ხოლო ახალი სექტორების ათვისება ვერ ხერხდება.¹

და მაინც, ის, რომ საქართველომ თავის განვითარების ორიენტირად ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება განსაზღვრა, საესებით გამართლებულია როგორც ისტორიული, ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. აღნიშნულ გარემოებათა გამო, საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. მით უმეტეს, რომ ევროკავშირი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის, კერძოდ, საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან გაიზარდა 2003 წლის 479,8 მლნ დოლარიდან, 2010 წელს 1799 მლნ დოლარამდე და შეადგინა საქართველოს მთელი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 26% (იხ. ცხრილი 2).

ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობის დინამიკა (მლნ დოლარი)

ცხრილი 2

	ექსპორტი		იმპორტი		სულ ბრუნვა		საღდო	
	2003	2010	2003	2010	2003	2010	2003	2010
ევროკავშირის ქვეყნები სულ მათ შორის:	77,8	296,6	402,0	1439,3	479,8	1735,9	-324,2	-1142,7
გერმანია	9,8	31,7	82,5	330,0	92,3	361,7	-72,7	-298,3
ბელგია	3,1	25,8	9,9	54,7	13,0	80,5	-6,8	-28,8
იტალია	8,7	23,4	36,4	133,7	45,1	157,1	-27,7	-110,3
ნიდერლანდები	9,9	17,1	23,9	99,8	33,8	116,9	-14,0	-82,6
გაერთიანებული სამეფო	27,9	19,3	145,6	64,4	173,5	83,7	-11,7	-45,1

¹ მაკა ხარაზიშვილი. ექსპორტი დაცემას განაგრძობს. გაზ. „რეზონანსი“, 2011 წლის 2 სექტემბერი.

განხილულ პერიოდში ექსპორტი გაიზარდა 3,8-ჯერ და შეადგინა ქვეყნის მთელი ექსპორტის 18,7%, ხოლო იმპორტი გაიზარდა 3,6-ჯერ და შეადგინა მთელი იმპორტის 28,2%. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის ზრდის ტემპი შედარებით მაღალია იმპორტის ზრდის ტემპთან, საგარეო სავაჭრო ბალანსის საღდო მაინც უარყოფითია და აღნიშნულ პერიოდში იგი გაიზარდა 3,5-ჯერ და შეადგინა 1142,7 მლნ დოლარი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წელთან შედარებით, საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფითი საღდო 2010 წელს 279,0 მლნ დოლარით შემცირდა, რაც დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ყველა ქვეყანასთან ჩვენ უარყოფითი სავაჭრო საღდო გვაქვს.

საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექპორტში წამყვანი ადგილი სპილენძის მადანს და კონცენტრატებს უკავია. ეს პროდუქცია ძირითადად ბუღგარეთში, ესპანეთსა და გერმანიაში იგზავნება. მსხვილ საექსპორტო საქონელს წარმოადგენს მინერალური სასუქები, რომლის ძირითადი მომხმარებლები არიან გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, იტალია და საბერძნეთი. მსოფლიო ბაზარზე ფეროშენადნობებზე მოთხოვნის ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება მისი ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში. ასევე იზრდება ხილისა და ხილნოსტნეულის წვენების ექსპორტი ძირითადად გერმანიაში, საგრძნობლად გაიზარდა თხილის ექსპორტი, ამ საქონლის ძირითადი მომხმარებლებია გერმანია, ჩეხეთი და ბელგია.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებულ იმპორტში წამყვანი ადგილი კვლავ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს უკავია. მნიშვნელოვანია მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომელიც ძირითადად გერმანიიდან, იტალიიდან, ნიდერლანდებიდან და გაერთიანებული სამეფოდან ხორციელდება. ევროკავშირიდან მნიშვნელოვნად იზრდება სამკურნალო საშუალებების იმპორტი, რომლის ძირითადი მომწოდებლებია გერმანია, ავსტრია და უნგრეთი. კომპიუტერული ტექნიკის, ტელე-რადიო აპარატურის ძირითადი მომწოდებლებია ნიდერლანდები და საფრანგეთი.

როგორც საქართველო-ევროკავშირის ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის ანალიზი გვიჩვენებს, იმპორტის მნიშვნელოვანი შემცირებით საგარეო-სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება ნაკლებადაა მოსალოდნელი, ამიტომ, ერთადერთ გზად რჩე-

ბა ექსპორტის ხელშეწყობა და განვითარება. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაში „ოთხი თავისუფლების პრინციპის“ უფრო ფართოდ გამოყენება. ეს ეხება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და ადამიანების თავისუფალი გადაადგილების პროცესის გამარტივებას. ამ ოთხი პრინციპიდან ორში - საქონლისა და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებაში, ევროკავშირმა და საქართველომ გამოხატა პრინციპული თანხმობა და დაიწყო მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შესაქმნელად და სავიზო რეჟიმის გასამარტივებლად. ეს უკანასკნელი უკვე განხორციელდა და საქართველოს მოქალაქეების რამდენიმე კატეგორიას სავიზო რეჟიმი გაუმარტივდა. რაც შეეხება თავისუფალ ვაჭრობას, აქ მეტ ძალისხმევას საჭიროებს კონკურენციის დაცვის, სურსათისა და პროდუქტების უსაფრთხოების, სტანდარტიზაციის და ნორმების პარმონიზაციის, საერთაშორისო გარემოს და შრომის სტანდარტების დაცვის და სხვა მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები.

საქართველო სარგებლობს ევროკავშირის მიერ მინიჭებული განზოგადებული პრეფერენციების გაფართოებული სისტემით GSP+, რაც ითვალისწინებს საქართველოს ექპორტის თითქმის უტარიფო დაშვებას ევროკავშირის ბაზარზე (კერძოდ, ახალი GSP+ ბენეფიციარის სტატუსის მიღებით საქართველოს შეუძლია ევროკავშირის ქვეყნებში უბაჟოდ შეიტანოს 7200-მდე სახეობის პროდუქცია).

„მარტივი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ ხელშეკრულებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. დადებითია ტარიფების გაუქმება, რაც იმპორტს გააიადებს და შეამცირებს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ფასებს. უარყოფითი ისაა, რომ ტარიფების გაუქმებით მცირდება ბიუჯეტის შემოსავლები. ამასთან, უცხოელმა კონკურენტებმა შეიძლება ადგილობრივ მწარმოებლებს წაართვან წილი ადგილობრივ ბაზარზე, რაც ზოგიერთ სექტორში ადგილობრივი წარმოების შემცირებას გამოიწვევს. ევროკავშირმა ამ მიმართულებით ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასადგენად კვლევა ჩაატარა. ანალოგიური კვლევა ჩაატარა გაერო-ს განვითარების პროგრამამაც. ამ კვლევებით დადგინდა, რომ „მარტივი ვაჭრობის შესახებ“ ხელშეკრულება არ გამოიწვევს მშპ-ს ზრდას.

ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას“. „ყოვლისმომცველი“ ნიშნავს ვაჭრობას ფართო სპექტრით, „ღრმა“ კი ნიშნავს, რომ ხელშეკრულება ტარიფების შემცირების გარდა, ითვალისწინებს არასატარიფო ბარიერების შემცირებას და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ჰარმონიზაციას. არნიშნულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ გაფართოებული ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება - FTA+ ევროკავშირსა და საქართველოს შორის მნიშვნელოვნად გაზრდის ვაჭრობის სარგებლიანობას, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამის კვლევის მონაცემებით მშპ 7,6% გაიზრდება.

FTA+ მიღების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება არასატარიფო ნორმებისა და ტექნიკური რეგლამენტების ჰარმონიზაციით შემცირდეს ევროკავშირში ექსპორტის ბარიერები, რაც საკმაოდ მაღალია და რა თქმა უნდა, მისი გაუქმება მნიშვნელოვან ეფექტს მოიტანს. არასატარიფო ბარიერების უდიდესი ნაწილი პროდუქციის სტანდარტებსა და რეგლამენტებს მოიცავს. ევროკავშირის სავალდებულო სტანდარტები მხოლოდ უვნებლობის საკითხებს ეხება, როგორცაა ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტები - პროდუქტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სავალდებულო სტანდარტებს, ევროკავშირის ბაზარზე არ დაიშვება. ყველა სხვა სტანდარტი ნებაყოფლობითია, თუმცა, ამის შესრულება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს აადვილებს ბაზარზე დაშვებას. ისეთ სამრეწველო საქონელზე, რომელიც არ შეესაბამება ევროკავშირის სამრეწველო სტანდარტებს, მოთხოვნა უმეტეს შემთხვევაში არ იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ მივაღწიოთ ევროკავშირთან FTA+-ით ხელშეკრულების გაფორმებას და არასატარიფო ბარიერების შემცირებას, აუცილებელია ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

დასასრულ, არ შეიძლება მოკლედ მაინც არ აღინიშნოს საქართველოს მთავრობის გარკვეულწილად გაორებული პოზიციის შესახებ ქვეყნის სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელთან დაკავშირებით.

საქმე ისაა, რომ როგორც ცნობილია, საქართველოში 2004 წლიდან ეკონომიკური ლიბერალიზმი მთავარ პოლიტიკურ იდეოლოგიად გამოცხადდა, რაც გულისხმობს ჩვენი

ქვეყნის სინგაპურის ეკონომიკური მოდელის მიხედვით განვითარებას. მაგრამ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ჩვენი მიზანი ევროკავშირში ინტეგრაცია იყო, რაც ნიშნავს ეკონომიკური განვითარების ევროპული მოდელის არჩევას. მოკლედ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავძლიოთ ეკონომიკური მოდელის არჩევაში არსებული გაუგებრობები. დასახელებული ურთიერთგამომრიცხავი მოდელებიდან, ჩვენთვის სავსებით მიუღებელია ქვეყნის „სინგაპურიზაცია“ მასში ჩადებული პოლიტიკური, ეკონომიკური, ენობრივი, სარწმუნოებრივი, თუ სხვა საფრთხეების გამო. აღნიშნულის გარდა, ხომ ფაქტია ისიც, რომ XX საუკუნის 60-70-იან წლებში სინგაპურში განხორციელდა კარდინალური სისტემური რეფორმა, რაც ეფუძნებოდა კორუფციასთან გადამჭრელ ბრძოლას და პრივატიზებას. რაც მთავარია, პრივატიზება განხორციელდა ძალზე ფრთხილად და მოზომილად, მეცნიერულად დასაბუთებულად და პოლიტიკურად გააზრებულად. ამასთან, პრივატიზებიდან მიღებული ფულადი სახსრები თითქმის მთლიანად მოხმარდა ქვეყნის ეკონომიკის რეალური სფეროს განვითარებას თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე, ასევე, უმაღლესი კლასის განათლების მქონე კადრების მომზადებას ყველა სფეროსთვის. საქართველოში კი მსგავსი რამ არ მომხდარა, ან თითქმის არ მომხდარა. ამიტომაც, „სინგაპურიზაცია“ ჩვენი გზა არ არის, ძალიანაც რომ გვინდოდეს. შესაბამისად, რჩება ევროპული მოდელი. ყოველ შემთხვევაში, ევროპული ინტეგრაცია საქართველოს ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და გარდა იმისა, რომ საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია, სარგებლობს ევროკავშირის შედგენილების განზოგადებული სისტემით (GSP) გათვალისწინებული სატარიფო შედგენილებით, ამასთან, ევროკავშირი მოითხოვს პარტნიორმა ქვეყნებმა მკაცრად დაიცვან მომხმარებელთა უფლებები, სურსათის უვნებლობა, სანიტარული წესები, შემოიღონ უსაფრთხოების სტანდარტები და რეგლამენტები. ამ მოთხოვნების შესრულებით ამაღლდება ქართული პროდუქციისადმი ნდობა, რაც ხელ შეუწყობს სურსათის სფეროში ევროკავშირ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედებას.¹

¹ უფრო ვრცლად იხ. ე. სარჯველაძე, დ. წულაია. საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის ბარიერები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, №4.

საბოლოო ანგარიშით, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაემყაროს პრიორიტეტების სისტემას, რომელთა შორის მთავარია ქვეყნის ეკონომიკის შეფარდებითი უპირატესობა, რომელიც მოიცავს, უწინარეს ყოვლისა, სატრანსპორტო-ტრანზიტულ სფეროს, ენერგეტიკას, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას (მევენახეობა, მეხილეობა, ჩაისა და ციტრუსების, თხილის მოყვანა), ასევე ეროვნული ვალუტის განმტკიცება, დასაქმების უზრუნველყოფა, განათლების სისტემის მოწესრიგება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის აღორძინება, მოსახლეობის სოციალური დაცვის ქმედითი პოლიტიკის განხორციელება, სახელმწიფო სამსახურის სტრუქტურულ-თვისებრივი განახლება, პრივატიზების ტოტალურად განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორება და ა.შ.

აქტუალურია, ასევე საქართველოს სამეურნეო სუბიექტების დაკავშირება ტნკ-ებთან - მათი ჩართვა ტნკების ფარგლებში მოქმედ ტექნოლოგიურ ჯაჭვში, ასევე მათი ფილიალების გახსნა საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეკონომიკა სულ უფრო დაეთმოს აღვირახსნილ დასავლურ ლიბერალიზმს, რაც გარდაუვალად გამოიწვევს დესტრუქციულ შედეგებს.

საქართველოში ეკონომიკის აღორძინებისა და შესაბამისად საექსპორტო პოტენციალის გადიდების მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეზერვია ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ფენოქენალური კულტურა - ქართულ ცნობიერებაში კოდირებული მემკვიდრეობითობის (გენეტიკური) ტრადიცია, რასაც იაპონიაში (სადაც ასევე მომძლავრებულია აღნიშნული ფენომენი) „ისტორიის გონებას“¹ უწოდებენ. დღეისათვის ამ ფაქტორს საქართველოში „საყოველთაო ლიბერალიზმის“ აბრით, დაუნდობლად ებრძვიან, თუმცა მისი მეშვეობით, საქართველო ოდითგან აღწევდა ეკონომიკურ და სულიერ აღორძინებას. იაპონური ეკონომიკური სასწაულიც ხომ დიდწილად ამ ამოუწურავი და მუდმივგანახლებადი სასიცოცხლო არტერიის აქტიურად გამოყენების შედეგადაა მიღწეული.

ყოველივე აღნიშნულის რეალიზაციისათვის აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რეფორმის ტაქტიკის განახლება, ეკონომიკის

¹ გაზ. „ახალი თაობა“, 2005 წლის 14 სექტემბერი (ინტერვიუ დ. ჭგელაძესთან).

სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო მექანიზმების ოპტიმალური შეხამება, რაც, საბოლოო ანგარიშით, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის სტაბილურობას, მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

External Trade Tendencies of Georgia

**R. Gogokhia
G. Dogonadze**

The article describes current situation regarding Georgia's external trade, export to import ratio, objective and subjective reasons which cause negative trade balance of the country. Taking into account the above-mentioned facts, the attention is paid to the factors that can strengthen the country's export potential; the most important of these factors is comparative advantage of the country which includes the following sectors: transportation, energy sector, agriculture, tourism, etc.

One of the important strategic resources also regarded to be an important source for widening export potential of Georgia is a phenomenal culture of human relations – full realization of inheritance tradition coded in Georgian consciousness.

**ინფლაციის მუდმივობის
მიზეზის შესახებ**

მაღსაზ ჩიქოვაძე
თსუ ასოცირებული პროფესორი

ჩვენს დროში დღე არ გაგა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არ მოვისმინოთ ისეთი მრისხანე და დამაინტრიგებელი სიტყვა, როგორიც ინფლაციაა. მის შესახებ ძალიან ბევრს მსჯელობენ პოლიტიკოსები და სპეციალისტები, მას ებრძვიან და მისი ძალიან ეშინიათ. XX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა ინფლაცია „საზოგადოების ნომერ პირველ მტრად“¹ გამოაცხადა, ხოლო 80-იან წლებში პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მას „ყველაზე მკაცრი გადასახადი“² უწოდა. საზოგადოებრივი აზრის მრავალრიცხოვანი გამოკითხვა ადასტურებს, რომ მოსახლეობა ინფლაციას უსერიოზულეს პრობლემად თვლის.

მაინც რა არის ინფლაცია? რა არის მისი მიზეზები? რატომაა ინფლაცია გარდაუვალი? რატომ ხდება, რომ ნებისმიერი მყარი ვალუტა დროთა განმავლობაში კარგავს თავის მყიდველობით უნარს? შესაძლებელია თუ არა ინფლაციის ფართოდ გავრცელებული დეფინიციებით აიხსნას მისი წარმოშობის მიზეზები? შევეცდებით პასუხი გავცეთ დასმულ კითხვებს.

საყოველთაოდ აღიარებული განმარტებით ინფლაცია საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საერთო დონის ზრდაა. ის ჩნდება მაშინ, როცა იზრდება ერთობლივი მოთხოვნა არსებულ ერთობლივ მიწოდებასთან შედარებით. ეკონომიკური ზრდის პერიოდში ინფლაციის დონე შედარებით

¹ Н.Г. Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, с. 39-54.

² იქვე.

დაბალია. მაგრამ, ცნობილია შემთხვევებიც, როდესაც ფასების დონის ყოველთვიური მატება 100%-ს აღემატება და ადამიანები საერთოდ კარგავენ ადგილობრივი ვალუტისადმი ნდობას.

ეკონომისტები და საერთოდ ანალიტიკოსები უდიდეს ძალისხმევას მიმართავენ მოსალოდნელი ინფლაციის პროგნოზირების მიზნით. მოსალოდნელი ინფლაცია დისკონტის განაკვეთის სიდიდის დომინირებული განმსაზღვრელი ფაქტორია. ინდივიდი, რომელიც უნარიანია განჭვრიტოს ინფლაციის დონის მოსალოდნელი ცვლილების მასშტაბები, წარმატებით განსაზღვრავს დისკონტის განაკვეთის მოსალოდნელ ცვლილებას. ეს კი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ინფლაციის არსის გაგების პირველი ნაბიჯია მისი ფაქტორების განსაზღვრა.

დღეისათვის მეცნიერთა შორის არსებობს სრული თანხმობა ინფლაციური პროცესების დეტერმინანტებთან დაკავშირებით, რასაც ინფლაციურ პროცესებზე ზემოქმედების შედეგების შესახებ ვერ ვიტყვით. ინფლაციის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და ამის შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო სკოლას შორის უთანხმოების მიზეზების გაგებისათვის განვიხილოთ შემდეგი იგივეობა:

$$P=MV/Y$$

აღნიშნული იგივეობა გამომდინარეობს საყოველთაოდ აღიარებული ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობიდან, სადაც P ფასების დონეა, M - ეკონომიკაში არსებული ფულადი მასა, V - ეკონომიკაში ფულის ბრუნვის სიჩქარე, Y - წარმოების რეალური მოცულობა.

ფულადი მასის ბრუნვის სიჩქარე გვიჩვენებს ეკონომიკაში ფულის მიმოქცევის სიხშირეს და გარიგებათა მოცულობას დროის გარკვეულ მონაკვეთში. მაგალითად, თუ ფულის ერთეულით შედგა სამი გარიგება, მისი ბრუნვა სამის ტოლია. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ფულადი მასის სიდიდე განისაზღვრება კონკრეტული მაჩვენებლით (ვთქვათ, $M2$ ფულადი მასით), მაშინ ბრუნვა გამოთვლილ უნდა იქნეს

კონკრეტული სიტუაციის ასახვისათვის.

წინა იგივეობას თუ გადავწერთ პარამეტრთა ცვლილების პირობებისათვის, სადაც d ცვლილებაა, გვექნება:

$$dP = \frac{(dM)(dV)}{dY}$$

განტოლების მარცხენა მხარე ინფლაციის დონეა, ხოლო მარჯვენა გვიჩვენებს ინფლაციის დონის სამ დეტერმინანტს.

თუ ფულადი მასის მოცულობა გაიზრდება სხვა პარამეტრების უცვლელობისას, მაშინ ინფლაციის დონე გაიზრდება. ეს არის მონეტარისტული თეორიის მომხრეთა არგუმენტის საფუძველი, რომლებიც თვლიან, რომ არ არსებობს კავშირი წარმოების რეალურ მოცულობასა და ფულად მასას შორის, აგრეთვე ბრუნვის მაჩვენებელი სტაბილურია გრძელვადიანი პერიოდისათვის და „თავისუფალი“ მონეტარული პოლიტიკა (ფულადი მასის ზრდა) მაღალი ინფლაციის მიზეზია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთების აზრით, მონეტარულ პოლიტიკას შეიძლება მოკლევადიანი ეფექტი ჰქონდეს წარმოების რეალურ მოცულობაზე, უმრავლესობა ამტკიცებს, რომ გრძელვადიანი ეფექტი არ არსებობს. არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომლის მიხედვითაც ბრუნვის სიჩქარე შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, რაც ვლინდება დროის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ და ინფლაციაზე არსებით გავლენას არ ახდენს.

თუ ბრუნვის სიჩქარე გაიზრდება სხვა პარამეტრების უცვლელობის შემთხვევაში, მაშინ ინფლაციის დონე იზრდება. ეკონომისტები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კამათობდნენ იმის შესახებ, თუ რატომ იცვლება ფულადი მასის ბრუნვის სიჩქარე დროთა განმავლობაში. ამის ერთ-ერთი დეტერმინანტი ტექნოლოგიური პროგრესია. ის ცვლის ფულის დაგროვებისა და ადამიანების მიერ ფულის ხარჯვის მეთოდებს, რითაც გავლენას ახდენენ ფულის ბრუნვის სიჩქარეზე. მაღალი ინფლაციის შემთხვევაში ადამიანებს არ სურთ ხელთ იქონიონ

ნაღდი ფული და უპირატესობას ანიჭებენ რეალური საქონლის ყიდვას. ფულის დაგროვების სურვილის არქონა იწვევს ფულის ბრუნვის სიჩქარის ზრდას. ამგვარად, თუ ცენტრალური ბანკი სწრაფად ზრდის ფულად მასას, ეს ინფლაციის დონის გარდაუვალ ზრდას იწვევს. ამ თვალსაზრისით ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ფიშერის ეფექტი, რომლის მიხედვითაც ინფლაციის ტემპი დამოკიდებულია ფულის მიწოდების არა მარტო მიმდინარე, არამედ მოსალოდნელ სიდიდეზეც.¹ ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ვთქვათ, ცენტრალური ბანკი აცხადებს, რომ ის მომავალში გაზრდის ფულის მიწოდებას, მაგრამ მის მიმდინარე დონეს უცვლელი ტოვებს. თუ ადამიანები დაიჯერებენ ცენტრალური ბანკის განცხადებას, მაშინ მათ ექნებათ ფულადი მასის სწრაფი ზრდისა და ინფლაციის ტემპების დაჩქარების მოლოდინი. ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის აჩქარება გამოიწვევს ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას. უფრო მაღალი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი გამოიწვევს რეალური გამოსატყულებით ფულად მარაგებზე მოთხოვნის დაუყოვნებლივ შემცირებას. რამდენადაც ნომინალური გამოსატყულებით მიმოქცევაში არსებულ ფულის მასას არ განუცდია არავითარი ცვლილება, ფულის რეალურ მარაგებზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვევს ფასების დონის ზრდას. მაშასადამე, მომავალში ფულადი მასის ნაზრდის უფრო მაღალი ტემპის მოლოდინი გამოიწვევს მიმდინარე ფასების დონის ზრდას, ანუ ინფლაციის დაჩქარებას.

თუ წარმოების მოცულობა იზრდება, ხოლო სხვა პარამეტრები უცვლელია, ინფლაციის დონე მცირდება (თუმცა, ნულოვანი ინფლაცია გამორიცხულია). ხშირად ეს ძირითადი არგუმენტია კეინზის სკოლის მიმდევართათვის ეკონომიკური ვარდნის დროს მონეტარული პოლიტიკის შესარბილებლად. მათი მტკიცებით, ფულადი მასის ზრდა იწვევს წარმოების

¹ ო. ბლანშარი, მაკროეკონომიკა, მე-5 გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010, გვ. 441.

რეალური მოცულობის თანამდევ ზრდას და ამ დროს ინფლაციური პროცესები უმნიშვნელოა. ამრიგად, წარმოების რეალური მოცულობის ზრდის შემთხვევაშიც შეუძლებელია ინფლაციური პროცესების სრულად ანულირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფლაცია, როგორც ასეთი, ყოველთვის არსებობს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, თანამედროვე საყოველთაოდ ცნობილი ეკონომიკური სკოლების მიერ შემოთავაზებული კონცეფციები თავისებურად განსაზღვრავენ ინფლაციურ პროცესებს, მაგრამ არცერთი მათგანი არ იძლევა პასუხს კითხვაზე: მაინც რატომაა ინფლაცია გარდაუვალი? ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ სოლოუ ამასთან დაკავშირებით აცხადებს: „რატომ ხდება ჩვენი ფული სულ უფრო ნაკლებად ღირებული? შესაძლოა ინფლაცია არ არის აღმოფხვრადი უბრალოდ იმის გამო, რომ ჩვენ მას ველოდებით, ხოლო მას ველოდებით იმიტომ, რომ ის უკვე იყო“.¹ ამ ციტატიდან გამომდინარეობს, რომ რადგანაც ერთხელ ჰქონდა ადგილი ინფლაციას, რომელმაც შექმნა ინფლაციური მოლოდინი, ამის გამო ის პერმანენტულ მოვლენად იქცა. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არასაკმარისია ინფლაციის ფენომენის სრულად გაგებისათვის. შევეცდებით ჩვენი აზრი გამოვხატოთ ინფლაციის მუდმივობის მიზეზის შესახებ. ამისათვის გამოვიყენოთ ფულის რაოდენობრივი თეორიის ძირითადი იგივეობა:

$$MV=PY$$

თუ ფულადი მასის ზრდის ტემპი აბსოლუტურად გაუტოლდება წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპს, მაშინ გრძელვადიანი პერიოდისათვის, როდესაც ფულის ბრუნვის სიჩქარე მუდმივია, ფასების საშუალო დონის

¹ Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, p. 362.

ცვლილებას არ ექნება ადგილი და ინფლაციაც ნულის ტოლი იქნება. თავისთავად ცხადია, რომ ფულზე მოთხოვნის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია წარმოების რეალური მოცულობის ზრდით: რადგანაც იზრდება ტრანსაქციების რაოდენობა, ეკონომიკაში საქონელბრუნვის ზრდას ფულის ზრდაც უნდა მოჰყვეს. მაგრამ, რატომაა რომ პრაქტიკაში ფულის მასის საშუალოწლიური ზრდის ტემპი წარმოების მოცულობის საშუალოწლიურ ზრდის ტემპს მუდმივად აღემატება? თუ შევეცდებით ფულის მასის საშუალოწლიური ზრდის ტემპის მისადაგებას წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპთან, მაშინ ფასების საშუალო დონის ცვლილების მიზეზი გრძელვადიანი პერიოდისათვის არ უნდა არსებობდეს: ფულის მასის ნაზრდს გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაფარავს დამატებით წარმოებული საქონლის მასა და გარკვეული დროითი ლაგის შემდეგ ფასების საერთო დონე დაუბრუნდება ადრე არსებულ მაჩვენებელს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ფულადი მიმოქცევის სფეროში სულ უფრო მზარდი ოდენობით თავს იყრის ფულის ის რაოდენობა, რომელიც პროდუქციის წარმოებას და საქონელგაცვლას არ ემსახურება და ფულით სარგებლობისათვის დამატებით ფულის, ანუ პროცენტების გადახდას ხმარდება. რადგანაც ფულს თავისი ფასი გააჩნია, რაც სხვა არაფერია, თუ არა ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, მთლიანად საზოგადოება იბეგრება ერთგვარი „არაპირდაპირი გადასახადით“, ანუ პროცენტებით, რაც იწვევს ფულადი მასის იმაზე უფრო მეტად ზრდას, რაც წარმოების რეალური მოცულობის ზრდის დასაკმაყოფილებლად საჭირო. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომაც ინფლაცია პერმანენტული მოვლენაა.

მაინც რატომ გამოიწვია ჩვენი დაინტერესება ამ საკითხმა? სპეციალისტების მტკიცებით, ინფლაცია რომ არა, წარმოება საერთოდ ვერ განვითარდება, ზომიერი ინფლაცია საჭიროა და ა.შ. ვფიქრობთ, აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი რჩება ყურადღების მიღმა. ვთქვათ, ინფლაციის

საშუალოწლიური ზრდის ტემპი საკმაოდ მოკრძალებულია და ის 2%-ს შეადგენს, რაც იმდენად მცირეა, რომ საზოგადოება ფასების დონის ცვლილებას თითქმის აღარ გრძნობს. თუ იმავდროულად, წარმოების რეალური მოცულობა ქვეყანაში არსებული ტექნოლოგიის განვითარების დონისა და საწარმოო რესურსების ხარჯზე წლიურად 3%-ით იზრდება, მაშინ, ფულის რაოდენობრივი თეორიის ძირითადი იგივეობიდან გამომდინარე, ფულის ბრუნვის საშუალო სიჩქარის ზრდის უცვლელი ტემპისას, აპროქსიმაციის (მიახლოების) მეთოდით მივიღებთ შემდეგ დამოკიდებულებას:

$$\% \Delta M \approx \% \Delta Y + \% \Delta P$$

ანუ, ფულადი მასის საშუალოწლიური ზრდის ტემპი, წარმოების რეალური მოცულობისა და ფასების საშუალო დონის, ანუ ინფლაციის საშუალოწლიური ზრდის ტემპების ჯამის ტოლია და ჩვენი მაგალითიდან გამომდინარე, მისი მაჩვენებელი 5% იქნება. აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ დამოკიდებულებას მაკროეკონომიკაში ფრიდმანის (მონეტარისტული) განტოლება ეწოდება. სწორედ ის იქნა მონეტარისტების მიერ შემოთავაზებული ეკონომიკის კეინზიანური მოკლევადიანი მონეტარული რეგულირების საპირწონედ გრძელვადიანი პერიოდისათვის, რათა, მათი აზრით, მონეტარული პოლიტიკა უნარიანი გამხდარიყო დაეკმაყოფილებინა ტრანსაქციებისათვის ფულზე მოთხოვნა და ინფლაციის საშუალოწლიური ზრდის ტემპი გარკვეულ მიზნობრივ (თარგეტირებულ) ფარგლებში მოქცეულიყო. მართლაც, თუ ამ წესს დავეყრდნობით, საშუალოვადიან (10-დან მაქსიმუმ 20 წლის განმავლობაში) განსაკუთრებული არაფერი ხდება და მონეტარისტული წესიც ამართლებს: ეკონომიკური აგენტების მხრიდან ფულზე მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და ინფლაციაც მიზნობრივ დონეზეა შენარჩუნებული. მაგრამ, გრძელვადიანი პერიოდისათვის (ვთქვათ, 20-დან 50 და მეტი წლის განმავლობაში) სიტუაცია რადიკალურად იცვლება: ეკონომიკაში თავს იყრის სულ უფრო მზარდი ფულადი

მასა და ყოველწლიური ზომიერი ინფლაცია (თუნდაც მისი სიდიდე 2%-იც რომ იყოს) გლობალურ კიპერინფლაციაში გადაიზრდება. ამიტომ, ეფიქრობთ, რომ გრძელვადიანი პერიოდისათვის ეკონომიკის უსაფრთხო განვითარებისათვის ინფლაცია ნულოვანი უნდა იყოს, რომლის მიღწევა, ჩვენი აზრით, არსებული ფინანსური სისტემის შემთხვევაში, არათუ პრაქტიკულად, თეორიულადაც გამორიცხულია. საბოლოოდ, დღის წესრიგში დგება არსებული ფინანსური სისტემის უფრო პროგრესული სისტემით ჩანაცვლების საკითხი.

Regarding the Reasons of Permanence of Inflation

M. Chikobava

The work analyses impossibility of achieving permanent zero inflation rate under the conditions of modern monetary system. In the author's opinion the reasons for such result is that certain quantity of money doesn't take part in transactions and serve for payments of interest rates on loans, that is, the nominal interest rate.

As a result, permanent need of interest payments determines the concentration of more and more amounts of money in the monetary circulation, which do not participate in economic transactions and, accordingly, in creation of added value. Based on the abovementioned, concentration of more extra money, unsecured in the economy causes inflation.

The author considers that this is the main reason why it is actually impossible to achieve zero inflation rate, which causes economic crises in the long-run.

**რას უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს
აბრარული პოლიტიკის სტრატეგია**

პაატა კოლუაშვილი,
ივანე ჯავახიშვილის თსუ
მოწვეული პროფესორი,
ეკონ. მეცნ. დოქტორი
თამაზ კუნჭულია,
ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

საქართველო სურსათზე მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს იმპორტის (80%) ხარჯზე იკმაყოფილებს. საგანგაშო აქ, ჩვენი აზრით, უფრო ის არის, რომ სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი კრიტიკულ ზღვრამდე მიჩნეულ ნიშნულზე (0,5) დიდად ქვემოთაა და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების დონე, შემცირების ნაცვლად, პერმანენტულად იზრდება. თანაც იმ პირობებში, როცა მსოფლიო ბაზარზე განუწყვეტლივ იზრდება სურსათის ფასები და კეთდება შემაშფოთებელი პროგნოზები სასურსათო პრობლემის გამწვავების თაობაზე.

გლექსაცს, ქართული მიწის მთავარ მეურვეს, დღეს არ უდხინს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სოფელში არსებული უმძიმესი კრიზისული სიტუაცია და არასახარბიელო სოციალური ფონი ძირითადად აგრარულ საკითხებში მთავრობის მონაწილეობის პასიური ან ნეგატიური როლითაა განპირობებული. სხვათა შორის, ამ კონტექსტით მთავრობის როლზე ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ამახვილებდა ყურადღებას: „მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით – მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეიძლება ვერ გაწვდება.“

გლექი, ძალიან ხშირად, უბრალოდ, აგროპროდუქციის მწარმოებლად მიაჩნიათ, თუმცა, მისი როლი სცილდება ამ

ჩარჩოებს. სინამდვილეში ის აუცილებელია სოფლისათვის, უფრო მეტად, გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია. სიტყვა „გლეხი“ სინონიმი არაა არც „არანასწავლის“, არც „ტლუსი“, არც „დაბალი დობისა“, იგი სინონიმია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა“, „საკუთარ ფეხზე მდგომისა“ „ერის ფესვისა და რეზერვისა“. ამიტომაც, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა არის, სხვა ყველა ამოცანასთან ერთად, სოფლის მოსახლეობის მოფრთხილებისა და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირების პოლიტიკა. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში - ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. მათ კარგად იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს.

საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი უმწვავესი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც მთავრობამ, უნდა შეიმუშავოს ქვეყნის შიმშილისგან (სოფლის მეურნეობის) გადარჩენის სტრატეგია, რაც ასევე გულისხმობს, ამ ხნის განმავლობაში, საქართველოს მაქსიმალურ ინტეგრირებას ევროატლანტიკურ სივრცეში. უნდა გააქტიურდეს და უსწრაფესად დასრულდეს ევროკავშირთან მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობისა და მიმოსვლის შესახებ. ეს ავტომატური რეჟიმით გადაწყვეტს რამდენიმე პრობლემას: მიგრაციას; ეკონომიკის სტიმულირებას; დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებასა და გაძლიერებას; არსებული დემოგრაფიული ვითარების მინიმუმ შენარჩუნებას; ეკონომიკის განვითარებას მინიმალური სოციალური თვითუზრუნველყოფის ჭრილით, ისე, რომ არ იქნეს განიავებული საქართველოს სტრატეგიული რესურსები - მიწა, ტყე, წყალი, სატრანზიტო ფუნქცია. ძნელია ამ პერიოდის განმავლობაში დიდძალი კაპიტალის მოზიდვის იმედად ყოფნა, რადგან ეს არ მოხდება ფაქტობრივად ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მცირე კაპიტალტევადი დარგების - სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, ფარმაცევტული მრეწველობის (განსაკუთრებით სამკურნალო მცენარეების წარმოების

გაზრდის ფონზე) განვითარება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ამუშავებს აგროსასურსათო სექტორის განვითარების სტრატეგიას. საქართველოში მანამდეც არსებობდა რამდენიმე მსგავსი დოკუმენტი (2006 წელს ამერიკელმა ექსპერტებმა შეიმუშავეს სტრატეგიის პროექტი, რომელიც სამინისტრომ დაიწუნა. პროექტში წერია: „საქართველოს ჰყავს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება და აღემატება კიდევ ძვირადღირებულ უცხოელ ექსპერტებს, რომლებიც ხშირად ჩამოჰყავთ კონსულტაციისათვის“),¹ მათ შორის ოფიციალურად აღიარებულიც (1997წ.), მაგრამ შესაბამისი პოლიტიკური ნების უქონლობისა თუ ქვეყნის ეკონომიკური კურსისადმი მათი შეუსაბამობის გამო, ვერც ერთი ვერ განხორციელდა.

სახელმწიფოს სტრატეგია ამა თუ იმ დარგში არის მოქმედების ძირითადი მიმართულება, წინასწარმოფიქრებული და დაგეგმილი. მიღებული სტრატეგია, მით უმეტეს, ოფიციალურად გაცხადებული, რომელმაც უკვე მოახდინა, სახელმწიფო აპარატისა და საზოგადოების ძალისხმევის ორიენტირება სათანადო მიმართულებით, სახელმწიფოსთვის გარკვეულწილად სავალდებულოც ხდება. სტრატეგია წარმოადგენს იმ საყრდენს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი უნდა გახდეს არსებული სიმწელებების დაძლევა და სახელმწიფოებრივი ხედვის რეალიზება სოფლის მეურნეობის სფეროში.

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარება შექმნილ ვითარებაში ობიექტურად საჭიროებს ისეთი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება-რეალიზებას, რომელშიც ასახული იქნება უახლოესი წლების (3-5 წ.) ამოცანები (კონკურენტუნარიანი, სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების მაღალი ტემპებით განვითარება) და მათი განხორციელების საშუალებები საქართველოს საშუალო და გრძელვადიანი (10-15წ.) მიზნების გათვალისწინებით (ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და აგრარული კრიზისის დაძლევა,

¹ საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2015 წლამდე, USAID, I ნაწილი, თბ., 2006 წ. გვ.7,8.

პ. კოლუაშვილი, თ. კუნჭულია

სასურათის ექსპორტის გაფართოება და სურსათის იმპორტის აღდგოლობრივი წარმოებით ჩანაცვლება).

სწორი სტრატეგიის შემუშავება მხოლოდ ყოველმხრივ გააზრებული აგრარული პოლიტიკის საფუძველზეა შესაძლებელი, რომლის ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრარულ სექტორში სახელმწიფოს ჩარევის დონის განსაზღვრას, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია სოფლის მეურნეობის, ასევე მოცემული ქვეყნის აგროწარმოების თავისებურებებით, აგრარულ მეურნეობაში არსებული მდგომარეობით, მოსახლეობის მენტალიტეტით.

ნებისმიერი კარგად დაბალანსებული სტრატეგიის რეალიზაციას, კარგად მოფიქრებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური მართვის ბერკეტები ესაჭიროება (მხედველობაშია ფასწარმოქმნის პარიტეტული დარეგულირება, აგროპროდუქციისა და მისი აღწარმოებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, სეზონური ფასების ფორმირება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და აგრარულ შრომაზე მოთხოვნის გადიდების სათანადო სტიმულების მოძებნა, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ადეკვატური ფორმების წახალისება და ა.შ.). დღეს საქართველოს არ გააჩნია აგროსასურსათო სექტორის განვითარების არც სტრატეგია და შესაბამისად არც მისი განხორციელების მექანიზმებია მოფიქრებული. ამ პრობლემების მოხსნის მიზნით საუკეთესო იქნება საქართველოს მთავრობამ შექმნას აგრარული პოლიტიკის ეროვნულ საბჭო, რომელიც შეიმუშავებს აგროეკონომიკურ პოლიტიკას, განსაზღვრავს დარგობრივ პრიორიტეტებს, სოფლის კომპლექსური განვითარების, აგრარული მეურნეობის ინოვაციური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებისთვის ხელშემწყობ პოლიტიკას, შეიმუშავებს და განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს.

საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. ამასთან, ის გამოირჩევა

იმითაც, რომ აქ ადამიანის კვებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა და საკმარისი რეზერვია. ეს ნიშნავს, რომ სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია საკუთარი მოსახლეობის გამოკვება სამამულო აგროწარმოების პროდუქციით.

საქართველოს აგრარული პოტენციალის ამოქმედება უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი. ოპტიმალურად განსაზღვრული პრიორიტეტები, სწორად შემუშავებული და განხორციელებული აგრარული პოლიტიკა ქვეყნის სასურსათო უშიშროების მიღწევისა და საწარმოო-ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთი სისტემის შექმნის ერთგვარი გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს აგრომწარმოებლებს საჭირო შემოსავლებით, ცხოვრების მისაღები დონით და პროდუქციის გაფართოებული აღწარმოებისთვის საჭირო რესურსებით. ამასთან, გლეხებს უნდა მოეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მეღიორაციისა და აგროტექნოლოგიების განსაზღვრის, კრედიტების ხელმისაწვდომობისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხებთან.

ფაქტია, რომ დღეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნა ნაკლებია (სხვაგვარად, ბოლო წლებში დასამუშავებული მიწის ნახევარზე მეტი დაუმუშავებელი, მიტოვებული არ იქნებოდა), ანუ ის არსებულ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოში გლეხს ვერ აძლევს იმ დონის შემოსავალს, რომელიც საკმარისი იქნებოდა მისი ოჯახის შენახვისა და სამეურნეო საქმიანობის აღწარმოებისთვის. სწორედ ამიტომ იცლება მთისა თუ ბარის სოფლები ახალგაზრდებისგან, პრაქტიკულად ყველა დიდ თუ პატარა სოფელში ვითარდება საშიში დემოგრაფიული პროცესი, რაც, უპირველეს ყოვლისა, სოფლად მცხოვრებთა შორის ხანდაზმული ადამიანების ხვედრითი წონის გაზრდასა და მოზარდთა წილის შემცირებით გამოიხატება. 2004 წლის მონაცემებით, 16 წლამ-

ჰ. კოლუაშვილი, თ. კუნჭულია

დე ასაკის მოსახლეობის წილი სასოფლო მოსახლეობაში 21.5%-ს შეადგენდა, 2009 წლისათვის ის 18.2%-მდე ანუ 3,3 პროცენტული მუხლით შემცირდა. ამ ფონზე საპირისპირო სურათი იკვეთება შრომისუნარიანზე უფროსი (65წელს ზევით) ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობაში. კერძოდ, თუ ამ კატეგორიის ხვედრითი წონა 2004 წელს სოფლის მოსახლეობის 16.3%-ს შეადგენდა, 2009 წელს 0,9 პროცენტული მუხლით გაიზარდა და 17,2% შეადგინა. გაძლიერდა ყველა სახეობის მიგრაცია, რიგი სოფელი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გარეშეა დარჩენილი. პირველად ქვეყნის ისტორიაში, ქალაქად შობადობამ გადააჭარბა სოფლისას. მოიშალა სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურა. სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. რაც ყველაზე უფრო დამაფიქრებელია, დღემდე სხვის იმედად მყოფი სოფლის მოსახლეობა ვერ ავლენს ბაზრის ელემენტარულ მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირების უნარს. ქართული სოფლისათვის დამახასიათებელი გახდა სიღარიბე, რაც ძნელად მოსაშორებელია.

ევროპელი ექსპერტების 2010 წლის ანგარიშში, რომელიც ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელებას ეხება, ნათქვამია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა საგანგაშოა. მთავრობას აგრარული პოლიტიკის კონცეფცია და სექტორის განვითარების სტრატეგია (სამოქმედო გეგმა) არ გააჩნია. 2010 წელს საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა ისევ შემცირდა. ამის გამომწვევ ფაქტორებად ევროკავშირი აგროსასურსათო პოლიტიკაში თანმიმდევრობის არარსებობას, ცუდად განვითარებულ საჯარო მომსახურებას, კრედიტის შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, მოძველებულ ტექნიკას, ფერმერებისადმი ხელშეწყობის არარსებობას და სხვა ხელისშემშლელ მიზეზებს ასახელებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მდგომარეობის გაუარესება 2005-2006 წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან მკვეთრად შემცირდა ნათესი და ნარგავი ფართობების, პირუტყვის სულადობის, სოფლის მეურნეობის ყველა სახეობის პროდუქციის

წარმოების, მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები. დაუმუშავებლად დატოვებულმა მიწებმა სახნავი ფართობების 50-60%-ს გადააჭარბა, შემცირდა მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების გამოყენება. სოფლად ერთი შინამეურნეობის მთლიანმა საშუალოთვიურმა შემოსავალმა 330 ლარი შეადგინა, რაც ნაკლებია ამავე პერიოდში გაწეულ ხარჯებზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ფულადი ამონაგები მთლიანი შემოსავლების 7-8%-მდე დაცა. შემცირდა სასოფლო მეურნეობების საქონლიანობის დონე, რაც წერილი მეურნეობების ნატურალური ხასიათის მაჩვენებელია. სასოფლო წარმოებამ დაკარგა მდგრადობა და იგი არსებითად ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებული გახდა. ბოლო 9 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ინდექსი – 5 წელიწადს შემცირდა.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიხედვით შვიდ ჯგუფად დაყოფილ განვითარებად ქვეყნებს შორის საქართველომ მესუთედან მეექვსე ჯგუფში გადაინაცვლა აფრიკის ღარიბი ქვეყნების გვერდით, მაშინ როცა საქართველოს 10-12 მლნ ადამიანის გამოკვების ბიორესურსი გააჩნია.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დედამიწაზე დასრულდა იაფი სურსათის ეპოქა, რაც ძირითადად გამოწვეულია გახშირებული ბუნებრივი კატაკლიზმებით, სოფლის მეურნეობის სავარგულების შემცირებით, საწვავის (განსაკუთრებით ნავთობის) გაძვირებით, ბიოსაწვავის საწარმოებლად სოფლის მეურნეობის სავარგულების მზარდი გამოყენებით, დედამიწაზე მოსახლეობის დაჩქარებული ზრდით, რიგ ქვეყანაში წყლის დეფიციტით, ბიომეურნეობებში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის მატებით.

საქართველო, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის აღნიშნულ გლობალურ გამოწვევებს, მათ შორის სურსათზე ფასების ზრდით განპირობებულ ინფლაციას, რასაც ეკონომიკურ ენაზე აგფლაცია ჰქვია.

სოფლის მეურნეობაში უკუსვლა იმის მაჩვენებელია,

პ. კოლუაშვილი, თ. კუნჭულია

რომ საქართველოში გატარებულმა ულტრალიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ქართულ სოფელზე დადებითი გავლენა ვერ იქონია, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგან ეკონომიკის სხვა დარგებისგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია რიგი ეკონომიკური კანონზომიერება, რაც განაპირობებს დარგში სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა მექანიზმის გამოყენების აუცილებლობას. კერძოდ, სოფლისთვის დამახასიათებელია სრულყოფილი კონკურენცია, რაც სურსათზე ფასების კლების ტენდენციას განაპირობებს; მიწის ნაყოფიერების შენარჩუნება და მით უფრო აღდგენა, დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული; ბუნებრივი პირობებისაგან დამოკიდებულების მაღალი ხარისხის გამო, სოფლად კაპიტალის დაბანდება სარისკოა; მიწის შეზღუდულობის გამო მცირეა წარმოების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები; სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არსებული ფასებისთვის დაბალი ელასტიკურობაა დამახასიათებელი; სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნა პირდაპირ კავშირში არ არის მოსახლეობის შემოსავლებთან, რაც წარმოშობს ე.წ. ხანგრძლივადიან პრობლემას; ბუნებრივი პირობების გავლენით ადგილი აქვს წარმოების დიდ რყევას, რაც მოკლევადიანი ფერმერული პრობლემის წარმოშობას განაპირობებს (მაღალი ფასები ასტიმულირებს წარმოების გაფართოებას, სეზონის დასასრულს კი ფასების დაცემას).

ზოგად ეკონომიკურ კანონზომიერებებს ემატება საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. სასოფლო მეურნეობების მნიშვნელოვანი რაოდენობა გაადგილებულია მთისწინებსა და მთებში, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 87% უჭირავს. ასეთი მეურნეობების საკუთრებაში არსებული მცირე, დამრეცი, რთულკონტურიანი ნაკვეთების არსებობა შეუძლებელს ხდის ოპტიმალური სიდიდის მეურნეობების ჩამოყალიბებას. ნაკვეთების დამუშავება შესაძლებელია სპეციალიზებული და ძვირადღირებული სამთო ტექნიკის გამოყენებით, რომლის შეძენა საზღვარგარეთაა შესაძლებელი.

მკვეთრი ვერტიკალური ზონალობის გამო საქართველოში

არის თითქმის ყველა ტიპის კლიმატი და ნიადაგი (49 ტიპი), მთლიანად ქვეყანა სარისკო მიწათმოქმედების ზონას განეკუთვნება, რომლის დაძლევა დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული (მორწყვა, დაშრობა). გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა პერიოდში სოფლის მეურნეობაში ტარდებოდა მძლავრი პროტექციონისტული პოლიტიკა, გლეხი ე.წ. საზოგადოებრივ მეურნეობაში ძირითადად ფიზიკურ სამუშაოებს ასრულებდა და ბუნებრივია, დღეს მას არ გააჩნია წარმოების მთელი ჯაჭვის ორგანიზაციის არც გამოცდილება და არც ფინანსები. ამასთან, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში მან კონკურენცია უნდა გაუწიოს მომსახურების სრული პაკეტით უზრუნველყოფილი განვითარებული ქვეყნების ფერმერს.

აგრარული მეურნეობის აღორძინება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება, იაფი აგროკრედიტის სისტემის ფორმირების, საჯარო მომსახურების სტრუქტურების შექმნის, ეროვნული ბაზრის დაუცველობის, აგროწარმოების მომსახურე დარგების მონოპოლიური მდგომარეობისა და მთავრობის მხრიდან არასათანადო მხარდაჭერისა და რეგულაციების პირობებში. ასევე, ეფექტიანი საგადასახადო, სადაზღვევო, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების გარეშე.

აგრარული კრიზისი მნიშვნელოვნად აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დახმარებისა და რეგულირების მოტივაციას, რათა ამოქმედდეს ის ბერეკეტები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმებით. მხოლოდ მრავალი მექანიზმის ბალანსირებული მოქმედებით მიიღწევა აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანი მართვა, რაც საფუძველს უქმნის დაფინანსების ყველა სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალურ და გარანტირებულ რეალიზაციას.

სახელმწიფო ჩარევის (რეგულაციების) სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ამ ღონისძიების გატარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების დაძლევაში, როგორც XX საუკუნის 30-იან და მეორე

მსოფლიო ომის შემდგომ (1945-50-იან) წლებში, ასევე მიმდინარე მსოფლიო კრიზისის დროს. სწრაფად განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს არა რომელიმე მიმართულების, არამედ ლიბერალური და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკების რაციონალური შეთანაწყობის უპირატესობას.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე ერთი ეკონომიკური პოლიტიკისადმი უპირობო ერთგულება საბაზრო ფუნდამენტალიზმის გამოვლინებაა. ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია პრაგმატული, ეკონომიკური დოგმებისგან თავისუფალი ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც ყველაზე ეფექტიანი იქნება მოცემულ პირობებში.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ძირითადად ორი ფორმით ხდება. ჩვენ შეგწერდებით მხოლოდ ერთზე - ფუნქციონალური ჩარევის ფორმაზე, რომელიც ფაქტობრივად გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად ხელსაყრელი პირობების შექმნას.

ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ რთული სიტუაციის დასაძლევად დიდი მიშვნელობა აქვს მოსახლეობის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, რაშიც სახელმწიფოსთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აკადემიურმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სასულიერო პირებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ინფორმაციის მასობრივმა საშუალებებმა (სატელევიზიო პროექტები “იმედის გმირები” და „ჩვენი ფერმა“, საკმარისი არ არის). საქართველოს მოსახლეობას ყოველდღიურად უნდა შთაგავონოთ, რომ მას სხვების დაუხმარებლად, საკუთარი შრომით შეუძლია მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის აშენება, ღირსეულად ცხოვრება.

უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე ეტაპზე ყველაზე დიდი დეფიციტი, რაც საქართველოში შეინიშნება, ცოდნის დეფიციტია. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ წვრილგლეხური მეურნეობების პირობებში სოფლად სწავლება - კონსულტირება, დანერგვის სისტემის ორგანიზება მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება და მისი თუნდაც ნაწილობრივი კომერციალიზაცია

დიდი შეცდომა იქნება.

კრედიტის ხელმისაწვდომობის აუცილებლობა სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობითაა განპირობებული. მისი მიღწევა შესაძლებელია აგროსაკრედიტო (ურთიერთდახმარების, კოოპერაციული ტიპის) სპეციალიზებული სისტემის შექმნით, რომლის საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში სახელმწიფოსთან ერთად კერძო სექტორიც მიიღებს მონაწილეობას. მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის განვითარების ან საგირავნო ფონდების შექმნა. ეფექტიანია სახელმწიფო ბიუჯეტში კრედიტის პროცენტის სუბსიდირებისთვის თანხის გათვალისწინება, რომელიც რომელიმე სახეობის პროდუქციის წარმოებაზე იქნება მიმართული. ასევე ხელსაყრელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რესურსების გამოყენება, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფომაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. მიკროკრედიტების გაცემისას მიზანშეწონილია გირაოს ნაცვლად კოლექტიური პასუხისმგებლობის გამოყენება.

სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში არა მარტო ფინანსური მონაწილეობით, არამედ, საწყის ეტაპზე, დასაზღვევი პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრაში. ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს.

რომელიმე სახეობის პროდუქციის წარმოებაზე დასპეციალიზების, შემოსავლების გაზრდისა და კორპორატიული საკუთრების განვითარების ყველაზე კარგ ფორმად მიჩნეული უნდა იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებელი ინტეგრირებული საწარმოების ჩამოყალიბება. გლეხებზე, მათ გაერთიანებებზე დანადგარ-მოწყობილობების მიწოდება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხარდაჭერით ჩამოყალიბებული ღიზინგური კომპანიების მიერ.

საქართველოს უდავოდ შეუძლია კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სასოფლო მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის,

პ. კოლუაშვილი, თ. კუნჭულია

არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება. ამასთან, უნდა გვესოდეს, რომ მიწის წვრილმესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათი ინტეგრაცია გადამუშავებულ საწარმოებთან (წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა) არის დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნის გაჩენის ძირითადი გზა. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლად მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტიტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების - „ჯანსაღი საშუალო ფენა“, რეალური შინაარსი.¹

სახელმწიფომ უნდა შეასრულოს წამყვანი როლი თესლისა და ნერგის, სანაშენე პირუტყვის წარმოების საქმეში. კერძო სექტორი ამ სეგმენტში თანდათან, მკაცრი პირობების დაკმაყოფილების კვალობაზე უნდა ჩაერთოს.

საქართველოში გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო (საჯარო) სერვისცენტრების ჩამოყალიბება, სადაც ტექნიკით მომსახურებასთან ერთად, გლეხებს საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია მათთვის საჭირო საკითხზე. მომსახურების დაბალი ტარიფების შესანარჩუნებლად სერვისცენტრებს უნდა გადაეცეთ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფართობები პროდუქციის საწარმოებლად. გადასახედია სახელმწიფო სტრატეგია სარწყავი და დამშრობი სისტემების განსახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს

¹ პაატა კოლუაშვილი. აგროწარმოება და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი, ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №3, 2009. გვ. 21-27.

სრულ ჩართვას. ასევე აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. საქართველომ უნდა შექმნას ერთი ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახური - ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში.

სამრეწველო წარმოშობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების დარეგულირების, სურსათზე ფასების ზრდის ტენდენციის შეჩერების საუკეთესო საშუალებას საწვავისა და ძირითადი სასურსათო პროდუქტების მარაგების შექმნა წარმოადგენს, რომლის სასარგებლოდ მრავალი ქვეყნის გამოცდილება მეტყველებს.

მიუხედავად საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისა, სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხარჯებისა და რისკების გამო, გადასახადები მაინც დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად განიხილება. აქედან გამომდინარე, ახლად შექმნილი მცირე და საშუალო საწარმოები უნდა გათავისუფლდნენ ყველა სახეობის გადასახადისაგან, გარდა საშემოსავლოსი.

რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოს პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე პროდუქციის გატანას, მათ მიერ დადგენილი პირობების გათვალისწინებით. რამდენადაც ამ პირობების შესრულება ყველა მეწარმეს არ შეუძლია, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს გლეხური მეურნეობების იდენტიფიკაცია და ყველაზე სიცოცხლისუნარიან ჯგუფს აღმოუჩინოს დახმარება პროდუქციის წარმოების კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში. პრაქტიკაში თანდათანობით უნდა დაინერგოს საწარმოებისთვის ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატის მინიჭების წესი.

ეროვნული ბაზრის დაცვის მიზნით, მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს ადგილზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე, პროდუქციის ადამიანისთვის უვნებლობის სისტემურ შემოწმებასა და მიღებული შედეგების

სისტემატურ გამოქვეყნებაზე.

დასასრულ, საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს აგრარული პოლიტიკის ახალი სტრატეგია სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, - სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების პოლიტიკა იგულისხმება, ანუ შეახამოს ერთმანეთთან აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა. ამასთან ერთად შეიმუშაოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების ხელშემწყობი და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც პრაქტიკულად მოიაზრება ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტის გააქტიურება. მისაღებია საკანონმდებლო აქტები:

- „საქართველოს სასურსათო უშიშროების შესახებ“;
- „მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის დაცვისა და მდგრადი განვითარების შესახებ“;
- „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“;
- „აგრონედლეულისა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დაცვის შესახებ“ და სხვა, რომლებმაც უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა ქვეყანაში აგროწარმოების აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს წინაშე დღეს უკვე არსებული გლობალური გამოწვევები და მათი დაძლევის ობიექტური აუცილებლობის ამოცანები, რეალურად მოითხოვს, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა), ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება, ჩვენი აზრით, მეტად საჭირო და გარდაუვალი აუცილებლობაა.

არსებითია, რომ ხელი შეეწყოს სახელმწიფოს გადაქ

ცეკას სოფლის მეურნეობის პრდუქციის არა მარტო მთავარ დამკვეთად, არამედ მთავარ მყიდველად და გამანაწილებლად, იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაცია.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში კონკურენცია მიმდინარეობს არა მარტო სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელებს შორის, არამედ ეროვნულ მეურნეობათა მოდელებსა და ეკონომიკის დარგთა ორგანიზაციისა და გაძღოლის ფორმებს შორისაც, რათა მიღწეულ იქნეს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა. ის, რაც ოპტიმალურია ჩინელისათვის, ან ამერიკელისათვის, შეიძლება ჩვენთვის არ იყოს ოპტიმალური. ჩვენ გვაქვს განსხვავებული ეროვნული სპეციფიკა, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებებით წარმართავს ერის ყოფაცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მექანიზმები ადამიანთა ურთიერთობის რეგულირებისა ფსიქოლოგიური, ტრადიციისმიერი, ფასეულობათა სკალით განსაზღვრული, კულტურული, მიწასთან დამოკიდებულებისა და სხვა. გაგვანია განსხვავებული გეოპოლიტიკური გარემო, რესურსული პოტენციალი, ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული წარმოების წესი, საიდანაც მომდინარეობს საკვების შემადგენლობა, კვების თავისებურებები, კვების ხასიათი და ა.შ. ყოველივე ეს, ბუნებრივია, მოითხოვს აგროსასურსათო სექტორის რეფორმირებისა და განვითარებისადმი განსხვავებულ მიდგომას, მის განხორციელებას ქართული სპეციფიკის გავთვალისწინებით, და არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის (თუნდაც ძალიან წარმატებულის) გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა-გამოტარებას. აქვე ერთი ჩანაწერის შესახებ ზემოთ ხსენებულ სტრატეგიაში, რომელიც ჩვენს ხედვას ემთხვევა: „ნუ ჩათვლით, რომ საქართველოსთვის ავტომატურად სასურველია რაიმეს მიღება მხოლოდ იმის გამო, რომ ეს რაღაც მიღებულია ევროპის, ამერიკის, იაპონიის თუ განვითარებული მსოფლიოს სხვა ქვეყნებში“.¹

მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა

¹ საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2015 წლამდე, USAID, I ნაწილი, თბ., 2006. გვ. 12.

აღიარებულ უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანად და საერთო ეროვნული ზრუნვის საგნად. მხოლოდ ასე შეიძლება გადარჩეს ქართული სოფელი, რომლის გარეშე საქართველოს განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელია.

ამრიგად, საქართველოს ბედი არსებითად დამოკიდებულია მისი სოფლის ბედზე. სოფლის ბედი დამოკიდებულია მთავრობის ინტელექტზე, კეთილ ნებაზე, მუყაითობასა და პატიოსნებაზე. ვფიქრობთ, ამ პირობათა შექმნის პოტენციალი საქართველოს აქვს.

What should be Taken into Account in the Strategy of Georgian Agrarian Policy

***P. Koguashvili,
T. Kunchulia***

Based on agricultural characteristics and expected global challenges, the article presents innovative views on agricultural development that includes making changes to economic policy, identification of priorities, supply of ideology to population, eradication of the lack of knowledge and credit resources, development of systems for insurance of agricultural crops and procurement of products. The article outlines the importance of creation of integrated structures by cooperatives and societies, development of production service organizations, regulation of prices using market mechanisms, improvement of tax system and export stimulation. The first steps in overcoming the crisis is considered to be the creation of cooperatives specialized in production of one type of goods.

Creation of highly productive rural economy must be recognized as the major task of the government's economic policy and the subject of care of all national. This is the only way for surviving Georgian village as the perspective of development of Georgia is unimaginable without its village.

**მართლმადიდებლური სარწმუნოება – საქართველოს
ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის
ამაღლების ფაქტორი**

ინეზა გაბნიძე

თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე პირობებში ნაციონალური კონკურენტუნარიანობის კვლევა ყველაზე ფართო მასშტაბებით მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმსა (აშშ) და მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტში (შვეიცარია).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მკვლევართა განმარტებით, „**კონკურენტუნარიანობა ესაა ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ქვეყანაში უზრუნველყოფს მწარმოებელურობის განსაზღვრულ დონეს.** მწარმოებელურობის დონე, თავის მხრივ, განაპირობებს კეთილდღეობის მდგრადობას, რასაც ეკონომიკა ქმნის საკუთარი მოსახლეობისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, უფრო მეტად ზრუნავს ქონდეს მაღალი შემოსავლები თავისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ“.¹

პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი მ. პორტერი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევების წარმართვის დროს, თავის ცნობილ გამოკვლევაში „ერების კონკურენციული უპირატესობები“ წერს: „ქვეყნის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს მისი ორგანიზაციის მოდელისა და მართვის პრაქტიკის შეერთების შედეგს, რომელიც უფრო მეტადაა მისაღები კონკრეტული ქვეყნისთვის და მოცემული დარგის კონკურენციული უპირატესობის წყაროებისთვის. **განსხვავებებს ეროვნულ ფასეულობებში, კულტურაში, ეკონომიკის სტრუქტურაში, არსებულ ორგანიზაციებსა და ისტორიულ განვითარებაში - შეაქვს წვლილი წარმატებული კონკურენციული უპირატესობების მოსაპოვებლად**“.²

¹ <http://www.weforum.org/pdf/GCR09/GCR20092010fullreport.pdf>.pp.4.

² М. Портер. Конкуренция. Издательский дом «Вильямс». Санкт-Петербург, М., Киев, 2002, с.162.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი პროფ. გ. მენქიუ წერს: „იმის გადაწყვეტა, თუ რომელი პოლიტიკაა კარგი და რომელი - ცუდი, მხოლოდ მეცნიერების საქმე არაა. აქ მონაწილეობენ აგრეთვე თქვენი შეხედულებები ზნეობაზე, რელიგიასა თუ პოლიტიკურ ფილოსოფიაზე“¹. ამგვარად, ეროვნულ ფასეულობებს, რელიგიასა და კულტურას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ეს დიდი მეცნიერები ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური კურსისა და შედეგად კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრში (WCC)² მსოფლიო კონკურენტუნარიანობის საკითხს იკვლევენ საუკეთესო ეკონომიკური შედეგების მქონე 60-მდე ქვეყნის მასშტაბით და წელიწდეულებს პროფ. ს. გარელის ხელმძღვანელობით 21 წელია ამზადებენ. მათი განმარტებით: „კონკურენტუნარიანობა არის ის, თუ როგორ აღწევს ერი მართოს თავისი რესურსები და კომპეტენციები საიმისოდ, რომ აამაღლოს ხალხის კეთილდღეობა. კონკურენტუნარიანობა შეიძლება იყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი. მოკლევადიანი კონკურენტუნარიანობა მიზნად ისახავს სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას (ფასდება მშპ-ს ზრდით) და საწარმოთა მომგებიანობას. გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდაზე მეტს, რაც გამოიხატება საერთო წარმატებაში (კეთილდღეობაში, აყვავებაში). არასპეციალისტის გაგებით ეს შეიძლება იყოს: ეკონომიკურ ზრდას დამატებული „კიდევ რაიმე“. და ეს „რაიმე“ შესაძლებელია იყოს ცხოვრების ხარისხი, გარემოს დაცვა, დაცული საზოგადოება, სამართლის გავრცობადობა, განათლების ხარისხი და ა. შ.“³. იმავე ავტორის სხვა სტატიაში მოცემულია აღნიშნული ცნების უფრო ფართო განმარტება: „კონკურენტუნარიანობა არის ეკონომიკური თეორიის სფერო, რომელიც აანალიზებს ფაქტებსა და ეკონომიკურ კურსს, რაც ქვეყანას უქმნის შესაძლებლობას შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოებს შექმნან მეტი ღირებულება და ამაღლდეს ხალხის კეთილდღეობა“⁴.

პროფ. ს. გარელიმ ჩამოაყალიბა ქვეყნების მსოფლიო

¹ გ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, გამომც. „ლიოგენე“, თბ., 2000, გვ.38.

² <http://www.imd.org>

³ www.imd.org

⁴ www.imd.org

კონკურენტუნარიანობის ოქროს 10 წესი, რომელთაგან ერთ-ერთში მიუთითებს, რომ კონკურენტუნარიანობის მისაღწევად „აწონდაწონეთ გლობალიზაციის უპირატესობები და ქვეყნის სოციალური ერთობისა და მისი ღირებულებითი სისტემის შენახვის მოთხოვნები“.¹

ლოხანის კვლევის ცენტრის მიერ მომზადებულ 2011 წლის წელიწდეულში მსოფლიო კონკურენტუნარიანობის 300-ზე მეტი კრიტერიუმი გაერთიანებულია ფაქტორთა ოთხ ძირითად ჯგუფში, ესენია: **1) ეკონომიკის მიღწევები** (5 ქვეფაქტორი – შეისწავლება 78 მაჩვენებლის გამოყენებით); **2) სამთავრობო ღონისძიებების ეფექტიანობა** (5 ქვეფაქტორი – 71 მაჩვენებლით); **3) ბიზნესის ეფექტიანობა** (5 ქვეფაქტორი – 68 მაჩვენებლით); **4) ინფრასტრუქტურა** (5 ქვეფაქტორი – 114 მაჩვენებლით)² სტატისტიკური მონაცემები შეადგენს მაჩვენებელთა საერთო რაოდენობის 2/3-ს, ხოლო 1/3 არის ინტერვიუებისა და გამოკითხვის შედეგად მიღებული მასალები.

ბიზნესის ეფექტიანობის გამსაზღვრელ ხუთ ქვეფაქტორს შორისაა „დამოკიდებულებები და ფასეულობები“, რომელიც თავის მხრივ ფასდება შვიდი მაჩვენებლით, ესენია:

1. გლობალიზაციისადმი დამოკიდებულება (აღნიშნული მაჩვენებელი ითვლება ქვეყნისთვის სასარგებლოდ თუ საზოგადოებაში გლობალიზაციისადმი დამოკიდებულება ზოგადად პოზიტიურია). ამ ფაქტორის შესახებ ის ადასტურებს, რომ საქართველოს დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქებში (ქუთაისი, ბათუმი, ახალციხე, ონი და სხვა) ერთად თავმოყრილი მართლმადიდებლური, იუდეური, მაჰმადიანური, კათოლიკური თუ სომხურ-გრიგორიანული ტაძრები მშვიდობიანად თანაარსებობენ. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 26 საუკუნის მანძილზე არასოდეს დაფიქსირებულა ქართველ და ებრაელ მოსახლეობას შორის ანტისემიტური განწყობის შემთხვევები.

წმიდა მოციქულთა საქმეებში აღწერილია შემთხვევა, როცა მოციქულ პეტრეს წინაცვეთილნი თავს არიდებდნენ, ვინაიდან იგი წინადაუცვეთელებთან ქადაგებდა და ურთიერთობდა. მაშინ წმიდა მოციქული ეუბნება მათ: „მე ვიყავ ქალაქსა შინა იოპესა და ვილოცვედ რა, ვიხილე განკვირვებასა ჩემსა ჩუენებაი, რამეთუ გარდამოვიდოდა ჭურჭელი რაიმე, ვითარცა

¹ www.imd.org

² იქვე.

ტილო დიდი, ოთხთაგან კიდეთა დამოკიდებული ზეცით, და მოვიდა ვიდრე ჩემდამდე, რომელსა მივხედენ და გავიცდიდი, და ვიხილე მას შინა ოთხფეხი ქუეყანისა და მხეცნი და ქუეყარმავალნი და მფრინველნი ცისანი, და მესმა ხმაი, რომელი მეტყოდა მე: აღდეგ, პეტრე, დაკალ და ჭამე. და მე ვთქუ: ნუ იყოფინ უფალო, რამეთუ ბილწი რაივე გინა არაწმიდაი არასადა შესრულ არს პირსა ჩემსა. მომიგო მე ხმამან მან მეორედ ზეცით: რომელი ღმერთმან წმიდა ყო, შენ ნუ ბილწ გიწნ. ესე იყო სამ გზის და კუალად აღმაღლდა ყოველი იგი ზეცად“ (საქმე, 11; 5-10). წმიდა წერილის ეს ადგილი მორწმუნეებს საყოველთაო ტოლერანტობას მოუწოდებს, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობას უწყობს ხელს.

მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევართაგან ურთიერთობებში უფალი სიყვარულის უმაღლეს გამოვლინებას ითხოვს, როცა არიგებს მათ: „გიყუარდედ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა. აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთვის, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ“ (ლუკა 6; 27-28), რაც ალბათ საკმაოდ ძნელი აღსასრულებელია დღევანდელ, სირთულეებით გაჯერებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გარემოში. აღნიშნული კი, კიდევ ერთხელ მიუთითებს გლობალიზაციისადმი ნამდვილ მორწმუნეთა პოზიტიურ დამოკიდებულებაზე.

2. ქვეყნის იმიჯი საზღვარგარეთ (შენი ქვეყნის იმიჯი საზღვარგარეთ ხელს არ უშლის ბიზნესის განვითარებას). კულტურისა და სპორტის სფეროში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ხელს უწყობენ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოსთვის დადებითი იმიჯის ფორმირებას. მეორე მხრივ, სამწუხარო მაგალითებიც გვაქვს, როცა საქართველოს მოქალაქეები ხშირად არიან უცხო ქვეყნების საპატიმროებში ან იძულებით დეპორტაციას ექვემდებარებიან. ეს არასასურველი მოვლენები სწორედ უფლისგან განდგომის შედეგად ვითარდება, როცა ადამიანი გაურბის წესიერ შრომას და არაწესიერი, იოლი გზით ცდილობს ღელოს გატანას. აქ ერთადერთი გამოსავალი, ეფექტობით, სარწმუნოებით ცხოვრების დაწყებაშია, ვინაიდან უფალი მიგვითითებს: „ნუ უტყუვით ერთი-ერთსა, განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ“ (კოლ. 3; 9).

3. ეროვნული კულტურა (ეროვნული კულტურა გახსნილია უცხოური სიახლეებისათვის). „საზოგადოდ, ნებისმიერი

კულტურა – ეროვნული, ბიუროკრატიული ან ორგანიზაციული – ძალასა და ენერგიას იძენს თავისი ისტორიის, გეოგრაფიის, ტექნოლოგიისა და ფილოსოფიის თავისებურებებიდან. არ არსებობს ორი მსგავსი ორგანიზაციული კულტურა, ისე, როგორც არ არსებობს ორი მსგავსი ეროვნული კულტურა¹. ამის გამო, ცნობილი ექსპერტები მიუთითებენ, რომ მართვის ნებისმიერი მოდელი ცალკეულ ქვეყანაში განიცდის ცვლილებებს ეროვნულ ნიშან-თვისებათა და ტრადიციებიდან გამომდინარე. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება მეოთხე საუკუნიდან განსაზღვრავს და კეთილად ზემოქმედებს ქართულ ეროვნულ კულტურაზე.

საქვეყნოდ განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობის სულისჩამდგმელი სწორედ მართლმადიდებლური სარწმუნოებაა, ვინაიდან ის ასწავლის: „პატივისცემასა ურთიერთასა უსწრობდით; სტუმრისმოყვარებასა შეუდევით; გიხაროდენ მოხარულთა თანა და ტიროდეთ მტირალთა თანა. უაუეთუ შესაძლებელ არს თქვენ მიერ, ყოველთა კაცთა თანა მშვიდობასა ჰყოფდით“ (რომ. 12;10-18). ამგვარად, სტატიაში მოყვანილი თითოეული ადგილი სახარებიდან თუ წმიდა წერილებიდან კიდევ ერთხელ მიუთითებს ეროვნული კულტურის უცხოური სიახლეებისადმი გახსნილობაზე.

4. მოქნილობა და შეგუებლობა (ხალხის მოქნილობა და შეგუებულობა ახალი გამოწვევების წინაშე მაღალია). „ქართული კულტურა კროსკულტურულ ველშია მოქცეული. ქართული პოლიტიკური ერთეულები რადიკალურად განსხვავებული (როგორც თვისებრივად, ასევე განვითარების დონის თვალსაზრისით) კულტურების მქონე სახელმწიფოთა თითქმის პერმანენტული პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსიის ობიექტს წარმოადგენდა. ასეთ პირობებში ბიოლოგიურ არსებობასთან ერთად, კულტურული თვითმოყოფადობის შენარჩუნების ამოცანა ნებისით თუ უნებლიეთ განსაზღვრავს, ერთი მხრივ, მოულოდნელად თავსმოხვეული მკვეთრი სიახლეებისადმი სწრაფად და ადეკვატურად რეაგირებისა და შეგუების უნარის განვითარებას, მეორე მხრივ კი – ერთგვარი კულტურულ-ფასეულობითი იმუნიტეტის გამომუშავებას; ამის შედეგად შეგუება ძირითადად გარეგნულ, არასიღრმისეულ ხასიათს ატარებს და არ ნიშნავს თავსმო-

¹ ჯ. ბურჯალიანი. მე-5 დონის მენეჯერები, ჟურნ. „სტრატეგია და ორგანიზაცია“, №2, 2004.

ხვეული სიტუაციის მიღებას, მის მიერ ნაკარნახები ყოფითი წესებისა თუ ღირებულებების აღიარება-შეთვისებას. პირიქით იგი ბაზირებულია არასასურველი გარემოს სიტუაციურ არაკანონზომიერ მოვლენად აღქმაზე. ამგვარ შეგუებას თან ახლავს შეუვალობა (ტრადიციულ-ღირებულებათა პრიზმაში გატარების შედეგად) თვითმყოფადი კულტურისათვის მიუღებლად მიჩნეული მოვლენების მიმართ¹. შედეგად კი საუკუნეების მანძილზე ქართველებში განვითარდა მოქნილობისა და შემგუებლობის უნარი.

აღნიშნულს გვინდა დავამატოთ ადგილი სახარებიდან, სადაც უფალი ასტიმულირებს მოქნილობის განვითარებას მორწმუნე ინდივიდში. „და აქო უფალმან მნე იგი სიცრუისაი, რამეთუ გონიერად ყო. რამეთუ ძენი ამა სოფლისანი უგონიერეს არიან უფროის ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა. და მე გეტყვ თქვენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაისა მისგან სიცრუვისა, რაითა, რაჟამს მოაკლდეთ თქვენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქვენ საუკუნეთა მათ საყოფელთა“ (ლუკა 16; 8-9). აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ აღნიშნულის შემავსებელი სხვა დარიგებაც: „ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალებთ. ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა განეშორებით“ (I თეს. 5; 21-22).

5. ეკონომიკური და სოციალური რეფორმების საჭიროება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე ვნახულობთ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართველომ 1996 წელს 123-ე პოზიციიდან 2010 წელს 26-ე ადგილზე გადაინაცვლა და ქვეყანა მოხვდა „უმეტესად თავისუფალი“ კატეგორიის ქვეყნების ჯგუფში. „ბიზნესის კეთების სიიოლის“ მიხედვით 2010 წელს საქართველო იყო მე-11 ადგილზე (2006 წელს იყო 101 ადგილზე)². ეს მაჩვენებლები ასე მოკლე პერიოდში ვერ მიიღწეოდა, თუ ეკონომიკური და სოციალური რეფორმების საჭიროება თითოეული მოქალაქისთვის კარგად გასაგები და მისაღები არ იქნებოდა.

6. ფასეულობების სისტემა (ფასეულობების სისტემა

¹ ნ. დურგლიშვილი, ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი, სადისკუსიო წერილების სერია, №3, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, საქართველო, თბ., 1997, გვ. 9-10.

² საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, www.economy.ge

ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობას). „ცხოვრება სულიერი და ხორციელი სარჩოს მოპოვების პროცესია, ხოლო ზნეობა ამ პროცესის მომწესრიგებელი ძალაა. ერის ცნებასა და ზნეობას შორის ტოლობის ნიშანი ზის. ბუნებაში, ალბათ, არაფერია ისე პირდაპირ დამოკიდებული, როგორც პიროვნების ზნეობაზე – მისი სახელმწიფოს ავტარგი და პირუკუ. ისინი ერთმანეთის შეილება არიან... ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს, რომლის წყალობითაც თავის პირად მოთხოვნილებებს ერისა და მისი სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს“¹. იაპონელებისთვის დამახასიათებელი ასეთი ზნეობაა მათი წარმატების უმნიშვნელოვანესი გარანტი, რაც სამაგალითო და იოლად მისაღწევია ჩვენთვის მართლმადიდებლური სწავლებით ცხოვრების საშუალებით. საამისოდ გავიხსენოთ „ლოცვა სწავლის დაწყების წინ“, სადაც ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესები საოცარი პარმონიულობითაა გადმოცემული, კერძოდ: „ყოვლად სახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელი გულის-ხმის-ყოფისა და განმაძლიერებელი, ძალთა სულთა ჩუენთასა, რათა ჩუენ, ყურადმღებელნი გარდამოცემულისა ჩუენდა სწავლისა, აღვიზარდნეთ შენ შემოქმედისა ჩუენისა სადიდებლად, მშობელთა ჩუენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ“².

მართლმადიდებლობისთვის ფასეულობათა სისტემა ათი მცნებით განისაზღვრება, რომელიც სხვა მოთხოვნებთან ერთად ქრისტიანებს მოუწოდებს: „არა კაც-ჰკლა; არა იპარო; არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა; არა გული გითქმიდეს ცოლისა მოყუასისა შენისა ... არცა რაოდენი რაი არს მოყუასისა შენისასა“. აღნიშნულ მცნებებს უფალი ახალ აღთქმაში ორ ძირითად მცნებამდე ამარტივებს და ამბობს:

- „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.

- ესე არს დიდი და პირველი მცნებაი.

- და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

- ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და

¹ ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია, თბ., 2003, გვ. 246-247; 610.

² <http://www.patriarchate.ge>

წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მთ. 22:37-40).

ამგვარად, უფალი მორწმუნეებისგან უფლისადმი და ერთმანეთისადმი სიყვარულს ითხოვს. ეს განწყობა ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებასა და პატივისცემას აყალიბებს. საბოლოო ანგარიშით ეს განსაკუთრებული ერთობა როგორც ცალკეულ ინდივიდებს შორის, ასევე მთლიანად ქვეყანაში, ხელს უწყობს მაღალი სულიერი და ეკონომიკური შედეგების მიღწევას. გავიხსენოთ, რომ თამარ მეფის ოქროს ხანას საქართველოში გრიგოლ ხანძთელის სულიერი ღვაწლის ეპოქა უძღოდა წინ.

7. კორპორაციის ფასეულობები (დასაქმებულის ფასეულობებს ითვალისწინებს). ამ მაჩვენებლის მართლმადიდებლურ სწავლებასთან კავშირის უფრო ნათლად ახსნის მიზნით მოვახდენთ პროფ. გ. მენჭიუს ციტირებას: „სხვა დარგის მეცნიერების მსგავსად, ეკონომისტებიც ახალი სფეროების ძიებაში არიან და მუდამ ახალ-ახალი მოვლენების ახსნას ცდილობენ“¹. ერთ-ერთი ასეთი სფეროა ასიმეტრიული ინფორმაცია, რომლის შესწავლას ეკონომისტები დიდ დროს უთმობენ. 2001 წელს ნობელის პრემია სწორედ ამ სფეროში შექმნილი ნაშრომის ავტორებს: ჯორჯ აკერლოფს, მაიკლ სპენსსა და ჯოზეფ სტიგლიცს გადაეცათ. ასიმეტრიული ინფორმაციის პირებებში დგება მორალური საფრთხის პრობლემა, „როცა აგენტი რაიმე დავალებას ასრულებს ხელმძღვანელისთვის. თუ ხელმძღვანელი ვერ ახერხებს აგენტისთვის თვალყურის დევნებას, ეს უკანასკნელი საქმისადმი უგულისყურო დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მორალური საფრთხე გულისხმობს რისკის ფაქტორს, აგენტის მხრიდან შეუსაბამო ან „ამორალურ“ ქცევას. მუშისთვის ნაკლები კონტროლი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების ცდუნებაა. იქ, სადაც საკუთრება და კონტროლი განცალკევებულია, როგორც ეს დიდი კორპორაციების უმრავლესობაში ხდება, გარდაუვალია აქციონერებისა და მენეჯერების ინტერესთა შეჯახება. ასე, რომ მორალური საფრთხის პრობლემა აქტუალური რჩება“².

თუ კორპორაციის ყველა წევრი მართლმადიდებლური სარწმუნოებით იცხოვრებს, პრობლემა მარტივად გადაწყდება, ვინაიდან, უფალი მიგვითითებს, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ

¹ გ. მენჭიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2008, გვ. 461.

² იქვე, გვ. 462, 264.

ყველას, მათ შორის იმათაც ვინც ჩვენს დაქვემდებარებაშია:

- „სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ; უწყოდეთ, რამეთუ თქვენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4;1). „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“ (I ტიმ. 5; 18).

- „მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა – ხარკი, საზუერესა – ზუერი, საშინელსა – შიში, პატივსა – პატივი“ (რომ. 13; 7);

- „რომელმან იცოდის კეთილისა საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისა (იაკ. 4; 17).

- „ნუვის ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ; წინაისწარ განიზრახევდით კეთილსა წინაშე ყოველთა კაცთა“. (რომ. 12;17).

აღსანიშნავია, რომ მორალური საფრთხის პრობლემა აღწერილია მათესა და მარკოზის სახარებებში, სადაც უმეტესად ყურადღება დატოვებული საქმისადმი მღვდლადრე დამოკიდებულების გამოვლენის აუცილებლობაზეა მითითებული, კერძოდ:

- „ვითარცა-იგი კაცმან გზად წარმავალმან დაუტევის სახლი თვისი და მისცის მონათა თვისთა ხელმწიფებაი და კაცად-კაცადსა საქმე თვისი და მეკარესა ამცნის, რაითა მღვდლადრე იყოს. იღვიძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, ოდეს-იგი უფალი სახლისაი მის მოვიდეს: მწუხრი ანუ შუა ღამეს ანუ ქათმისა ხმობასა ანუ განთიად; ნუუკუე მოვიდეს მეყსეულად და გპოვნეს თქვენ მძინარენი. ხოლო რომელსა-ესე გეტყვ თქვენ, ყოველთა ვეტყვ: მღვდლადრე იყვენით“ (მარკ. 13; 34-37; მათე 24; 42-51).

იცის უფალმა, რომ აღამიანები საუფლო საქმეებს უფრო გულისთადად აკეთებენ, ვიდრე მოყვასისთვის გასაკეთებელს, ამიტომ წმიდა წერილში მიგვითითებს: „ყოველსავე რასაცა იქმოდით, გულისთად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა“ (კოლ. 3; 24).

ყოველივე ზემოაღნიშნულს თუ იმას დავამატებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მიხედვით საქართველოში მცხოვრებთა 83,9% მართლმადიდებლობას აღიარებს¹, მაშინ თითოეული მოქალაქისთვის ამ სწავლების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალურად გათავისება უდიდესი ეფექტის მქონე აღმოჩნდება როგორც

¹ www.geostat.ge

ქვეყნისთვის, ასევე თითოეული მოქალაქისთვის. აღნიშნული კი მეტყველებს მართლმადიდებლური სარწმუნოების როგორც საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ერთ-ერთი რეალური ფაქტორის დიდ როლზე.

Orthodox Religion – an Important Factor for Raising Georgia’s Economic Competitiveness

I. Gagnidze

In his famous research *Competitive Advantages of Nations*, M. Porter, a well-known professor from Harvard University wrote: “Competitiveness of a country is a result of combination of its organizational model and management practices, which are the most acceptable for certain countries and competitiveness sources of certain industries. **Differences in national values, culture, economic structure, functioning organizations** and historic development make contribution to obtaining competitive advantages.”

In the yearbook for 2011 produced by the world competitiveness research center of Lozana, over 300 criteria for world competitiveness are divided into 4 major groups: 1. Economic Performance; 2. Government Efficiency; 3. Business Efficiency; 4. Infrastructure.

“Approaches and values” is one of the five sub factors determining business effectiveness, which in its turn is assessed with seven indicators, namely: **attitudes toward globalization; the country’s image abroad; national culture; flexibility and adaptability; need for economic and social reforms; value system; corporate values.**

The article provides citations from the Gospel and Epistles, the information from the website of the Ministry of Economics and opinions of famous Georgian researchers, which prove that Orthodox religion is one of the important factors for raising competitiveness of Georgian economy.

**ვაზი და ქართული
ცივილიზაცია**

ბაბუია (ლლო) მღებრიშვილი
თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი

ვაზი ადამიანთა საზოგადოების განუყრელი თანამგზავრია. ბიბლიდან ჩანს, რომ ყურძენს და მისი გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქტებს, მ.შ. ღვინოს ადამიანები წარღვნამდელ ცივილიზაციაშიც იყენებდნენ. ამდენად, ვაზიც და ღვინოც წარღვნამდელი ცივილიზაციის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ¹.

წარღვნისშემდგომი ცივილიზაცია ნოეთი და მისი ოჯახით (ცოლი, შვილები და მათი ცოლები) იწყება. კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ, ნოეს ოჯახის არსებობისთვის აუცილებელი პროდუქტების უზრუნველყოფაში, დიდ როლს მიწათმოქმედება და მევენახეობა-მეღვინეობა ასრულებდა. „დაიწყო ნოემ მიწის მუშაკობა და გააშენა ვენახი. დალია ღვინო, დათვრა. . .“-ნათქვამია ბიბლიაში². ე. ი. წარღვნისშემდგომი ცივილიზაცია დასაწყისშივე ვაზისა და ღვინის თანხლებით განვითარდა.

მაშასადამე, ვაზის კულტურა უძველესია, საერთოდ, ადამიანთა საზოგადოებისთვის და საქართველოსთვისაც. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ვაზს ქართველი ხალხის უძველესი წინაპრების (ხეთების, სუბარების) სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკვე ნეოლითის ხანის დასასრულს ეკავა. „თბილისის სამხრეთით შულავერის სამარხში ნაპოვნია ყურძნის წიპწები, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე V ათასწლეულით თარიღდება

¹ თ. ღლონტი. საქართველო კულტურული ვაზისა და ღვინის აკვანი. ჟურნალი საპატრიარქოს უწყებანი. 2010წ. №26, გვ. 13.

² ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1989, გვ. 19.

და რომელიც აქ უძველესი „მოშინაურებული“ ვაზის (*vitis vinifera vinifera*) მოყვანის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს¹. ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა მეთუნეობას, რამაც ხელი შეუწყო ღვინის წარმოებისა და შენახვის საქმის განვითარებას. ამის დამამტკიცებელი საბუთებიც მოიპოვეს არქეოლოგებმა შულავერისა და ხრამის დიდი გორას გათხრების დროს. კერძოდ, აღმოაჩინეს გარედან ყურძნის მტევნებითა და ვაზთან მდგარი მხიარულად ხელებაწეული ჯოხისებრი ფიგურებით მორთული დოქები მოწითალო ნალექით (საგარაუდოდ ღვინის) ფსკერზე². ვაზის კულტურის არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ უძველეს ხალხებში, ქართველთა უძველეს წინაპრებში, ადასტურებს, აგრეთვე, საქართველოს სხვა ადგილებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მატერიალური მემკვიდრეობა. შულავერის, ანაკლიის, მცხეთის, თრიალეთის, ალაზნის ველის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ვაზის სასხლავი დანები, ღვინის დასაწერი მოწყობილობები, სხვადასხვა სახის თასები, ქვევრები. 2006 წელს მცხეთასთან ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს „თამადის“ პატარა ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება და რომელსაც ხელში ყანწი უკავია.

საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ვაზის კულტურის არსებობის მატერიალური მტკიცებულებები სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნება და მიუთითებს ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში მევენახეობისა და მეღვინეობის მნიშვნელობის თანდათანობით ამაღლებაზე.

ქართველი მევენახე და მეღვინე ერთად ზრუნავდნენ ვაზის კულტურის განვითარებაზე, მევენახეობა-მეღვინეობის

¹ პ. მაკოვერნი. საქართველო: მეღვინეობისა და მევენახეობის ქვეყანა. <http://winehistoru.com/29.htm>

² პ. მაკოვერნი. საქართველო: მეღვინეობისა და მევენახეობის ქვეყანა. <http://winehistoru.com/29.htm>

დარგის სრულყოფაზე. მევენახე უვლიდა ვენახს, გამოჰყავდა ვაზის ახალი ჯიშები, მეღვინე კი ცდილობდა ღვინის დაყენების ტექნოლოგიის დახვეწას და გაუმჯობესებას. ცხადია, ადრეულ ხანაში მევენახე და მეღვინე ერთი და იგივე პიროვნება იყო. მხოლოდ განვითარების შემდეგ ეტაპზე გაიმიჯნა, გარკვეულწილად, მევენახეობა და მეღვინეობა ერთიმეორისგან. ფეოქრობთ, ქართველმა მევენახემ და მეღვინემ დასახულ მიზანს მიაღწიეს. ვაზი ქართული ცივილიზაციის საზრდო და იმავდროულად მისი თანამგზავრი გახდა. ქართველი მევენახისა და მეღვინის შრომამ საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოდ ჩამოაყალიბა.

მევენახეობა-მეღვინეობა დიდ როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. ამას ხელს უწყობს ყურძნის სხვადასხვა დანიშნულებით მოხმარების შესაძლებლობა. ასე მაგალითად ჯიშგვლეს ხანაში ყურძენი მარტო ღვინის დასამზადებლად კი არა, საკვებადაც გამოიყენებოდა, რასაც განაპირობებდა მისი მაღალკალორიულობა. ივანე ჯავახიშვილი წერს: ყურძენი ხილთან ერთად განსაკუთრებით ფასობდა მდებრიო ხალხში პურის ნაკლებობის, სიძვირისა და შიმშილის დროს. ამასთან დაკავშირებით ის აბუსერძე ტბელის მონათხრობს იმოწმებს: „იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი დიდი და სიძვირე პურისაი“, რის გამოც გაჭირვებაში ჩავარდნილს ერთი ტაძრის აღმშენებელს ბოლოკბასილს გამოსაკვებად ამ დროს „ხილი მოართვეს: ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთისაი, რომელსა ეწოდების ჟოლი“-ო¹. მიუხედავად ყურძნის საკვებად გამოყენებისა, საქართველოში ოდითგანვე ყურძნის მთავარი დანიშნულება მაინც ღვინის დამზადება იყო. დღესაც ქვეყანაში წარმოებული ყურძნის მხოლოდ 3-4% მოიხმარება მზა სახით საკვებად, დანარჩენი გადამუშავდება, ძირითადად, ღვინოდ.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, საქართველოდან ღვინო საექსპორტოდ მაშინაც კი გადიოდა, როცა ქვეყანა დასუსტებული იყო მტრების შემოსევებისგან, აღორძინების

¹ ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი V. თბ., 1986, გვ. 618.

პერიოდში კი, ცხადია, საქართველოში მეტი შესაძლებლობები არსებობდა ღვინის საზღვარგარეთ გასატანად და გასაყიდად.

საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობისთვის მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეზობლებმაც და მეტოქეებმაც კარგად იცოდნენ და სწორედ ამიტომაც, რომ თემურ ლენგმა XVI ს დამდეგს და შემდეგ XVII ს დამდეგს შაჰ-აბაზმა საქართველოს ეკონომიკურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანა¹. არაპირდაპირი გზით საქართველოს ეკონომიკურად დასუსტებას ისახავდა მიზნად ქართული ღვინის ემბარგო რუსეთში სულ უახლოეს წარსულში². მაგრამ მევენახე-მეღვინეების დიდი ძალისხმევის შედეგად სოფლის მეურნეობის ეს დარგი თანდათანობით დგება ფეხზე. დღეს ღვინის კომპანიების რაოდენობამ საქართველოში 30-ს გადააჭარბა. სახელმწიფოს მხარდაჭერით მათ შეძლეს ახალი ბაზრების გამოძებნა. არამარტო ქართულ ბაზარზე, არამედ უცხოეთის ბაზრებზეც ცნობილია ქართული ღვინის შემდეგი კომპანიები: თელიანი ველი, ბადაგონი, ბაგრატიონი, თელავის ღვინის მარანი და სხვ.

2005 წელს ქართული ღვინის 60% რუსეთში გაჰყონდათ. ევროპისა და აშშ-ს ბაზრებზე ექსპორტის მოცულობა უმნიშვნელო იყო. რუსეთის ემბარგომ აიძულა ქართველი მეღვინეები გაეაქტიურებინათ მარკეტინგული ძალისხმევა ახალი ბაზრების გამოსაძებნად. სახელმწიფოს დახმარებით შესაძლებელი გახდა ღვინის ექსპორტი სინგაპურში, ჩინეთში, ამერიკასა და კანადაში. დღესაც საქართველოში ღვინო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტია. საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის

¹ იქვე, გვ.618.

² ბ. მღებრიშვილი. ქრისტიანობა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოში. ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 88.

დეპარტამენტის მონაცემებით, 2009 წელს ღვინის ექსპორტის მოცულობამ 32 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. 2010 წლისთვის ეს მაჩვენებელი 22,7%-ით გაიზარდა და 39,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ღვინის ექსპორტი დღეს, ძირითადად, ხორციელდება უკრაინაში, ყაზახეთში, ბელორუსში, მოლდოვაში, ლიტვაში, ლატვიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, აშშ-ში, გერმანიაში. სხვა ქვეყნების ბაზრების წილი ღვინის ექსპორტში შედარებით მცირეა.

საექსპორტო ბაზრების ათვისება ქართველი მეღვინეებისთვის არ არის ადვილი, რადგან მათ უძნელდებათ იაფი ღვინის წარმოება. აღნიშნულის მიზეზი, ქართულ კომპანიებში უცხოურ კომპანიებთან შედარებით, ფიზიკური შრომის მაღალი წილია. თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოების რაოდენობა თანდათანობით იზრდება.

ვახის კულტთან არის დაკავშირებული ქართული ცივილიზაციის სულიერი მხარის განვითარებაც. სავარაუდოა, რომ ქართველი კაცისა და ვახის ურთიერთობამ ქრისტიანობამდე პერიოდში, განაპირობა ღვთისმშობლის მიერ წმიდა ნინოს ქართველთა ქრისტიანულ რწმენაზე მოსაქცევად ვახის რტოსგან გაკეთებული ჯვრით გამოგზავნა. როგორც ქრისტიანული ლიტერატურიდან ცნობილია, წმიდა ნინოს ხილვა ჰქონდა. მას ყოვლაწმიდა ქალწული გამოეცხადა და უთხრა: „აჰა, წარგზავნი ჩემ წილხედომიდ ჩრდილოეთის ქვეყანაში, საქართველოში. წადი სიმხნით და უშიშრად და მის მეკიდრთ ჭეშმარიტება უქადაგე“. შეძრწმუნებულმა წმიდანმა არ მიიჩნია თავისი თავი ამის ღირსად, მაშინ ღვთისმშობელმა მოჭრა იქვე ამოსული ვახის რტო, რომლისგანაც ჯვარი შექმნა, მისცა და უთხრა: „ამით დაძლეე ეშმაკის ყველა მანქანებსა და წარმართავ ქადაგებას, ხოლო მე შეგეწევი და არ დაგტოვებ“. ჩვენების შემდგომ წმიდა ნინომ იხილა, რომ ხელში ვახის ჯვარი ეპყრა. შეძრწმუნებულმა ადიდა უფალი და ღვთისმშობელი¹.

¹ წმიდა ნინოს ცხოვრების ვრცელი ვერსია და დაუჯდომელი საგალობელი. მართლმადიდებლური სერია: „ნათელი ქრისტიანი“. №1, თბ., 2011, გვ. 6.

ზაფხულის დამდეგს წმიდა ნინო ვაზის ჯვრით ჯავახეთის მთებით შემოვიდა საქართველოში. სასწაულმოქმედი ჯვრით მან ქართველები ქრისტეს რჯულს აზიარა. ქართველ ხალხთან ერთად თითქოს ვაზიც გაქრისტიანდა და უფრო ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოს მიწასა და ქართველთა სულიერებაში.

უკვე რამდენიმე ათასწლეულია, რაც ვაზი, ყურძენი და ღვინო ქართული ქრისტიანული კულტურის განუყოფელი ნიშანია. ვაზი და ყურძნის მტევანი გამოსახულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, მღვდელმსახურებაში გამოსაყენებელ ნივთებზე. ისინი მოცემულია ხატებზე, ფიგურირებს საგალობლებში.

ჯვარი ვაზისა, რომლითაც წმიდა ნინომ ქართველები ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია, საქართველოს უდიდესი სიწმიდეა. ის მრავალჯერ არის ქალაქიდან ქალაქში და ქვეყნიდან ქვეყანაში გადატანილი. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, შუშანიკის დროიდან მოყოლებული XI საუკუნემდე, ჯვარი ვაზისა იმყოფებოდა სომხეთის ეკლესია-მონასტრებში. ის საქართველოს დაუბრუნა დავით აღმაშენებელმა. XVII-XVIII საუკუნეებში, მტრების შემოსევების დროს, ნინოს ჯვარი ჯერ სტეფანწმიდის წმიდა სამების ეკლესიაში, შემდეგ კი ანანურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გადაიტანეს. ამის შემდგომ ჯვარი ვაზისა საქართველოდან რუსეთში გაიტანეს. ეს ფაქტი სხვადასხვა წყაროში განსხვავებულად არის გადმოცემული, მაგრამ, ერთი რამ ცხადია-ნინოს ჯვარი საქართველოდან რუსეთში ქართველებმა გაიტანეს. 1801 წელს ვახტანგ VI შთამომავალს, გიორგი ალექსანდრეს ძეს ჯვარი მიურთმევია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრესთვის, რომელმაც ის საქართველოს დაუბრუნა. დღეს წმიდა ნინოს ჯვარი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული. „მას XVIII საუკუნის დასაწყისის ვერცხლის პერანგი აქვს და ვერცხლისავე კიდობანშია მოთავსებული... ჯვრის გარდი-გარდმო ნაწილი გადატეხილია გრძელ ნაწილთან

მომავალშიც შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას. ქართველი კაცი ქრისტეს სისხლს ყურძნის ღვინით ეზიარა და მომავალშიც ეზიარება.

Vine and Georgian Civilization

B. Mgebrishvili

The article considers the vine as an integral part of Georgian civilization. The discussion develops in two directions. On the one hand, the author considers it as an important part of economic life of Georgia and on the other hand it appears to be a significant component of the nation's spiritual life.

As an evidence of existence of the vine culture in Georgia the article provides several factual evidences discovered as a result of archeological excavations in various parts of Georgia. Vine pruning scissors, squeezing equipment for making wine, bowls and pitchers discovered while conducting of the excavations in the areas of Shulaveri, Anaklia, Mtskheta, Trialeti, Alazani Valley are considered by the author to be the material heritage of the country which proves the role and importance of vine-growing and wine making culture for economic life of Georgian people.

The author assumes that Christianization of Georgian people by the cross of St. Nino which was made of vine plant was to be conditioned by relationship of a man with the vine even BC. Furthermore, she considers vine and grapes to be indivisible part of Georgian Christian Culture, which is evidenced by the symbols of vine and the grapes engraved on architectural monuments, things used in religious services and icons.

The final part of the article expresses the belief that the Icon called “You are Vine-Yard”, which has been made in Georgia recently, will give a start to Georgia's future triumph, like the King Demetre's Hymn “You are Vine-Yard” which was followed by the reign of the Queen Tamar, the period of Georgia's prosperity.

Theoretische und empirische Analyse der variablen Vergütung in der Finanzindustrie

*Dr. ANDREAS NASTANSKY -
Universität Potsdam; Prof.*

*Dr. SIMON GELASCHWILI -
Iv. Djavachischvili Staatliche Universität Tbilissi*

1. Variable Vergütung als eine Ursache der Finanzkrise

Im Zuge der Finanzkrise zeigte sich, dass vor allem im Finanzsektor falsche Anreize gesetzt wurden. Die zum Teil exzessiven Bonuszahlungen als wichtigste Komponente der variablen Vergütung veranlassten Bankmanager und -mitarbeiter dazu, egoistische Verhaltensmuster zu entwickeln und zu Lasten der Eigentümer und Steuerzahler übermäßige Risiken einzugehen. Diese fehlgeleiteten Vergütungsanreize förderten im Vorfeld der Finanzkrise das Risikoverhalten der Beteiligten – Mitarbeiter, Management, Geschäftspartner, Kunden und Aktionäre. Die variable Vergütung war stark auf kurzfristige Ergebnisse ausgerichtet, Risikoaspekte und die Nachhaltigkeit der Performance wurden nicht oder nur teilweise berücksichtigt. Mit dem Ziel, möglichst hohe Bonuszahlungen zu erhalten, kauften die Banker u.a. komplexe Wertpapiere und gingen zu Lasten ihrer Institute hohe Risiken ein.¹


Diesen Mitteln standen astronomische Vergütungen der Top-Manager von Kreditinstituten gegenüber, die zum Teil das 100- und 1000fache des Durchschnittsverdienstes erreicht hatten. *Philippon/Reshef* (2009) ermittelten, dass die Gehälter im Finanzsektor bereits seit Mitte der 90er Jahre des vergangenen Jahrhunderts dramatisch angestiegen waren und sich erstaunliche, historische Parallelen zu den Verdienstmöglichkeiten ab Mitte der 1920er Jahre – vor Beginn der „Great Depression“ – ergaben.² *Bebchuk et al.* (2009) untersuchten die Gehälter und Bonuszahlungen der Vorstände der gescheiterten US-Invest-

¹ *Nastansky, A./ Gelaschwili, S.*, Determinanten der Entwicklung der Krise am US-Immobilienmarkt zur globalen Finanz- und Wirtschaftskrise, in: *ECONOMICS and BUSINESS*, Nr. 1 (2010), s. 67-80.

² *Philippon, T./ Reshef, A.*, Wages and Human Capital in the U.S. Financial Industry: 1909-2006, in: *CEPR Discussion Paper*, No. 7282 (2009).

mentbanken Bear Stearns und Lehman Brothers und kamen zum Ergebnis, dass die Top-Manager aus der variablen Barvergütung, dem Verkauf von Aktien und Aktienoptionen in den Jahren 2000 bis 2008 1,4 Mrd. US-Dollar (Bear Stearns) bzw. 1 Mrd. US-Dollar (Lehman Brothers) erlöst¹. Die Gewährung der Boni orientierte sich an der kurzfristigen Performance der Institute und Malusregeln wurden nicht vereinbart. Um die kurzfristigen Ziele zu erreichen, nahmen die Vorstände hohe Risiken in Kauf. Dieses Verhalten wurde dadurch begünstigt, dass die Boni nach dem Geschäftsjahr in dem sie erworben wurden, ausgeschüttet wurden; die Risiken aus den Wertpapieren kamen aber erst später zum Tragen. Diese führten im Jahr 2008 zur Bedrohung der Existenz, die mit dem Verlust der Eigenständigkeit von Bear Stearns und der Insolvenz von Lehman endete.

Die Gewährung von Boni war jedoch nicht nur auf das Management beschränkt. So schüttete die Citigroup im Jahr 2008 bei einem Jahresverlust von 27,7 Mrd. US-Dollar mehr als 5,3 Mrd. US-Dollar an variabler Vergütung an die Beschäftigten aus. Die Investmentbanker von Merrill Lynch erhielten 3,6 Mrd. US-Dollar bei einem erwirtschafteten Verlust in Höhe von 27,6 Mrd. US-Dollar. Die neun größten US-Institute zahlten bei einem kumulierten Verlust von 175 Mrd. US-Dollar gar 32,6 Mrd. US-Dollar an Prämien aus.



¹ *Bebchuck, L.A./ Cohen, A./ Spamann, H., The Wages of Failure: Executive Compensation at Bear Stearns and Lehman 2000-2008*, in: Harvard Law and Economics Discussion Paper, No. 657 (2009).

Abb. 1: Bonuszahlungen am Finanzplatz London von 2001 bis 2010

Quelle: Center for Economics and Business Research (CEBR)

Wie aus Abb. 1 zu entnehmen ist, war die Bonusproblematik nicht auf die USA beschränkt. Auch am wichtigsten Finanzplatz Europas – London – stiegen parallel zum Boom an den weltweiten Immobilienmärkten und den hohen Wachstumsraten der Finanzwirtschaft die Bonuszahlungen auf 11,56 Mrd. Pfund im Jahr 2007 an. Im Krisenjahr 2008 mit der drohenden Insolvenz zweier britischer Großbanken (Royal Bank of Scotland und HBOS) brach die variable Vergütung dramatisch um 64% ein. Mit der Stabilisierung des Finanzsystems nahmen die Bonuszahlungen an Banker nicht nur am Finanzplatz London bereits im Jahr 2009 wieder deutlich zu – auf aktuell 6,75 Mrd. Pfund für 2010. Nicht zuletzt war dieser Anstieg ein Grund in die Vergütungssysteme der Finanzinstitute einzugreifen.

2. Notwendigkeit der Regulierung der variablen Vergütung

Grundsätzlich ist es nicht die Aufgabe des Staates die Vergütungssysteme der Banken zu regulieren. Kommt es jedoch zum Marktversagen infolge von Informationsasymmetrien (speziell moralisches Risikoverhalten) können staatliche Eingriffe gerechtfertigt sein. Bei der Zusammenfassung der Argumente für eine Regulierung der Vergütungssysteme in der Finanzindustrie wird zwischen der Mikro- und der Makroebene unterschieden. In beiden Fällen kann ein Agency-Problem diagnostiziert werden:

Auf der Mikroebene rufen Bonuszahlungen aufgrund ihrer eher kurzfristigen Anreizwirkung Interessenkonflikte hervor. Die kurzfristige Steigerung des Geschäftsvolumens wird durch hohe Boni an die Bankbeschäftigten (Agenten) honoriert – ohne die möglicherweise später eintretenden Verluste der Banken bzw. bei deren Eigentümer (Prinzipale) zu berücksichtigen. Die Asymmetrie zwischen den persönlichen Gewinnmöglichkeiten und den zu tragenden Verlusten war zu hoch, so dass unverhältnismäßig hohe Risiken eingegangen wurden, um Bonuszahlungen zu erhalten. Das Fehlen von Maluskomponenten und die nicht adäquate Berücksichtigung von Risiken belohnte einseitig das Eingehen von Risiken ohne den Misserfolg zu sanktionieren. Die Gewährung von Garantieboni unterminierte zusätzlich den Leistungs- und Erfolgscharakter von Bonuszahlungen.

Der hohe Anteil der variablen Barvergütung im Verhältnis zu den län-

gerfristigen (z.B. aktienbasierten) Vergütungsanreizen an der Gesamtvergütung und die fehlende Glättung trugen zu einer hohen Ertragsfluktuation bei und erleichterte zudem den Mitarbeitern den Wechsel zu Wettbewerbern. Damit einher geht ein Gefangenendilemma infolge der hohen Mobilität der Beschäftigten in den kapitalmarktnahen Geschäftsbereichen. Kreditinstitute, die die gegenwärtigen Bonuskonventionen einseitig beenden würden, wären von dem Verlust nicht nur einzelner Manager und Mitarbeiter sondern ganzer Teams bedroht. Durch Standards, die für alle gelten, soll dies reduziert werden.

Die Prinzipale können angesichts der Machtposition der Bankmanager sowie der Komplexität der Bonussysteme in Banken nur schwer sicherstellen, dass die Agenten in ihrem Interesse handeln. Durch die Regulierung der variablen Vergütung soll die monetäre Anreizgestaltung in den Instituten so strukturiert werden, dass Vorstand und Mitarbeiter ein Eigeninteresse an der Erzielung eines langfristigen Erfolgs entwickeln und ihre Handlungsweisen entsprechend anpassen. Durch Verzögerung des Auszahlungszeitpunktes und Beteiligung am Eigenkapital hängt die Vergütung der Beschäftigten dann sowohl vom steigenden als auch vom fallenden Wert der Bank ab und kann zudem nachträglich gekürzt werden. Die Prinzipal-Agent-Problematik wäre nicht so groß, wenn die Aufsichtsgremien der Institute die Bonussysteme genauer kontrollieren würden.

Auf der Makroebene gefährden exzessive Bonuszahlungen die Ertragskraft der einzelnen Banken und im Weiteren die Stabilität des Finanzsystems. Vor dem Hintergrund der Systemrelevanz können einzelne Institute (Agenten) hohe Risiken eingehen und im Wissen um eine mögliche Rettung durch den Staat (Prinzipal) zu Lasten der Allgemeinheit hohe Gewinne und Boni erzielen (Moral Hazard). Diese Problematik ist auch unter dem Schlagwort „too big to fail“ bekannt. Die Folgen einer möglichen Insolvenz hätten die Gläubiger und der Staat zu tragen. Da von den Großbanken immense Risiken auf das Finanzsystem ausgehen, interveniert der Gesetzgeber sowohl präventiv über Vergütungsregeln als auch einzelfallbezogenen bei einer drohenden Insolvenz in die Bonussysteme der Banken und fordert zudem höhere Eigenkapitalpolster.

Darüber hinaus begünstigte das Versagen der Bankenaufsicht bei der Bewertung der Risiken in den Bankbilanzen und die von den Vergütungssystemen ausgehenden Fehlanreize zum Eingehen hoher Risikopositionen die Tendenz zur kurzfristigen Gewinnerzielung. Dementsprechend müssen auch die Bonussysteme durch die Aufsichtsbehörden überwacht werden. Aus der Krise einzelner Banken soll nicht erneut eine Finanzkrise erwachsen.

3. Grenzen der Regulierung der variablen Vergütung

Die Frage der staatlichen Regulierung der betrieblichen Lohnpolitik von Banken, insbesondere von denen die staatliche Unterstützungen erhalten, wird kontrovers debattiert.¹ Argumente gegen eine Regulierung der variablen Vergütung in der Finanzindustrie sind:

Die von nationalen Regierungen und internationalen Institutionen veröffentlichten Regeln verfolgen das Ziel, die aus den Bonussystemen im Bankensektor ausgehenden Risiken für das Finanzsystem zu begrenzen. Dennoch bleibt eine direkte staatliche Bestimmung der maximalen Höhe der Boni, der Detailregeln über die Höhe von Abfindungen oder die Festlegung der Kriterien, anhand derer die Leistung bewertet wird, aufgrund des Eingriffes in die Vertragsfreiheit problematisch. Bonuszahlungen sind Bestandteil einer zivilrechtlichen Vereinbarung zwischen der einzelnen Bank und deren Beschäftigten. In diesen kommt die Vertragsfreiheit zum Ausdruck, die als Form der allgemeinen Handlungsfreiheit verfassungsrechtlich geschützt ist. Die Untersagung oder Beschränkung von Bonuszahlungen kann nur mit der Erhaltung der Stabilität eines funktionierenden Kreditwesens begründet werden. In diesem Fall wird das Gut Vertragsfreiheit gegen das Interesse der Allgemeinheit (Schutz vor Gefahren mit außerordentlicher Bedeutung, die z.B. durch eine Finanzkrise ausgelöst werden können), abgewogen. Die Bindung systemrelevanter Banken an Standards, in denen Kriterien für die Ausgestaltung der Vergütungssysteme und die Bemessung der variablen Vergütung geregelt sind, wird durch die internationale Staatengemeinschaft präferiert. Bestehende individualvertragliche oder kollektivrechtliche Regelungen können die Umsetzung der neuen Regeln jedoch behindern.

Der Gesetzgeber darf den Preismechanismus auf dem Arbeitsmarkt nicht außer Kraft setzen. In einem marktwirtschaftlichen System ergeben sich die Löhne aus dem Zusammenspiel von Angebot und Nachfrage. Eingriffe können zu Effizienzverlusten führen. Außerdem sind die institutseigenen Vergütungssysteme zu komplex als das der Gesetzgeber auf der Mikroebene leistungsgerechte Vergütungen festlegen könnte. Die Umsetzung der Vergütungsregeln ist mit der Schwierigkeit verbunden, dass Kriterien und Begrifflichkeiten unscharf formuliert sind und einen Interpretationsspielraum erlauben (z.B. die korrekte Identifikation der Risk Taker in den Banken).

Unternehmen stehen innerhalb jeder Branche im Wettbewerb um Mit-

¹ Nastansky, A./Lanz, R., Vergütungsmanagement in der Finanzkrise – Eine Analyse am Beispiel des Bankensektors, Hamburg 2010, S. 161-170.

arbeiter und müssen Kosten und Nutzen der Höhe und Form der Vergütung ihrer Mitarbeiter abwägen. Dieses Argument allein begründet nicht die Notwendigkeit staatlicher Regulierung, um dem Gefangendilemma zu begegnen. Eine nationale staatliche Regulierung der Vergütungspolitik des Bankensektors kann zudem gegenüber anderen Wirtschaftszweigen zur Verringerung der Wettbewerbsfähigkeit auf dem Arbeitsmarkt führen. Die Attraktivität der Banken für Hochqualifizierte würde abnehmen.

Die Bonuskultur im Finanzsektor mit der Gewährung von garantierten Bonuszahlungen (z.B. Wechselboni) forciert die Mobilität der Beschäftigten. Das Kapitalmarktgeschäft der Großbanken ist auf wenige internationale Finanzzentren konzentriert und erleichtert den Arbeitgeberwechsel. Im Falle einer einseitigen strengen nationalen oder europäischen Regulierung fürchten die Banken um ihre Wettbewerbsfähigkeit gegenüber Instituten in weniger regulierten Ländern. Daher ist nur ein international abgestimmtes Vorgehen sinnvoll.

Die G-20-Staaten haben sich darauf verständigt, neben den strengeren Vergütungsvorschriften sollen vor allem überarbeitete Liquiditäts- und Eigenkapitalregeln die Banken dazu bewegen, riskante Praktiken zu begrenzen und zu weniger risikoreichen Geschäftsmodellen zurückzukehren. Dieser Prozess ist auch unter dem Stichwort Basel III bekannt. Mit den höheren Eigenkapitalanforderungen, nach denen riskantere Geschäfte mit erhöhtem Eigenkapital unterlegt werden müssen, werden langfristig niedrigere Eigenkapitalrenditen der Banken einhergehen und die Bonuszahlungen darüber eher begrenzt werden können als über die neuen Vergütungsregeln. Die Partizipation an Verlusten durch Aufweichen der Haftungsbeschränkung werden die Eigentümer eher dazu verleiten, die betrieblichen Anreizsysteme zu überarbeiten, die Bonussysteme risikoaverser zu gestalten und zu einer nachhaltigeren Geschäftspolitik zurückzukehren als die Regulierung von Bonuszahlungen. Neue Vergütungsregeln allein tragen nicht zur Stabilität des Finanzsystems bei.

4. Internationale Vergütungsstandards

Auf dem Treffen in Pittsburgh am 25. September 2009 haben sich die G-20-Staaten auf Reformen des globalen Finanzsystems geeinigt, um Fehlentwicklungen an den Finanzmärkten zu korrigieren und künftige Krisen zu verhindern. Seit der globalen Finanzkrise stehen die variablen Vergütungssysteme im Finanzsektor als Instrument der Anreizsteuerung auf dem Prüfstand und neue Regeln zur Vergütung in Finanzdienstleistungsunternehmen wurden auf nationaler, europäischer und internationaler Ebene erlassen.

International

Im Auftrag der G-20-Staaten hat der Rat für Finanzstabilität (*Financial Stability Board*) 19 Standards für eine solide Vergütungspolitik im Finanzsektor erlassen.¹ Die neuen Vergütungsregeln gelten für systemrelevante Banken. In diesen müssen die Bonuszahlungen stärker an den langfristigen Erfolg und die finanzielle Stabilität der Institute anknüpfen. Bei Misserfolg und später eintretenden Verlusten können gezahlte Boni nachträglich gekürzt werden (Maluszahlen). Die variable Vergütung von Geschäftsleitern und Mitarbeitern, die hohe Risikopositionen begründen können, muss neben dem individuellen Erfolgsbeitrag auch den Gesamterfolg des Instituts sowie den Erfolgsbeitrag der Organisationseinheit, die der Mitarbeiter zugeordnet ist, berücksichtigen. Der Anteil der variablen Vergütung, der zeitlich verzögert ausgezahlt wird, soll zwischen 40% und 60% liegen und für Top-Verdiener und Entscheidungsträger in den Banken über 60% betragen. Die Boni sollen erst mit mindestens 3-jähriger Verzögerung ausgeschüttet werden. Die variable Barvergütung soll teilweise durch unterschiedliche Formen der Beteiligung am Unternehmenswert substituiert werden, um eine intensivere Bindung der Interessen der Empfänger der Prämien an die langfristige Stabilität der Institute zu bewirken. Mehr als 50% der variablen Vergütung soll in Form von Aktien oder ähnlichen Instrumenten ausgeschüttet werden, die keine negativen Vergütungsanreize auslösen.

Die neuen Vergütungsregeln verzichten auf explizite Gehaltsobergrenzen und setzen stattdessen auf strikte Regeln und höhere Kapitalanforderungen an Banken – mit dem Ziel, die Stabilität des Finanzsystems zu erhöhen und dasselbe robuster zu gestalten. Der Bankensektor ist angehalten, die gegenwärtigen Bonuszahlungen zu begrenzen und Mittel einzusparen, um den zukünftig höheren Eigenkapitalanforderungen gerecht zu werden. Für den Fall, dass Kreditinstitute die strengeren Vergütungsgrundsätze umgehen, sind Sanktionen in Form höherer Eigenkapitalanforderungen möglich. Die Nationalstaaten mussten die FSB-Standards umgehend umzusetzen.

Europäische Union

Auf der EU-Ebene wurde im November 2010 eine Richtlinie zur Vergütungspolitik im Finanzdienstleistungssektor verabschiedet.² Diese fand Eingang in die Vergütungsregeln des Ausschuss der europäischen Bankaufsichtsbehörden (CEBS) vom Dezember 2010. Vereinbart wurden noch strengere Vorschriften für Bonuszahlungen, die ab dem Geschäftsjahr 2011 in Kraft treten und für

¹ FSB, Principles for Sound Compensation Practices - Implementing Standards vom 25.09.2009.

² CEBS, Draft guidelines on Remuneration Policies and Practices vom 08.10.2010.

alle Kreditinstitute gelten. Der Richtlinie zufolge, die noch in nationales Recht umzusetzen ist, müssen zwischen 40% und 60% der variablen Vergütungskomponenten mindestens 3 bis 5 Jahre zurückgestellt und mit einem Malusvorbehalt versehen werden. Darüber hinaus muss mindestens die Hälfte der Boni in Form von Aktien oder gleichwertigen Beteiligungen ausgeschüttet werden, das heißt, maximal 30% (bei besonders hohen Boni maximal 20%) dürfen direkt (unverzögert) in bar gezahlt werden. Die variable Vergütung muss in einem angemessenen Verhältnis zum Gehalt stehen. Für staatlich unterstützte Banken gelten strengere Regeln. Die Vergütungsregeln erstrecken sich auch auf die nichteuropäischen Beschäftigten, d.h. auf die weltweiten Angestellten der Banken mit Sitz in der EU.

5. Fazit

Auf dem G-20-Treffen in Pittsburgh wurden erste Schritte auf dem Weg einer internationalen Harmonisierung der Regeln für die variable Vergütung von Bankbeschäftigten beschlossen. Mit der weitgehend zeitgleichen Einführung der neuen Vergütungsstandards im In- und Ausland wollen die Regulatoren möglichen Wettbewerbsnachteilen vorbeugen und eine schnelle Umsetzung der neuen Regeln bewirken. Die Vergütungsstandards beziehen sich dabei auf die Kriterien für die Bonuszahlungen und nicht auf deren Höhe. Der Gesetzgeber soll auf die den Bonuszahlungen zugrundeliegenden Anreizen Einfluss nehmen, aber auf das Mikromanagement verzichten. Die Banken müssen auch weiterhin in Abhängigkeit ihrer Größe, der internen Organisation sowie Art, Umfang und Komplexität der Geschäftstätigkeit einen Freiraum für die Gestaltung der bankinternen Vergütungssysteme haben.

Die staatliche Regulierung kann ein risikopolitisch angemessenes Verhalten der Beschäftigten in der Finanzindustrie nicht erzwingen, sondern ist auf die Zusammenarbeit mit den Banken und deren Eigenkontrolle angewiesen. Der Finanzsektor muss erkennen, dass die Neugestaltung der Anreizsysteme im Eigeninteresse liegt und künftig die stabile Entwicklung der Institute im Mittelpunkt stehen sollte. Die Aufsichtsbehörden müssen diesen Prozess überwachen. Die Erhöhung der Transparenz der leistungs- und erfolgsabhängigen Vergütung ist dringend geboten. Damit einher geht die Zurückgewinnung der Akzeptanz der Vergütung der Beschäftigten in der Öffentlichkeit. Langfristig ist auch die Finanzwirtschaft auf die Anerkennung durch das gesellschaftliche Umfeld angewiesen.

Theoretical and Empirical Analysis of Bonus Payments in the Financial Industry

A. Nastansky,
S. Gelashvili

This article reviews theoretical and empirical evidence of regulation compensation schemas in banks. The prospect of receiving exorbitant bonus payments if business objectives were achieved was one of many reasons that misguided bank managers in the run-up to the financial crisis to pursue high risk corporate strategies that endangered the long-term stability of the financial institutes and all in all the financial industry. The improper conduct of bank managers can be partially attributed to the incentive structures approved by shareholders.

In the meantime, as a result of the dramatic developments during the global financial crisis, considerable changes in the structuring of compensation systems are underway. We provide an overview of the changes in statutory regulations in compensation policy within the financial industry. New regulations will require compensation practices that reward long-term performance rather than short-term gains. Moreover, the exigency and the constraints of regulating banker's payment are discussed.

**ფინანსურ ინდუსტრიაში ბონუსური გადახდების
თეორიული და ემპირიული ანალიზი**

**ნასტანსკი,
ს. გელაშვილი**

სტატიაში განხილულია ფინანსურ სექტორში და განსაკუთრებით კი საბანკო ინდუსტრიაში კომპენსაციის სქემების თეორიული და ემპირიული შემთხვევები. გაანალიზებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც ბიზნესის მიზნების მისაღწევად იღებდნენ გადაჭარბებულ ბონუსებს, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში. ამან შეცდომაში შეიყვანა ბანკების მენეჯერები - ფინანსური კრიზისის დაძლევის პროცესში დადევნებოდნენ მაღალრისკიან კორპორაციულ სტრატეგიებს. ამან გამოიწვია მკვეთრი ასიმეტრია როგორც მიკრო, ასევე მაკროდონეზ და საფრთხეში ჩააგდო ფინანსური ინსტიტუტების გრძელვადიანი სტაბილურობა და საერთოდ ყველა სეგმენტი ფინანსურ ინდუსტრიაში (განსაკუთრებით აშშ-ში). ბან-

კების მენეჯერთა უმეტესობამ მიღებული დიდი კომპენსაციები მიმართეს სხვადასხვა აქციის შეძენაზე, რომელთა ფასი კრიზისამდე საკმაოდ მაღალი იყო. მეწილეთა მიერ დადგენილი და მიღებული სტრუქტურა შესაძლოა ნაწილობრივ ყოფილიყო მიზეზი ბანკების მენეჯერების გაუმართლებელი და არაადეკვატური ქმედებებისა. ამასობაში კი ჩამოყალიბდა გლობალური საბანკო კრიზისის დრამატული განვითარების მეკუთრად უარყოფითი შედეგი: უამრავი ცვლილება და ქაოსი საკომპენსაციო სისტემის სტრუქტურაში სხვადასხვა ქვეყანაში, რომლის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ქვეყნის მთავრობა მოუშზადებული აღმოჩნდა.

აგტორთა მიერ განხილულია ასევე ფინანსური ინდუსტრიის შიგნით საკანონმდებლო წესებში ცვლილებების გავლენა კომპენსაციის პოლიტიკის მიმართულებით. აშშ-სა და ევროპის ფინანსურ ინდუსტრიაში შემოღებული ახალი წესები მოითხოვს ისეთი კომპენსაციის პრაქტიკას, რომელიც მოგვცემს დადებით შედეგს გრძელვადიან პერიოდში და არა მოკლევადიან მოგებებს, თუნდაც ზოგჯერ საკმაოდ მაღალს. მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის კომპეტენცია და მოქმედების არეალი საბანკო ინდუსტრიაში შეზღუდულია. აქ კი უკვე საჭირო ხდება ქვეყნების ჯგუფების ერთობლივი მკაცრი ღონისძიებების გატარება (მაგალითად, დიდი ოცეული, ევროკავშირი და სხვ.). მაგრამ, ეს ღონისძიებები მიმართულია გრძელვადიან სტრატეგიაზე და არ იწვევს ელვისებურ დადებით ეფექტებს ფინანსურ სექტორში. პირიქით, კრიზისის დროს მოკლევადიან პერიოდში უფრო საგრძნობი ხდება უარყოფითი ეფექტები, რაც ხშირად იწვევს თანმდევ სოციალურ აფეთქებებს.

გარდა ამისა, სტატიაში განხილულია ბანკების მიერ გადახდების დიფერენცირებული რეგულირების საჭიროება და მისი ადეკვატური ჩარჩოების განსაზღვრა. ამისათვის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ შემუშავდა სპეციალური სტანდარტები, მაგალითად „დიდი ოცეულის“ ფინანსური სტაბილურობის საბჭოს მიერ დადგენილია 19 სტანდარტი, რომელთა ნაწილი ითვალისწინებს გრძელვადიან პერიოდში პირდაპირი მაღალი ბონუსების შემცირებას (იგი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 20%-ს). ზოგიერთი კრიტერიუმი ითვალისწინებს ბანკების უმაღლესი მენეჯმენტის მიერ რისკების კონტროლის გაძლიერებას. ყოველივე ეს საფინანსო ინდუსტრიის გრძელვადიანი სტაბილურობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

**კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების
ალგორითმი ეკონომიკური
კვლევის პროცესში**

პანო ჯანდიერი

თსუ-ის მოწვეული პროფესორი

ნებისმიერი სახეობის შრომითი საქმიანობისას, მართვის ან სამეურნეო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აუცილებელია იმის წინასწარ განჭვრეტა, როგორ შეიცვლება შრომითი საქმიანობის კონკრეტული სფერო მომავალში. ამ თვალსაზრისით პროგნოზირება წარმოადგენს ეკონომიკური მართვის პროცესის განუყოფელ ნაწილს.

სტატიაში ნაჩვენებია სახეთა ამოცნობის ერთ-ერთი ალგორითმის - “კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების ალგორითმის” დახმარებით ეკონომიკური ობიექტების (საწარმოს, დარგის, რეგიონის) ფუნქციონირების კანონზომიერების ანალიტიკური აღწერისა და ობიექტების “გამოსავალზე” მისაღები მნიშვნელობის პროგნოზირების პროცედურა.

ზოგადად, სახეთა ამოცნობის ალგორითმების ან ნეიროქსელური მეთოდების გამოყენება, ეკონომიკურ-სტატისტიკური მოდელირების ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა; მაგალითად, ისეთის, როგორიცაა მათემატიკურ მოდელებსა და ეკონომიკურ რეალობას შორის ადეკვატურობის მიღწევა. სახეთა ამოცნობის ალგორითმების გამოყენებამ რეგრესიულ ანალიზთან კომბინაციაში, მიგვიყვანა მოდელების ახალ ტიპებთან, როგორიცაა, მაგალითად, კლასიფიკაცია ან უბან-უბან წრფივი.

ალგორითმების სასრული რაოდენობიდან ყველაზე პრიორიტეტული ალგორითმის შერჩევა შეიძლება გაგებული იქნეს როგორც რანჟირების ან გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო რომელიმე ალგორითმის შერჩევის პროცედურა.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ისეთი მეთოდების გამოყ-

ენებას, როგორიცაა ფაქტორებისათვის აპრიორულად წონების მიკუთვნება ან ფაქტორების შეწონილ მნიშვნელობათა ჯამის მაქსიმალური მნიშვნელობის მოძებნა, მიყვავართ არაობიექტურ და არაღამაკმაყოფილებელ შედეგამდე. ამ შემთხვევაში, რთულია წონების მნიშვნელობების განსაზღვრა, რადგან ის უნდა შეირჩეს ან კონკრეტული ამოცანისათვის ან კონკრეტული ობიექტისათვის (ობიექტებისათვის) ცალ-ცალკე.

მოდელის ძიების პროცედურა შემდეგია: დავუშვათ, რომ არსებობს ობიექტების რაღაც სიმრავლე M , რომელიც მიმართულია რაღაც კონკრეტული მიზნის მიღწევისაკენ. ყოველი ობიექტის ფუნქციონირება ხასიათდება n ნიშანთვისებით, ანუ არსებობს გადასახვა $\Phi: M \Rightarrow R^{(n)}$, ეკონომიკური ობიექტის მდგომარეობის ვექტორია $X = \{x_1, x_2, \dots, x_n\}$, რომელიც ჩვენს ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო ეკონომიკური ობიექტის ფუნქციონირების ხარისხის მაჩვენებლად, მოცემული $X = \{x_1, x_2, x_3, \dots, x_n\}$ ვექტორისათვის - $f_0(x), f_1(x), \dots, f_n(x)$, სადაც თითოეული მათგანი რაღაც გარკვეულ საზღვრებშია მოთავსებული და ზოგიერთი მათგანი, გარკვეულ შემთხვევაში, საჭიროებს მინიმიზებას ან მაქსიმიზებას.

ზოგადად, ამოცანის ასეთი სახით დაყენება, გარკვეულ თვალსაზრისით, შეიძლება წინააღმდეგობრივი აღმოჩნდეს, ამიტომ, აუცილებელია ამოცანის უფრო კორექტულად და ეკონომიკურ შინაარსთან უფრო დაახლოებული ფორმით დაყენება.

ექსპერიმენტულად მიღებული მონაცემების სასრული რაოდენობის შემთხვევაში მათემატიკურ მოდელად შესაძლებელია გამოდგეს რეგრესიული განტოლება ან პროგნოზირების წესი. მცირე ამონარჩევის შემთხვევაში ეფექტურია სახეთა ამოცნობის ალგორითმზე მიმართვა.

ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებისა და დიაგნოსტიკისათვის გამოყენებული მათემატიკური აპარატი, უნდა ითვალისწინებდეს ფაქტორების ვარიაციას, არსებითი ნიშანთვისებების გამოყოფასა და ე.წ. სასარგებლო ნიშანთვისებების (მეორადი პარამეტრების) შერჩევის პროცედურასაც.

ასეთად შესაძლებელია ნეირონული ქსელის, როგორც გადაწყვეტილების მიღების კოლექტიურ სისტემის განხილვაც, რომელიც წარმოჩინდება როგორც ნეირონების ოპტიმალურად

მუშაობის მექანიზმი, რომლის კოლექტიური გადაწყვეტილება იქნება ინდივიდუალური გადაწყვეტილებების შეთანხმების შედეგი. აქ კოლექტიური გადაწყვეტილება უნდა წარმოადგენდეს სისტემის – “შესავალზე” მოცემულ ობიექტების ინფორმაციაზე, პროგნოზირების სისტემის – “გამოსავალზე” სწორ რეაქციას.

ამოცანის ამოხსნისა და დიაგნოსტიკისათვის გამართლებულია, აგრეთვე, ე.წ. კომიტეტური კონსტრუქციის, ანუ მოკლედ – კომიტეტების იდეის შემოტანაც¹. იდეის არსია ისეთი ალგორითმების კოლექტივის შექმნა, რომლის გადაწყვეტილების მიღებისა და დიაგნოსტიკის მოდელი იძლევა უტოლობათა სისტემას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებას. ამგვარად, კომიტეტი უტოლობათა სიმრავლეა, სადაც გადაწყვეტილება მიიღება იმ ალგორითმის მიერ, რომლის საშუალებითაც ხდება ობიექტების ამონარჩევის უდიდესი რაოდენობის სწორი კლასიფიცირება.

აღნიშნული დიაგნოსტიკის მექანიზმების რეალიზაცია დაკავშირებულია როგორც ტექნიკურ სირთულეებთან, რაც გამოიხატება მისი რეალიზაციის მრავალსაფეხურიანობით, ასევე იმით, რომ კოლექტიური გადაწყვეტილება მიიღება ე.წ. ხმების უმრავლესობის პრინციპით და არ გაითვალისწინება კოლექტივში არსებული ე.წ. “მცირე კომპეტენციის” მქონე ალგორითმის გადაწყვეტილება. ამასთანავე, აქ ფაქტორების “შეწონვა” ხდება ექსპერტების მიერ ხმების უმრავლესობით, რაც არაკორექტულია და ნაკლებად ეფექტურია პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პრაქტიკაში ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისას, ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისტემის შესავალზე არა მარტო მეტრულ სისტემაში ან მხოლოდ ბინარულად აღწერილ ნიშანთვისებებიან ვექტორებთან, არამედ ე.წ. შერეულ (ანუ როგორც ბინარულ, ასევე მეტრულ სისტემაში აღწერილ) ნიშანთვისებებიან ვექტორებთან².

¹ Вл. Д. Мазуров. Метод комитетов в задачах оптимизации и классификации. М., «Наука», 1990.

² Бокс Дж., Дженкинс Г. Анализ временных рядов. Прогноз и управление. Вып.1, М., «Мир», 1971, 406 с., Левин А.И. Математическое моделирование в исследованиях и проектировании станков. М.: «Машиностроение», 1978.

იმის გამო, რომ რეალურ ცხოვრებაში, რეალურ საწარმოსა და ეკონომიკურ სისტემებში გვხვდება ე.წ. შერეულ ნიშანთვისებებიანი ვექტორები, პროგნოზირების კლასიკური მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენება შეუძლებელია. ამიტომ, საჭიროა ისეთი ევრისტიკული მეთოდის შემუშავება, რომელიც დაფუძნებული იქნება სახეთა ამოცნობის ალგორითმზე და მოგვცემს შერეულ ნიშანთვისებებიანი ვექტორების პროგნოზირების საშუალებას.

ამგვარად, გადასაწყვეტია ორი ამოცანა:

1. მოიძებნოს ისეთი ევრისტიკული ალგორითმი, რომელიც უზრუნველყოფს კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებას;
2. ამ ევრისტიკული ალგორითმის საშუალებით, შერეულ ნიშანთვისებებიანი ვექტორებისათვის, შედეგის პროგნოზირება.
3. ჩვენ მიერ შემოთავაზებული კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების ევრისტიკული ალგორითმის არსი შემდეგია:

დღეისათვის უამრავი სახეთა ამოცნობის ალგორითმია ცნობილი, მაგრამ ნებისმიერი სახეთა ამოცნობის ამოცანის ამოხსნის წინ საჭიროა შერჩეული ალგორითმის შესაბამისობის დადგენა ამოცანის სპეციფიკასთან, როგორცაა მაგალითად, ობიექტების კომპაქტურობა, ნიშანთვისებების დამოუკიდებლობა და ა.შ.

ხშირ შემთხვევაში ასეთი შესაბამისობის დადგენა ან შეუძლებელია ან დიდ გამოთვლებთანაა დაკავშირებული. ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად შემოტანილი იყო სხვადასხვა ალგორითმის ერთ კოლექტივში გაერთიანების იდეა¹, რომელიც კოლექტივში გაერთიანებული ალგორითმებისა და ამოცანის შესაბამისობის პირობების შემოწმებას უზრუნველყოფს, ამასთან კოლექტივის წევრი ალგორითმების “კომპეტენტურობის არეს” განსაზღვრავს.

ალგორითმების კოლექტივში იგულისხმება ალგორითმების სასრული რაოდენობის სიმრავლე $R=\{R_1(X), R_2(X), \dots, R_L(X)\}$, სადაც $R_i(X)$ არის ალგორითმების კოლექტივის i -რი წევრი, ხოლო L - კოლექტიური გადაწყვეტილების მისაღებად გაერთიანებული

¹ В. Джандиери. Оптимизации принятия коллективного решения с помощью смешанного алгоритма случайного поиска დიდი სისტემების მართვის XIV საერთაშორისო სიმპოზიუმი, “Control 2000”, 2000წ. გვ. 32-36.

ალგორითმების საერთო რაოდენობა.

კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების სქემა შემდეგია: კოლექტიური გადაწყვეტილება S განისაზღვრება როგორც $\{R_i(X)\}$ ($i=1,2,\dots,L$) კოლექტივის ალგორითმების ინდივიდუალური გადაწყვეტილებების $\{S_i\}$ ($i=1,2,\dots,L$) რაღაც ფუნქცია F :

$$S = F(S_1, S_2, \dots, S_L, X) \quad (1)$$

F ფუნქციის სინთეზის არსი დაიყვანება კოლექტივის წევრი ალგორითმების ე.წ. “კომპეტენტურობის არეების” განსაზღვრაზე, რომელიც ასევე რომელიმე, თუნდაც მარტივი, მაგრამ მრავალკლასიან სახეთა ამოცნობის ალგორითმით ხორციელდება. აქ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კოლექტიური გადაწყვეტილება მიიღება არა ხმათა უმარტივესი უმრავლესობის მიხედვით – ფიქსირებული წონის კოეფიციენტებით, არამედ როგორც ეს ფორმულა (1)-დან ჩანს, იცვლება “შემაჯავლი” ინფორმაციის – სხვადასხვა X სიტუაციის მიხედვით.

ასეთნაირად სინთეზირებული ალგორითმების კოლექტივის არსებითი ნაკლოვანი მხარეა ის, რომ სინთეზირების პროცედურის დასრულების შედეგად, კოლექტივში ე.წ. “კომპეტენტური” ალგორითმების გარდა, შესაძლებელია გაერთიანებული აღმოჩნდეს “არა კომპეტენტური” ან “ნაკლებად კომპეტენტური” ალგორითმებიც. გადასაწყვეტია კოლექტივში შემაჯავლი ალგორითმების პარამეტრების ოპტიმიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ალგორითმების კომპეტენტურობის არეების დაზუსტებას. თუ R კოლექტივის $R_i(X)$ ალგორითმის პარამეტრებია $W_i = (w_{i1}, w_{i2}, \dots, w_{iki})$, მაშინ კოლექტივის პარამეტრები იქნება $W = (W_1, W_2, \dots, W_L)$ და კომპეტენტურობის არეების ოპტიმიზაციის პროცედურა დაიყვანება ოპტიმიზაციის შემდეგ ამოცანამდე:

$$Q(W) \longrightarrow \min \Rightarrow W^* \quad (2),$$

$$W_i \in \Omega_w,$$

სადაც, W^* - კოლექტივის კვაზიოპტიმალური პარამეტრებია განზომილებით $\sum_{i=1}^L$, W_i - i -ური ალგორითმის პარამეტრებია, ხოლო Ω_w - კოლექტივის პარამეტრების ოპტიმიზაციის არე.

2. საწარმოო პროცესი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც “შემაჯავლი” მატერიალური ნაკადის (ნედლეულის,

ნამზადის, ნახევარფაბრიკატების და ა.შ.) მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესი, რომლის დროს იხარჯება ენერგია და აუცილებელი ინფორმაცია. საწარმოო პროცესის შესაძლებლობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სხვადასხვა სახეობის რესურსის არსებობაზე. ასეთებია, მაგალითად, მასალები, მუშახელი, დანადგარები და მათი ტექნიკური მდგომარეობა, ხელსაწყოები, აღჭურვილობა და ა.შ., ანუ წარმოების ფაქტორები. აუცილებელია აღინიშნოს, რომ წარმოების ფაქტორებიდან ზოგი მეტრულ განზომილებას, ზოგიც ბინარულ მნიშვნელობას ღებულობს. საწარმოო პროცესის შედეგი ფასდება ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლებით, როგორიცაა შრომის მწარმოებლურობა, პროდუქციის თვითღირებულება, ხარისხი და ა.შ.

ხშირია მოთხოვნა, რომ ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი უნდა აკმაყოფილებდეს ნორმატიულ მნიშვნელობას, რომელიც ზოგადად უტოლობის სახითაა წარმოდგენილი. ასე, მაგალითად, თუ E რომელიმე ეკონომიკური მაჩვენებელია, ხოლო E_n – მისი ნორმატიული მნიშვნელობა, ხშირად მოითხოვება, რომ ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი აკმაყოფილებდეს უტოლობას - $E \leq E_n$ ან $E \geq E_n$ ¹.

საწარმოო პროცესის სახეთა ამოცანის ალგორითმით პროგნოზირებისათვის მიიღება შემდეგი პიპოთეზა: ვთქვათ, t_0 დროში არსებობს წარმოების ფაქტორების ვექტორი $X(t_0) = \{X_1(t_0), X_2(t_0), \dots, X_n(t_0)\}$. უნდა დავუშვათ, რომ $X(t_0)$ არსებობის გამო $t_0 + T$ დროის მომენტში მიიღება ეკონომიკური მაჩვენებლების ვექტორი²:

$$E(t_0 + T) = \{E_1(t_0 + T), E_2(t_0 + T), \dots, E_m(t_0 + T)\},$$

ანუ არსებობს ასახვა X სივრციდან E სივრცეში, რაც შესაძლებელია ინტერპრეტირებული იყოს როგორც ფუნქციონალური ან როგორც კორელაციური დამოკიდებულება.

$E_i (i=1, \dots, m)$ კომპონენტები შესაძლებელია აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს ნორმატიულ პირობებს. იმის მიხედვით თუ რომელი E_i აკმაყოფილებს და რომელი არა ნორმატიულ პირობებს, ვექტორი E შესაძლებელია მიეკუთვნებოდეს ერთ-ერთ

¹ А. М. Кенин, Вл. Д. Мазуров, Д. Р. Первушин Опыт Применения Нейронных Сетей В Экономических Задачах, М., 2007.

² Сараев М.В. Распознавания образов в экономических исследованиях. М., 2008.

არაკვეთად კლასს: $K_1, K_2, \dots, K_j$. ვექტორი E შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც სახე შესაბამის სივრცეში.

$X(t_0) \Rightarrow E(t_0+T)$ სახის ასახვის არსებობის გამო გადასაწყვეტი იქნება შემდეგი ამოცანა: ვიცით რა ვექტორი $X(t_0)$, განესაზღვროთ $E(t_0+T)$ ვექტორის კლასი არაკვეთად $K_1, K_2, \dots, K_j$ კლასებს შორის.

ამ ამოცანის ამოხსნის სირთულე, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის ის, რომ ზოგიერთი ფაქტორი (ვექტორის კომპონენტი) მეტრიკულ სივრცეში იზომება, ხოლო ზოგიერთი ღებულობს ბინარულ მნიშვნელობას (ვთქვათ 1-აქვს ნიშანთვისება, 0 - არა აქვს), ამასთან, ზოგ შემთხვევაში, მეტრიკული მნიშვნელობის ნიშანთვისებები მნიშვნელოვნად ჭარბობს ბინარულს, ზოგ შემთხვევაში – პირიქით.

განვიხილოთ შემთხვევა, როცა მეტრიკული ტიპის ნიშანთვისებების რაოდენობა გაცილებით აღემატება ბინარული ტიპის ნიშანთვისებებს. ვთქვათ, n არის ობიექტთა მთელი სივრცის განზომილება, ხოლო m – მეტრიკულ მნიშვნელობებიან ნიშანთვისებების რაოდენობა, მაშინ ბინარულ ნიშანთვისებათა რაოდენობა იქნება $n-m$, ამასთან, სამართლიანია პირობა $m \gg n-m$.

შერეულ ნიშანთვისებიანი ობიექტების კლასიფიცირებისათვის გამოიყენება შემდეგი ევრისტიკული ალგორითმი: სასწავლო ამონარჩევის ყველა ობიექტი ერთმანეთთან წყვილ-წყვილად დარდება და ის ობიექტები, რომელთა ბინარული ნიშანთვისებები ერთმანეთს ემთხვევა, ერთიანდება ერთ ჯგუფში. ამგვარად მოხდება სასწავლო ამონარჩევის ყველა ობიექტის დაჯგუფება გარკვეული რაოდენობის ობიექტების ქვესიმრავლეებად. ასეთი წესით სასწავლო G ამონარჩევი იყოფა G_j ($j=1, 2, \dots, g \leq 2^{n-m}$) ქვეამონარჩევებად, სადაც $UG_j = G$. შემდეგ ნაბიჯზე ბინარული ნიშანთვისებების უგულებელყოფით, უკვე m განზომილებიან მეტრიკულ სივრცეში, ზემოთ აღწერილი წესების თანახმად, ყოველ j ამონარჩევის ქვესიმრავლე j -ზე სახეთა ამოცნობის ალგორითმების კოლექტივიდან R მოიძებნება ისეთი R_j ალგორითმი, რომელიც ყველაზე დიდი ეფექტურობით ხსნის დასმულ ამოცანას, ანუ იგი “ყველაზე კომპეტენტურია”.

კოლექტიური გადაწყვეტილების ალგორითმის ეფექტურობა, შერეულ ნიშანთვისებიანი ობიექტების და $m \gg n-m$ პირო-

ბის არსებობის შემთხვევაში, უნდა შეფასდეს კრიტერიუმით $Q = \sum_{j=1}^G Q_j N_j / \sum_{j=1}^G N_j$, სადაც j არის კოლექტივის წევრი R_j ალგორითმის შეცდომის აღბათობა j -ქვეამონარჩევზე. ქვეამონარჩევის მოცულობაა, ხოლო - მთელი სასწავლო ამონარჩევი.

საკონტროლო ობიექტი X -ის კლასიფიკაციისთვის საჭიროა ე.წ. ჰემინგის მანძილის გამოთვლა n - m ბინარული ნიშანთვისების მიხედვით X -საკონტროლო ობიექტსა და სასწავლო ამონარჩევის ყველა ობიექტს შორის. ამით განისაზღვრება ყველზე “ახლოს” მდებარე ობიექტი X_j და შესაბამისად ის სასწავლო ამონარჩევის ქვესიმრავლე j , რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული ობიექტი. საკონტროლო ობიექტის კლასიფიკაცია კი მოხდება ამ ქვესიმრავლეზე სინთეზირებული კოლექტივის წევრებს შორის ყველაზე კომპეტენტურ R_j ალგორითმის საშუალებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სახეთა ამოცნობის თეორიისა და მეთოდების გამოყენება, თანამედროვე მათემატიკურ-სტატისტიკურ მეთოდებთან ერთად, იძლევა წარმოების პროცესის პროგნოზირების საშუალებას სრული მოცულობით, ანუ მეტრიკული და თვისებრივი ნიშანთვისებების გათვალისწინებით.

Collective Decision-making Algorithm in Economic Research Process

V. Jandieri

The article discusses the possibility of applying collective algorithms of type identification for solving economic problems. For this purpose we introduce the collective decision-making algorithm which ensures making a quasi-optimal decision based on highlighting the areas of competences. For the effective functioning of type identification collective algorithm the article suggests the heuristic approach which ensures classification of objects having mixed (measured by different scales - metric and binary) characteristics.

The article shows that the application of collective decision-making algorithm, along with the statistical methods, allows forecasting of the production processes to full extent.

გეონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

1 თამარ პატარია. ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობა: სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინები და ახალი შესაძლებლობები. - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, პოლიტიკის ანგარიში. თებერვალი, 2010, გვ. 5.

საზოგადოებრივი სექტორის მაღალ ინტერესზე და მონაწილეობის ხარისხზე.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში საზოგადოებრივი სექტორის აქტიურ მონაწილეობას ხაზს უსვამს ევროკავშირიც და ამას ოფიციალური პირები ხშირად აცხადებენ სხვადასხვა საჯარო გამოსვლებში. ჯერ კიდევ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის დამფუძნებელ სხდომაზე, 2009 წლის 17 ნოემბერს, ბენიტა ფერერო-ვალდნერმა ხაზი გაუსვა აღმოსავლეთის პარტნიორობაში სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სიძლიერეებს და დიალოგისა თუ გამოცდილების ურთიერთგაზიარებას სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებას, მთავრობებსა და ევროკავშირს შორის¹.

ევროკავშირთან თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანი სფეროებიდან ერთ-ერთი სწორედ ევროკავშირის ეკონომიკაში თანდათანობითი ინტეგრაცია და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერაა. ამასთან, აღმოსავლეთის პარტნიორობა ითვალისწინებს დამატებითი ფინანსური დახმარების გამოყოფას იმ პროექტებისათვის, რომლებიც შეამცირებს სოციალურ თუ ეკონომიკურ უთანასწორობას და განამტკიცებს სტაბილურობას აღმოსავლეთის პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებში. ამდენად, ევროკავშირთან ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა აღმოსავლეთის პარტნიორობის კონტექსტით.

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში ინტეგრაციის აქტუალურობას ასევე ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ მრავალმხრივი თანამშრომლობის ოთხი თემატური პლატფორმიდან ერთ-ერთი ეკონომიკურ ინტეგრაციას და ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოებას ეხება. აღნიშნული თემატური პლატფორმა პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის და მარეგულირებელი სფეროს დაახლოებისკენაა მიმართული.

¹ Benita Ferrero-Waldner - ევროკომისარი საგარეო ურთიერთობებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, მოხსენება: Civil Society Forum strengthens the Eastern Partnership, აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი. ბრიუსელი, 17 ნოემბერი, 2009.

ევროკავშირთან ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის თავალსაზრისით, მნიშვნელოვანია ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი, ვინაიდან იგი აერთიანებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოებების, ბიზნესორგანიზაციების და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მისი მთავარი ამოცანაა რეკომენდაციები გაუწიოს ევროპულ სტრუქტურებს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს გააჩნია სამი დამატებითი ფუნქცია:

1. სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული და ევროპული ორგანიზაციების ჩართვის გაძლიერება ევროპული ინტეგრაციის პროცესში;

2. მისი საქმიანობით და მისი წევრების საშუალებით მჭიდრო კონტაქტის დამყარება ევროკავშირსა და მის მოქალაქეებს შორის;

3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლის გაძლიერება მის მეზობელ სახელმწიფოებში¹.

აღმოსავლეთის პარტნიორობის დაფუძნების დღიდან ევროკომისიამ მიმართა ევროპარლამენტს და საბჭოს, რათა ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს აქტიური მონაწილეობა მიეღო აღმოსავლეთის პარტნიორობის განხორციელებაში, კერძოდ-სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში. ამ მანდატის ფარგლებში, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი პოლონეთის პრეზიდენტობის პერიოდში (იგულისხმება 2011 წლის ივლისი-დეკემბერი) აქტიურად ერთვება ოთხივე პლატფორმის საქმიანობაში. აღმოსავლეთის სამეზობლოს საკონტაქტო ჯგუფს დაგეგმილი აქვს ყურადღებით დააკვირდეს მოლაპარაკების პროცესს ასოცირების ხელშეკრულებების თაობაზე სომხეთთან, აზერბაიჯანთან, საქართველოსა და მოლდოვასთან².

¹ ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი, www.eesc.europa.eu

² The European Economic and Social Committee during the Polish presidency. July-December, 2011, გვ.19., www.eesc.europa.eu/resources/docs/eesc-rev-2011-24-

სამოქალაქო საზოგადოების როლი როგორც ზოგადად ევროინტეგრაციის, ასევე კონკრეტულად ევროკავშირთან ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით, შესაძლოა რამდენიმე მიმართულებით განვიხილოთ:

- სამოქალაქო საზოგადოება ინფორმაციის გამავრცელებლის როლში;
- სამოქალაქო საზოგადოება დიალოგის წარმართვის როლში;
- სამოქალაქო საზოგადოება მკვლევარის და ლობისტის როლში;
- სამოქალაქო საზოგადოება მონიტორის და gap analyzer-ის როლში;
- სამოქალაქო საზოგადოება კონსულტანტის როლში.

სამოქალაქო საზოგადოება ინფორმაციის გამავრცელებლის როლში.

აღმოსავლეთის პარტნიორობის საკითხებზე სამოქალაქო ცნობიერების გაზრდა და საზოგადოებრივი ჯგუფების გააქტიურება მნიშვნელოვანია, ვინაიდან „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ შედარებით ახალი ინიციატივაა და საზოგადოების ცნობიერების დონე ამ ინიციატივის, ასევე ევროინტეგრაციისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ მწირია. საზოგადოებაში ინფორმაციის სიმწირე განსაკუთრებით რეგიონებში შეინიშნება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სწრაფად ცდილობენ მიიღონ და დაამუშაონ ინფორმაცია. ამ ტიპის ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი პრინციპი - გამჭვირვალობა კი საშუალებას იძლევა, რომ მათი მხრიდან შესაძლოდ სწრაფად მოხდეს ასევე ამ ინფორმაციის გავრცელება. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მუდმივად ხდება ევროინტეგრაციის საკითხების მეთვალყურეობა და შესაბამისად ინფორმაციის საზოგადოებისათვის ოპერატიულად მიწოდება, თუმცა, არსებობს გარკვეული ხარვეზებიც.

ევროინტეგრაციის საკითხებზე ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას (განსაკუთრებით კი რეგიონებში) ოთხი მთავარი

ხარვეზი/დაბრკოლება გააჩნია: (1). საიფორმაციო საშუალებების გარკვეული ნაწილი ხელისუფლებასთან აღიანსში იმყოფება, საიდან გამომდინარე თავს არიდებს საზოგადოებრივი სექტორის მხრიდან მიწოდებული ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას; (2). ვინაიდან, ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებად სკანდალურია, საინფორმაციო საშუალებების გარკვეული ნაწილის ინტერესის სფეროში არ ექცევა და არ შეუქდება; (3). დონორების რესურსების დიდი ნაწილი (გარდა მცირედი გამონაკლისისა) მიმართულია სახელისუფლებო სექტორის დაფინანსებაზე, საიდან გამომდინარეც ევროინტეგრაციის საიფორმაციო კომპანია და ხელისუფლების PR კამპანია ერთმანეთშია არეული; (4). რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა არ ღებულობს მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის და საქართველოს ეროვნული პლატფორმის საქმიანობაში. ამასთან, მათი გამოცდილება ევროინტეგრაციის საკითხებში შედარებით მწირია. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთის პარტნიორობაში მონაწილე სხვა ქვეყნების პრობლემაა. ამასთან, ევროპული სტრუქტურები, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ დიდ და გამოცდილ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ¹.

სამოქალაქო საზოგადოება დიალოგის წარმმართველის როლში.

ევროინტეგრაციისკენ მიმართული პოლიტიკის ფორმირებაში საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობის გარეშე პოლიტიკა შესაძლოა მხოლოდ ცალმხრივი იყოს და ნაკლებად პასუხობდეს საზოგადოების მოთხოვნილებებს/საჭიროებებს. ამასთან, ეკონომიკური და სოციალური საკითხების განხილვის დროს აუცილებელია ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა სუბიექტის მოსაზრებების გაანალიზება, რათა არ მოხდეს მხოლოდ ცალმხრივი შეხედულებებით (ხელისუფლების თუ მას-

¹ Agnieszka G. Towards a Stronger Role for Civil Society in the Eastern Partnership, European Policy Center, Policy Brief, Brussels, July 2011, p.2.

თან დაახლოებული წრეების) გადაწყვეტილებების მიღება. ამ საკითხების აქტუალურობის დასადასტურებლად მოვიყვანო მხოლოდ ერთ მაგალითს. ანტიმონოპოლიურ რეგულირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებისა და ევროკავშირის ხედვებს შორის რადიკალური განსხვავება. საქართველოს ხელისუფლებას ეკონომიკური რეფორმები აგებული აქვს ულტრალიბერალური მიდგომაზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მინიმალურ მექანიზმებს ითვალისწინებს. ხელისუფლების პოზიციის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური რეგულირება მხოლოდ კორუფციის ჩამოყალიბების საშუალებად იქცევა და არა ამ პრობლემის მოგვარების რეალურ მექანიზმად. ანტიმონოპოლიური რეგულირების ფარგლებში ხელისუფლებას დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ქმედების კონტროლი და უგულებელყოფილია კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ ბაზარზე მონოპოლიური და ოლიგოპოლური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. ამ უკანასკნელის შეზღუდვა კი ევროპის ანტიმონოპოლიური რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლებას, ერთი მხრივ, სურს ევროკავშირთან თვისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება, მეორე მხრივ, კი არ სურს ანტიმონოპოლიური რეგულირებაში ულტრალიბერალური მიდგომის დათმობა. ამას მოწმობს ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმები, ოდესაც მოხდა ანტიმონოპოლიურ სამსახურის გაუქმება, ხოლო მომდევნო წლებში კი დაიწყო დაახლოებით ამგვარი ფუნქციის მქონე ახალი სამსახურის ფორმირება¹. აქ მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ ექსპერტული გამოცდილებით მოახდინოს საკითხის კვალიფიციური და მიუკერძოებელი კვლევა, ასევე უკვე არსებული კვლევების და

¹ ეუახლოვებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თბ., 2010 წ., გვ.

შესაბამისი ხედვების შესწავლა. შემდგომ კი, აუცილებელია დიალოგის წარმართვა, ერთი მხრივ, ხელისუფლებას (მისი მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით), მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მესამე მხრივ, ევროპულ სტრუქტურებს შორის.

სამოქალაქო საზოგადოება მკველევარისა და ღობისტის როლში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, თავიანთი საქმიანობის მიმართულებების შესაბამისად, საკმაოდ კვალიფიციური კვლევები გააჩნიათ, რომელიც ეკონომიკური და სოციალური კუთხით ევროინტეგრაციის საკითხებს ეხება. კვლევებში არის როგორც საერთო პოზიცია, ასევე აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა. ეს უკანასკნელი ძირითადად ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის საკითხებს ეხება. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში არსებობს სხვა ქვეყნების ინტეგრაციული გამოცდილების შესწავლის პოტენციალი და ადეკვატური სურვილი, რათა ინტეგრაციის პროცესში საჯარო სექტორის მხრიდან ნაკლებად იქნეს დაშვებული შეცდომები. ხელისუფლების მხრიდან ამ კვლევების და შესაბამისი მოსაზრებების კვალიფიციური ანალიზი მნიშვნელოვნად შეამცირებდა იმ საკითხებს, რაც ნაჩქარევ და გაუაზრებელ პოლიტიკას შეიძლება მოყვეს. ამ თავალსაზრისით, საზოგადოებრივი სექტორი საჯარო სექტორის ფინანსებს და მხარდაჭერას არ საჭიროებს. საზოგადოებრივი სექტორისთვის ყველაზე დიდი სტიმული საჯარო სექტორის მხრიდან კვლევების პრაქტიკაში გამოყენება და განსხვავებული მოსაზრებებისათვის პატივისცემაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თავიანთი კვლევების და მიღებული შედეგების აქტიური ღობირება სჭირდებათ, რაც დამატებით რესურსებთანაა დაკავშირებული. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ღობისტური გამოცდილება მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის პროცესში. დადებითი გაგებით, ღობისტური საზოგადოებრივი საქმიანობა სახელისუფლებო ორგანოებზე მიმართული ქმედებაა, რათა მათ პოლიტიკა მიუსადაგონ საზოგადოებრივ

საჭიროებებს და მოთხოვნილებებს. ამდენად, თუ საზოგადოების დაკვეთა ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით ევროინტეგრაციაა (შესაბამისი კომპონენტებით), ადეკვატურად საზოგადოებრივი ღობისტების ქმედებაც აქეთკენ იქნება მიმართული.

ევროინტეგრაციის ასპექტით, ხელისუფლების საქმიანობაზე მეთვალყურეობისათვის სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელებაა. სამოქალაქო მონიტორინგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს სამოქალაქო სექტორის საკმაოდ შეზღუდული ინსტრუმენტების კომპლექტში ხელისუფლების საქმიანობის მეთვალყურეობისათვის. სამოქალაქო მონიტორინგი გულისხმობს სოციალური სინამდვილის გარკვეული ფრაგმენტის გეგმაზომიერ, სისტემატურ, გარკვეული სქემით ჩატარებულ კვლევას. იგი არ არის მიმართული მხოლოდ სოციალური სინამდვილის აღწერის ან დიაგნოსტიკისკენ, არამედ წარმოადგენს არსებული სინამდვილის ძალადობის გარეშე შეცვლისათვის ქმედებათა ერთ-ერთ კომპონენტს¹. მონიტორინგი არ გულისხმობს მხოლოდ განხორციელებული საქმიანობის პოსტ-ფაქტუმ შესწავლას, არამედ ის მოიცავს მიმდინარე საქმიანობის მეთვალყურეობასაც. მაგალითად, 2011 წლის 23 ივნისს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის განცხადებას, საზოგადოებრივი სექტორის მხრიდან ოპერატიული რეაგირება მოჰყვა. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, საქონლის ხორცზე ფასების 80%-იანი ზრდა გამოწვეულია ევროკავშირის ექსპერტების მოთხოვნის საშუალებით. აღნიშნულზე 27 ივნისს საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება (ხელს აწერს 14 ორგანიზაცია და 2 ინდივიდი), სადაც სხვა საკითხებთან ერთდ აღნიშნულია,

¹ სამოქალაქო მონიტორინგი (არსებული გამოცდილების და ტრენინგის მასალების კრებული), საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი, სამოქალაქო განათლების ახალგაზრდული ცენტრი, თბ., 2007., გვ. 7.

რომ საქართველოში ხორცის პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა გამოწვეულია ქართულ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არარსებობით და ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმა¹. ამავე საკითხზე, 2 ივლისს კოალიციამ - „ევროპული საქართველოსათვის“ განცხადება გაავრცელა, რითაც მოთხოვს ევრორეგულაციების ფრთხილად დანერგვისაკენ მოუწოდ² და მიიჩნია, რომ საქართველოში ხორცის გაძვირება ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირდაპირი შედეგია (ხელს აწერს 18 ინდივიდი)³. მართალია, ამ ორ განცხადებას შორის პოზიციებში მკვეთრი სხვაობაა და მეორე გარკვეული თვალსაზრისით ხელისუფლების აზრს ეხმადნება, მაგრამ ორივე საზოგადოებრივი სექტორის აზრის გამოხატვაა და ჯანსაღი დიალოგისთვის აუცილებელია. საზოგადოებრივი სექტორის ამგვარი განცხადებები არის არა მხოლოდ საკუთარი პოზიციის გამოხატვა, არამედ ხელისუფლების ე.წ. ჩავარდნების (Gap) პრევენციას უწყობს ხელს. Gap analyze მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ხელისუფლების სტრატეგიის კონტროლისათვის და საშუალებას იძლევა დადგინდეს გადახრა დაგეგმილ აქტივებსა და მიღებულ შედეგებს შორის.

სამოქალაქო საზოგადოება კონსულტანტის როლში. მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების კონსულტაციები ხელისუფლების წარმომადგენლებთან სხვადასხვა გამოცდილების გაზიარებისა და ექსპერტიზის თვალსაზრისით. მაგალითად, კონკურენციის პოლიტიკის ყოველსმომცველ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, სახელმწიფო უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს კონსულტაციებს უწევდა ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონ-

¹ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა განცხადება, თბილისი, 27 ივნისი, 2011 წ. www.epfoud.ge/georgian/siakhleni/ganckhadebebi/samoqalaqo-sazogadoebis-tsarmomadgenelta-ganckhadeba.html

² სააგენტო „პირველი“, www.pirveli.com.ge/index.php?option=com-content&task=view&id=73838&Itemid=1

³ სააგენტო „მედიანიუსი“, www.medianews.ge/index.php/ka/content/78993.

სულტაციო ცენტრის (GEPLAC) მიერ მოწვეული შვედი ექსპერტი კრიატიან ბლუმე. ამავე ორგანიზაციის მიერ მოწვეულმა ესპანელმა იურისტმა ტრენინგები ჩაატარა იმ საჯარო მოხელეთათვის, რომელთაც უწევთ მუშაობა ღრმა და ყოვლისმომცველი თვისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკებების მოსამზადებელ პერიოდში¹. თუმცა, ევროინტეგრაციის პროცესში ასეთი ფაქტები ძლზე იშვიათია და გამოწვეულია იმით, რომ საჯარო ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ სექტორს შორის დიალოგი იშვიათად ხდება და საჯარო ხელისუფლების პრიორიტეტს ხშირ შემთხვევაში არ წარმოადგენს საზოგადოებრივ სექტორთან თანამშრომლობა. ამას მოწმობს თუნდაც საქართველოს პარლამენტში შესული კანონპროექტების თნდართული განმარტებითი ბარათები, სადაც პრაქტიკულად არ ჩანს საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობა პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

ევროკომისიის ინიციატივით, 2009 წლის 7 მაისს გამართულ პრადის სამიტზე საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმს (Eastern Partnership Civil Society Forum (CSF)), რომელიც აერთიანებს ამ ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფესიული გაერთიანებების და ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებს. ფორუმის საქმიანობის ფარგლებში პარტნიორი ქვეყნების და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მსჯელობენ იმაზე, თუ რომელი პოლიტიკის შემუშავება და გატარება არის აქტუალური ცალკეული ქვეყნისთვის რეალური პროგრესის მისაღწევად, სად არის სუსტი მხარე და როგორ შეიძლება მისი აღმოფხვრა. მოკლედ სამოქალაქო საზოგადოების როლი აქტიურდება ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკის შემუშავების პროცესშიც და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პარტნიორ ქვეყნებში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში.

¹ „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბერს №1551 განკარგულება და მასზე თანდართული სტრატეგია, გვ. 7,28.

საერთოდ, სამოქალაქო ფორუმის მიზანია საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კონტაქტების ხელშეწყობა და ხელისუფლებასთან მათი დიალოგის წახალისება საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრებში წვლილის შეტანის და მათი საქმიანობის მონიტორინგის გზით, ასევე, მრავალმხრივი თემატური პლატფორმის საშუალებით. პლატფორმა ხელს უწყობს დიალოგს, ქსელების შექმნას და განხორციელების გაზიარებას (ევროკავშირში ინტეგრაციის ჩათვლით) თვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებს შორის. აღმოსავლეთ სამეზობლოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში მონაწილეობენ ევროკავშირი და მესამე ქვეყნები, ევროკომისია, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი და საერთაშორისო ორგანიზაციები/ქსელების წარმომადგენლები.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში სულ გამართულ იქნა 2 სამიტი (ფორუმი): (1). 2009 წლის 16-17 ნოემბერს ბრიუსელში, სადაც მმართველი კომიტეტი აირჩიეს და (2). 2010 წლის 18-19 ნოემბერს ბერლინში. ორივე სამიტზე ფორუმმა მიიღო რეკომენდაციები და წარადგინა საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე (შესაბამისად, 2009 წლის 8 დეკემბერს და 2010 წლის 13 დეკემბერს). 2011 წლის სამიტის ჩატარება დაგეგმილია პოლონეთში (პოზნანი) 28-30 ნოემბერს.

აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის პლატფორმაში შექმნილია ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელთაგანაც მეორე ჯგუფი ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე მუშაობს (Working Group 2: Economic Integration and Convergence with the EU Policies). სამუშაო ჯგუფში შექმნილია რამდენიმე პანელი, მათ შორისაა მცირე და საშუალო საწარმოთა და ვაჭრობის პანელები. მეორე სამუშაო ჯგუფის მიზნებია¹:

- მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა და კლიმა-

¹www.eap-csf.eu/en/working-groups/wg2-economic-integration

ტის ცვლილებებზე ადეკვატური პასუხისმგებლობა;

- სამუშაო ძალის მობილურობის და მოქნილობის ფასილიტაცია (გაძლავა);

- ძალისხმევის მიმართვა იმ პარტნიორი ქვეყნების მხარდასაჭერად, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (TWO) წევრები;

- მომხმარებელთა უფლებების დამცავი ორგანიზაციების მხარდაჭერა, რათა მიიღონ ახალი ევროვნული სამოქმედო გეგმები;

- ბიზნესკონტაქტების განახლების, ინტერნაციონალიზაციისა და ბაზარზე წვდომისათვის გამიზნული პროგრამების ინიცირება;

- აღმოსავლეთის პარტნიორობის როლის ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება ეკონომიკური ზრდის, უკეთესი რეგულაციების, სოციალური და ჯანდაცვის უსაფრთხო სტანდარტებისათვის.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი და მის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფები სამიტებზე შეიმუშავებენ რეკომენდაციებს თავიანთი სფეროს საკითხებზე. მეორე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციები როგორც ბრიუსელის¹, ასევე ბერლინის² სამიტზე. რეკომენდაციები ეხება როგორც ევროკავშირის (მისი სხვადასხვა სტრუქტურის) და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მხრიდან, ასევე, ფორუმის და სამუშაო ჯგუფების მიერ გასატარებელ ღონისძიებებს.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის კოორდინაციისათვის თითოეულ ქვეყანაში (მ.შ. საქართველოში) შექმნილია ეროვნული პლატფორმა. ეროვნულმა პლატფორმამ ხელი უნდა შეუწყოს აღმოსავლეთის პარტნიორობის როგორც მრავალმხრივი (ევროკავშირი - პარტნიორობაში მონაწილე ქვეყნები და ურთიერთობები ამ ქვეყნებს შორის), ასევე ორმხრივი (ევროკავ-

¹ www.eesc.europa.eu/eastern/civil-society/forum/working-group2-en.pdf

² www.eesc.europa.eu/eastern/civil-society/forum2010/docs/2010-csf-wg2-recommendations-/working-en.pdf

შირი - საქართველო) განზომილების ფარგლებში მიმდინარე თამანშრომლობას. ეროვნულ პლატფორმას შეადგენენ ადგილობრივი და ქვეყანაში მოქმედი საეთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე პროფესიული გაერთიანებები.

საქართველოში 2010 წლის 7 ნოემბერს ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა, რომლის ფუნქციებია:

1. აღმოსავლეთის პარტნიორობის თემატური პლატფორმებისა და სპეციალური ინიციატივების მიმდინარეობის ხელშეწყობა საქართველოში;

2. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების წარდგენისა და ფორუმის საქმიანობისათვის ხელშეწყობა¹.

საქართველოს აღნიშნული პლატფორმის ფარგლებში შექმნილია საკოორდინაციო საბჭო და 4 თემატური სამუშაო ჯგუფი, სადაც პერიოდულად მიმდინარეობს შეხვედრები, კონსულტაციები და დისკუსიები. წელიწადში 2-ჯერ იმართება საქართველოს ეროვნული პლატფორმის პლენარული სხდომები.

ეროვნული პლატფორმის მხარდასაჭერად, ფონდმა - „ღია საზოგადოება - საქართველო“ 2010 წლის ბოლოს გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 6 სხვადასხვა მიმართულების პროექტი. საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავდა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ თაობაზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის გააქტიურებას. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა ასევე საქართველოს ეროვნული პლატფორმის მხარ-

¹ აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის კონცეფცია (სამოქმედო გეგმა), თბ., 2010, გვ. 2.

ღამჟერი პროექტი - „საქართველოს ეროვნული პლატფორმა აღმოსავლეთის პარტნიორობისთვის“.

**The Role of Civil Society in Economic and Social Integration
with the European Union**

D. Narmania

Civil society plays one of the most important roles for Georgia's social and economic integration with the European Union. Integration on economic and social issues is highlighted by the circumstance that one of the four multilateral cooperation platforms is regarding economic integration and getting closer to the economic policy. From this point of view, the role of civil society is important in several directions:

- Civil society's role as a distributor of information;
- Civil society's role as a facilitator of dialogue;
- Civil society's role as a researcher and lobbyist;
- Civil society's role as a monitor and gap analyzer;
- Civil society's role as a consultant.

On November 7, 2010 Georgian national platform of Eastern Partnership civil society forum was established in Georgia. In the frame of national platform, civil society should play active part in economic and social integration with the European Union. In this way, it becomes possible for the society to get the maximum benefit.

ინფორმატიზაციის განვითარების
პერსპექტივები

გურამ მებეხელი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი**

თანამედროვე კაცობრიობა ცხოვრობს ინფორმაციული ნაკადების არნახული ზრდის პერიოდში. ეს ეხება როგორც ეკონომიკას, ასევე სოციალურ სფეროს. საბაზრო ეკონომიკა უყენებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს ინფორმაციის თავისდროულობას და სისრულეს, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ეფექტიანი მარკეტინგული, საფინანსო-საბანკო და ინვესტიციური საქმიანობის წარმოება. ინფორმაციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებითად იცვლება. იგი იძენს გარდამქმნელ და განმსაზღვრელ ხასიათს. ინფორმაციის ინდუსტრიის შექმნა და ინფორმაციული პროდუქტის საქონლად გარდაქმნა იწვევს ღრმა სოციალურ ცვლილებებს საზოგადოებაში. კერძოდ, ახდენს საზოგადოების ტრანსფორმირებას ინდუსტრიულიდან ინფორმაციულში. ინფორმაცია იპყრობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს – დაწყებულს მატერიალური წარმოებიდან, დამთავრებულს სოციალური სფეროთი. კაცობრიობის საქმიანობის ინფორმაციული პროცესების თვისებრივად ახალი მომსახურება დაკავშირებულია თანამედროვე პერსონალური კომპიუტერული ტექნიკის, ტელეკომუნიკაციური სისტემების, გამოთვლითი ქსელების გამოყენებასთან. ამასთან დაკავშირებით საზოგადოებამ სახელმწიფოს დონეზე უნდა გადაწყვიტოს ინფორმატიზაციის რიგი პრობლემა, კერძოდ: შექმნას და გამოიყენოს მოსახლეობის

მასობრივი ინფორმაციული მომსახურების სისტემები საქმიანობის სხვადასხვა სფეროში; შექმნას და განავითაროს ინფორმატიზაციის ინფრასტრუქტურის ძირითადი კომპონენტები; უზრუნველყოს მოსახლეობის კომპიუტერული განათლება; ჩამოაყალიბოს კომპიუტერული კულტურა.

საქართველოში საქონლისა და ფინანსური ბაზრების არსახელმა ზრდამ გამოიწვია ინფორმაციული პროცესების ინტენსიური მატება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. შეიცვალა მიდგომები ინფორმაციისა და ინფორმაციული მომსახურების როლის შეფასებაში სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა საწარმოო-სამეურნეო და მმართველობითი საქმიანობის სფეროში. ინფორმაცია შეადგენს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ყველა სფეროში. ახდენს უმაღლესი მენეჯმენტის აღჭურვას მართვის შეუფერხებელი მექანიზმით, ამოცანათა სწორად დასმის და მათი დასაბუთებული ტექნოლოგიური გადაწყვეტის პირობებში. სახელმწიფოს კანონშემოქმედებითი და მარეგულირებელი საქმიანობის შედეგად გაიზარდა მოთხოვნა მიკრო და მაკროეკონომიკური ობიექტებზე გამომუშავებული საადრიცხვო-სტატისტიკური ინფორმაციის უტყუარობაზე, თავისდროულობასა და კანონიერებაზე. წარმოებისა და ბიზნესის ინფორმაციული თანხლება გახდა აუცილებელი პირობა გადასახადების სრული და დროული ამოღებისა, რაც დღეისათვის არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს არსებობას და მის განვითარებას. თანამედროვე მიკროეკონომიკური სტრუქტურებისათვის ინფორმაციის ფლობა არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენადაც გარე სამყაროს განუსაზღვრელობა სულ უფრო იზრდება, რაც იწვევს ფირმების, საწარმოების, კორპორაციების, ბანკების საქმიანობის შეფასებას ხელმძღვანელობის ნებისმიერ დონეზე. ასეთ პირობებში დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება გახდეს სამეურნეო ობიექტების გამოუსწორებელი უარყოფითი შედეგების მომტანი.

მმართველობითი საქმიანობის მიზნების განხორციელებასათვის საჭირო ინფორმაციაზე მოთხოვნილების გაზრდამ წინა პლანზე დააყენა მისი ინფრასტრუქტურის კომპონენტების შექმნის პრობლემა¹. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა მოიცავს გამოთვლით ტექნიკას, კომუნიკაციის საშუალებებს, მეთოდურ და პროგრამულ უზრუნველყოფას, ტექნოლოგიური საქმიანობის დამხმარე სახეობებს. გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვის საკმარისი დონის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა უცხოეთის ქვეყნებთან. შედარებით ხელმისაწვდომი ფასებით შემოგვაქვს კომპიუტერული ტექნიკა, საჭირო პროგრამული და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. შესაბამის სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახეობის ინფორმაციის მოცულობის ზრდა მოითხოვს ფართოდ იქნეს გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიები. შესაბამისად იზრდება მოთხოვნაც სხვადასხვა შინაარსის ავტომატიზებული სისტემების დამუშავებაზე. ამ სისტემების რაოდენობრივი დაგროვება მოითხოვს ხარისხობრივ გაფორმებას და საინფორმაციო-ტექნიკური პროდუქციის ბაზრის დიფერენციაციას. ინფორმატიზაციის პროცესების ასეთი განვითარების აშკარა წინამძღვარია მორალურად მოქველებული ერთიანი სისტემის სერიის უნივერსალური ელექტრო-გამომთვლელი მანქანების გამოყენებიდან პერსონალურ კომპიუტერებსა და საინფორმაციო ქსელების გამოყენებაზე გადასვლა. მონაცემთა გადაცემისათვის ლოკალური და გლობალური ქსელების ბაზაზე იქმნება ტელეკომუნიკაციური სერვისი. ამასთან, თუ ლოკალური ქსელი აერთიანებს კომპიუტერების გარკვეულ რაოდენობას და მის საფუძველზე შექმნილ ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებს ერთი შენობის ან ოფისის ფარგლებში, გლობალური ქსელი უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას ლოკალურ ქსელებს შორის, ყველა ქვეყნის დაშორებულ ინ-

¹ა. გიორგობიანი, მ. გიორგობიანი. ინფორმაციოლოგიის საფუძვლები, „უნივერსალი“, თბ., 2009, გვ. 39.

ფორმაციულ რესურსებთან ელფოსტით, ტელეგრაფით, ფაქსით და ტელექსით მომსახურებას.

დღეისათვის ხელმძღვანელს და შემსრულებელს თავის სამუშაო ადგილზე შეუძლია წამიერად მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია კონკრეტული საწარმოო ან საბაზრო სიტუაციის გასაანალიზებლად. ასეთი გარდაქმნები მმართველობითი შრომის ორგანიზაციაში შესაძლებელი გახდა მის ტექნოლოგიაში არსებითი თვისებრივი ცვლილებების შეტანის საფუძველზე. ინფორმაციის ნაკადების გაფორმება, მონაცემთა დამუშავების მეთოდების გამოყენება, მონაცემთა ბაზებით სარგებლობა - ყოველივე ეს დღეისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

საბაზრო სიტუაციამ შექმნა პროგრამულ-ტექნიკურ პროდუქტებზე მუდმივად მზარდი გადახდისუნარიანობის პირობები. ნებისმიერი ფირმის, ორგანიზაციის, ბანკის უპირველესი მოთხოვნაა საწარმოო-სამეურნეო ოპერაციების, სააღრიცხვო მონაცემების დამუშავების, ანგარიშგების შედგენის მარკეტინგული ინფორმაციის გაფორმება და სისტემატიზაცია, რაც, საბოლოო ანგარიშით, უკავშირდება ტექნიკურ და პროგრამულ საშუალებებზე, რთულ ავტომატიზებულ ინფორმაციულ სისტემებსა და ტექნოლოგიებზე მოთხოვნილებების ამაღლებას.

ინფორმაციული პროცესების ინდუსტრიულ საფუძველზე გადასვლამ დააჩქარა თვით ინფორმაციული დარგის განვითარება, პროგრამული ტექნოლოგიების დამუშავება და დანერგვა ბიზნესის ერთ-ერთ სახედ იქცა. ყოველივე ამას ხელი შეუწყო შიგა კომპიუტერული ბაზრის ჩასახვამ, უცხოეთიდან კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის იმპორტმა. ეს კი მოითხოვს ახალ, მეცნიერულად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, მიდგომებსა და კვალიფიციურ კადრებს. განსაკუთრებით რთულ პრობლემას წარმოადგენს ეს უკანასკნელი, ვინაიდან ახალი ფორმაციის მმართველო-

ბითი კადრების ფორმირება, მათ მიერ ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების და აუცილებელი ცოდნისა და უნარების დაუფლება თავიანთი გადაწყვეტილებების სარეალიზაციოდ შესაბამის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ გარემოში, საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ფაქტობრივად, ეს არის მოსახლეობის საყოველთაო კომპიუტერული განათლების პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესის გარდაქმნას, დაწყებული საშუალო განათლებიდან, დამთავრებული უმაღლესი განათლებით. ამ მხრივ პერსპექტიულ მიმართულება უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე სასწავლო კომპლექსების შექმნა. იგი უზრუნველყოფს უწყვეტი სწავლების პროგრამის “სკოლა-უმაღლესი სასწავლებელი”, რეალიზაციას და ანხორციელებს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გადრმავებულ მომზადებას სპეციალურ დისციპლინებში, მათ შორის - ინფორმაციულ ტექნოლოგიებში.

სწავლების მოცემული ფორმის ერთ-ერთ მიზანს იმ აბიტურიენტების მომზადება წარმოადგენს, რომლებსაც აქვთ შედარებით გადრმავებული ცოდნა პერსონალური კომპიუტერების გამოყენების რომელიმე სფეროში. უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტები შერჩეული სპეციალობის მიხედვით ცოდნის შეძენით შეძლებენ დამოუკიდებლად დასვან და გადაწყვიტონ კომპიუტერიზაციის ამოცანები თავიანთი პროფესიული საქმიანობიდან, რაც ხელს შეუწყობს სპეციალისტების თანამედროვე ინფორმაციულ – ტექნოლოგიური აზროვნების ფორმირებას.

მოსახლეობის საყოველთაო კომპიუტერული სწავლების პრობლემის გადაწყვეტის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულება ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სფეროში კადრების გადამზადების ქსელის განვითარება. ასაკობრივი ნიშნით შეზღუდვის გამო ეს პრობლემა უკავშირდება უმუშევრად დარჩენილი ქართველი სპეციალისტების შრომით დასაქმებას.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს ინფორმატიზაციის საკითხების აქტუალურობა სრულიად ნათელია. მოთხოვნა ეფექტიანი და ადეკვატური რეალური სინამდვილის კომპიუტერული პროგრამების და ტექნოლოგიების დამუშავებასა და გამოყენებაზე იზრდება. ქაოსსა და ბაზრის თავისუფლებაში წესრიგის შეტანა - სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების პირველი და ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი ამოცანაა¹. აქაც კომპიუტერული ტექნოლოგია შეუცვლელია, რამდენადაც იგი ინფორმაციის შეგროვების, გადაცემისა და გარდაქმნის ახალი საშუალებების გამოყენების მეშვეობით იწვევს მმართველობითი ფუნქციის ოპტიმიზაციის და რაციონალიზაციის შესაძლებლობის გაწონასწორებას. ეკონომიკური ობიექტების მართვის მეთოდების რეფორმამ არა მხოლოდ გარდაქმნა მმართველობითი საქმიანობის ავტომატიზაციის პროცესების ორგანიზაცია, არამედ შექმნა და გაავრცელა ამ საქმიანობის რეალიზაციის ახალი ფორმები.

Prospects of Informatization Development

G. Metekheli

The article highlights that proceeding from the objective necessity of development of informatization, the main task of modern informational technologies in organizational management is to provide specialists and managers with reliable and necessary information for making well grounded managerial decisions.

¹ В.Е.Лихтенштейн, Г.В.Росс, Информационные технологии в бизнесе. Практикум, М.Финансы и статистика, 2008.с. 27.



ლელა ქალაგიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასისტენტ-პროფესორი

ბოლო ათწლეულში გლობალური მასშტაბით კონკურენციის გაძლიერებას, გადარჩენის ინსტინქტებს, პირველობის ამბიციებს, ორგანიზაციებმა უპასუხეს ცენტრალიზებულად კოორდინირებული, ავტორიტარული, მრავალდონიანი ბიუროკრატიული იერარქიიდან გასვლით და სხვადასხვა უფრო მოქნილი სტრუქტურისაკენ მოძრაობით, რომელთათვისაც დამახასიათებელია უფლებამოსილებათა ფართო დელეგირება ადგილზე, რითაც ქსელებს უფრო ემსგავსება, ვიდრე ტრადიციულ მმართველობით პირამიდებს.

კლასიკური ფორმის ბიუროკრატიის პირველი ალტერნატივა იყო საპროექტო და მატრიცული სტრუქტურები.

საპროექტო სტრუქტურები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება კონკრეტულ ვადაში ორგანიზაციის რესურსების მაქსიმალური კონცენტრირება მოხდეს განსაზღვრულ პროექტზე. თავისი არსით ის წარმოადგენს დროებით სტრუქტურას, რაც ცალკეული ამოცანის ან პრობლემის ირგვლივ იქმნება და ტექნიკურ ცოდნას უფრო ასახავს, ვიდრე ხელმძღვანელობის იერარქიის ნებისმიერ ცნებას. ამგვარი სტრუქტურები ჩვეულებრივ არსებობს მაღალტექნოლოგიურ ფირმებსა და ზოგიერთი ტიპის (განსაკუთრებით საკონსულტაციო) მომსახურების ორგანიზაციაში. სარეკლამო სააგენტოებში ჯგუფები იქმნება კლიენტთა ცალკეული დანახარჯის განსახილველად. კვლევებისა და განვითარების განყოფილებებში, კვლევითი სამუშაოების ორგანიზება შეიძლება

განხორციელდეს რამდენიმე ჯგუფის მიერ, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა პრობლემას განიხილავს. სამშენებლო კომპანიებში ჯგუფები იქმნება ცალკეულ სამუშაოთა (მაგალითად ახალი შენობის აგება) განხილვის მიზნით. ჯგუფის წევრობა ძალზე არამყარია; სხვადასხვა სპეციალისტი შეიძლება სხვადასხვა დროს იყოს მოწვეული და თანაც ერთი მუშაკი შეიძლება რამდენიმე ჯგუფის წევრი იყოს.

საპროექტო სტრუქტურებს ახასიათებს საკმაო მოქნილობა, მაგრამ რამდენიმე პროექტის ერთდროულ რეალიზაცია მოითხოვს რესურსების მათ შორის განაწილებას. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ პრობლემების დიდი ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საპროექტო სტრუქტურასთან, წარმოიშობა საპროექტო ჯგუფებს შორის ცუდი კოოპერაციის, ასევე გარემოსა და ორგანიზაციის მართვის საბაზო სტრუქტურებთან შეუთანხმებლობის გამო.

ამ პრობლემებიდან გამომდინარე, 1960 - 1970-იან წლებში შეიქმნა მმართველობის მატრიცული სტრუქტურა, რომელმაც მოიცვა ისეთი კომპანიები, როგორიცაა, „ჯენერალ ელექტრიკი“, „სითი ბანკი“ „Dow Corning“. მატრიცული ორგანიზაცია არის ფუნქციური და დივიზიური, ერთმანეთის გადამფარავი სუბორდინაციის ჯაჭვების თანაარსებობა, როდესაც თანამშრომლები ანგარიშვალდებული არიან ორი უშუალო უფროსის წინაშე.

მატრიცული სტრუქტურა ბადე - ორგანიზაციაა, რომელიც საპროექტო სტრუქტურისგან განსხვავებით, შექმნილია შემსრულებელთა ორმაგი დაქვემდებარების პრინციპით - ერთი მხრივ, უშუალოდ საბაზო ქვედანაყოფის ხელმძღვანელზე, რომელიც გამოყოფს რესურსებს (მათ შორის პერსონალს); მეორე მხრივ, დროებით მიზნობრივი ჯგუფის ხელმძღვანელზე, რომელსაც აკისრია აუცილებელი უფლებამოსილება კონკრეტული პროექტის წარმატებული რეალიზაციისთვის.

მატრიცულმა სტრუქტურამ, მართალია, მოახერხა ფუნქციური სტრუქტურის ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, მაგრამ თავადაც არანაკლები სისუსტეებით ხასიათდება. მიუხედავად მატრიცული სტრუქტურის გარემოსადმი ადაპტაციის მაღალი პო-

ტენციისა, მისი რეალიზაცია დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან. ორმაგი დაქვემდებარება შიგაორგანიზაციული კონფლიქტის საფუძველი ხდება. სტენლი დევისისა და პოლ ლოურენსის მიხედვით, რადგან „თანამშრომლები ვერ ხედავენ უფროსს, ვისაც ისინი ექვემდებარებიან, არსებობს ტენდენცია ანარქიისადმი და ფუნქციური ქვედანაყოფის ხელმძღვანელები ცდილობენ ხელთ იგდონ მთელი კონტროლი.“¹

სწრაფად ცვალებადი ბაზრის პირობებში, სამეწარმეო გარემოსა და ორგანიზაციული განვითარების გაველენით, გამუდმებით იცვლება ორგანიზაციული წყობა. მაღალკონკურენტულ, ცოდნაზე დამყარებულ გლობალურ გარემოში მოქმედი ორგანიზაციების მოთხოვნების ცვლილებების საპასუხოდ, ჩნდება ახალი მიდგომები, ქსელები და ვირტუალური ორგანიზაციები. ორგანიზაციულ ცვლილებებზე გაველენას ახდენს თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც წარმოადგენს ქსელური და ვირტუალური ორგანიზაციების ჩამოყალიბების საფუძველს. დღესდღეობით ორგანიზაციის მენეჯმენტის წინაშე დგას ქსელური და ვირტუალური სტრუქტურების შექმნის აუცილებლობა. ქსელური ორგანიზაციების წარმოშობა უკავშირდება საბაზრო ურთიერთობების გადატანას ორგანიზაციის შიგა გარემოში.

XX საუკუნის 80-იან წლებში, ქსელური ორგანიზაციების განვითარება, გამოწვეული იყო საერთაშორისო კონკურენციითა და ტექნოლოგიური ცვლილებებით. ქსელური ორგანიზაციების ფორმამ როგორც საწარმოს გადარჩენის ყველაზე საიმედო საშუალებამ, ფართო გავრცელება პოვა მკაცრი საბაზრო კონკურენციის პირობებში. ქსელური ორგანიზაციის მიზანია ამ ორგანიზაციის შემადგენლობაში შემავალი მონაწილეების პრობლემების გადაწყვეტა. ქსელური სისტემა ადამიანებს ბინიდან გაუსვლელად მოქმედების საშუალებას აძლევს და აღიარებულია მომავლის ორგანიზაციულ სტრუქტურად.

ქსელური სტრუქტურის შემთხვევაში, ორგანიზაცია „მჭიდროვდება“; მთავარ, გამაერთიანებელ როლს ასრულებს ცენტრა-

¹ Stanley M. Davis and Paul R. Lawrence. Problems of Matrix Organizations. Harvard Business Review, 1978, p.132.

ღური კვანძი, რომელიც სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით უკავშირდება სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებელ განყოფილებებს. ეს განყოფილებები სავსებით დამოუკიდებელია და ცენტრალური კვანძის მომსახურების ანაზღაურებენ მოგებიდან, კონტრაქტის საფუძველზე. განყოფილებები შეიძლება განთავსებული იყოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

რამდენადაც ქსელურ ორგანიზაციებში რთულია ზემოდან მბრძანებლობა, საჭირო ხდება პერსონალის სწავლება-გადამზადება, მათი კულტურული განვითარება, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავება. ქსელურ ორგანიზაციულ სისტემაში უნდა შეიქმნას თვითკონტროლის განხორციელების პირობები უკუკავშირის სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით.

მოქმედი ქსელური ორგანიზაციების მაგალითებად შეიძლება დასახელდეს¹:

1. ქსელური ორგანიზაცია, რომელსაც ევალება მსხვილი პროექტების განხორციელება. აქ მუშაობა ორგანიზებულია სპეციფიკური პროექტების გარშემო და ითვალისწინებს სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური მუშაკებისაგან დროებითი კოლექტივის შექმნას (მაგალითად, სამშენებლო და საწარმოო პროექტები, საგამომცემლო საქმე ან ფილმების შექმნა);

2. ქსელური ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებულია რაიონებში შექმნილი პატარა საწარმოო ფირმები (საველე ორგანიზაცია). კავშირის ეს ფორმა მოიცავს, მაგალითად, ჩრდილოეთ იტალიის საწარმოო რაიონებს (მათ შორის ისეთ კომპანიას, როგორცაა „ბენეტონი“) ან ნახევარგამტარების წარმოების ფირმას სილიკონის ველში (აშშ);

3. გეოგრაფიულად გაფანტული და ერთიან სისტემაში გაერთიანებული მსხვილი წამყვანი საწარმოო ფირმები. რომლებსაც მიეკუთვნება კარგად ცნობილი აზიური კომერციული გაერთიანება „Keiretsu“, მთავარი ამწყობი კომპანიები და სხვადასხვანაირ წვრილ მომწოდებლებს შორის (მაგალითად, „კოლგო“ შეედეთში) კორპორაციული კავშირები;

4. სტრატეგიული კავშირები. ასეთი კავშირები გავრცე-

¹ В. 3. Мильнер. Теория Организации. ИНФРА-М, М., 2010, с. 769.

ლებულია ყველა ტიპის კომპანიებს შორის, რომლებიც მიისწრაფვიან გლობალური მასშტაბით უზრუნველყონ თავიანთი კონკურენტული უპირატესობანი.

ქსელური ორგანიზაციები, სხვა ტიპის ორგანიზაციებისგან, განსხვავდება მთელი რიგი თვისებით: ქსელური ორგანიზაცია უფრო მეტად ეყრდნობა საბაზრო მექანიზმებს, ვიდრე რესურსების ნაკადების მართვის ადმინისტრაციულ ფორმებს; ის დაინტერესებულია მონაწილეთა უფრო მეტი ქმედუნარიანობით. ქსელები წარმოადგენს იმ ორგანიზაციების გაერთიანებას, რომლებიც დაფუძნებულია კოოპერაციაზე და იყენებს მათ განკარგულებაში მყოფ აქტივებს.

ქსელურ სტრუქტურასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ე.წ. ვირტუალური ორგანიზაცია, რაც იმ კომპანიების დროებითი ქსელია, რომლებიც ერთიანდება ბაზრის სწრაფად ცვალებადი შესაძლებლობების გამოსაყენებლად.

ვირტუალური კორპორაცია იღვის სახით ჩაისახა ფუტურისტების წარმოსახვაში, შემდეგ იგი შესაძლებლად მიიჩნიეს მართვის თეორეტიკოსებმაც. ახლა კი მისი არსებობა საზოგადოებისათვის აუცილებლებელი გახდა. ვირტუალური ორგანიზაციები ემყარება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტელესაკომუნიკაციო საშუალებების მაქსიმალურ გამოყენებას. ვირტუალური კორპორაცია ძირითადად წარმოადგენს ერთობლივ საკუთრებას და სტრატეგიულ ალიანსს, რომელიც აერთიანებს სპეციფიკურ მიზნებსა და ყველა მასში შემავალი ორგანიზაციის კოორდინირებულ ძალისხმევას. ვირტუალური კორპორაციის საბაზო მიზანია ძირითადი ტექნოლოგიებისა და კომპეტენციების გაერთიანება იმისათვის, რომ რაც შეიძლება მთლიანად დაკმაყოფილდეს მოთხოვნა სამომხმარებლო ბაზარზე. კომპიუტერულ თანამშრომელთა ჯგუფს უნარი აქვს მონაწილეობა მიიღოს ერთიან პროცესში არა მარტო მაშინ, როდესაც ერთ ადგილას იმყოფება, არამედ მაშინაც, როდესაც ერთდროულად სხვადასხვა ადგილას, მთელ მსოფლიოშია მიმოფანტული.

ვირტუალური ხასიათის ახალი წყობა ბუნდოვანს ხდის

ორგანიზაციის ფორმალურ საზღვრებს, ამიტომ, ხშირად ძნელია იმის განსაზღვრა, თუ სად მთავრდება ერთი ორგანიზაცია და სად იწყება მეორე. ინდივიდუალური ორგანიზაციები ერთად მუშაობენ კომპიუტერული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დახმარებით, რაც გარდაუვალს ხდის ინფორმაციული ზესისტემის წარმოქმნას და აჩენს პარტნიორი ორგანიზაციების აღიანის შესაძლებლობებს. ვირტუალური ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად დებენ სუბკონტრაქტებს გარეშე სტრუქტურებთან იმისათვის, რომ გამოიყენონ მცირე ორგანიზაციების უპირატესობები, მათი მოქნილობა და ადაპტაციის უნარი. იმდენად ბევრი გარეშე კონტრაქტი იდება, რომ ისინი გადაიქცევიან ორგანიზაციის კარკასად („ქოლგად“). სწორედ ეს განსაზღვრავს ვირტუალური ორგანიზაციის ძირითად თვისებას - ფართოდ გავრცელებას სივრცესა და დროში.

ამგვარად ხდება ხელოვნური საზოგადოების ფორმირება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს ვირტუალურ სივრცეში. ვირტუალურ ორგანიზაციას არ გააჩნია ერთიანი იურიდიული ორგანიზაციული სტრუქტურა. როგორც ქსელურ ორგანიზაციებში, ვირტუალურ კორპორაციებშიც ითვალისწინებენ იერარქიული ჩარჩოების წაშლას და ინტელექტუალური თანამშრომლობისა და მენეჯერების ქსელური კოოპერაციის განვითარებას.

ვირტუალური კორპორაციები დროებითი ხასიათისაა, რაც ორგანიზაციის მუდმივი ცვლილებისა და ახლადწარმოქმნილი შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომუნიკაციები ხელს უწყობს ვირტუალური სტრუქტურების გავრცელებას მთელ მსოფლიოში და, ამასთან, მოლაპარაკებებისა და თათბირების ჩატარებას რეალური დროის რეჟიმით.

ტრადიციული შერწყმისა და შთანთქმისაგან განსხვავებით, ვირტუალური ორგანიზაციის პარტნიორები ინაწილებენ დანახარჯებს, იყენებენ ერთმანეთის გამოცდილებას და საერთაშორისო ბაზრების ხელმისაწვდომობას. ვირტუალური ორგა-

ნიზაციის განმასხვავებელი ნიშნებია¹:

1. მყარი კონტრაქტების დასამყარებლად ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება;

2. ძალისხმევის გაერთიანება ახალი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის;

3. ტრადიციული საზღვრების მოშლა (ძნელი გასარკვევია სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე კომპანია);

4. ნდობა - პარტნიორები ინაწილებენ „საერთო ბედს“, შეგნებული აქვთ, რომ ერთი მათგანის ბედი დამოკიდებულია მეორეზე;

5. სრულყოფილება - რამდენადაც კავშირში ყოველი პარტნიორი ქმნის თავის “ძირითად კომპეტენციას,” შეიძლება შეიქმნას ყველა გაგებით თანამედროვე და სრულყოფილი ორგანიზაცია.

ამრიგად, ტრადიციული იერარქიული ორგანიზაციული სტრუქტურებისაგან განსხვავებით, ქსელურ და ვირტუალურ ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: ცენტრალიზებულად კოორდინირებული, მრავალდონიანი ბიუროკრატიული სტრუქტურის მქონე ორგანიზაცია, სადაც ადამიანები კი არ ეხმარებიან ერთმანეთს, არამედ ეჯიბრებიან, შეიცვალა ჰორიზონტალური სტრუქტურის მქონე, ურთიერთმხარდაჭერაზე დაფუძნებული თანამედროვე ორგანიზაციით.

ახალი საბაზრო რეალობა - ბაზრების გლობალიზაცია, საქონლის სასიცოცხლო ციკლის შემცირება, ახალი ელექტრონული ტექნოლოგიები და სხვ. აიძულებს კომპანიებს გადავიდეს დეცენტრალიზებულ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე, სადაც იქმნება მართვის დონეების მინიმალური რაოდენობა. ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს გარემოს ცვლილებებზე სწრაფ რეაქციას, ინოვაციურობას და მობილობას. მასში გაფართოებულია ქვედა დონის მენეჯერთა და რიგითი თანამშრომლების უფლებამოსილება, რაც საშუალებას იძლევა თანამშრომლებმა თავად გადაწყვიტონ თუ როგორ იმოქმედებენ საჭირო ახალი ინიციატივების ეფექტიანად რეალიზა-

¹ Ф. Лютенс. Организационное поведение. М., 2006. с. 225.

ციისათვის; მოწესრიგებულია პარტნიორული ურთიერთობები სხვა კომპანიებთან; გამორიცხულია ფუნქციების დუბლირება; სწრაფად და ფართოდ ინერგება ელექტრონული და ინტერნეტ-ტექნოლოგიები.

Changes in Organizational Structures

L. Kadagishvili

In the last decade organizations responded to the increased global competition by leaving centrally coordinated, multilevel bureaucratic hierarchies and moving towards more flexible structures that are similar to networks rather than traditional managerial pyramids.

The first alternative of classic bureaucracy was designing matrix structures. Nowadays management in many organizations is facing an inevitable task – creation of network and virtual structures.

Network structure means, that the organization distributes its main functions among various companies, which have contracts with that organization and the small, basic organization serves as their broker. Network structures are closely connected with the so called virtual organization. Virtual organization is a temporary network of the companies, which make a union in order to benefit from quickly changeable opportunities of the market.

The advantages of network and virtual structures in comparison with the old ones are discussed in the article. The article also emphasizes an idea that organizations with multilevel, bureaucratic structures, where employees compete instead of helping each other, will be replaced with the “flat” structure organizations based on mutual understanding.

სოციალური ქსელის საიტების
გამომცემის განვითარების
პირდაპირი ასპექტები

ნუგზარ თოღუა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ სრული პროფესორი,
რამი აბულაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ინტერნეტის ეპოქაში სოციალური ქსელის საიტების (Social Network Site - SNS) პოპულარობის საფუძველია მისი ავტონომიური ბუნება, მრავალფეროვანი კულტურული გარემო, ბიზნეს-სტრატეგიების პლატფორმა და ძლიერი საზოგადოებრივი ურთიერთობები. ასეთ ქსელში გაერთიანებული არიან ინდივიდუალური პირები ან ორგანიზაციები, რომლებსაც აკავშირებს მსგავსი ფასეულობა, ხედვა, იდეა, ფინანსური გარიგება, მეგობრობა, კონფლიქტი, ვაჭრობა და სხვა.¹ მას ასევე განიხილავენ, როგორც ონლაინ საზოგადოებას, სადაც ადამიანები ერთმანეთს აცნობენ თავიანთ საქმიანობებსა და ინტერესებს, ხოლო პროფილის მეშვეობით ისინი წარადგენენ საკუთარ საზოგადოებრივ იმიჯს და ქსელურ კავშირს.² სოციალური ქსელის საიტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინფორმაციული და კომუნიკაციური ინსტრუმენტებით, როგორიცაა მობილური კავშირი, ბლოგები, ფოტო/ ვიდეო გაცვლა სხვა.³

¹ Willard T. Social Networking and Governance for Sustainable Development. International Institute for Sustainable Development (IISD) March, 2009. <http://www.iisd.org/pdf/2009/social-net-gov.pdf>

² Department for Communities and Local Government. Online Social Networks, Research Report. October, 2008. <http://www.unic.pt/images/stories/publicacoes2/Online-Social-Networks.pdf>

³ Acquisti A., Gross R. Imagined Communities: Awareness, Information Sharing, and Privacy on the Facebook, PET 2006. <http://privacy.cs.cmu.edu/dataprivacy/projects/facebook/facebook2.pdf>

სოციალურ ქსელი, როგორც კომუნიკაციის საშუალება, ბიოლოგიური ქსელისგან განსხვავებით, არამატერიალური ხასიათისაა. ბიოლოგიური ქსელის მსგავსად, სოციალური ქსელი უკუკავშირის კონტურების მეშვეობით ვითარდება, რომელიც დროში დამოუკიდებელი გენერირებისაა. საზოგადოებრივ კონტექსტში ეს ნიშნავს ქსელურ კულტურას, რომლითაც ადამიანები თავიანთ ინდივიდუალობას ქმნიან.¹ მას აქვს მრავალი მიზანი, როგორიცაა: საზოგადოებრივი რეგულირების სოციალური ნორმების შეცნობა, ადამიანთა თვითგამოხატვის, მათი რეაქციის აღქმის, განსაზღვრული ქმედებებისა და რეალური აღიარების შესაძლებლობა.² სოციალური ქსელის საიტი არის ფართო აუდიტორიასთან ურთიერთობის საშუალება, რომლითაც ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება. შესაბამისად, იგი წარმოადგენს საზოგადოებრივ და ყველგან გაერცვლებულს.³

სოციალური ქსელის საიტი, როგორც web-ზე დაფუძნებულ სერვისი და საზოგადოებრივი შუამავალი, ფიზიკური საზოგადოებრივი ადგილისაგან განსხვავდება ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა შენახვალობა, მუდმივი ჩანაწერი, ინფორმაციის ძიება, მობილურობა, ფარული აუდიტორია, ფარული აუდიენცია.⁴ სოციალური ქსელის პრინციპები ინდივიდუალური პირის (ორგანიზაციის) პრინციპების მსგავსია, რომელთა ძირითადი არსი დაიყვანება web-ცხოვრების მხარდაჭერაზე.⁵

მარკეტინგში სოციალური ქსელი განიხილება, როგორც

¹ Smeyers P., Depaepe M. Educational Research: Networks and Technologies. 33–42. 2007. <http://www.danielaraya.com/docs/networks.pdf>

² boyd danah. 'Social Network Sites: Public, Private, or What?~ Knowledge Tree 13, May. 2007. <http://kt.flexiblelearning.net.au/tkt2007/?page-id=28>

³ The Office of the Commissioner of Canada. Social Network Site Privacy, A Comparative Analysis of Six Sites. February 2009. <http://www.priv.gc.ca/information/pub/sub-comp-200901-e.pdf>

⁴ Department for Communities and Local Government. Online Social Networks, Research Report. October 2008. <http://www.unic.pt/images/stories/publicacoes2/Online-Social-Networks.pdf>

⁵ boyd danah. „Social Network Sites: Public, Private, or What?“ Knowledge Tree 13, May. 2007. <http://kt.flexiblelearning.net.au/tkt2007/?page-id=28>

მიზნობრივ მომხმარებლებზე ორიენტაციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. მისი არხები ბრენდის აღქმისა და პროდუქტის ათვისების ძირითადი პლატფორმაა. ამასთან, აუდიტორიის რეკომენდაცია წარმოადგენს ინტერნეტ-მომხმარებელთა ნდობის სარეკლამო საშუალებას. სოციალური ქსელი ცვლის მომხმარებლებთან ურთიერთობის წესს, რომლითაც ფორმირდება ქსელური სამყარო და მუშავდება შესაბამისი მარკეტინგული სტრატეგია. ამაში იგულისხმება სოციალური ქსელის დინამიკის აღქმა და მომხმარებელთა მოლოდინი, რასაც კ. ვებსტერი (Webster K. L.) უწოდებს სოციალური ქსელის „ხუთ ძალას“, რომელიც გავლენას ახდენს სოციალური ქსელების ქცევაზე და უზრუნველყოფს სოციალური სტრატეგიის ეფექტურ განვითარებას. ესენია თვით-ორიენტირებული, თანხმობაზე ორიენტირებული, ნდობაზე ორიენტირებული, დროზე ორიენტირებული და მიზეზზე ორიენტირებული ძალები.¹

სოციალური ქსელის საიტების ანალიზში გამოიყოფა 5 ძირითადი პრინციპი: ეკონომიკური განხორციელებები, შესაბამისი ეფექტი (გავლენა), სოციალური ქსელის ტიპოლოგია, ვირტუალური იდენტურობა და ქსელური ორგანიზაცია.²

სოციალური ქსელებისადმი ინტერესი და პოპულარობა მკვეთრად გაიზარდა ინტერნეტ-საიტების განვითარებასა და გავრცელებასთან ერთად. დღეისათვის მსოფლიოში მილიონობით ადამიანი აქტიურად იყენებს სოციალური ქსელის საიტებს თავის ყოველდღიური ცხოვრებაში, რომელიც ინტერნეტის და ელექტრონული კომერციის ზრდის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ციფრული სამყაროს კვლევების სფეროში ლიდერი კომპანიის ComScore -ის მასალები გვიჩვენებს, რომ სოციალური ქსელების გამოყენება მსოფლიოში 2008 წელს, საშუალოდ, 25%-ით გაიზარდა. კერძოდ, ჩრდილოეთ ამერიკის სოციალური

¹ Webster K. L. The Five Forces of Social Networking: A Guide to Making Friends and Making Money. November 2008.

² <http://www.fabernovel.com/socialnetworks.pdf>

6. თოღუბ, რ. აბუღაბე

ქსელუბის აუდიტორიის მატებამ შეადგინა 9%, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის რეგიონის აუდიტორიისა - 66%, ევროპის აუდიტორიისა - 45%, ლათინური ამერიკის აუდიტორიისა - 33%, ხოლო აზია- წყნარი ოკეანის რეგიონის აუდიტორიისა - 23%.¹

სოციალური ქსელუბის ბაზარზე დომინირებადი საიტები წარმოშობის მიხედვით არის შემდეგი: SixDegrees.com (1997-2000); LiveJournal (1999); AsianAvenue (1999); BlackPlanet (1999); Lunarstorm (ხელახლა იქნა გაშეგებული, 2000); MiGente (2000); Cyworld (2001); Ryze (2001); Fotolog (2002); Friendster (2002); Skyblog (2002); Couchsurfing (2003); Linkedin (2003); MySpace (2003); Tribe.net (2003); Last.FM (2003); Hi5 (2003); Orkut, Dogster (2004); Flickr, Piczo, Mixi, Facebook (2004); Multiply, aSmallWorld (2004); Dodgeball, Care2 (2004); Caster (2004); Hyves (2004); Yahoo! 360 (2005); YouTube, Xanga (2005); Cyworld (ჩინეთი, 2005); Bebo (2005); Ning (2005); QQ (ხელახლა იქნა გაშეგებული, 2006); Windows Live Spaces (2006); Cyworld (აშშ, 2006); Twitter (2006); MyChurch (2006). Match.com.²

სოციალური ქსელუბის ბაზარზე, ანალიზისა და ინფორმაციის მედია კომპანიის Compete, Kantar Media Company-ის გამოკვლევის თანახმად, 2009 წლის მონაცემებით, ლიდერია Facebook (ენის ინტერფეისის დანერგვით და სხვა უპირატესი მახვენებლებით). გლობალურ დონეზე ზრდის მაღალ ტემპებს დემონსტრირებენ Myspace და Twitter. ხუთეულში შედის Flixster და Linkedin. შემდეგ მოდის Tagged, Classmates, მე-9 ადგილზეა Livejournal. სრულმასშტაბიანი ღოკალიზების სტრატეგიით მე-15 ადგილს იკავებს Hi5, ხოლო 25-ე ადგილზეა Tickle. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2008 წელს ლიდერ საიტს წარმოადგენდა Myspace, ხოლო მეორე და მესამე ადგილებს შესაბამისად ინაწილებდა Facebook და Classmates. ხუთეულს აბოლოებდა My-

¹ [http://comscore.com/Press-Events/Press-Releases/2008/08/Social-Networking-World-Wide/\(language\)/eng-US](http://comscore.com/Press-Events/Press-Releases/2008/08/Social-Networking-World-Wide/(language)/eng-US)

² Willard T. Social Networking and Governance for Sustainable Development. International Institute for Sustainable Development (IISD) March 2009. <http://www.iisd.org/pdf/2009/social-net-gov.pdf>

yearbook და Bebo. ცალკე აღნიშვნის ღირსია Twitter, რომელმაც ერთ წელიწადში 22-ე ადგილიდან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა.¹

სოციალური ქსელების საიტებზე საკმაოდ მზარდია მომხმარებელთა ვიზიტის სიხშირე. კერძოდ, ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობის ნახევარზე მეტი (53%) აქტიურად სტუმრობს სოციალურ ქსელს, კვირაში რამდენჯერმე სტუმრობს 13 %, კვირაში 1-2 დღე - 15%, კვირაში ერთხელ - 12 %, ხოლო თვეში ერთხელ - 7 %.²

სოციალური ქსელის საიტების ანალიზში ასევე საინტერესოა ინტერნეტის გამოყენებით ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობისა და წარმატების მიღწევის აღწერა, აგრეთვე ციფროვიზაციით დაინტერესებული მხარეებისათვის გენდერული განსხვავების გაგება რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, სადაც კულტურული განსხვავებები მუდმივად ფორმირდება ონლაინ და კონტენტის მოხმარებით. კვლევითი კომპანიის ComScore-ის ანგარიში გვიჩვენებს, რომ 2010 წლის მაისში სოციალური ქსელებისადმი მისწრაფებითა და დაინტერესებით ქალთა სეგმენტი, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტი აქტიურობით გამოირჩეოდა. მსოფლიოს მასშტაბით, სოციალური ქსელების საიტებზე ქალების აქტიურობა შეადგენდა 75.8%-ს, ხოლო მამაკაცებისა - 69.7%-ს. ამასთან, ქალთა სეგმენტი ყოველთვის უფრო მეტ დროს (5.5 საათს) ატარებდა სოციალური ქსელების საიტებზე, ვიდრე მამაკაცები (4 საათი).³

სოციალური ქსელი მუშაობს ავტონომიური ბიზნეს-მოდელის რეჟიმში, რომლის წევრები გვევლინებიან როგორც კონტენტის მიმწოდებლის, ისე კონტენტის მომხმარებლის როლში. მისი შემოსავლის ძირითადი წყაროა რეკლამა, ხელმოწერები, გრანტები და სოციალური სამეწარმეო საქმიანობა.⁴

¹ www.compete.com

² <http://www.marketplatforms.com/MPD/Uploads/The%20Five%20Forces%20of%20Social%20Networking-KLW.pdf>

³ <http://www.comscore.com/Press-Events/Press-Releases/2010/7/Social-Networking-Sites-Reach-a-Higher-Percentage-of-Women-than-Men-Worldwide>

⁴ Willard T. Social Networking and Governance for Sustainable Development. International Institute for Sustainable Development (IISD) March 2009. <http://www.iisd.org/pdf/2009/social-net-gov.pdf>

6. თოლუა, რ. აბულაძე

ტექნოლოგიური ბაზრის კვლევითი კომპანიის The Radicati Group, Inc-ის მონაცემებით, 2010 წელს სოციალური ქსელების მსოფლიო ბაზარი ითვლიდა 2,1 მლრდ დოლარს, ხოლო 2014 წლისათვის გაკეთებული პროგნოზით, ბაზრის კაპიტალიზაცია გაიზრდება 3,6 მლრდ დოლარამდე.¹

კვლევითი კომპანიის Forrester Research-ის მიერ წარმოდგენილია სოციალური ქსელის საიტებში (კერძოდ, ბლოგის) ინვესტირებიდან სარგებლის მიღების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ხელსაყრელია, ზოგადად, სოციალური ქსელის პროგრამებთან ადაპტირებისათვის. ეს პრინციპებია: ტრაფიკი, პრესის ყურადღება და აღნიშვნა, საძიებო სისტემებში პოზიციონირება, კლიენტების შენარჩუნება, მომხმარებლის მიერ გენერირებული ნეგატიური კონტენტის ზემოქმედების შემცირება და გაყიდვების ეფექტიანობის გაზრდა.²

სოციალური ქსელის ფართო პოტენციალი, თავისი ღიაობის ფონზე, ხასიათდება რიგი ნაკლოვანებებითა და სახიფათო ინსტრუმენტებით. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- სოციალური ქსელი წარმოადგენს საფრთხის შემცველი შეტყობინებების, ფოტოების, სექსუალური დემაგოგიის, ჭორებისა და ცილისწამებლური ინფორმაციის გავრცელებისა და სხვა კრიმინალური რისკების გარემოს. პაკერები, ვირუსები, ინფორმაციის მონადირეები და სხვა პირები განიხილება სოციალური ქსელის საფრთხედ. ფართომასშტაბიან სოციალური ქსელში ინფორმაციის გადაცემა და მიღება, ადამიანების ქცევის დინამიკა, ქსელის ევოლუცირება დროში, ადამიანური და ტექნოლოგიური კომუნიკაციები, როგორც ერთმანეთთან დამაკავშირებელი და ქსელის მისტიკური რიტმი, სახიფათოა სხვადასხვა კურსით მოტივირებული ქვეყნებისათვის. საერთაშორისო დონეზე უნიფიცირებული წესებისა და სოციალური

¹ <http://www.radicati.com/>

² <http://www.oregon.gov/DAS/EISPD/EGOV/BOARD/docs/social-networking-guide-v2.pdf?ga=t>

ქსელის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების უქონლობა ზრდის მომხმარებელთა საფრთხის რისკებს.

- სოციალური ქსელის საიტებთან მიმართებაში მოსახლეობის ძირითად ბარიერებს წარმოადგენს: სოციალურ ქსელებთან მიერთების ფასეულობის დაბალი შეცნობა, ტექნოლოგიური ცოდნის დეფიციტი,

ინფორმაციის დაკარგვისა და გამოაშკარავების შიში, არამართალ ან არარეალურ ადამიანთან შეხვედრის შიში, ნდობის უქონლობა, სიზუსტის ილუზია, ინფორმაციული გაზიარებისა და ინტერნეტში სოციალური ქსელების კონფიდენციალობის პრობლემა, ინტელექტუალური საკუთრებისა და პირადი მონაცემების დაკარგვის საფრთხე. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოების უმრავლესობა მაქსიმალურად ვერ იყენებს სოციალური ქსელის საიტების მეთოდებსა და შესაძლებლობებს დაბალი მოტივაციის, ონლაინ ჩვევების უქონლობის, ინტელექტუალური მიუღებლობის, ფიზიკური, სოციოლოგიური და ისტორიული ბარიერის, აგრეთვე სათანადო ადგილას ტექნოლოგიური დაშვებისა და ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო.

- კვლევითი კომპანია Gartner-ის მიხედვით, სოციალური ქსელის ტექნოლოგიებთან ადაპტირებისას ორგანიზაციები აწუდებიან 5 ძირითად პრობლემას. ესენია: ბიზნეს ფასეულობის მიწოდების, კულტურული ბარიერის დაძლევის, კონფიდენციალობის უსაფრთხოების, ელექტრონული ფოსტისა და სოციალურ ქსელის საიტებზე ინფორმაციის განთავსების უსაფრთხოების, მენეჯერების ქცევისა და დროის მართვის პრობლემები.¹

სოციალური ქსელის საიტების ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ შემდეგი:

- სოციალური ქსელი მიმართულია კრეატივის, კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცვლის უსაფრთხოების, თანამშრომლობისა და web-ის ფუნქციონირების ამაღლებაზე;

¹ <http://www.internetnews.com/webcontent/article.php/3731756/Top-Five-Barriers-Social-Networks-Face.htm>

- სოციალური ქსელი ვითარდება, როგორც მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილი, რომელიც, ძირითადად, ორგანიზებულია მომხმარებელთა ინტერესების გარშემო. თუ წინათ ინტერნეტ-საზოგადოება სტრუქტურიზებული იყო თემებისა და აქტუალური იერარქიის მიხედვით, დღეისათვის სოციალური ქსელი იგება, როგორც პირადი (ეგოცენტრული) ქსელი საზოგადოების ცენტრში;¹

- სოციალური ქსელის მეშვეობით მკაფიოა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის საზღვრები, რომლის მონაწილეები (საიტი მომხმარებლები, მფლობელები, ადმინისტრატორები, მარკეტოლოგები) მითითებების გარეშე მოქმედებენ;²

- რომის პაპის, ბენედიქტ XVI-ს შეფასებით, სოციალურ ქსელს თავისი წვლილი შეაქვს ინტელექტუალურ და სულიერ ჰორიზონტებში და ადამიანური ცხოვრების განუყოფელ ნაწილი ხდება, კერძოდ, დარწმუნებით, ინფორმირებითა და შემოქმედებითი პასუხისმგებლობით იგი წარმატებით გამოიყენება რელიგიური რწმენის გავრცელებისათვის;³

- სოციალური ქსელის მეშვეობით ადამიანები, ასაკისა და პროფესიის მიუხედავად, აფართოებენ კონტაქტებს და იძენენ ონლაინ-მეგობრებს, რაც შეიძლება გამოიყენონ მარკეტოლოგებმა მომხმარებლებთან ურთიერთობისა და საქმიანი კონტაქტების დამყარებისათვის;

- სოციალური ქსელის საიტის ბირთვია მომხმარებელთა პირადი პროფილები, სადაც ისინი გამოხატავენ თავიანთი აზრებსა და გრძნობებს, აფიშირებენ ფოტოებს და უჩვენებენ მეგობართა ქსელს, იყენებენ სოციალური ქსელის პოპულარულ

¹ Willard T. Social Networking and Governance for Sustainable Development. International Institute for Sustainable Development (IISD) March 2009. <http://www.iisd.org/pdf/2009/social-net-gov.pdf>

² The Office of the Commissioner of Canada. Social Network Site Privacy, A Comparative Analysis of Six Sites. February 2009. <http://www.priv.gc.ca/information/pub/sub-comp-200901-e.pdf>

³ <http://www.iol.co.za/news/world/pope-beware-the-internet-s-virtual-world-1.1016496>

ფუნქციას - მუსიკასა და ვიდეო განყოფილებას;¹

- ინტერნეტ-მომხმარებლებისათვის ბლოგებსა და ფორუმებზე ინდივიდუალობის ასახვა და პროფილის გვერდის შექმნა თვითპრეზენტაციისა და რეკლამის წარმატებით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რაც მარკეტინგული საქმიანობის ხელშეწყობას უზრუნველყოფს.

თანამედროვე მსოფლიოში სოციალური ქსელი ცვლის ადამიანთა ცხოვრებისა და მარკეტინგული საქმიანობის ყველა წესს, რომლის ინტერპრეტირება ინტენსიური ტექნოლოგიური ცვლილებების კონტექსტში რთულია. სოციალიზაციის მეშვეობით ინტერნეტ-გარემო იძლევა კრიტიკულ სიგნალებს იმის შესახებ, თუ რა არის ხელსაყრელი.² შესაბამისად, ციფრულ ეპოქაში ცენტრალურ საკითხია არა ის, თუ ვინ გააკონტროლებს ინტერნეტ-რესურსებს - მთავრობა თუ ბაზარი, არამედ რესურსები ხომ არ გააკონტროლებს ყველას და ყველაფერს. ამიტომ სოციალური ქსელის სისტემის პოტენციური მოითხოვს მისი ასპექტებისა და ფაქტორების გათვალისწინებას, სახელმწიფოს ლიბერალურ მიდგომებს, ახლებურ ბიზნეს-ორიენტაციასა და სტრატეგიას, გარდაქმნის ინერციასთან ადაპტირებას, კონფიდენციალური პროფილის მექანიზმებს, მონაცემთა დაცვის მკაფიო პოლიტიკასა და სისტემებს, სოციალური ქსელის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებს, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე უნიფიცირებულ წესებს.

¹ <http://social-networking-websites-review.toptenreviews.com/>

²boyd danah. 'Social Network Sites: Public, Private, or What?'~ Knowledge Tree 13, May. 2007. <http://kt.flexiblelearning.net.au/tkt2007/?page-id=28>

**The Main Aspects of Development of Social
Network Sites Market**

*N. Todua
R. Abuladze*

In Network World, the one creating the climate of development of Information technologies and causing the explosive interests of society is Internet and social network sites, which is followed by marketing step to step. Internet space, information revolution, technological progress and increase of democracy is in correlation with one another, which is resulted in the viruses of formation of political inertion and freedom. Social network, as a self generated communication network is formed in political, social, business-strategy, intellectual and spiritual horizons. The dimentions of its autonomous model contributes to the formation of democratic and healthy society. Dynamic increase of the social network market is based on the Internet brands, such as Facebook.com, Myspace.com, Twitter.com, Flixster.com, Linkedin.com and the others.

The presented Article analyzes the opportunities of social network, its horizons, values, drawbacks and critical signals, contemplating of which requires the liberal attitudes, orientation and strategy, adapting with intervention of transformation, mechanisms of confidential profile and the rules unified on International level.



გელა ბრიგოლაშვილი
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე სამყაროში ბიზნესკომპანიის მართვის პროცესი მაღალ დონემდეა აყვანილი. ნებისმიერ სერიოზულ ორგანიზაციაში გადაწყვეტილებები მეცნიერული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მიიღება. წარმოუდგენელია შიგა კვლევების ორგანიზაციული მექანიზმის გარეშე თანამედროვე კომპანიის არსებობა. ამის საჭიროება განპირობებულია უაღრესად ცვალებადი და დაუდგომელი გარემო პირობებით, რომელიც სწრაფი და ხშირად არაგანჭვრეტადი ცვლილებებით გამოირჩევა. ასეთ ვითარებაში მართვა, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და დასახული მიზნების მიღწევა სტრატეგებისაგან დიდ გამჭრიახობას მოითხოვს. გამჭრიახობა, წარმატებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო უნარია, როცა აშკარა ჯეროვანი მოდელი ან წესი არ ჩანს ან, როცა სათანადო მონაცემები არასანდოა. ასეთ ვითარებაში მმართველს შეგნებული უნდა ჰქონდეს შემეცნებითი მიკერძოების საფრთხე. მაგალითად, მან ერთმანეთს უნდა შეუდაროს ფირმის შინაგანი რესურსები და გარემო შესაძლებლობები და განჭვრიტოს, ესა თუ ის რესურსი ფირმის ძლიერ მხარეა თუ სუსტი. საკუთარ ადლოს როცა გამოცდის, სტრატეგი გამოხატავს მზაობას, დროულად გასწიოს გონივრული რისკი. ახალ კონკურენტულ გარემოში ადმინისტრაციული გამჭრიახობა კონკურენტული უპირატესობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი რესურსი შეიძლება აღმოჩნდეს. იგი შესაძლებლობას აძლევს ფირმას, შეინარჩუნოს დაინტერესებული ჯგუფების ღირებულება, რომელთა ფირმისად-

მი მხარდაჭერა მაღალ შემოსავლებთანაა დაკავშირებული.

ქართული ბიზნესი ამერიკულთან მსგავსებას კორპორაციული მართვის ნაწილში, კერძოდ, დაინტერესებულ ჯგუფებს შორის კაპიტალის ბაზრის წარმომადგენლებისადმი უპირატესობის მინიჭებით ავლენს. მრავალი, აშკარად დაინტერესებული მხარე, ხშირად ძირითად მეწილედ და აქციონერად გვევლინება, რომლებსაც კაპიტალის ინვესტირება მოუხდენიათ კომპანიაში სულ ცოტა საშუალო შემოსავლის მიღების იმედით. აქციონერებს თავიანთი დაბანდებიდან შემოსავლების მაქსიმიზება სურთ. ამას, შესაძლოა, ფირმის სამომავლო საინვესტიციო ხარჯების ცვლილებით მიაღწიონ. განვითარებისკენ მიმართული დანახარჯების შემცირებით ისინი აღწევენ შემოსავლების გარკვეულ მატებას, თუმცა, ეს მხოლოდ მოკლევადიანი პერიოდისათვისაა შესაძლებელი. აქციონერთა სიმდიდრის მოკლევადიანი ზრდა, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ფირმის ბრძოლისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების დივერსიფიცირებული პორტფელის მქონე დახელოვნებულმა აქციონერებმა ამ დროს, მოსალოდნელია, გაყიდონ თავიანთი აქციები, თუკი ფირმა სამომავლო ინვესტიციებს ჩააფლავებს.

XX საუკუნის 80-იან წლებში ამერიკელმა ეკონომისტებმა შემაშფოთებელი ტენდენციები შენიშნეს აშშ-ის ეკონომიკური განვითარების გზაზე და უპირველეს საქმედ მენეჯმენტის სრულყოფის აუცილებლობა მიიჩნიეს, რათა ქვეყნის მსოფლიო ლიდერის ფუნქციას საშიშროება არ შექმნოდა.¹ საქმე ეხებოდა ახალი სტრატეგიული ხედვების ჩამოყალიბებასა და სრულიად ახალი ტაქტიკური ბრძოლის მეთოდების ათვისებას. საჭირო იყო გამოეკვეთათ ინვესტირების პრიორიტეტული არეალები, მიემართათ რესურსები და ძალისხმევა ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და მართვის ყველაზე პერსპექტიული სფეროებისაკენ. შედეგად უნდა მიეღოთ ახალი თაობის საწარმოო სისტემები, რაც სიახ-

¹ C. Jackson Grayson, Jr. Carla O'Dell. *American Business: A Two-Minute Warning. Ten Changes Managers Must Make to Survive into the 21st Century.* The Free Press. A Division of Macmillan, Inc. New York. Collier Macmillan Publishers. London.

დღეა კონვეიერული წარმოების რეჟიმში მუშაობას შეძლებდა. ამ მიზანს დასავლური ბიზნესის სტრატეგებმა მიაღწიეს. დღეს ყოველი თანამედროვე კომპანია სიახლეთა დანერგვისაკენაა მომართული. ისინი მსწავლელ ბიზნესორგანიზაციებად იქცნენ, რამაც პროდუქციაზე ხარჯების შემცირება, ხარისხობრივი და სამომხმარებლო მახასიათებლების გაუმჯობესება, ხოლო გლობალურ ბაზარზე კონკურენციის არნახული ზრდა გამოიწვია. წარმოიქმნა ახალი კონკურენტული სურათი, სადაც მხოლოდ ნამდვილად გერგილიანი და უაღრესად მოქნილი ფირმები თუ შეძლებენ ადგილის მონახვასა და შენარჩუნებას.

სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფი ცვლილებებისადმი თავის არიდება ფირმებისათვის არ არის სასურველი. მენეჯერები, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ უარყოფენ ორგანიზაციული და/ან პიროვნული ცვლილებების საჭიროებას. ცნება - „უარყოფა“, გულისხმობს მტკივნეული ცვლილებების წამოწყების აღკვეთისათვის ამოქმედებულ არაცნობიერ ჩამკეტ მექანიზმს. შესაძლოა მთელი დარგი ან მისი ნაწილი აღმოჩნდეს დადანაშაულებული უარყოფაში. ცვლილებების აღტერნატივას, სავარაუდოა, წარმოების შეკვეცა, რთული გადასაწყვეტია. ეს განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდებს შეეხება. უმაღლესი რგოლის აღმასრულებლებმა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას საჭიროა მერყეობა არ გამოავლინონ და გადამჭრელად იმოქმედონ. ასეთი მიუკერძოებლობა გარკვეულწილად მოითხოვს, რომ გადაწყვეტილებების მიმღებნი საბაბს აძლევდნენ თავიანთ ფირმებსა და ხალხს, სინამდვილე ისეთი დაინახონ, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც ერთ დროს იყო ან როგორიც სასურველია იყოს.

მართვის პროცესი უმაღლესი რგოლის მენეჯერებისაგან, ერთი მხრივ, სტრატეგიული მართვის უახლესი მეთოდების ათვისებას მოითხოვს; მეორე მხრივ, ნებისმიერი თანამედროვე სტრატეგის ამოცანაა დაეხმაროს ფირმას, იქცეს იგი მსწავლელ ორგანიზაციად, რადგან ეს მას ღიას გახდის ისეთი ცვლი-

ლებებისადმი, როგორიც კონკურენტული უპირატესობის განსამტკიცებლად და გამოსაყენებლად აუცილებელი. მცირე და საშუალო ზომის ფირმებისათვის ნამდვილი გამოწვევა სწორედ შრომის ხარისხის ამაღლების აუცილებლობაა. გამოცდილი მუშაკების მოსალოდნელ ნაკლებობას როცა ეწინააღმდეგებიან, კომპანიები ესწრაფვიან განავითარონ და გააღრმავონ თავიანთი ცოდნა, როგორც კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვანი წყარო, ყურადღებით გამოარკვიონ გარემოს შესაძლებლობები შესატყვისი შრომითი უნარ-ჩვევების მოსანახად. გამოცდილი, უნარიანი და გამჭრიახი მუშაკის ჩამოყალიბებას ათეულობით წლები სჭირდება, მაგრამ ეს პროცესი შეუდარებლად ჭიანჭურდება, როცა გამოცდილ და გამოუცდელ, ახალგაზრდა და შუახნის ადამიანებს შორის ბალანსი ბიზნესორგანიზაციაში დარღვეულია და განსაკუთრებით ახალგაზრდა, გამოუცდელი მუშაკების სასარგებლოდაა მკვეთრად შეცვლილი.

ადამიან-კაპიტალისა და ცოდნის მნიშვნელობა ფირმების სტრატეგიული კონკურენტუნარიანობისათვის და უწყვეტი სწავლების შესაძლებლობით უზრუნველყოფა დაქირავებულთათვის, განსაკუთრებით გამოცდილი სამუშაო ძალის მოსალოდნელი ნაკლებობის გათვალისწინებით, გეზის მიმანიშნებელი უნდა იყოს როგორც კომპანიებისათვის, ასევე ხელისუფლებისათვის. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა გლობალურ ეკონომიკაში და მისი უნარი, აამაღლოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტი, გავლენას განიცდის ადამიან-კაპიტალის დონისა და ზრდისაგან.

მმართველის აზროვნებისათვის მნიშვნელოვანია თვალსაზრისი, რომ ფირმა წარმოადგენს რესურსის, უნარის და ძირეული კომპეტენციების ურთულეს კვანძს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს განსაკუთრებული საბაზრო ადგილის შესაქმნელად. ეს აზრი გულისხმობს, რომ ცალკეული ფირმები ფლობს, ან უნდა ფლობდეს რაღაც ისეთ რესურსებსა და უნარებს, რომლებიც სხვა კომპანიებს არ გააჩნია ან არ აქვს მს-

გავის კომბინაციით. თავისი ძირეული კომპეტენციების გამოყენებით ფირმას შესწევს კონკურენტებთან შედარებით უკეთესი ქმედებების ძალა. არსებითია, რომ თანამედროვე კონკურენტული გარემოსათვის საჭირო ცნობიერება სათანადო სტრატეგიას განაპირობებს, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, უნიკალური კონკურენტული პოზიციის მოსაპოვებლად და განსამტკიცებლად შექმნილი.

დღევანდელი ქართული ბიზნესკომპანიების უმრავლესობა ასეთი მიდგომების ნაკლებობას განიცდის, რაც მთლიანად მათი დანაშაული არ არის; მრავალი რამ ამ მხრივ გარემოდან მომდინარეობს.

არსებული ეკონომიკური ვითარება კომპანიის მართვის სისტემის სხვაგვარ გაგებას მოითხოვს. მრავალი ფირმის უმაღლესი მენეჯმენტი შემჩნეულია კომპანიის ფუნქციურ და პროცესულ მოდელებს შორის არსებული ურთიერთკავშირის და გარემოს ცვლილებებზე ორგანიზაციის რეაქციის ტიპის არასაკმარის გააზრებაში. ფირმის საწარმოო ფუნქციების ერთობლიობას – როგორცაა ფინანსები, მომარაგება, კვლევები, ხარისხი, ადამიანური რესურსები, კაპიტალური მშენებლობა, წარმოება, გასაღება, - ხშირად აღიქვამენ როგორც მართვის სისტემას, მაგრამ ეს მთლად ასე არაა. იგი მართვის ფუნქციური მოდელია და წარმოდგენას გვიქმნის ბიზნესის ფუნქციებზე და თუ როგორაა განაწილებული მათი შესრულების პასუხისმგებლობები. ფუნქციური მოდელი არ შეიცავს ფუნქციებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ ინფორმაციას. მას ამ ნაკლს პროცესული მოდელი უვსებს, რომელიც ფუნქციების შესრულებისას გამოყენებული რესურსების ნაკადის აღწერას შეიცავს და აგრეთვე იძლევა ღირებულებით შეფასებებს ფინანსური გეგმის გაანგარიშებების გასაკეთებლად. ასეთი მოდელების უქონლობა ხშირად უმაღლესი რგოლის მენეჯერებს არ აძლევს სათანადო სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. ამგვარი მდგომარეობის სავალალო შედეგები მალე იჩენს თავს

კრიზისის გამწვავების კვალობაზე. წამყვანმა ქართულმა კომპანიებმა უნდა შეძლოს თავიანთი შიგა სტანდარტებისა და ინსტრუქციების შექმნა, რამაც ფუნქციებს შორის ურთიერთკავშირი უნდა განსაზღვროს და ბიზნესპროცესების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების სრულად ასახვა შეუძლია.

სტაბილური გარემოს პირობებში, როცა მომავლის განჭვრეტა ექსტრაპოლაციის მეშვეობითაა შესაძლებელი, მართვის სისტემას ლოგიკურად შეესატყვისება ქცევის ზრდადი სტილი და რეაქციის კონკურენტული ან მწარმოებლური ტიპი, კომპანიის მართვა ხორციელდება ოპერატიული და მიმდინარე მართვის სისტემების საშუალებით. მართვის ამგვარი სისტემა ეფექტიანობას კარგავს, როცა გარემო უფრო მოძრავი და არაგანჭვრეტადი ხდება. ასეთ შემთხვევებში ფირმას სტრატეგიის შემუშავება უხდება დროის გარკვეული პერიოდისათვის. ჩვენს საწარმოებს, რომელთაც არ აქვთ, უეჭველად დაჭირდებათ სტრატეგიული მართვის სისტემის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მიმდინარე მზარდი კრიზისის ფონზე.

სტრატეგიული მართვის სისტემა არის სწორედ ის რგოლი, რომელიც ოპერაციული და მიმდინარე მართვის სისტემებთან ერთად, უზრუნველყოფს მართვის ობიექტის სტაბილურ განვითარებას. აქვე აღვნიშნავ, რომ მართვის სისტემა წარმოადგენს სტრატეგიული, ოპერაციული, მიმდინარე მართვის სისტემებისა და მართვის ობიექტის ერთობლიობას:

$$ES = (SM, OM, MS, CO),$$

სადაც:

ES (Executive System) არის მართვის სისტემა;

SM (Strategic Management) – სტრატეგიული მართვის სისტემა მოქმედების დროითი ციკლით 3-5 წელი და მეტი;

OM (Operations Management) – ოპერაციული მართვის სისტემა მოქმედების დროითი ციკლით 1-2 წელი;

MS (Monitoring System) – მიმდინარე მართვის სისტემა მოქმედების დროითი ციკლით 1-3 თვე;

CO (Control Object) – მართვის ობიექტი.

სტრატეგიული მართვის სისტემა უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის ინსტრუმენტია და მისი არარსებობა შეუძლებელს ხდის კომპანიის სათანადოდ განვითარებას გრძელვადიანი პერიოდისათვის. უამისოდ ბიზნესორგანიზაციამ შესაძლოა მხოლოდ მოკლე და, საუკეთესო შემთხვევაში, საშუალოვადიანი მიზნებს მიაღწიოს, თუკი ის ექსტრაპოლაციის საფუძველზე საიმედოდ იქნება განსაზღვრული. ეს, როგორც წესი, ცუდ სამსახურს უწევს ფირმებს, რადგან მოკლევადიანი წარმატებები აღუწერს ყურადღებას და ქმნის ილუზიას, რომ სტრატეგიულად ყველაფერი სათანადოდ მიმდინარეობს.


დღევანდელ ვითარებაში უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ თავიანთი საწარმოს სტრატეგიული მართვის სისტემის მდგომარეობა, როგორ მუშაობს იგი და განვითარების რა შესაძლებლობები მოეპოვება. ამისათვის აუცილებელია შესატყვისი კვლევის ჩატარება დამოუკიდებელი ექსპერტების, შესაბამისი ხელმძღვანელების და სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების მონაწილეობით. მიზანშეწონილია სტრატეგიული მართვის სისტემის შეფასება შემდეგი სავარაუდო კრიტერიუმების მიხედვით:

1. მმართველი გუნდის ხარისხი;
2. საქმისა და მართვის ფილოსოფია;
3. სტრატეგიის ხელმძღვანელობის მართვის ციკლის ხარისხი;
4. სტრატეგიული მენეჯმენტის პროცედურების მართვის ხარისხი;
5. მარკეტინგის მართვის ხარისხი;
6. შიგა საფირმო დაგეგმვის ინტეგრაციის ხარისხი.

მეტი სიცხადისათვის აქვე აღვნიშნავ, რომ (1) გუნდი გულისხმობს ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მაღალი მოტივაციის მქონე კომპეტენტურ, შემოქმედებით ჯგუფს; (2) საქმისა და მართვის ფილოსოფია მოიცავს მისიას, საწარმოს

სამომავლო სახეს, ფასეულობებს; (3) სტრატეგიის ხელმძღვანელობის მართვის ციკლის ხარისხი გულისხმობს პროცესების მართვას, ანუ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელების ეფექტიანობას; (4) სტრატეგიული მართვის პროცედურების მართვის ხარისხი მოიცავს პროცედურების მართვას, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული მართვის სისტემის ხელმძღვანელობას; (5) მარკეტინგის მართვის ხარისხი გულისხმობს, თუ რამდენად ახერხებს მენეჯმენტი მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; (6) შიგა საფირმო დაგეგმვის ინტეგრაციის ხარისხი მოიცავს ინტეგრაციული პროცესების მართვას, რომელიც კოორდინაციის საფუძველზე უზრუნველყოფს წონასწორობას მართვის მიმდინარე და სტრატეგიულ მიმართულებებს შორის.

ყოველი მახასიათებელი მრავალი სხვა პარამეტრის ერთობლიობას შეადგენს, რომელიც სხვადასხვა კომპანისათვის სხვადასხვაა. უკეთესია, მეტი სიზუსტისათვის იგი თუ ასბალია-



ნი სისტემით იქნება შეფასებული. ეს უფრო შესატყვის სურათს მოგვცემს მეტადრე მაშინ, როცა თვალსაჩინოდ გვინდა ფირმის სტრატეგიული მართვის სისტემის მდგომარეობის და-

ნახვა. ამ მიზნისათვის აქ წარმოდგენილი დიაგრამის გამოყენებაა უმჯობესი.

დიაგრამა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ბიზნესისა და მენეჯმენტის შესახებ ძირითადად მართებული შეხედულებებისა, ჯერჯერობით სტრატეგიული მართვის სისტემის მდგომარეობა სავალალოა. ცხადია, რომ გარეთა ექსკუთხედი საქმის იდეალურ ვითარებას ასახავს, მსხვილი კონტურებით შემოსაზღვრული არაწესიერი ექსკუთხედი კი – რეალურ მდგომარეობას. დიაგრამაზე ამდაგვარად (რომელიც, ჩემი აზრით, ტიპური ქართული ბიზნესკომპანიის სტრატეგიული მართვის სისტემის მდგომარეობას განასახიერებს) წარმოდგენილი სიდიდეების საშუალო არითმეტიკული გვიჩვენებს, რომ სტრატეგიული მართვის სისტემის მდგომარეობის მაჩვენებელი ასბალიანი სისტემით 33.7-ით განისაზღვრება. ეს იმაზე მიაჩნდება, რომ კომპანია არსებული სტრატეგიული შესაძლებლობების მესამედზე ოდნავ ცოტა მეტს იყენებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული მართვის სისტემის ასეთი თვალსაჩინო გამოსახულების მისაღებად, ანუ ზემოთ აღნიშნული ასბალიანი სისტემისათვის კრიტერიუმების შესამუშავებლად, წინასწარ უნდა ჩატარდეს ზოგადგარემოებითი (ე.წ. PESTEL) ანალიზი, ხუთი ძალისა და კონკურენტების ანალიზი და არსებითი (ე.წ. SWOT) ანალიზი. ცხადია, ასეთი ანალიზი – გარდა სტრატეგიული მართვის სისტემაში არსებული ვითარების თვალსაჩინოდ დანახვისა – იმისათვისაც არის საჭირო, რომ გამოუყენებელი რეზერვები იქნას გამოვლენილი და სტრატეგიული მართვის სისტემის ქმედითობის ახალ დონეზე გადასასვლელი გზები დასახული.

მიუხედავად საქმის გაძღოლისა და მართვისადმი მართებული მიდგომებისა, კომპანიებს არ აქვთ მკაფიო გრძელვადიანი ორიენტირები, რაც საკმაოდ ბუნდოვან ხასიათს ატარებს. ეს ამცირებს ენთუზიაზმს, ველოდოთ ბოლომდე გააზრებულ და ამდენად შესატყვის რეაქციებს სამომავლო მოვლენებზე. მაშასადამე, მომავლის განჭვრეტის საიმედოობა და მიზნების დასაბუთებულობა ვერ ქმნის საჭირო ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევის გარანტიებს.

სტრატეგიული მართვის სისტემის დიაგნოსტიკის მექანიზმის ჩამოყალიბება კომპანიებში ბიზნესის ეფექტიანობის ასამაღლებლად საჭირო რეზერვების მოძიებისა და კონკრეტული უპირატესობების შენარჩუნების აუცილებლობითაა გამოწვეული. აქ წარმოდგენილი შეფასების მეთოდოლოგია ცალკეული ფირმის სპეციფიკურ გარემოში უნდა იქნეს გამოცდილი, რომლის დროს მან ისეთი ნიუანსები უნდა შეიძინოს, რომელიც მისი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს საჭირო დონემდე მიიყვანს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ზემოთ მოყვანილი ექსპარამეტრიანი შეფასების სისტემის უფრო ღრმა და ვრცელი განხილვა სამეცნიერო სტატიის ფარგლებს სცილდება და კონკრეტული კომპანიის გამოყენებით სფეროს განეკუთვნება.

Estimation Mechanism of Strategic Management System in Companies

G. Grigolashvili

New competitive situation and high competitive environment in domestic and regional markets impose strong requirements to Georgian business. The situation becomes even more dramatic because of the world economic crisis. Georgian companies have to make sizeable strategic inputs to become modern learning organization. It is very important to develop strategic management system. First of all it is necessary to develop relevant estimation mechanism of strategic management system and define proper criteria for estimation. It might be the quality of managerial team, business leading philosophy, strategic management quality, etc. Each of them is a union of many other parameters that should be worked out by organizations taking into account their own specifications. As a result business company will picture a real situation of strategic management system condition that will enable the company to choose a development in right direction.

სატენდერო ღვაწლები ელექტრონული ფორმირება

თეიმურაზ ბოგნაძე
ივჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის დოქტორანტი

სახელმწიფო შესყიდვა არის ორგანიზაციების მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა. იგი შესაძლებელია განხორციელდეს ტენდერის საშუალებით. ტენდერი (tender) ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ვაჭრობას, კონკურსს.¹

ტენდერის სტრუქტურა აშშ-ში შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში². ცნობილია, რომ 1946 წელს გერმანიის ქალაქების აღსადგენად გამოყოფილი იქნა დიდი რაოდენობის ფული, რომლის დიდი ნაწილი დაურიგდათ ამერიკელ ჩინოვნიკებს და მისი გამოყენება მოხდა არაეფექტიანად. აღნიშნულის თავიდან აცილებისა და მომწოდებლების ობიექტურად ამორჩევის მიზნით ამერიკელებმა ჩამოაყალიბეს ტენდერის ჩატარების პროცედურები. ასე აღმოცენდა ტენდერის ჩატარების პროცედურა.

ასეთივე გადაწყვეტილებამდე მივიდა XX საუკუნის 50-იან წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის კომისია, რომელმაც გამოსცა სტანდარტული კანონი საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვის შესახებ. კანონში დაწერილებით იყო გაწერილი ტენდერის ჩატარების პროცედურები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ატარებდა სარეკომენდაციო ხასიათს, მრავალი ქვეყანა ასრულებდა მას და მასში შეიტანა გარკვეული ცვლილებები. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს კანონი დაედო საფუძვლად საერთაშორისო საინვენსტიციო ფონდების შექმნის წესს. მაგ., რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის, როგორც მსოფლიო ბანკის ქვეგანყოფილებას,

¹ <http://nesmeeva.narod.ru/direktor/tender.htm>

² <http://nesmeeva.narod.ru/direktor/tender.htm>

თვით მსოფლიო ბანკს. ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორი ტენდერების ჩატარებაზე გადავიდა XX საუკუნის 60-იან წლებში. რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელიც აფინანსებს კომერციულ სტრუქტურებს, სარგებლობს მსოფლიო ბანკში მიღებული ტენდერის ჩატარების წესით.

პრაქტიკაში ცნობილია ტენდერების ჩატარების ორი ფორმა ღია და დახურული.

ღია ტენდერი შესყიდვის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველამომწოდებელს (კონკურსანტი), რომელიც გამოეხმაურება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ინტერნეტში, გაზეთებში, ჟურნალებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებულ განცხადებას. ღია ტენდერი ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია მიახლოებით მაინც წარადგენს როგორი ტიპის სამუშაოები და მომსახურებები უნდა განხორციელდეს შედეგის მისაღწევად. შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერის პირობის “Brief” აღწერაში მიუთითებს პრობლემებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს. ტენდერში მონაწილე მომწოდებლები წარმოადგენენ თავიანთ ხედვას და შემსყიდველი ორგანიზაცია ღებულობს უნიკალურ შანსს სრულად განიხილოს სხვადასხვა მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი შემოთავაზებები.

დახურულია ტენდერი, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პერსონალურად მოწვეული სუბიექტები. დახურული ტენდერების დროს არც მომწოდებელი კომპანიების მიწვევაზე და არც ტენდერის შედეგებზე ინფორმაცია არ ვრცელდება. დახურული ტენდერი ტარდება მაშინ, როდესაც ჯერ ერთი, მომწოდებლის მცირე რაოდენობას აქვს ის კვალიფიკაცია, რომელიც აკმაყოფილებს შემკვეთს ან/და პროდუქციის, მომსახურების მიწოდება შეუძლია შეზღუდული რაოდენობის მომწოდებელს; და მეორე, როდესაც შესყიდვა გასაიდუმლოებულია, ან/და პროდუქციის შესყიდვა ხდება უსაფრთხოების მიზნით.

ტენდერის ჩატარება შეიძლება ერთ ან ორ ეტაპად. ერთეტაპიანი ტენდერის დროს სატენდერო წინადადებების ტექნიკური და კომერციული ნაწილების, შეფასებების კონვერტების გახსნა და აუქციონის ჩატარება წარმოებს ერთდროულად (დანიშნულ დღეს).

ტენდერის ჩატარების დრო და თარიღი (კონვერტების გახსნა

სატენდერო წინადადებებისა და აუქციონის ჩატარებით) მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში. სატენდერო აუქციონებზე დარეგისტრირებული კონკურსანტების წარმომადგენლების დასწრება აუცილებელია.

ყველაზე გავრცელებულია ტენდერების ჩატარების ორეტაპიანი მოდელი: პირველ ეტაპზე შემსყიდველ ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია პრეტენდენტებთან მოლაპარაკება ტექნიკური მანქნებლების, ეკონომიკური და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით, ხოლო მეორე ეტაპზე განიხილება მომწოდებლების მიერ შემოთავაზებული წინადადებები საქონლის, მომსახურების ან შესასრულებელი სამუშაოების კრიტერიუმების შესახებ.

ფასთა კოტირება გამოიყენებოდა იმ შესყიდვებისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება ნაკლებია 50000 ლარზე, აგრეთვე იმ სამუშაოს შესყიდვისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება ნაკლებია 120000 ლარზე. ასევე ერთ პირთან მოლაპარაკება, რომლის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს:

1. თუ საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 20000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება - 50000 ლარს;
2. საქონლის მოწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებათ;
3. არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;
4. მომწოდებლისაგან ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია შესყიდვა იგივე მომწოდებლისაგან.

ამ ბოლო დროს გავრცელებულია ელექტრონული ტენდერები (ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერები):

1. ელექტრონული ტენდერი ტარდება მაშინ, როცა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 200000 ლარზე მეტია. ამ დროს პრეტენდენტს სულ მცირე 20 დღე აქვს იმისათვის, რომ წინადადება წარმოადგინოს;
2. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ტარდება მაშინ, როცა შესყიდვების სავარაუდო ღირებულება 5000-200000 ლარამდეა. ამ დროს პრეტენდენტს 3 დღე აქვს წინადადებების წარმოსადგენად. ტენდერის ჩასატარებლად მხოლოდ ერთი ზღვარი - 5000

ლარი არსებობს.¹

ტენდერში მონაწილეობისათვის მომწოდებელი იხდის საფასურს – 50 ლარს, შემდეგ წარადგენს საგარანტიო თანხას(1%). ტენდერში მონაწილეობის საკვალიფიკაციოდ ადრე სჭირდებოდა 5 სხვადასხვა დაწესებულებიდან 6 სხვადასხვა საბუთი. ახლა კი ტენდერში გამარჯვებულმა ტენდერის დასრულების შემდეგ უნდა წარმოადგინოს სამი საბუთი: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გადახდის უზნარობის ცნობა სასამართლოდან და დავალიანების ცნობა საგადასახადოდან. სისტემა ავტომატურად ავლენს ფასის მიხედვით გამარჯვებულს (უპირატესობა ენიჭება დაბალ ფასს). აქ ქულები არ არსებობს, არის მხოლოდ კრიტერიუმები. მაგალითად: საგარანტიო პერიოდი საქონელზე ან მომსახურებაზე, ხარისხი, მოწოდების ვადები. თითოეული კრიტერიუმში ფასდება პლუსით ან მინუსით, ანუ შეფასება ფაქტობრივად ავტომატურია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მიერ შემოთავაზებულ ელექტრონული შესყიდვების ფორმას აქვს რიგი დადებითი მხარე, მისი ნეგატიური მახასიათებელია ის, რომ მომწოდებლის წინადადების შეფასების კრიტერიუმად აღებულია ფასი, რაც ყოველთვის არ ამართლებს.

რაც შეეხება მთლიანობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ელექტრონული წესით ტენდერების ჩატარებას, მისი ნაკლოვანებებია:

ა) სამუშაოების უდიდესი ნაწილი მაინც შემსყიდველ ორგანიზაციაში სრულდება;

ბ) მხოლოდ შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მომწოდებლისათვის გამოცხადებული ტენდერის შესახებ საჭიროების შემთხვევაში დეტალური ინფორმაციის ოპერატიულად და ხარისხიანად მიწოდება და დაზუსტება, ვიდრე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;

გ) შემსყიდველი ორგანიზაცია აფორმებს კონტრაქტს გამარჯვებულ მომწოდებელთან;

დ) შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს დადებული კონტრაქტის პირობების შერულების მონიტორინგი.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ისეთი ნაკლის შესახებ, რომელიც

¹<http://procurement.gov.ge/files/-data/geo/samartleblivi-aqtebi/saqartvelos-kanoni-saxelm-wifo-shesvidvebis-shesaxe.pdf> საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გვ. 36-39.

დაკავშირებულია იმ ზარალის ანაზღაურებასთან, რომელიც შეიძლება მიადგეს მომწოდებელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზეზით ჩაშლილი ტენდერის გამო, მისი მხრიდან რაიმე დარღვევის შემთხვევაში.

ხშირად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ტენდერის ჩატარების შემთხვევაში ერთი დღის განმავლობაში აუცილებელი ხდება ათამდე ტენდერის ჩატარება, რაც იწვევს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლების გადატვირთვას.

ტენდერის უშუალოდ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებისას ეს პრობლემები ავტომატურად იქნება გადაწყვეტილი.

ჩაშლილი და არშემდგარი ტენდერები დიდ ზარალს აყენებს არა მარტო შემსყიდველ ორგანიზაციას, არამედ მომწოდებლებს როგორც ბიზნესის წარმომადგენელს. ისინი ვერ დეზულობენ შეკვეთებს, ზარალდება სახელმწიფოს ბიუჯეტიც, რადგან გადასახადების სახით არ შედის შესაბამისი თანხები. მაგ., 2011 წლის იანვრის თვეში გამოცხადდა 2565 ტენდერი. წარმატებულად დასრულდა მხოლოდ 759. 1806-მა სახელმწიფო უწყებამ ვერ მიიღო სასურველი მომსახურება («ჯი-ეი-ენი», გოჩა მირცხულავა ახალი ამბების სააგენტო, 02-02-2011 წ.)¹.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია: რამდენიმეჯერ ჩაშლილი ტენდერისთვის ჩატარდეს გამარტივებული ტენდერი; შავ სიაში მოხვედრილ მომწოდებლებს არ უნდა მიეცეს ტენდერში მონაწილეობის მიღების უფლება; თუ ტენდერის ღირებულება მცირეა (მაგ., 5000 ლარამდე) არ უნდა იყოს სავალდებულო ყველა ცნობის წარმოდგენა; ასევე, უნდა გაიზარდოს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციისათვის დოკუმენტების წარმოდგენის დრო, რათა თავიდან იქნეს აცილებული დოკუმენტების ოპერატიულად გაცემისათვის სახელმწიფო ორგანოებისათვის დამატებითი თანხების გადახდა; ტენდერების ჩატარება მოხდეს ელექტრონული ფორმით, არა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, არამედ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ. აუცილებელია შესყიდვების ორგანიზაციის მიერ სატენდერო დავალების ხარისხიანად მომზადება.

ისმის კითხვა, მაშინ რით არის გამართლებული სახელმწიფო

¹ <http://www.ghn.ge/print-33409.html>

შესყიდვების სააგენტოს მიერ ცენტრალიზებული წესით ტენდერების ჩატარება?

ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ძირითადი ფუნქციაა მისაღმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გამოყენების კონტროლის ორგანიზაცია, ამდენად, ალბათ, უკეთესი იქნება ტენდერების ჩატარება მოხდეს უშუალოდ შემსყიდველ ორგანიზაციებში, ელექტრონული ფორმით. ტენდერების შედეგები და სატენდერო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფორმით, რაც მას საშუალებას მისცემს განახორციელოს კონტროლი მის დაქვემდებარებაში მყოფი წარმოება-ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

ჩვენ მიერ შემუშავებული იქნა სატენდერო დავალების ფორმირების ელექტრონული სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვეგანყოფილებების მიერ საქონელსა და მომსახურებაზე ან შესასრულებელ სამუშაოებზე განაცხადების ფორმირებას და უნივერსიტეტის შესყიდვების განყოფილებაში მის გადაცემას. შემოთავაზებული სისტემა ასევე ამცირებს შესყიდვების განყოფილების თანამშრომელთა შრომატევადობას ტენდერის მონაცემთა ბაზის ფორმირებისას.

ტენდერის ჩატარების არსებული წესით უნივერსიტეტის შესყიდვების განყოფილებაში სტრუქტურული განყოფილებებიდან შეკვეთები შემოდის ჩვეულებრივ ქაღალდზე დაბეჭდილი სახით, სტრუქტურული ქვეგანყოფილებების ხელმძღვანელების ხელმოწერით. მონაცემთა ბაზაში ამ დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის შესატანად საჭიროა მასში დაფიქსირებული ინფორმაციის კოდირება და შესყიდვების განყოფილების მენეჯერის მიერ კომპიუტერში ხელით მისი შეტანა, რაც დიდ დროს მოითხოვს და არ არის გამორიცხული ინფორმაციის კომპიუტერში შეტანისას ადგილი ჰქონდეს შეცდომებსაც. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინფორმაციის შეგროვების ახალი ტექნოლოგია მნიშვნელოვნად შეამცირებს ტენდერისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების შრომატევადობას, აამაღლებს ინფორმაციის უტყუარობას, გააუმჯობესებს შეკვეთების მონაცემთა

ბაზის ფორმირებისა და წარმოების პროცესს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად მიმდინარე ელექტრონულ ტენდერებში უმთავრესი არის ფასი. ჩვენი აზრით, იგი არ უნდა წარმოადგენდეს შეფასების ერთადერთ კრიტერიუმს და ყურადღება უნდა გამახვილდეს ხარისხზეც და საჭიროების შემთხვევებში სხვა კომპონენტებზეც. ე.წ. შავ სიაში არსებულმა კომპანიებმა საერთოდ ვერ უნდა წარმოადგინონ წინადადება, მოსაგვარებელია ბანკებთან ურთიერთობა (დაგვიანება, თანხის დაბრუნება), საკონკურსო განაცხადისათვის საჭიროა უფრო მსუბუქი ფორმის მომზადება, არშემდგარი ტენდერები, რამდენჯერმე ჩაშლის შემდეგ, გამარტივებული წესით უნდა ჩატარდეს, არაერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტებზე ერთი ტენდერი უნდა გამოცხადდეს.

როგორც ცნობილია, ტენდერით განხორციელებული შესყიდვა საკმაოდ ხანგრძლივი და მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომლისთვისაც მოსამზადებელი სამუშაოები ძირითადად იწყება ორგანიზაციის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ შესყიდვების გეგმის შედგენით. შესყიდვების გეგმის პროექტი დგება საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების მიერ, სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი მოთხოვნების საფუძველზე, ბიუჯეტში საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ჩვენ მიერ შემუშავებული ელექტრონული შესყიდვების მეტოდი უზრუნველყოფს საკმარის გამჭვირვალობას, ტენდერის ჩატარებისას გამარჯვებულის (გამარჯვებულების) გამოვლენისას ობიექტურობისა და სამართლიანობის დაცვას, ანუ გამორიცხავს არასწორი სუბიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

შემსყიდველ ორგანიზაციებსა და საწარმოებში ტენდერის ჩასატარებლად ინფორმაციის დროული და ხარისხიანი მომზადება მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ტენდერის ჩატარების ხარისხზე. გამოდინარე აქედან ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა:

1. შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესაძენად საჭირო განაცხადის ელექტრონული ფორმა (ფორმა-1ტდ), მისი შევსებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების განყოფილებაში გადაცემის მეთოდიკა;

2. შემსყიდველი ორგანიზაციის (ივ. ჯავახიშვილის სახელო-

ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი და მისი გამოყენების ინსტრუქცია;

3. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Access 2007 საფუძველზე - განაცხადების მონაცემთა ბაზა, რომელიც აუცილებელია სატენდერო დავალების შესადგენად;

4. შემსყიდველი ორგანიზაციის (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შესყიდვების განყოფილების Web-გვერდი.

ფორმა – 1ტდ (ნახ.1.) წარმოადგენს Access-ის ცხრილს და იგი შევსებულ უნდა იქნეს მკაცრი თანმიმდევრობით. ფორმა-1ტდ ანუ Request წარმოადგენს მონაცემთა ბაზის “მატერიალურ-ტექნიკური რესურსები”-ს საბაზო ცხრილს, რომელიც ივსება ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მითითებით Web-გვერდზე განთავსებული ინსტრუქციის მიხედვით.

ფორმა-1ტდ

№	კლასი	ქვეკლასი	მარკა	ზომის ერთეული	რაოდენობა	არჩეულა შესაძენად	უკვე შეძენილია	ქვედანაყოფი	მიმთხოვნი	მოთხოვნის თარიღი	პასუხისმგებელი პირი	ok	ღირებულება	მოთხოვნის თარიღი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

ნახ.1 განაცხადის შევსების სქემა.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მაგალითზე) სტრუქტურული ქვეგანყოფილებებისთვის შემუშავებული კლასიფიკატორი შესაბამისად შექმნილი სტრუქტურული ერთეულების (როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ისე ფაკულტეტების მიხედვით) ახალი კოდები და მისი სარგებლობის ინსტრუქცია განთავსებულია Web-გვერდზე.


ფორმა-1ტდ-ის შევსებისათვის აუცილებელია ვისარგებლოთ Web-გვერდზე განთავსებული დანართი №1-ით, სახელმ-

წიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №7 ბრძანებით 2010 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებული შესყიდვების ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესით. ესაა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კლასიფიკატორი. ევროკავშირის EC N213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ცნობარი (**Common Procurement Vocabulary-CPV**), რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას.


შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები იდენტიფიცირდება, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მაჩვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე შესყიდვის ობიექტებია, რაც დადგენილია წესის შესაბამისად.

კლასიფიკატორი იყოფა 4 ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ იერარქიულ დონედ, რომელთაგან ყველაზე გამსხვილებული დონეა დანაყოფი, რომელიც შედგება ჯგუფებისაგან, ჯგუფები თავის მხრივ შედგება კლასებისაგან, ხოლო კლასები-კატეგორიებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში, კატეგორიები შედგება ქვეკატეგორიებისაგან, ანუ ობიექტისაგან (ნახ. 2). აგრეთვე შემუშავებული იქნა თსუ-ის სტრუქტურული ქვეგანყოფილების კლასიფიკატორი (ნახ.3).

უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვეგანყოფილების კოდი აგებულია ოთხნიშნა პოზიციური სისტემით, რომლის ორი თანრიგი მარცხნიდან გამოხატავს უნივერსიტეტის მსხვილ (რექტორატი, ფაკულტეტი, ინსტიტუტი და ა. შ.) განყოფილების შიფრს, ბოლო ორი თანრიგი კი-მათში შემავალ ქვეგანყოფილებებს (კათედრა, ხარისხის მართვის სამსახური, ლაბორატორია და ა. შ.)



ნახ.2 საქონლის ერთიანი კლასიფიკატორის სტრუქტურა




ნახ.3 თსუ სტრუქტურული ქვეგანყოფილებების კლასიფიკატორის სტრუქტურა

კლასიფიკატორის კოდი შედგება 8 თანრიგისაგან, სადაც პირველი სამი თანრიგი მარცხნიდან ნიშნავს დანაყოფს; შემდგომი ერთი თანრიგი-ჯგუფს; შემდგომი-კლასს; შემდგომი-კატეგორიას; ბოლო ორი თანრიგი გამოიყენება შესყიდვის ობიექტის უშუალო იდენტიფიკაციის მიზნით.

ესაა ტენდერისათვის საერთაშორისო, საყოველთაოდ მოსახმარებელი კლასიფიკატორი. იგი მოიცავს ყველა ჩამონათვალს. საკმაოდ ვრცელია დანაყოფთა ჩამონათვალი, რადგან კოდში დანაყოფისათვის გამოყოფილია პირველი სამი თანრიგი. ეს ნიშნავს, რომ 999 დანაყოფი შეიძლება არსებობდეს. თითოეულ დანაყოფში 10 ჯგუფია, თითოეულ ჯგუფში 10-კლასი, კლასში-10 კატეგორია და თითოეულ კატეგორიაში შეიძლება 99 დასახელების საქონლის განსაზღვრა. ეს საშუალებას გვაძლევს თავისუფლად დავაჯგუფოთ და დავახარისხოთ საქონელი. მაგალითად დანაყოფი 302XXXXX არის კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი. მასში შედის ჯგუფი-3021XXXX მონაცემთა დასამუშავებელი მანქანები. ამ ჯგუფში შედის კლასი-30213XXX პერსონალური კომპიუტერები, ამ კლასში შედის კატეგორიები-302131XX-ლექტოპები, 302133XX-მაგიდის კომპიუტერები და ა.შ. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული. მაგ., 30213101 შეიძლება იყოს, ვთქვათ, ფირმის რომელიმე მოდელის ლექტოპი და ა.შ. თუ გვინდა კონკრეტული ლექტოპის ამორჩევა, მაშინ უნდა მივუთითოთ კოდი = „30213101“, თუ გვინდა ყველა ლექტოპის ამორჩევა მაშინ კოდი = „302131“, თუ გვინდა ყველა პერსონალური კომპიუტერის ამორჩევა მაშინ კოდი “30213”.

შესყიდვების განყოფილება $A_1, A_2, \dots, A_n$ ქვედანაყოფებს შესავსებად უგზავნის ფორმა-1ტდ-ს ონლაინ რეჟიმში. ავსებენ რა Web-გვერდზე განთავსებული ინსტრუქციის მიხედვით ფორმა-1ტდ-ს ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, ხელმოწერის შემდეგ უგზავნიან მას ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ეს უკანასკნელი

კი შესყიდვების განყოფილებას. შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი უკვე ყველა ქვედანაყოფიდან მიღებულ მოთხოვნებს იხილავს ორგანიზაციის მენეჯერთან ერთად თუ როგორ უნდა მოხდეს განაცხადებში მითითებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. სქემა მოცემულია მე-4 ნახაზზე.



ნახ.4. განაცხადების მოძრაობის სქემა

აჲ ხელმოწერებში იგულისხმება ელექტრონული ხელმოწერა. დღესდღეობით ყველაზე უსაფრთხოა ე.წ. ციფრული ხელმოწერა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ელექტრონულ კომუნიკაციებში ინფორმაციის გადაცემისას და საიმედოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ორგანიზაციის მენეჯერისათვის უკვე ცნობილია სატენდერო შესყიდვების მთლიანი ღირებულება. შესაძლებელია ქვედანაყოფებიდან შემოსული მოთხოვნების საერთო ღირებულებათა ჯამი მეტი აღმოჩნდეს შესყიდვებისათვის ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ თანხაზე. ამისათვის ორგანიზაციის მენეჯერი მიმართავს ქვედანაყოფებიდან შემოსული მოთხოვნების კორექტირებას. ქვედანაყოფების სპეციფიკიდან და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე მენეჯერი (იგულისხმება ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მის მიერ არჩეული რამდენიმე ექსპერტის ჯგუფი) მოთხოვნებში მითითებულ რაოდენობას აკმაყოფილებს მთლიანად, აკმაყოფილებს ნაწილობრივ ან არ აკმაყოფილებს. ამისათვის ცხრილი ღეჰქესტ-ის შესაბამის სვეტში ჩაიწერება „0“ (დაკვეთა არ არის დაკმაყოფილებული), „1“ – დაკვეთა ამორჩეულია დასაკმაყოფილებლად, „2“ – დაკვეთა სრულად არის დაკმაყოფილებული.

ცხრილი Request-ის აქვს შემდეგი სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
IDNOM	Number	
Class	Text	3
Unit	Text	8
Marka	Text	255
Unitofgoods	Text	15
RequestQuantity	Number	single
BuyQuantity	Number	single
AlreadyBuyQuantity	Number	single
Secode	Text	4
Customer	Text	100
RequestDate	Text	4
IDPasPiri	Text	50
OK	Number	single
Cost	Currency	
BuyDate	Date/Time	

ფორმა-202

[illegible]

ყველა სტრუქტურული ერთეულიდან მიღებული დაკვეთების მონაცემთა ბაზაში “მატერიალურ-ტექნიკური რესურსები” ჩამატების შემდეგ უნდა დაიბეჭდოს შემსყიდველი ორგანიზაციის ქვედანაყოფებიდან მიღებული დაკვეთების სრული სია (მაგალითი ფორმა-2ტდ მოთხოვნა ხელსაწყო-დანადგარების, ინვენტარის, მაკომპლექტებელი ნაწილებისა და სახარჯო მასალების შეძენაზე).

აქ ხდება ერთგვაროვანი ობიექტების მიხედვით როგორც რაოდენობრივი, ასევე საერთო ღირებულების განსაზღვრა (მაგ. კომპიუტერებზე, პრინტერებზე და ა.შ.); თუ ქვედანაყოფებიდან შემოსული შეკვეთების ღირებულებათა ჯამი მეტი აღმოჩნდა სატენდეროდ გამოყოფილი თანხის რაოდენობაზე, მაშინ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგანიზაციის მენეჯერი მიმართავს ქვედანაყოფებიდან შემოსული მოთხოვნების კორექტირებას. სტრუქტურული ერთეულების პრიორიტეტების მიხედვით მენეჯერი, ყოველი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნათა გადახედვის საფუძველზე, ამორჩევს ვის რა რაოდენობის შეკვეთა უნდა დაუკმაყოფილდეს. ამ ამორჩევის შემდეგ სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული შეკვეთების საერთო ღირებულება $S1$ უნდა მიუახლოვდეს სატენდეროდ გამოყოფილ S თანხას. შესაძენთა შერჩევა უნდა მოხდეს ოპტიმალურად, ისე, რომ $S-S1 \rightarrow 0$, ე.ი. ეს სხვაობა ტენდერისათვის გამოყოფილ თანხასა და შესყიდვისათვის ამორჩეული საქონლის მომსახურების ან სამუშაოების ღირებულებების ჯამს შორის უნდა იყოს მინიმალური.

დაზუსტდება რა ტენდერით შესაძენ შეკვეთათა რაოდენობა, ებეჭდავთ უკვე განაცხადს შეძენაზე, სადაც უკვე მითითებულია კონკრეტული ქვედანაყოფებიდან ვის რა რაოდენობის, რა თანხის შეკვეთა უნდა დაუკმაყოფილდეს. ეს ამონაბეჭდი გადაეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. აქ ხდება ჯგუფების მიხედვით ღირებულებისა და საბოლოოდ მთლიანი შესყიდვების ღირებულების დაანგარიშება. შეკვეთების შეძენის შემდეგ მონაცემთა ბაზაში ჩაიწერება შეძენის თარიღი და ლილაკით-“შეძენის დაფიქსირება” ხდება შეკვეთების ცხრილიდან მათი ჩამოწერა. ამის შემდეგ ცხრილ Request-ში დარჩება შეუსრულებელი შეკვეთები, რომლებიც განიხილება უკვე მომდევნო ტენდერზე.

შეიძლება უკვე გავაკეთოთ დასკვნა: შემსყიდველი ორგანიზაცია მზადაა ტენდერის გამოსაცხადებლად. განიხილავს რა საბო-

ღლოდ ამ დოკუმენტს, სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ტენდერის გამოცხადების თარიღებთან დაკავშირებით.

Electronic Formation of Tender Commission

T. Gognadze

In order to use the financial resources effectively the enterprises and organizations make the purchase of the service and goods through organizing tenders. The presented article discusses and critically analyzes existing forms of carrying out tenders, provides the examples of shortcomings in the tenders carried out by the State Purchasing Department and shows the ways for improving the gaps. In order to reduce the labour-consumption of carrying out tenders and to increase their transparency and objectivity there electronic technology for forming the tender commission is offered. Namely, on the example of TSU an electronic form of purchasing proposal for goods and service for structural subdivisions, the instruction of filling out the form, the classifiers of the university sub-departments; Using the database system – Access 2007 a database of proposals is created and on the basis of the letter the technology for forming the tender commission is carried out.

**სოციალური ცვლილებების
კონცეფციის მოღელი
მარკეტინგში**

ნარიტა ჯაშო

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტის

ასოცირებული პროფესორი

სოციალური და ეკონომიკური პროცესების გამწვავებამ განაპირობა სოციალური იდეებისა და ფასეულობების ინტეგრირების აუცილებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. სოციალური მარკეტინგის კონცეფციამ მოიცვა სოციალური პრობლემების ფართო სპექტრი, რომელზედაც მარკეტინგი ადრე საერთოდ არ ამახვილებდა ყურადღებას, როგორცაა ენერგეტიკული რესურსების კრიზისი, ბუნებრივი კატაკლიზმები, ჯანმრთელობის, სიღარიბის, სოციალური უსაფრთხოების პრობლემები და სხვა. სოციალური პრობლემები დღეს მარკეტინგის ყურადღების ცენტრშია. სოციალური მარკეტინგი მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტით.

საზოგადოებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა არის სოციალური მარკეტინგის მთავარი ლაიტმოტივი. დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების დაძლევა, დომინირებული ნეგატიური ქცევების ტრანსფორმირება ახალ სოციალურ ქცევად, ანუ სოციალური პროდუქტის ფორმირება, რომელსაც საზოგადოებრივი სარგებელი ექნება. სოციალური მარკეტინგი საზოგადოებას მოუწოდებს ახალი ფასეულობების დამკვიდრებას, რაც ახალი პროდუქტის შექმნით გამოიხატება.¹ კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები სოციალურ პარტნიორობთან ერთად სოციალური

¹Kotler, P. and Zaltman, G. Social marketing: an approach to planned social change, Journal of Marketing, 1971, Vol. 35, N3, pp. 3-12.

ცვლილების კამპანიას ახორციელებენ. კონკრეტულ სიტუაციაში უნდა არსებობდეს მომხმარებელთა ქცევითი ცვლილებების ალტერნატივა - უკეთესი იდეა (პოზიტიური საფუძველი). იდეა თავის მხრივ იყოფა რწმენად,

ურთიერთდამოკიდებულებად და ღირებულებად. თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები მიიჩნევენ, რომ სოციალური მარკეტინგისათვის მნიშვნელოვანია არა იდეის სტიმულირება, არამედ ქცევაზე ზემოქმედება¹. ქცევითი ცვლილება არის ნებისმიერი სოციალური მარკეტინგის საბოლოო პროდუქტი, რომელიც შედგება მოქმედებისა და ახალი ქცევისაგან. მოქმედება გულისხმობს ერთ კონკრეტულ ნაბიჯს სოციალური შედეგის მისაღებად, ხოლო ქცევა თანმიმდევრულ, მიზანმიმართულ ქმედებებს. ქცევა უფრო რთული “გასაყიდა,” ვიდრე მოქმედება, რადგან ის მოითხოვს გრძელვადიან და საბოლოო ანგარიშით ცხოვრების წესის ცვლილებას. სოციალური იდეის გამყიდველის როლში გამოდიან ინსტიტუციური ორგანიზაციები, როგორცაა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი ორგანიზაციები, სოციალურ მომსახურებათა მწარმოებლები. მათ სოციალურ ბაზარზე გააქვთ პროდუქტი, რომელიც ამკვიდრებს ახალ ფასეულობებს და ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

დღეს, სულ უფრო მეტი კომპანია არის დაკავებული საზოგადოებრივი პრობლემებით. საზოგადოების მხრიდან დაკვეთა ახალ სოციალურ პროდუქტზე დღითი დღე იზრდება, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური სოციალური პროგრამების განხორციელების აუცილებლობას. ბიზნესკომპანიებს სურთ, რომ მომხმარებელთა კეთილგანწყობა მოიპოვონ, კომპანიის პოზიტიური იმიჯის შენარჩუნება კი საზოგადოებრივი პრობლემების გვერდის ავლით შეუძლებელია. სოციალური მარკეტინგის მიზანია ისეთი ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც გაითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს. სოციალური მარკეტინგი სოციალური ცვლილებების მართვის ახალი ტექნოლოგიაა. სოციალური ცვლილებების პროცესებში მონაწილეობს სამი მხარე:

¹Andreasen, A. Marketing Social Marketing in the Social Change Marketplace, Journal of Public Policy & Marketing, 2002, pp.3-13.

1. სახელმწიფო, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ მიმართულებებს, რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს შესაბამის საკანონმდებლო ბაზას;

2. ბიზნეს-სექტორი, რომელიც განიცდის სახელმწიფოს ზეგავლენას აღნიშნულ სფეროში, იღებს საკუთარ თავზე ვალდებულებას იმოქმედოს სოციალური მარკეტინგის ინტერესების შესაბამისად;

3. მომხმარებელი – საზოგადოების მიზნობრივი ჯგუფი, რომლისთვისაც განკუთვნილია სოციალური მარკეტინგის ღონისძიებები, რის შედეგად უნდა მოხდეს სასურველი ქცევის ფორმირება.

მათი საქმიანობის ერთიანობა და მიზანმიმართულობა განსაზღვრავს სოციალური მარკეტინგული სტრატეგიის წარმატებას. რა მოგებას ნახულობს ბიზნესი და რატომ არის მისთვის მნიშვნელოვანი სოციალური მარკეტინგის პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობა? პასუხი მარტივია. სტაბილური სოციალური გარემო პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ბიზნესი კი იღებს კონკურენტულ უპირატესობას და გამოარჩევს მას სხვა ბიზნესისგან. სოციალური მარკეტინგი ბიზნესის რეკლამის ინოვაციური ფორმაა. სოციალური მარკეტინგი ბიზნესის წარმატების ხელშემწყობი ხდება - მიიზნევს მარკეტინგის კონსულტანტი სუსან კირბი. კერძო ბიზნესის ჩართვა სოციალურ პრობლემების გადაწყვეტილების პროცესში ორმხრივ სასარგებლოა, როგორც კომპანიის იმიჯისათვის, ასევე მომხმარებლისათვის.¹

სოციალური მარკეტინგი არსებითად დაკავშირებულია გარემოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, რაც აუცილებლად საჭიროებს შეცვლას. სოციალური მარკეტინგის ცნობილ სპეციალისტს ალან ანდრესენს მიაჩნია, რომ სოციალური მარკეტინგი გააზრებულია, როგორც მომხმარებელთა ინტერესების დამცველი და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშემწყობი.² როგორც აღვნიშნეთ, სოციალური მარკეტინგი ცვლილებების კამპანიას იწვევს მწვავე სოციალური პრობლემების წარმოჩენით.

¹Kirby, S. D. , 2007www.kirbys.com/Kirby Marketing solutions

². Andreassen, A. Marketing Social Marketing in the Social Change Marketplace, Journal of PublicPolicy & Marketing,,(2002) 21 (1), pp.3-14.

პირველ რიგში უნდა დადგინდეს რა ტიპის ცვლილებებია ყველაზე მოთხოვნილი საზოგადოების მხრიდან. სოციალური მარკეტინგის ამოცანაა ინდივიდებში ნებაყოფლობითი ცვლილებების წახალისება, სხვადასხვა ორგანიზაციულ ჯგუფს კი შეუძლია საზოგადოებრივ დონეზე ცვლილებების განხორციელება. სოციალური ცვლილებების პრაქტიკაში განსახორციელებლად სოციალური მარკეტინგი ქმნის თეორიულ მოდელებს,

ერთ-ერთ ასეთ მოდელს წარმოადგენს ვეიბის ხუთი ძალის მოდელი (Weibe, Five Forces Model) ¹, რომელიც ასახავს სოციალური მარკეტინგის ზემოქმედების პროცესს პიროვნებაზე. აღნიშნული მოდელი შესდგება 5 კომპონენტისაგან:

1. ძალა (Force) არის პიროვნების მოტივაციის ინტენსივობა სოციალური მიზნის მიმართულებით, რომელიც წარმოადგენს შეტყობინებისა და მისკენ მისწრაფების სტიმულაციის კომბინაციას. ძალა საზოგადოებაში არსებული მოთხოვნა და ინდივიდის მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილებაა, რომ დაეთანხმოს ახალ ქცევას, რომელსაც სთავაზობს მას სოციალური ცვლილებების კამპანია. სოციალური მარკეტინგის თვალთახედვით, ახალი ქცევა არის გამოძახილი შეტყობინებაზე სოციალურ ინტერვენციის შედეგად. სოციალური ცვლილებებისათვის საჭიროა მამოძრავებელი, მასტიმულირებელი ძალის განსაზღვრა, რაც საჭიროებს გამოკვლევებს, მეორადი ინფორმაციის ანალიზს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებიდან, ასევე შეზღუდული პირველადი მონაცემების შეგროვებას. ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით ხდ-

¹ ამერიკელმა სოციოლოგმა ჯ. ვეიბმა 1951 წელს წამოაყენა რევოლუციური იდეა -სოციალური პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობა კომერციული ინსტრუმენტების საშუალებით: თუ საპნის გაყიდვა შეიძლება, რატომ არ შეიძლება იმავე წარმატებით გაიყიდოს სოციალური ფასეულობანი - ძმობა, მეგობრობა და სხვა. ეს თემა შემდგომში განაგრძეს კოტლერმა და ზელტმანმა. მათ აღნიშნეს, რომ მარკეტინგული კონცეფციითა და ტექნიკური ინსტრუმენტებით შესაძლებელია სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. Wiebe, G.D. (1951–52), Merchandising commodities and citizenship on television, Public Opinion Quarterly, 15 (Winter), 679–91. Kotler, P. and Zaltman, G. Social marketing: an approach to planned social change, Journal of Marketing, 1971, Vol. 35, No3, pp. 3-12.

ბა სოციალური ცვლილების იდეის შემუშავება და ახალი ქცევის მოთხოვნის წარმოქმნა. მაგალითად, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისათვის (თამბაქოს მოხმარებაზე თავის დანებება , ალკოჰოლის მოხმარების შემცირება, ფიზიკური აქტივობის გაზრდა, წონის დაკლება) ცვლილებების კამპანიის პროცესში მიზნობრივი ჯგუფის მცირე ნაწილი ცდილობს შეცვალოს თავისი ქცევა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ფოკუსირება უკვე არსებულ სტიმულებზე ან ალტერნატიული ქცევის შეტყობინებების დემონსტრირებაზე. ზოგჯერ შეტყობინება შეიძლება მიმართულ იქნეს პიროვნების წინააღმდეგობის შესასუსტებლად ან გამოიწვიოს მიზნობრივი აუდიტორიის უმოქმედობა (სადაც მთლიანი მოქმედება არის ნეგატიური) ან პირიქით, პოზიტიური დამოკიდებულება (ძალის მიმართვა ცვლილებებისკენ).

2. მიმართულება (Direction) არის ცოდნა იმის შესახებ, თუ რა გზას აირჩევს პიროვნება თავისი მოტივაციის სრულყოფისათვის. მიმართულება არსებობს ორი ფორმით - არსებული ცოდნა და შექენილი ცოდნა, რომელიც მიწოდებულია სოციალური ცვლილებების კამპანიის მიერ. მიმართულება ყურადღებას ამახვილებს მოტივირებულ პიროვნებაზე, რომელიც მზად არის ცვლილებისათვის. მაგალითად, ადამიანს სურს რომ იყოს სისხლის დონორი, მაგრამ არ იცის თუ სად ჩააბაროს იგი, აუცილებელია მომხმარებელის მოტივაციის გარდაქმნა სპეციფიკურ ქცევად. მიმართულება არის ყველაზე მეტად ასოცირებული სტიმულირებასა და საგანმანათლებლო პროგრამებთან.

3. სოციალური მექანიზმი (Social Mechanism) არის ორგანიზაცია, ადგილი სადაც ხდება მოქმედება, რომელიც პიროვნებას აძლევს საშუალებას გადაიტანოს თავისი მოტივაცია ქმედებაში. მექანიზმის საშუალებით სოციალური ცვლილების იდეა გადაიქცევა პრაქტიკულ ქცევად. იგი ასოცირდება მთლიანად სოციალურ მარკეტინგ მიქსთან(კომპლექსთან).

4. ადეკვატურობა და შეთავსებადობა (Adequacy and Compatibility) წარმოადგენს ამოცანის (მოტივაციის მოქმედებაში გადაყვანის) განხორციელების უნარსა და ეფექტიანობას. ვეების ეს მოდელი გამოხატავს სოციალური მარკეტინგის კამპანიის უნარს მიიღოს დაპირებული სარგებელი ქცევის

ცვლილებებით. წარმატების მისაღწევად კომპანიამ უნდა წარმოაჩინოს თვალსაჩინო კავშირი დაპირებულ შედეგსა და ქცევას შორის. ადეკვატურობა ასოცირებულია პროდუქტსა და ფიზიკურ განხორციელებასთან.

5. მანძილი (Distance) არის პიროვნების ენერგიისა და გაწეული ხარჯების შეფასება, რაც საჭიროა მოტივაციის საბოლოო შედეგებამდე მიყვანისათვის. მანძილი გამოხატავს განსხვავებას ადამიანის არსებულ ქცევას (მაგალითად, თამბაქოს მოწევა), სოციალური მარკეტინგის მიერ შეთავაზებულ ქცევასა (არა მოწევა) და ძალისხმევას (თავის დანებება) შორის, რომელიც საჭიროა არსებული ქცევიდან ახალ ქცევაზე გადასასვლელად. მანძილის შეფასებისას საჭიროა განისაზღვროს, თუ რისი მიღწევა, რა სარგებლის მიღება სურს პიროვნებას. ხშირად სოციალური მარკეტინგი წარმოაჩენს ისეთ ცვლილების შედეგს, რომელიც მიზნობრივ აუდიტორიას ნაკლებად აინტერესებს. მანძილი ყველაზე მეტად ასოცირდება სოციალურ ფასსა და სოციალურ პროდუქტთან. მნიშვნელოვნად განსხვავებულია მომხმარებელთა ცხოვრების სტილი, რაც აისახება მომხმარებელთა მრავალფეროვან საქმიანობაში, ინტერესებსა და შეხედულებებში. ასევე განსხვავებულია მათი დამოკიდებულება და ფსიქოლოგიური მახასიათებლები.¹

მეცნიერთა ჯგუფის მიერ შეთავაზებული სოციალური მარკეტინგის მოდელები წარმოაჩენს ახალი ქცევის მასტიმულირებელ ფაქტორებს. მომხმარებელთა მოტივაცია, შესაძლებლობა და უნარი განაპირობებს ახალი პროდუქტის ფორმირებას, რომელსაც დიდი სოციალური უკუგება გააჩნია. აღნიშნული სამი ფაქტორი ერთობლიობაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალ ქცევაზე. მოტივაცია გულისხმობს გარემოში არსებულ მიზნებს, სურვილებს და ქმედებებს ამ მიზნების მისაღწევად. ინდივიდები მოტივირებულნი არიან ქმედებისაკენ, როდესაც მათი პირადი ინტერესებიც გათვალისწინებულია.

შესაძლებლობა გულისხმობს მომხმარებლის მიერ

¹Theories and models in social marketing, In PN Bloom & GT Gundlach (Eds.), Handbook of Marketing and Society, Newbury Park, CA: Sage Publications. social-marketing.blogs.com; Dann & Dann, Insight and Overview of Social Marketing.

შეზღუდვების გარეშე ინფორმაციის მიღებას. მომხმარებელი თავისუფლად მოქმედებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს მოტივაცია, მაგრამ ნაკლები შესაძლებლობა, რადგანაც გარემო არ არის ხელსაყრელი. უნარი კი განაპირობებს ინდივიდუალურ ქცევას შეცვლისაკენ.

სოციალური ცვლილებების განხორციელებისას აუცილებელია სამი სფეროს ურთიერთმოქმედება, როგორცაა: განათლება, მარკეტინგი და საკანონმდებლო ბაზა. ახალი სოციალური პროდუქტის შესახებ ცოდნის მიღება მიზნობრივ მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიიღოს სრული ინფორმაცია და განათლება კონკრეტულ სოციალურ პრობლემასთან დაკავშირებით. მარკეტინგი ქმნის ხელსაყრელ გარემოს ახალი ქცევის ფორმირებისათვის- სოციალური პროდუქტის შეთავაზებით, ფასის მანიპულირებით, დროსა და ადგილის სათანადო შესაძლებლობების უზრუნველყოფით. ხოლო საკანონმდებლო ბაზა ხელს უწყობს ქცევის სრულყოფამდე მიყვანას.¹

სოციალური ცვლილებების კამპანიის მაგალითია საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელება საქართველოში. საგზაო უსაფრთხოების სფეროში მსოფლიოს მრავალწლიანი გამოცდილებაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილება განხორციელდა უსაფრთხო ღვედების მოხმარებასთან დაკავშირებით. სოციალური ცვლილების კამპანიაში გამოყენებული იქნა სოციალური მარკეტინგის ინტერვენცია. კერძოდ, უსაფრთხოების ღვედებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულება განისაზღვრა ჯერ კიდევ კანონმდებლობის მიღებამდე. მიზნობრივი საინფორმაციო მხარდაჭერა წარიმართა იმისათვის, რომ მოსახლეობას გაეცნობიერებია საგზაო უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობის მნიშვნელობა. მიზნობრივ მომხმარებელთა კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა ქცევის შეცვლის მრავალი ნეგატიური მოვლენა და კონკრეტული ალტერნატივა. ბევრი სპეციალ-

¹ Maibach, E.W. (2003) Recreating communities to Support Active Living: A New Role for Social Marketing, American Journal of Health Promotion, September/October 2003, Vol. 18, No. 1, 114-119; Baxter, J., Manstead, A., Reason, J., R. Parker, D., Social facilitation and driver behavior, British Journal of Psychology, 81, pp. 351-360; S. Fiane The Marketing of ideas and social issues, 1981.

ისტე თვლის, რომ საგზაო უსაფრთხოების ყოველი ასპექტი არ საჭიროებს სოციალური მარკეტინგის გამოყენებას ან თუნდაც მთლიან მარკეტინგულ მიქსს. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სოციალური მარკეტინგის ინსტრუმენტები ძალიან ეფექტიანია მომხმარებლებზე ზემოქმედებისათვის.

სოციალური მარკეტინგმა უნდა შესძლოს მომხმარებლის: დარწმუნება (მაგალითად, უსაფრთხო ღვედების გარეშე მოძრაობა საშიშია), უზრუნველყოს სოციალური პრაქტიკა (ღვედებით სიარულის სურვილის გაჩენა) და შექმნას სოციალური პროდუქტი (საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესება). საქართველოში სოციალური ცვლილებების პროცესში ყველა ეს კომპონენტი უნდა იქნეს გამოყენებული.

2010 წლის 1 დეკემბრიდან საქართველოში კანონით სავალდებულო გახდა უსაფრთხოების ღვედის ხმარება ქალაქში მოძრაობის დროს და ამ მუხლის შეუსრულებლობისათვის დაწესდა ჯარიმა 40 ლარის ოდენობით. კანონის

მიღებამ, სათანადო ინფორმაციულმა კამპანიამ საკმაოდ კარგი ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივ ცნობიერების ამაღლებაზე, რაც გამოიხატა მომხმარებელთა ქცევის შეცვლით. საგზაო მოძრაობის დროს უსაფრთხოების ღვედის ხმარება სავალდებულო გახდა როგორც მძღოლისათვის, ასევე წინ მჯდომი მგზავრისათვის.

კანონის მიღებამ, სათანადო ინფორმაციულმა კამპანიამ ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე, რაც გამოიხატა მომხმარებელთა ქცევის შეცვლით. საქართველოში ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ აღნიშნული კამპანიის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებელთა მიერ უსაფრთხოების ღვედების გამოყენების მაჩვენებელი.¹

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოცემულია უსაფრთხო ღვედების მოხმარების მაჩვენებლები (იხ. სქემა).

¹ ნ. ჯავახიშვილი. პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის, კვლევა: უსაფრთხოების ღვედების გამოყენებლობის სოციალური და ეკონომიკური ღირებულება საქართველოსთვის, თბ., 2010. Global status report on road safety: time for action. Geneva, World Health Organization, 2009.

**უსაფრთხო ღვედების გამოყენების სოციალური
მარკეტინგის კამპანია საქართველოში**

ცვლილებების ტიპი	ზომოქმედების ფორმები	ქცევის შეცვლის მხარდაჭერა და შედეგი	მაგალითები
სტრუქტურული ცვლილებები	კანონმდებლობა და რეგულირება, სამთავრობო გადასახადები, სანქციები	სახელმწიფოს მხრიდან	კანონი ღვედების ხმარების შესახებ; საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია; კანონის დარღვევა,
საზოგადოებრივი ცვლილებები	ფლობირება, ადვოკატირება საგანმანათლებლო კამპანიები, სარეკლამო და პიარ კამპანიები, არეზი, წამახალისებელი საშუალებები ფინანსური სტიმულირება	სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ბიზნესის მხრიდან	გაეროს „უსაფრთხოების ღვედების გლობალური ინიციატივა. ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“, CENN ; სატელევიზიო პროექტი „საიმედო ავტო“.მას- მედია ბროშურა:უსაფრთხოების ღვედის მგზური TBCბანკი, საქართველოს ბანკი Yokohama- თბილისი. სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია
ინდივიდუალური ცვლილებები	მომხმარებელთა გაცნობიერება , მოტივაცია	ახალი ქცევა- ახალი სოციალური პროდუქტი	მძღოლები და მგზავრები ღვედებით დადიან

სოციალური მარკეტინგის ინსტიტუტები აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, პოლონეთში, ინდოეთსა და სხვა მრავალ ქვეყანაში ინტენსიურად მუშაობს სოციალური მარკეტინგის კონცეფციის სრულყოფასა და მის პრაქტიკაში ინტეგრირებაზე. საერთაშორისო დონის მეცნიერულ კვლევებსა და შრომებში ასახულია სოციალური მარკეტინგის საქმიანობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის მისაღწევად.¹

¹ Serat, O, The Future of social marketing , ADB, 2011.

სოციალური მარკეტინგის კონცეფციის პრაქტიკული რეალიზაცია საქართველოში მრავალი სოციალური პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს. მიტომაც, საჭიროა სოციალური მარკეტინგის კონცეფციის მეტი პოპულარიზება და მისი პრაქტიკული დანერგვა.

The Model of Social Changing Concept in Marketing

Ch. Jashi

The article explores the model of social changing concept in social marketing, which is significant for transforming of dominated negative behavior into new social behavior –new product, which has a social benefit.

Social marketing is considered as inovation form of advertising. It is obvious that stable social enviroment directly influences on the well-being of population. Due to social marketing activities business gets compatitive advantege and loyalty of consumers.

Weibe's five forces model of the social changing campaigning illustrates the process of influencing on consumer. This model includes five components: force, direction, social mechanisms, adequacy and compatibility and distance. Interaction of three field, such as education, marketing and legislative basis determines making changes.

Implementation of Road Safety Program in Georgia can be considered as good example of social changes campaign. Road safety programs use a number of social marketing instruments for resolving social issue. Due to joint activities of government, bussines and society, the formation of new behavior –consumption of safety belts have been facilitated . To spread widely the concept of social marketing and its integration in practice is of crucial impotance for resolving sharp social issues in the country.

**საკრედიტო პორტფელის რისკის შეფასების
თანამედროვე მეთოდები**

ლელია ღუდუშაშვილი

**თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

საკრედიტო რისკი XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს რისკ-მენეჯმენტის კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტად გადაიქცა. ეს დაკავშირებულია მსოფლიო მასშტაბით როგორც ცალკეული კორპორაციების, ასევე მთლიანად სახელმწიფოების გაკოტრების ტენდენციებთან. თუ არ გავითვალისწინებთ საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სპეციფიკას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციამ და ინტენსიფიკაციამ საკრედიტო რისკების მკვეთრი ზრდა გამოიწვია.

საკრედიტო რისკების ზრდასთან ერთად, ბუნებრივია, მათი შეფასების უფრო სრულყოფილი ტექნიკის აუცილებლობა წარმოიშვა. რისკ-მენეჯერებისათვის საჭირო გახდა საბანკო პორტფელის საკრედიტო რისკის რაოდენობრივი შეფასების ისეთი მაჩვენებლის გამოძებნა, რომელსაც, ერთი მხრივ, ექნებოდა ადეკვატური ეკონომიკური მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, სრულად გაითვალისწინებდა საკრედიტო რისკის სპეციფიკას.

როგორც ცნობილია, ფინანსების მათემატიკურ თეორიაში რისკში, ჩვეულებრივ, გულისხმობენ განსაზღვრული აქტივის ვარიაციის, ცვალებადობის უნარს. საკრედიტო რისკის ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია არა მარტო პორტფელის მოსალოდნელი ზარალის საშუალო მნიშვნელობის შეფასების ცოდნა, არამედ საშუალო მნიშვნელობის მიმართ ნდობის ინტერვალის განსაზღვრაც, ვინაიდან პორტფელის რეალური დანაკარგის ოდენობა შეიძლება საგრძნობლად ვარირებდეს საშუალო მაჩვენებლის მიმართ. სწორედ საკრედიტო პორტფელის შეფასების ცვალებადობის მაჩვენებელში გულისხმობენ საკრედიტო რისკის „ნამდვილ“ მაჩვენებელს, რომელსაც

საბაზრო რისკის მაჩვენებლის **Value-at-Risk** ანალოგიურად **Credit-at-Risk CAR** მაჩვენებელს უწოდებენ.

საკრედიტო პორტფელის რისკის შეფასება **CAR** მაჩვენებლის საფუძველზე უზრუნველყოფს საკრედიტო პორტფელის გაზრდილი კონცენტრაციის უფრო ზუსტ იდენტიფიკაციასა და მისი დივერსიფიკაციის შესაძლებლობის ანალიზს. სწორედ მისი დახმარებით შესაძლებელია საკრედიტო პორტფელის კონტროლისათვის ღირებულების ოპტიმალური სისტემის შემუშავება, რაც სხვადასხვა ქვეყნის ან სექტორის მიხედვით პორტფელის დივერსიფიკაციის ხარისხის გათვალისწინების საფუძველზე ხორციელდება. საკრედიტო რისკის **CAR** მაჩვენებლის მეთოდით შეფასება რისკ-მენეჯერს საშუალებას აძლევს, მაგალითად, გ. მარკოვიცის თეორია საკრედიტო პორტფელის ოპტიმიზაციისათვის გამოიყენოს (რისკი-შემოსავლიანობის თანაფარდობის საფუძველზე).

ბუნებრივია სურვილი იმისა, რომ საკრედიტო რისკის შეფასების პროცედურა იყოს ობიექტური პროცესი, არ იყოს დამოკიდებული კონკრეტული ადამიანის ან ორგანიზაციის შეხედულებაზე. ამისათვის საკრედიტო რისკის შეფასების მოდელი ფინანსების თანამედროვე თეორიას უნდა შეესაბამებოდეს, ვინაიდან კომპანია-მსესხებლის ვალდებულება თავისი არსით წარმოადგენს ოფციური კონტრაქტის ფორმას მსესხებელი-კომპანიის აქტივების ღირებულებით. საკრედიტო რისკის შეფასების მოდელს რომ შესძლებოდა „შეეთავსებინა“ მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობასა და მისი ვალდებულებების მიხედვით დეფოლტის შესაძლებლობას შორის ურთიერთკავშირი, მაშინ ასეთი მოდელი ამ მდგომარეობის ცვლილების მონიტორინგის საშუალებად იქცეოდა, ანუ, შესაბამისად, კრედიტის ფასის გაუარესების პირველ სიგნალებს მოგვცემდა.

ჩვეულებრივ, გამოყოფენ საკრედიტო რისკის რამდენიმე სახეობას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დეფოლტის რისკის შეფასებას, ანუ კომპანია-მსესხებლის მიერ საგადასმელო ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის რისკს, ვინაიდან ასეთი ტიპის რისკი, როგორც წესი, კრედიტორის სერიოზულ ფინანსურ დანაკარგებს იწვევს. კრედიტორის დეფოლტის შემთხვევაში მისი ზარალი შეადგენს კრედიტორისათვის გაცემულ კრედიტს, მინუს კომპანია-მსესხებლის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის, აგრეთვე მისი კრედიტორების მოთხოვნების დაფარვის თანხები. მიტომ,

ხშირად საკრედიტო რისკისა და დეფოლტის რისკის ცნებები სონონიმებია.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების ტრადიციული ანალიზი ფუნდამენტურ ანალიზს ემყარება და მოიცავს: კომპანია-მსესხებლის ოპერაციების დეტალურ შესწავლას, მისი ფინანსური ნაკადების დინამიკის გამოკვლევას, კომპანიის მომავალი შემოსავლების ოდენობის განსაზღვრას და ა. შ. და, როგორც წესი, აისახება ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსურ მაჩვენებლებში. ამ დროს ძირითადი მიზანია კომპანია-მსესხებლის ვალდებულებებთან შედარებით მისი შემოსავლების სტაბილურობის ანალიზი. მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლების საფუძველზე სპეციალისტები იღებენ გადაწყვეტილებებს (სუბიექტურს) სარეიტინგო იერარქიაში კომპანიისთვის შესაბამისი ადგილის დამკვიდრების შესახებ. ანალოგიური სისტემით მუშაობენ როგორც უმსხვილესი მსოფლიო სარეიტინგო სააგენტოები: **Standart & Poor's, Moody's Investors Service, Fitch IBCA, Thomson Bank Watch** და ა. შ., ასევე ბანკებისა და ფინანსური კომპანიების ანალიტიკური დეპარტამენტები თავიანთი კლიენტებისა და კონტრაგენტების კრედიტუნარიანობის შეფასებისას. ბალანსის საფუძველზე კომპანია-მსესხებლისათვის ამა თუ იმ საკრედიტო რეიტინგის მინიჭების საკითხი, აგრეთვე, არასრულყოფილი და გაუმჭვირვალე საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ე. წ. „შავი ხერხების“ გამოვლენის პროცესი წარმოადგენს ერთგვარ „შავბნელ ხელოვნებას“ და ასეთ შემთხვევაში ფინანსური ანალიტიკოსის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს ვერაფერი შეცვლის. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სარეიტინგო სააგენტოები თითოეული კონკრეტული კომპანიის სააღრიცხვო მაჩვენებლების გარდა, მხედველობაში იღებენ ისეთ ფაქტორებსაც, რომლებიც რაოდენობრივ შეფასებას ნაკლებად ექვემდებარება, თუმცა, სერიოზულ ზეგავლენას ახდენს კომპანიების საქმიანობაზე, სახელდობრ: მსესხებლის საკრედიტო ისტორია, ქვეყნის ეკონომიკური კონიუნქტურა და ა. შ. სპეციალისტების მიერ ასეთი ანალიზის საფუძველზე მიღებული კომპანია-მსესხებლის საკრედიტო სარეიტინგო ასოითი ან ციფრობრივი მონაცემები წარმოადგენს კომპანიის კრედიტუნარიანობის რეგულაციით ხასიათის მაჩვენებელს. ასეთი სტატისტიკური მონაცემი რეიტინგის სახეს ღებულობს მხოლოდ მისი შეფარდებით მოცემული კატეგორიის კომპანიის გაკოტრების

ლეილა ღუდუშაური

ალბათობის მაჩვენებლთან. პირველ ცხრილში მოყვანილია სააგენტო **Moody's**-ის მიერ ამერიკული კომპანიების დეფოლტის საშუალო მაჩვენებლები(რხევები), განსაზღვრული მათ მიერ გამოშვებული ობლიგაციების სარეიტინგო ჯგუფსა და ობლიგაციების ემისიის შემდგომი დროის ინტერვალებს (1-დან 5 წლამდე) შორის დამოკიდებულების მიხედვით:

ამერიკული კომპანიების დეფოლტის საშუალო
მაჩვენებლები(რხევები)

ცხრილი 1

რეიტინგი/ წელი	1 წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი
Aaa	0.00	0.00	0.00	0.07	0.23
Aa1	0.00	0.00	0.00	0.31	0.31
Aa2	0.00	0.00	0.00	0.29	0.65
Aa3	0.09	0.15	0.09	0.42	0.60
A1	0.00	0.04	0.49	0.79	1.01
A2	0.00	0.04	0.21	0.57	0.88
A3	0.00	0.20	0.37	0.52	0.61
Baa1	0.06	0.39	0.79	1.17	1.53
Baa2	0.06	0.26	0.35	1.07	1.70
Baa3	0.45	1.06	1.80	2.87	3.69
Ba1	0.85	2.68	4.46	7.03	9.52
Ba2	0.73	3.37	6.47	9.43	12.28
Ba3	3.12	8.09	13.49	18.55	23.15
B1	4.50	10.90	17.33	23.44	29.05
B2	8.75	15.18	22.10	27.95	31.86
B3	13.49	21.86	27.84	32.08	36.10

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის ცხრილის აგებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს რამდენიმე სპეციფიკური დაშვება, რაც ისტორიული მონაცემების პირდაპირი კომპილაციის დროს შეიძლება ყოველთვის არ შესრულდეს, სახელდობრ: 1. გაკოტრების ალბათობა არ უნდა არღვევდეს სარეიტინგო თანმიმდევრობას (მაგალითად, მოცემულ ცხრილში კომპანიები **Aa3** რეიტინგით უფრო ხშირად კოტრდებოდნენ, ვიდრე **A1** რეიტინგის კომპანიები ორწლიანი ინტერვალის პერიოდში); 2. ერთი სარეიტინგო ჯგუფის ფარგლებში დეფოლტის ალბათობა უნდა იზრდებოდეს დროითი პერიოდის

ზრდის შესაბამისად.

აღნიშნული ტიპის ცხრილის ანალიზის დროს ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის სიხშირის შეფასების გრანულაცია: თუ ალბათობის სიხშირის შეფასება განხორციელდა N კომპანიების დაკვირვების საფუძველზე, მაშინ დეფოლტის ალბათობის სიხშირის მაჩვენებლის ზრდა იქნება $1/N$. ასეთი გათვლების არასაკმარისი სიზუსტის გამო შეიძლება მცდარი დასკვნები იქნეს გამოტანილი, სახელდობრ: დეფოლტის ალბათობა ნულის ტოლია.

დეფოლტის რისკის შეფასების შემდეგი უმნიშვნელოვანესი საკითხია კომპანია-მსესხებელის დეფოლტის ალბათობის შემთხვევითი სიდიდის დინამიკის მოდელირება. ასეთი მეთოდის მოდელის აგებისათვის აუცილებელია მოცემული ინტერვალისათვის ამ მაჩვენებლის ალბათური განაწილების მნიშვნელობის განსაზღვრა, რის საფუძველზეც დგინდება პორტფელის საკრედიტო რისკის შესაბამისი მაჩვენებელი, მაგალითად, საკრედიტო პორტფელის მოგება-ზარალის განაწილების დინამიკა.

განვიხილოთ საკრედიტო რისკის შეფასების მსოფლიო საფინანსო სიტემაში ყველაზე აპრობირებული და, შესაბამისად, პოპულარული მეთოდები კონკრეტული მაგალითების საფუძველზე¹.

მეთოდი 1. მოსალოდნელი ზარალის განსაზღვრა. განვიხილოთ საკრედიტო პორტფელი, რომელიც მოიცავს სავალო ინსტრუმენტების გარკვეულ რაოდენობას, ვარირებულს რამდენიმე სარეიტინგო კატეგორიაში, მაგალითად, 1-დან 6-მდე ან **A**-დან **F**-მდე. დაუშვათ, პორტფელის მმართველმა (მენეჯერმა) გამოავლინა, რომ მე-3 კატეგორია საკრედიტო რისკის მიხედვით ეკვივალენტურია **BBB** რეიტინგის ობლიგაციებისა რომელიმე სარეიტინგო სააგენტოს კატეგორიების სტანდარტული რაოდენობიდან. აქედან გამომდინარე, მან განსაზღვრა, რომ მე-3 კატეგორია ეკვივალენტურია **BBB** რეიტინგის ობლიგაციის დეფოლტის ალბათობის ისტორიული შეფასებისა და მიაკუთვნა, მაგალითად, 0.18%. ასევე, მან განსაზღვრა, რომ ზარალის შემთხვევაში შესაძლო დანაკარგები შეადგენს კრედიტის 35%-ს,

¹ იხ.: 1. Principle for the management and supervision of interest rate risk. Consultative document. Basel Committee on Banking Supervision. 2001 January; Волков С. Н. Оценивание кредитного риска: теоретико-вероятностные подходы. М., 2009; М.Э., Мюллер П. Методы принятия технических решений. Пер. с нем. – М.: МИР, 2000; Дж. Синки. Финансовый менеджмент в коммерческом банке и в индустрии финансовых услуг. Перевод с английского. INEC-Алпина Бизнес Букс. М., 2007.

ანუ კომპანია-მსესხებლის გაკოტრების შემთხვევაში იგი კრედიტის თანხის მხოლოდ 65%-ს მიიღებს. ასეთ სიტუაციაში მოსალოდნელი ზარალი შეადგენს ვალის 0.063%-ს $[0.18\% \times 35\% = 0.063\%]$ მე-3 კატეგორიიდან. ვალის ნომინალურ სიდიდეზე გამრავლებით მივიღებთ ზარალის შეფასებას ფულადი გამოხატულებით. აღნიშნული პროცესის თითოეული სარეიტინგო კატეგორიისთვის გამეორებისა და მიღებული ზარალის სიდიდის შეჯამების შემთხვევაში, მიიღება ერთობლივი პორტფელის მოსალოდნელი ზარალის სიდიდე. მოცემული სიდიდე, ჩვეულებრივ, გამოიყენება კრედიტების ღირებულების ფასებრივი ღონის განსაზღვრისათვის, რაც ორი განსხვავებული კრედიტის რისკიანობის შედარებისა და, შესაბამისად, საკრედიტო პორტფელის მოსალოდნელი შემოსავლიანობის გამოთვლის საშუალებას იძლევა.

მეთოდი 2. საკრედიტო რისკის შეფასების მარტივი ხერხი. ეს მეთოდი ემყარება იმ ვარაუდს, რომ ერთადერთი მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს გარკვეული პერიოდის, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში, წარმოადგენს მხოლოდ კომპანია-მსესხებლის დეფოლტი, ანუ შესაძლებელია მხოლოდ ორი ვარიანტი: „დეფოლტი“ და „დეფოლტის არ არსებობა“. პირველ შემთხვევაში ზარალი შეადგენს N კომპანიის ვალის 35%-ს, ხოლო მეორე შემთხვევაში ზარალი ნულის ტოლია. ამ უმარტივეს შემთხვევაში ზარალის სიდიდე წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს, რომელიც მხოლოდ ორ მნიშვნელობას ღებულობს და მისი სტანდარტული გადახრა- δ წარმოადგენს

დეფოლტის სიდიდეს(დეფოლტის შემთხვევაში), გამრავლებულს ზარალის აღბათობის კვადრატულ ფესვზე- λ და ზარალის არარსებობის აღბათობაზე- $(1-\lambda)$:

$$\delta = 0.35 \times N \times \sqrt{(1-\lambda)}.$$

წინა მაგალითის შემთხვევაში სტანდარტული გადახრა წარმოადგენს $0.35 \times 0.0018 \times 0.9982 = 1.4\%$. ეს სიდიდე განსაზღვრავს ზარალის ვარიაციას ცალკეული კრედიტის საშუალო მნიშვნელობის მიმართ და მომავალში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთობლივი საკრედიტო პორტფელის სტანდარტული გადახრის გამოსათვლელად დეფოლტის აღბათობის კორელაციურ მნიშვნელობებთან ერთად.

მეთოდი 3. გარდამავალი ალბათობების მატრიცებზე დაფუძნებული მეთოდი. გარკვეული პერიოდულობით მსოფლიო უმსხვილესი სარეიტინგო სააგენტოები აქვეყნებენ სტატისტიკურ გამოკვლევებს, რომლებშიც მოითხოვულია თითოეული სარეიტინგო ჯგუფის დეფოლტის სისშირის ისტორიული მნიშვნელობები, დეფოლტის სისშირის ვარიაციები და ერთი სარეიტინგო კატეგორიიდან მეორეში გადასვლის სისშირეები. ეს უკანასკნელი სიდიდეები ქმნის ეგრეთ წოდებულ საკრედიტო რეიტინგების გარდამავალი ალბათობების მატრიცებს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ამერიკული კომპანია-მსესხებლების ისტორიული გარდამავალი ალბათობების მატრიცები Standart & Poor's სარეიტინგო სააგენტოს მონაცემების მიხედვით.

ამერიკული კომპანია-მსესხებლების საკრედიტო რეიტინგების გარდამავალი ალბათობების მატრიცები

ცხრილი 2

საწყისი რეიტინგი	რეიტინგი წლის ბოლოს							
	AAA	AA	A	BBB	BB	B	CCC	Default
AAAA	90.81	8.33	0.68	0.06	0.12	0.00	0.00	0.00
AAA	0.70	90.65	7.79	0.64	0.06	0.14	0.02	0.00
A	0.09	2.27	91.05	5.52	0.74	0.26	0.01	0.06
BBB	0.02	0.33	5.92	86.93	5.30	1.17	0.12	0.18
BB	0.03	0.14	0.67	7.73	80.53	8.84	1.00	1.06
B	0.00	0.11	0.24	0.43	6.48	83.46	4.07	5.20
CCC	0.22	0.00	0.22	1.30	2.38	11.24	64.86	19.79

საკრედიტო რისკის უფრო სრულყოფილი გამოთვლა მდგომარეობს კომპანია-მსესხებლის საკრედიტო რეიტინგის შემცირების ან გაზრდის შედეგად ვალის ოდენობის ცვლილებების შესაძლებლობის განხილვაში. ამგვარად, ასეთი მიდგომის საფუძველზე „დეფოლტის არარსებობის“ მდგომარეობა დიფერენცირდება ქვემდგომარეობის გარკვეულ ჯგუფზე, რომელიც შეესაბამება კომპანია-მსესხებ-

ლის სარეიტინგო მდგომარეობის გაუარესებას ან გაუმჯობესებას, ან იგივე დონის შენარჩუნებას. თითოეულ ასეთ ქვემდგომარეობას შეესაბამება ვალის სათანადო ოდენობა და, ამრიგად, წარმოიშევა პორტფელის პოტენციური მოგება/ზარალიც. ამ უკანასკნელის გამრაველებით თითოეული ასეთი ფაქტორის დადგომის ალბათობაზე, მიიღება პორტფელის საშუალო მოსალოდნელი ზარალი. შემდეგ, თითოეული ფაქტორის დადგომის ალბათობა გამრაველებული ზარალის საშუალო სიდიდიდან გადახრის კვადრატზე და შეჯამებული ყველა შესაძლო გადახრის მიხედვით, წარმოადგენს მოცემული ვალის ზარალის ვარიაციას. ცალკეული ვალის მიხედვით ზარალის ვარიაციები გარდამავალი ალბათობების კორელაციებთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთობლივი საკრედიტო პორტფელის ზარალის სტანდარტული გადახრის გასაანგარიშებლად.

მოცემულ მაგალითში აღწერილი მეთოდი რეალიზებულია ჯ. პ. მორგანის კომპანიის პროგრამულ პროდუქტში - **CreditMetrics**™. მე-3 მაგალითში, მეორესთან შედარებით, უფრო რთული გამოთვლების ჩატარების აუცილებლობა განპირობებულია გაკოტრებისაგან განსხვავებული მდგომარეობის პირობებში კომპანია-მსესხებლის ვალდებულებათა ღირებულების ცვალებადობის აღრიცხვის, ანუ „დეფოლტის“ მდგომარეობის დადგომამდე ვალის დროებითი ღირებულების აღრიცხვის განსაზღვრის მცდელობით. ეს წარმოადგენს უაღრესად აქტუალურს საკრედიტო პორტფელის მართვის პროცესში, როდესაც ეს უკანასკნელი მოიცავს კომპანია-მსესხებლის ფინანსურ ბაზარზე გაშვებული აქტივების ძირითად ან წარმოებულ ინსტრუმენტებს და ამავე დროს რისკ-მენეჯერის საინვესტიციო გადაწყვეტილების ჰორიზონტი უფრო ნაკლებია, ვიდრე ამ ინსტრუმენტების მოქმედების წაყენების მომენტი. ჩვენს მიერ განხილული მე-2 მაგალითი, იგნორირებს რა „არასადეფოლტო“ მდგომარეობას, საერთოდ არ ითვალისწინებს დროით ფაქტორს, როგორც საკრედიტო რისკის ერთ-ერთ დეტერმინანტს.

მეთოდი 4. დეფოლტის პროცესების ალბათურ მოდელზე დამყარებული მეთოდი. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანწილად აგებულია ისეთი სადაზღვევო კონტრაქტების გაანგარიშების მეთოდებზე, რომლებსაც ემუქრება ძალიან დიდი, შეიძლება ითქვას, კატასტროფული დანაკარგები მსგავსი ფაქტის დადგომის სულ მცირე ალბათობის შემთხვევაშიც კი. როგორც ცნობილია, დაზღვევის ერთ-ერთ ძირითად მოდელს წარმოადგენს კრამერ-ლუნდბერგის

კოლექტიური რისკის მოდელი, რომლის ფარგლებშიც იგულისხმება, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტს აქვს პუასონის განაწილების ფორმულა ზოგიერთი λ პარამეტრით:

$$P(X=k)=e^{-\lambda} \lambda^k/k!,$$

სადაც $k=0,1,2,\dots$, ხოლო სადაზღვევო საზღაურის მოცულობა წარმოადგენს დამოუკიდებელ არაუარყოფით შემთხვევით სიდიდეს განაწილების $F(x)$ ფუნქციით. ამოცანა სადაზღვევო კონტრაქტის ისეთი ფასის განსაზღვრა, რომელიც წარმოადგენს როგორც სადაზღვევო ვალდებულებების შესრულების გარანტიას, ასევე უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანიის სტაბილურ საქმიანობასაც.

ამგვარი მიდგომის იდეა რეალიზებულია კომპანია „კრედიტ სვის ფერსტ ბოსტონ“ კომპანიის **CreditMetricsTM** საპროგრამო პროდუქტში. სახელდობრ, იგულისხმება, რომ ზარალი კრედიტის მიხედვით აისახება პუასონის პროცესის მდგენელით-შემთხვევითი პარამეტრით, რომელსაც აქვს გამა-განაწილება - $\Gamma(\alpha, \beta)$ სიმკვრივის ფუნქციით:

$$f(x)=\frac{1}{\Gamma(\alpha\beta)}e^{-\beta x}x^{\alpha-1}, x \geq 0, \text{ სადაც } \Gamma(\alpha)=\int_0^\infty e^{-x}x^{\alpha-1} dx \text{ არის გამა-ფუნქცია.}$$

ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, ალბათობის თეორიიდან, დეფოლტის დადგომის მომენტს აქვს უარყოფითი ბინომიალური განაწილება, რომლისთვისაც გადაწყვეტილების მიღების ალბათობა $k=0,1,2,\dots$ ტოლია:

$$p^k=C_{r+k-1}^k p^r(1-p)^k, \text{ სადაც } r=\alpha \text{ და } p=\beta/(1+\beta).$$

აღნიშნული მეთოდის უდავო ღირსებას წარმოადგენს პირდაპირი ანალიტიკური გაანგარიშებების ჩატარება საკრედიტო პორტფელის ზარალის სრული გადანაწილების მიზნით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი ეყრდნობა მხოლოდ დეფოლტის სავარაუდო მოდელის არსებობის ალბათობას, რომელიც კომპანია-მსესხებლის დეფოლტის წარმოშობის მიზეზ-შედეგობრივ საფუძველს არ ითვალისწინებს.

მეთოდი 5. ბლექ-შოულსის ოპციონების თეორიაზე დაფუძნებული სტრუქტურული მოდელი. ფინანსების თეორიის კლასიკურ კონცეფციას წარმოადგენს ეფექტიანი ბაზრის ჰიპოტეზა, რომლის ერთ-ერთ ვარაუდია დებულება იმის შესახებ, რომ ხელმისაწვდომი ინფორმაცია კომპანიის პერსპექტივების შესახებ უკვე გათვალისწინ-

ნებუღია ბაზრის მონაწილეების მიერ და ასახულია ამ კომპანიის აქციების მიმდინარე ღირებულებაში. ამრიგად, აქციების ფასი მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის როგორც მიმდინარე შეფასებას, ასევე მისი პოტენციური ცვლილების განსაზღვრასაც. თუ კომპანიის მომავალი შემოსავლები უმჯობესდება ან უარესდება, მაშინ ამის პირველი ინდიკატორი იქნება აქციების ფასი. ამრიგად, დეფოლტის ალბათობა, „გამომდინარე“ კომპანია-მსესხებლის აქციების საბაზრო ფასიდან, დროში უწყვეტად უნდა ვარიირებდეს აქციების ფასებთან ერთად. საკრედიტო რისკის შეფასებისადმი სტრუქტურული მიდგომა ემყარება ეკონომიკურ არგუმენტს, რომლითაც დეფოლტი მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც მსესხებლის აქტივების საბაზრო ღირებულება მისი ვალდებულებების დონეზე უფრო დაბლა დადის. კომპანია-მსესხებლის საკრედიტო ვალდებულება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ურისკო ობლიგაციისა და ფუთოპციონის კომბინაცია (თუ კომპანიის აქტივები მიაღწევს გარკვეულ კრიტიკულ დონეს, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს მსესხებლის მიმართ აღძრას გაკოტრების პროცედურა). მოცემული კონტექსტით ოპციონების შეფასების თეორია წარმოადგენს საკრედიტო რისკის განსაზღვრის საკმაოდ „ელეგანტურ“ მათემატიკურ აპარატს.

ზემოაღნიშნულ მეთოდს საკმაოდ აქტიურად უწევს პროპაგანდას კომპანია KMV(Kealofe, McQuown, Vasicek) თავისისავე პროგრამულ პროდუქტში - CreditMonitor™. საკრედიტო რისკის შეფასების ფუნდამენტურ საზომად მათ მიერ რეკომენდებულია $N(\cdot)$ სიდიდე, სახელწოდებით Expected Default Frequency-EDF. მისი ავტორების მტკიცებით, EDF საშუალებას იძლევა სარეიტინგო კომპანიის მიერ წინასწარ განისაზღვროს მსესხებლის საკრედიტო რეიტინგის ცვლილება ამ ფაქტორის დადგომამდე 6-18 თვით ადრე. გარდა ამისა, EDF საფუძველზე შესაძლებელია აიგოს კომპანია-მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის თანმიმდევრული იერარქია (ანუ გაკეთდეს შიგარეიტინგო) EDF სხვადასხვა მნიშვნელობის დანაწილებით გადამკვეთ ინტერვალებად და თითოეულ ასეთ ინტერვალთან ამა თუ იმ საკრედიტო რეიტინგის აღმნიშვნელი ასოითი შესაბამისობით.

მეთოდი 6. მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე დაფუძნებული მეთოდი. უდავოა ის ფაქტი, რომ ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა, რომლისთვისაც კომპანია-მსესხებელი რეზიდენტს წარმოადგენს, ამ კომპანიის დეფოლტზე პირდაპირ და არსებით გავლენას ახდენს. ინტუიციურად გასაგებია, რომ მნიშვნელობები, რომელსაც დეფოლტის ალბათობა ღებულობს, განიცდის იმ ეკონომიკური ციკლის შესაბა-

მის ფლუქტუაციას, რომელსაც თვით სახელმწიფოში აქვს ადგილი. როგორც Moody's Investors Service სააგენტო აღნიშნავს, ეკონომიკური დაცემის პერიოდებში გააქვს რისკი, რომელიც შეიძლება რამდენჯერმე გადააჭარბოს სხვა პერიოდებში გააქვს რისკი.

ამრიგად, პორტფელის საკრედიტო რისკის სისტემატური, არადივერსიფიცირებული კომპონენტების აღრიცხვა, გამოდინარე მაკროეკონომიკური ფაქტორების დროში ევოლუციის მოდელების სპეციფიკაციებისაგან, წარმოადგენს საკრედიტო რისკის მოდელის სასურველ ელემენტს.

მოცემული კონტექსტით განვიხილოთ McKinsey&Co კომპანიის მიდგომა (პროგრამული პროდუქტი CreditPortfolioView™). იგი ემყარება შემდეგ წინადადებებს: კომპანია-მსესხებლის დეფოლტის ალბათობის კომპონენტი t დროის განმავლობაში აისახება ლოგიკური რეგრესიით -

$$F(y_t) = \frac{1}{1 + \exp(y_t)},$$

სადაც სექტორ/ინდუსტრიის სპეციფიკური ინდექსი Y_t ,

რომელსაც მიეკუთვნება კომპანია-მსესხებელი, განისაზღვრება შემდეგი მულტიპლიკატორული მოდელით:

$$Y_t = a_0 + a_1 F_{1,t} + \dots + a_k F_{k,t} + \sigma \varepsilon_t.$$

ფორმულაში $a_0, \dots, a_k, \sigma$ - კონსტანტებია, $F_{1,t}, \dots, F_{k,t}$ - ფაქტორთა მნიშვნელობები t დროისათვის, ხოლო $(\varepsilon_t)_{t=0,1,\dots}$ - ნორმალურად განაწილებული დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების თანმიმდევრობა საშუალო 0-ითა და 1 დისპერსიით. მოდელის ფაქტორთა სახით, ჩვეულებრივ, გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: მშპ-ს ზრდის, სამომხმარებლო ფასების, ინფლაციის, უმუშევრობის და ა. შ. დონე. თითოეული ფაქტორის მნიშვნელობა t დროისათვის, თავის მხრივ, განისაზღვრება მისი საკრედიტო პორტფელის $AR(q)$ ავტორეგრესული მოდელის q რიგის „წარსული“ მნიშვნელობებით:

$$F_{i,t} = \beta_{i,0} + \beta_{i,1} F_{i,t-1} + \dots + \beta_{i,q} F_{i,t-q} + V_{i,t}^{\varepsilon}, \quad 1 \leq i \leq k.$$

მოცემული ფორმულები გამოიყენება დეფოლტის ალბათობის სიდიდეების ერთობლივი განაწილებისა და ქვეყნის/სექტორის/ინდუსტრიის იმ გარდამავალი ალბათობების მოდელირებისათვის, რაც ინვესტორის პორტფელს შეიძლება დაემუქროს. თითოეული სეგმენტის რისკი შემდგომში აგრეგირდება კორელაციის მნიშვნელობების გათვალისწინებით, რომელიც პროგნოზირებულია „ეკონომიკური მგდომარეობის“ მოსალოდნელი ცვლილების დადგომამდე წინასწარ, რამდენიმე „ნაბიჯით“ ადრე. ამის შედეგად ხორციელდება ერთ-

ბლივი საკრედიტო პორტფელის ზარალის დიფერსიფიკაცია.

რასაკვირველია, არსებობს საკრედიტო პორტფელის შეფასების მრავალი სხვა მეთოდიც, რომლებიც ამ სტატიის მიღმა დარჩა. მათ შორის უნდა აღინიშნოს: დისკრიმინანტული ანალიზი, მთავარი კომპონენტების ანალიზი, იერარქიული კლასიფიკაციის მოდელები, პრობიტ/ლოგიტ ანალიზი, ე. წ. ნეირონული ბადეები და ა. შ. თითოეული ამ მოდელთაგან საშუალებას იძლევა გამოირჩეს მაღალკრედიტუნარიანი კომპანიები დაბალკრედიტუნარიანისაგან, მაგრამ მიღებული შედეგების ეკონომიკური დასაბუთება აღნიშნული მეთოდებისათვის, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს.

ისმის ბუნებრივი კითხვა, თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული მეთოდების საქართველოს თანამედროვე პირობებში გამოყენება. რა თქმა უნდა, საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს სავალო საფინანსო ინსტრუმენტების მხრივ დიდი მოცულობისა და ოპერატორთა დიდი რაოდენობის ლიკვიდური ბაზრები. და ვინაიდან არ არსებობს ასეთი ბაზრები, ამიტომ, არც ასეთი ფინანსური ინსტრუმენტების ცვალებადობის ისტორიული მონაცემები გავგაჩნია. შესაბამისად, არ არსებობს პრაქტიკაში აღნიშნული მეთოდების ეფექტიანობის განმსაზღვრელი სტატისტიკური მონაცემები. მიუხედავად ამისა, საქართველოში ფულადი ბაზრის სტაბილიზაციასა და ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების ზრდასთან ერთად, როდესაც ბანკის პასივებში აღვიღს დაიმკვდრებს კრედიტები ისეთ კორპორატიულ კლიენტებს, რომლებიც ბანკებისათვის „თავისიანებს« არ წარმოადგენენ, საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასების საკითხი პირველ ადგილზე დადგება. ასეთი ბანკისათვის აუცილებელი გახდება მსესხებელთა „კარგ« და „ცუდ« კატეგორიებად დიფერენცირების შიგასაბანკო კლასიფიკაციის სისტემის შექმნა და სავალო პორტფელის მართვა ამ კომპანიების აქტივებიდან. გარდა ამისა, დასავლეთის მეთოდიკების პრევენცია სასარგებლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ის შეიძლება გახდეს საფუძველი უფრო დახვეწილი მოდელისა, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს საქართველოს სპეციფიკას, ხოლო, მეორე მხრივ, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც თეორია წინ უსწრებდა პრაქტიკას ფინანსური ბაზრისათვის ახალი ინსტრუმენტების შეთავაზების მხრივ.

დაბოლოს, აღვნიშნავთ სხვა, ალტერნატიულ გზას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკრედიტო პორტფელის მართვისათვის, სახელდობრ, საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ზარალის რისკისაგან დამცავი სტრატეგიის შექმნას წარმოებული საკრედიტო

ინსტრუმენტების (საკრედიტო ოფციონების, საკრედიტო სპრედ-ოფციონების, საკრედიტო სვოპების, total return სვოპის, საკრედიტო linked notes) საფუძველზე.

წარმოებული საკრედიტო ინსტრუმენტები, როგორც ცნობილია, წარმოადგენს არასაბირჟო საფინანსო კონტრაქტებს, რომელთა მიხედვითაც თანხის დაფარვა დამოკიდებულია კომპანია-მსესხებლის კრედიტუნარიანობის დონის ცვლილებაზე კონტრაქტის გარკვეულ პირობებში. აღნიშნული კომპანია-მსესხებელი, როგორც წესი, არ წარმოადგენს კონტრაქტის მხარეს.

წარმოებული ინსტრუმენტები ინვესტორს საშუალებას აძლევს ხელახლა გაყიდოს („გადაყიდოს“) საკრედიტო რისკის გარკვეული ნაწილი ისე, რომ კომპანია-მსესხებლის ვალდებულებები პირდაპირ კი არ გაასხვისოს, არამედ იყიდოს და გაყიდოს კონტრაქტები, რაც უფლებას იძლევა მესამე პირისგან მიიღოს გარკვეული გადახდები კომპანია-მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. მესამე პირი ამ შემთხვევაში გამოდის გადამხდელი კომპანიის როლში, რომელიც წარმოებული ინსტრუმენტის პირობებით გათვალისწინებული რისკის ნაწილის დაფარვის თავისებურ გარანტს წარმოადგენს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ისიც მოიცავს რისკებს, სახელდობრ, გერეთ წოდებულ საკრედიტო სპრედის რისკს - კიდევ ერთ საკრედიტო რისკს გარდა აქამდე განხილული დეფოლტის რისკებისა, ანუ კომპანია-მსესხებლის აქტივებისა და ზოგიერთი ურისკო ინსტრუმენტის ფასობრივ მახასიათებლებს შორის სხვაობის ვარიაციის რისკს. საკრედიტო სპრედის რისკი ყველაზე ბუნებრივად ერთვება Value-at-Risk საბაზრო რისკების მართვის მეთოდოლოგიაში. საკრედიტო სპრედის რისკის შესაფასებლად აუცილებელია განისაზღვროს საკრედიტო სპრედის ოდენობის ვარიაციების შედეგად წარმოშობილი კაპიტალის პორტფელის ცვლილების მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან საკრედიტო სპრედის ოდენობის განაწილება წარმოადგენს მნიშვნელოვნად განსხვავებულს ნორმალური (ჩვეულებრივი) განაწილებისაგან, სტანდარტული მეთოდოლოგია, დაფუძნებული ვარიაცია-კოვარიაციზე, ამ შემთხვევაში მიუღებელია.

წარმოებული საკრედიტო ინსტრუმენტები, სწორი გამოყენების შემთხვევაში, როგორც წესი, ხელს უწყობს ინვესტორის საკრედიტო პორტფელის რისკის შემცირებას.

დღეისათვის საქართველოში წარმოებული საკრედიტო ინს-

ტრუმენტი პრაქტიკულად არ არსებობს, მაგრამ შედარებით წინდახედული ბანკები, კლიენტის მოზიდვის მკაცრ კონკურენციულ ბრძოლაში, უკვე დღესვე ცდილობენ დაიკავონ წარმოებული საკრედიტო ინსტრუმენტების შეთავაზების „ნიშა“. ბიზნესის ამ სახეობის განვითარების პერსპექტივა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობით. რამდენადაც ფინანსური ინოვაციების უმეტესობა ჩვენს ქვეყანაში განვითარებული ქვეყნებიდან მომართება, ბუნებრივია, ორიენტაცია უნდა ავიღოთ საზღვარგარეთულ გამოცდილებაზე: მაგ., აშშ-ს წარმოებული საკრედიტო ინსტრუმენტების ბაზრის მოცულობა ორი წლის განმავლობაში პრაქტიკულად ნულიდან 20 მლრდ დოლარამდე გაიზარდა და კვლავაც განაგრძობს სწრაფ ზრდას. ალბათ, ჩვენც ანალოგიური გველოდება, თუმცა, ბუნებრივია, გაცილებით მცირე მასშტაბებით. ამიტომ, ბანკები, რომლებიც წინასწარ ემზადებიან „საკრედიტო დერივატივების შემოჭრამდე“, სხვა ბანკებთან შედარებით საკმაოდ კარგ კონკურენტულ უპირატესობას იღებენ.

Modern Methods of Credit Portfolio Risk Assessment

L. Ghudushauri

Credit risk turned into one of the most important risk-management research issues in the late 90s of the 20th century. This is related to the strong trends of bankruptcy of separate corporations as well as of entire states all over the world. If not taking into account the peculiarities of social-economic and political development of Georgia, it should be noted that globalization and intensification of economic processes in some countries caused increase in credit risks, which brought the necessity for developing a more perfect assessment techniques. It has become necessary for risk managers to work out the figures of quantitative assessment of credit risk, which, on the one hand, would have adequate economic meaning and on the other hand would take into consideration specifications of credit risk.

The article discusses the best practice of the world financial system in credit portfolio risk assessment on the basis of definite examples. It should be noted that these methods are very effective and can be successfully used for credit portfolio risk assessment in commercial banks of Georgia. However, of course, it will still remain the object for perfection.

ფინანსური ლევერიჯი და მისი როლი

ფინანსურ მენეჯმენტში

რუსუღან პაპასკირი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი

ფინანსური ლევერიჯი (Financial Leverage) არის კომპანიაში ფიქსირებული პროცენტის მქონე ნასესხი სახსრების გამოყენება ჩვეულებრივ აქციებზე შემოსავლების გასაზრდელად.¹ რადგან შემოსავლების ზრდა იწვევს რისკის ზრდასაც, მოცემულ შემთხვევაში კომპანიის ფინანსური მენეჯერი დგება ალტერნატივის წინაშე - გაზარდოს გარედან დაფინანსების წილი და ამით შემოსავალი და მისი თანმდევი რისკიც, თუ შეამციროს ის, რაც ასევე შეამცირებს აქციონერთა შემოსავალს და რისკსაც.

აქციებზე შემოსავლის ზრდა ამაღლებს აქციების საბაზრო ფასს (სხვა თანაბარ პირობებში), რისკის ზრდა კი, ასევე სხვა თანაბარ პირობებში - იწვევს აქციების ფასის შემცირებას. კომპანიის ფინანსური მენეჯერის მიზანი უნდა იყოს ის, რომ მან მთელი ძალისხმევა მოახმაროს მათ შორის ისეთი თანაშეფარდების არჩევას, ანუ ფინანსური ლევერიჯის ისეთ დონეს, რომლის დროსაც კომპანიის აქციების საბაზრო ფასი მაქსიმალური იქნება.

ფინანსური ლევერიჯი, როგორც ფინანსური ბერკეტი, ფირმის ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ფინანსური მახასიათებელია. მისი დონე გვიჩვენებს, თუ რა წილი უკავია გრძელვადიან ნასესხს სახსრებს კომპანიის აქტივებში. ნასესხს სახსრებზე კომპანია გამსხვსხვებლებს ანუ ლენდერებს უხდის სარგებელს. სარგებელის გადახდა სავალდებულოა და იგი დამოკიდებულია კომპანიის საბოლოო ფინანსურ შედეგებზე. სავალდებულოა სესხის ძირითადი თანხის გადახდაც. ასეთ დროს აქციების გამოშვებით და გაყიდვით კომპანიაში ფორმირებული აქციონერული კაპიტალი საკუთარი კაპიტალია - ის არც უკანაა დასაბრუნებელი და მასზე არც დივიდენდების გაცემაა სავალდებულო. ყოველივე

¹ Дж. Ван Хорн. Основы управления финансами. М., 1997, гл. 449.

ამის გამო კომპანიაში ნასესხი კაპიტალით საკუთარი კაპიტალის ჩანაცვლება ამაღლებს მის ფინანსურ რისკს, მაგრამ მას აქვს ეფექტიც, რაც ე. წ. „საგადასახადო ფარის“ მეშვეობით კომპანიის წმინდა მოგების ზრდითა და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ამაღლებით გამოიხატება.

ზოგადად, ფინანსურ ლევერიჯის არსზე, მნიშვნელობასა და ეფექტზე შემდეგი სამი თეზისია ჩამოყალიბებული:¹

1. დაფინანსების გრძელვადიან წყაროებში ნასესხები კაპიტალის მაღალი ხვედრითი წონა ნიშნავს ფინანსური ლევერიჯის და, ამასთან, ფინანსური რისკის მაღალ დონეს;

2. ფინანსური ლევერიჯი ახასიათებს კომპანიის დამოკიდებულების დონეს ლენდერებზე (გამსესხებლებზე);

3. გრძელვადიანი კრედიტების მოზიდვას თან ახლავს ფინანსური ლევერიჯის და ფინანსური რისკის ზრდა. ეს უკანასკნელი მიუთითებს სავალ ვალდებულებების (პროცენტის ჩათვლით) არ შესრულების მაღალ ალბათობაზე.

ჩვენი აზრით, ამ სამ თეზისს უნდა დაემატოს მეოთხეც, კერძოდ:

➤ ფინანსური ლევერიჯის მაღალი დონე „საგადასახადო ფარის“ მეშვეობით იწვევს დასაბეგრი მოგების შემცირებას, რისი პირდაპირი შედეგიც არის ბიუჯეტში მოგების გადასახადის აბსოლუტური სიდიდის შემცირება, ხოლო კომპანიაში დარჩენილი წმინდა მოგების ზრდა.

ფინანსური ლევერიჯის დონე (DFL) შეიძლება გაიზომოს რამდენიმე მანევრებით. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ორი მანევრებელი:²

1. ნასესხი და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა;

$$\left(DFL_p = \frac{\text{ნასესხი კაპიტალი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \right)$$

2. წმინდა მოგების ზრდის ტემპის შეფარდება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე მოგების ცვლილების ტემპთან

¹ В. Ковалев. Финансовый менеджмент, М., 2007, с. 533, 535.

² იქვე. გვ. 535.

$$\left(DFL_r = \frac{\text{წმინდა მოგების ცვლილების ტემპი} (T_{r1})}{\text{გადასახადების გადახდამდე მოგების ცვლილების ტემპი} (T_{EBIT})} \right)$$

ეს მეორე მაჩვენებელი რუს მეცნიერ ვ. კოვალოვს ასე აქვს გამარტივებული:¹

$$DFL_r = \frac{EBIT}{EBIT - I_n} = \frac{1}{1 - \frac{I_n}{EBIT}}$$

სადაც:

EBIT - არის მოგება გადასახადები და პროცენტები გადახდამდე.

I_n - სესხებზე პროცენტი.

ჩვენს მიერ განხილული ფინანსური ლევერიჯის ორი მაჩვენებლიდან პირველი ადვილად იანგარიშება (მასზე ინფორმაცია ბალანსშია მოცემული) და მისი ინტერპრეტაციაც ადვილია. ხშირად, ამ მაჩვენებელს მთლიანად კომპანიის დასახასიათებლად იყენებენ, რადგან დროსა და სივრცეში მისი შესადარისობა არ არის შეზღუდული. მეორე მაჩვენებელი საანგარიშოდ უფრო რთულია. უმჯობესია მისი გამოყენება დინამიკურ ანალიზში, აგრეთვე, კომპანიაში მეურნეობრივ-ფინანსური სოტუაციების განვითარების შედეგების რაოდენობრივი შეფასების დროს.

მეორე მაჩვენებლის ფორმულიდან ჩანს, რომ ფინანსური ლევერიჯი ახასიათებს ოპერაციულ მოგებას (ანუ მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე) და დასაბეგრ მოგებას შორის დამოკიდებულებას. ის გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება ოპერაციული მოგება დასაბეგრ მოგებას. ამ კოეფიციენტის ქვედა ზღვარი არის 1,0. რაც მეტი აქვს კომპანიას ნასესხი სახსრები, მით მეტი აქვს მასზე პროცენტი გადასახდელი, მით მაღალი აქვს ლევერიჯის დონე და, შედეგად, წმინდა მოგებაც მით მეტად ვარირებადი.

ფინანსური ლევერიჯის და ფინანსური რისკის მართვა ნიშნავს მათი დინამიკის კონტროლს და პირობით-მუდმივ ფინანსურ ხარჯებთან შედარებით ოპერაციული მოგების (მოგება პროცენტების და გადასახადების გადახდამდე) რეზერვის უზრუნველყოფას.

¹ Дж. Ван Хорн. Основы управления финансами. М., 1997, с. 449.

თეორიულად, ფინანსური ლევერიჯი 0-ის ტოლი შეიძლება იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ საკუთარი სახსრებით, ანუ დამფუძნებლების სახსრებით და გენერირებული მოგებით. ასეთ კომპანიას ფინანსურად დამოუკიდებელი (unlevered company) ეწოდება. კომპანიას, რომელსაც აქვს ობლიგაციური სესხი, გრძელვადიანი ბანკის კრედიტი და ა. შ., ეწოდება ფინანსურად დამოკიდებული (highly levered company).

ფინანსური ლევერიჯის პოზიტიურ პოტენციალს ის გარემოება განაპირობებს, რომ ნახევსი კაპიტალის მოზიდვა კომპანიას უფრო იაფი უჯდება, ვიდრე საკუთარი კაპიტალის მოზიდილობა. წარმოვიდგინოთ, რომ კომპანიამ მოიზიდა კაპიტალი აქციების გამოშვებითაც (საკუთარი კაპიტალი) და ლენდერებიდანაც (ნახევსი კაპიტალი). მან საკუთარ კაპიტალზე უნდა გასცეს დივიდენდები წმინდა მოგებიდან. რაც შეეხება სესხზე პროცენტებს, ის შედის თვითღირებულებაში და ამით მცირდება დასაბეგრი მოგების სიდიდეც და, გამომდინარე აქედან, ბიუჯეტში გადასარიცხი მოგების გადასახადის სიდიდეც. წმინდა მოგების გაზრდის ამ ხერხს „საგადასახადო ფარი“ ეწოდება. ასე, რომ სახსრების გარედან მოზიდვა უფრო ხელსაყრელია კომპანიისთვის, რადგან ასეთ შემთხვევაში ნაკლები გადაერიცხება ბიუჯეტს და მეტი რჩებათ მესაკუთრეებს კაპიტალიზებული შემოსავლის - დივიდენდის სახით.

იზრდება რა წმინდა მოგება, და, აქედან გამომდინარე, აქციონერებზე გასანაწილებელი დივიდენდები, იზრდება ამ კომპანიის აქციების ფასი ბაზარზე და, შედეგად, მაღლდება ფირმის ღირებულებაც.

მაგრამ, ასეთი მსჯელობით, კომპანიებს საკუთარი ფირმის ღირებულების გასაზრდელად უჯობთ მუდმივად ამადლებდნენ გრძელვადიან დაფინანსებაში მოზიდული სახსრების წილს (100%-მდეც კი), ანუ - ფინანსურ ლევერიჯს. მაგრამ ეს ხომ არარეალურია.

თუ კომპანია წარმატებულად მუშაობს და შემოსავლით ფარავს მოზიდული კაპიტალის ღირებულებას, მისთვის უფრო ხელსაყრელია გაიზარდოს და გაფართოვდეს გარედან, მოზიდული კაპიტალით, თუმცა, ასეთ ქცევას თან ახლავს ფინანსური რისკიც.

მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ კომპანიის საბალანსო მოგება

დაეცა ან სულაც იზარალა, მაშინ ეს „საგადასახადო ფარი“ შემცირდება, ან სულაც გაქრება. მეტიც, თუ ასეთი ვითარება გაგრძელდა, კომპანია გაკოტრდება და მაშინ მთელი ის დანაზოგი, რაც მან წინა წლებში „საგადასახადო ფარის“ მეშვეობით მიიღო დარის მიღებასაც კიდევ ამ გზით მომავალში ელოდება, მთლიანად ეკარგება.

ყველა ეს ფაქტორი საეჭვოს ხდის „საგადასახადო ფარის“ არსებობით კომპანიის ინტერესს მოზიდული კაპიტალის მიმართ, რაც ფინანსური ლევერიჯის მაღალი დონით გამოიხატება. ფინანსური ლევერიჯის დონის ზრდის კვალობაზე სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მომავლის გაურკვევლობა, რომელიც სწორედ „საგადასახადო ფარს“ უკავშირდება. ამ ფაქტორმა შეიძლება შეამციროს „საგადასახადო ფარის“ ღირებულება. როცა ფინანსური ლევერიჯი მაქსიმალურ დონეზეა, ეს შემცირება, ცხადია, მეტად წონადი იქნება. ყოველივე აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომპანიის ფინანსურმა მენეჯერმა დაფინანსების წყაროების არჩევისას შეინარჩუნოს ზომიერება და საერთო გრძელვადიან დაფინანსებაში მოზიდული კაპიტალი 50%-ის დონეზე შეინარჩუნოს. ჩვენი აზრით, ეს არის გარედან დაფინანსების ყველაზე უსაფრთხო დონე.

Financial Leverage and its Role in Financial Management

R. Papaskiri

Financial leverage or financial lever shows the correlativity of the attracted funds in the long-term financing of the company and its own funds. Both of them have their own advantages and disadvantages.

The article discusses the possibility of increasing the company's income by increasing the financial leverage and herewith, the possibility of increasing the risk. The opinion is expressed that it would be most reasonable, if company finances only 50% of its economic activities with attracted funds.

თანამედროვე მოთხოვნათა ღონის სახელმძღვანელო¹

გარემომცველი ბუნება ადამიანის სიცოცხლისა და საზოგადოებრივი წარმოების უპირველესი წყარო და არსებობისათვის აუცილებელი პირობაა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბუნებრივი რესურსებიდან რომელიმე ცალკე აღებული ვერ უზრუნველყოფს ადამიანის არსებობას პლანეტაზე, რაც გარემოს ყველა კომპონენტის (ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ტყე და ა.შ.) კომპლექსური შენარჩუნების აუცილებლობაზე მეტყველებს. ამდენად, შეიძლება აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ბუნების ოპტიმალური თანაარსებობის პრობლემა დღეს იმ აქტუალურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც უკანასკნელ წლებში პროგრესულ მოაზროვნეთა კვლევისა და ზრუნვის საგანი გახდა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საყოველთაო აზრით ადამიანისა და ბუნების ურთიერთობების სწორ და დროულ დარეგულირებაზეა დამოკიდებული ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ამ კონტექსტით ნებისმიერი კვლევა თუ მეცნიერული ანალიზი, რომელიც მიძღვნილია ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და აღწარმოების საკითხებზე, უდავოდ მისასალმებელია. სახელმძღვანელო, პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ მასში მწყობრად, სრულყოფილად და თანმიმდევრულადაა გადმოცემული არა მარტო ბუნების დაცვისა და აღწარმოების დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებისათვის, არამედ სოციუმის, ეკოლოგიისა და ეკონომიკის დღევანდელი, ფაქტობრივად, წინააღმდეგობრივი განვითარების შეცვლის ობიექტური აუცილებლობა ურთიერთდაბალანსებული ინტერესების გათვალისწინებით. სახელმძღვანელო, ფაქტობრივად, აგებულია მდგრადი განვითარების ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით, როგორიცაა: **1. ეკოლოგიური მდგრადობა**, რაც უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეთავსებას საბაზო ეკოლოგიური, ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და რესურსების დაცვა-აღდგენის პროცესისადმი; **2. სოციალური და კულტურული მდგრადობა**, რაც ხელს უწყობს ადამიანთა კონტროლის ზრდას ცხოვრებისადმი, მათივე კულტურასა და ფასეულობებთან ერთად, რასაც ეხება განვითარება და ამასთან, ინარჩუნებს და განამტკიცებს თვითმყოფადობას; **3. ეკონომიკური მდგრადობა**, რაც უზრუნველყოფს

¹ პ. ლემონჯავა. ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბ., 2011, 318 გვ.

როგორია პროფესიონალ-რეპრეზენტა აზრი?

განვითარების ეკონომიკურ ეფექტიანობას და ისეთ მდგომარეობას, რომ რესურსების მართვის შერჩეული მეთოდი იძლევა საშუალებას იგი მომავალმა თაობებმაც გამოიყენონ.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დღეს მსოფლიოში ბუნებასთან მიმართებით არსებული მრავალი თეორიის (ბუნებრივი რესურსების ამოუწურავი წყაროების არსებობის, ბუნებრივი რესურსების მხოლოდ მომხმარებლური გამოყენების, ეკონომიკის "ნულოვანი ზრდის" შესახებ და ა.შ.) საფუძვლიან კრიტიკას და გლობალიზაციის პირობებში ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებს საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების აუცილებლობის გათვალისწინებით. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ბუნების დაცვის და აღწარმოების რეგულირების სამეურნეო-ეკონომიკური მექანიზმები და ბუნებათსარგებლობის მართვის ძირითადი პრინციპები, ნათლადაა გაშუქებული საქართველოს ბუნებრივი რესურსების (მიწის, წიაღისეული სიმდიდრის, ტყის და ა.შ.) დაცვის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივაში გამოყენების ძირითადი მიმართულებები.

ნაშრომის მიმართ გვაქვს შენიშვნებიც. კერძოდ, სახელმძღვანელოში გარე ეფექტებისა და გარე ზარალების პრობლემა მხოლოდ პოლემიკურ ხასიათს ატარებს და ავტორის პოზიცია ნაკლებადაა გამოკვეთილი. ასევე, სახელმძღვანელო მოიგება, რომ მასში უფრო ფართოდ ყოფილიყო განხილული ე.წ. "ექსტერნალიების" საკითხი და სახელმწიფოს როლი ამ პრობლემის დარეგულირებაში.

მთლიანობაში, სახელმძღვანელო დაწერილია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი პროგრამული მიმართულების მიხედვით და მასში წარმოდგენილი თემები ამომწურავად აშუქებს როგორც სტანდარტულ, ასევე მომავალზე ორიენტირებულ აქტუალურ თემებს. ის მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული უმაღლესი სკოლისთვის და უდავოდ დიდ სამსახურს გაუწევს ბუნების გამოყენების ეკონომიკური პრობლემების სწორად აღქმასა და გათვითცნობიერებაში არა მარტო სტუდენტებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს) და პროფესორ-მასწავლებლებს, არამედ ყველას, ვინც დაინტერესებულია გლობალიზაციის პირობებში ბუნებისა და საზოგადოების დიალექტიკური კავშირურთიერთობების პრობლემებით.

პაატა კოლუაშვილი

პროფესორი, ეკონ. მეცნ. დოქტორი,

გიორგი შიბშიაძე

პროფესორი, ეკონ. აკად. დოქტორი

ქურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2011 წლის ნომრების შინაარსი

(1-5) სტატიის ავტორები	სტატიის დასახელება	№	
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა		
გრიგოლ თოდუა	გლობალიზაცია როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საფუძვლად არის.....	1	10
ეკა ლეკაშვილი	გლობალიზაციის თანამედროვე პროცესში საქართველოს ადგილის განსაზღვრის საკითხისათვის.....	1	27
რევაზ გველეხიანი	პროცესის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების განსორციელების თავისებურებანი.....	1	39
დემურ სიჭინავა	ინტერნეტის, ხელნაწერი გონისა და კაცობრიობის ახალ ეპოქაში გადასვლის შესახებ.....	1	47
ნონა გელიტაშვილი	სოციალური დაცვის სისტემის რეფორმის აუცილებლობა საქართველოში.....	1	59
სოფიკო ჯგერაშვილი	უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თანამედროვე თეორიების მიმოხილვა.....	1	69
	მაკროეკონომიკა		
ქეთევან მარშაძე, მაია მინდორაშვილი	არაფინანსური აქტივების განახლებული კლასიფიკაცია.....	1	79
დავით კბილაძე,	ეკონომიკის განვითარების შეფასების თანამედროვე მეთოდები.....	1	91
Жанна Толордава	Экспериментальная Экономика.....	1	101
ლალი ხურცია	საინვესტიციო პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში.....	1	107
ჯანდრი ზარანდია	რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.....	1	117
	ფინანსები და საბანკო საქმე		
მაია გოგოხია	ეკონომიკური პოლიტიკა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიზმით.....	1	127
Абдуллаев Рамзи	Развитие источников финансирования аграрного сектора.....	1	139
Эмберс ილი			
	მენეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმი		
ნუგზარ პაიჭაძე	ადამიანური რესურსების მართვის მეთოდები.....	1	145
ჩარბიჯა ჯაში	სოციალური მდღეობამარკეტინგი ტურიზმში: რეალობა და პერსპექტივა.....	1	155
	მიკროეკონომიკა		
ეთერ ხარაიშვილი	ქართული თხილის კონკურენტუნარიანობა და წარმოების განვითარების სტრატეგიები.....	1	167
თამაზ პაიჭაძე	ღვინის წარმოების საწყისები თხილისში.....	1	179
	ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ-რეცენზენტთა აზრი?		
ილგუჯა მუქაბაშვილი	ნეკროეკონომიკის ზომბირება – შექმნილია ახალი ეკონომიკური თეორია.....	1	185
Мурман Турава, Замбра Шонья	Когда в руках держишь такой учебник.....	1	192
გურამ ჯოღია	გლობალური ბიზნესი: თეორია და პრაქტიკა.....		
ნ. პაპანაშვილი,	საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო –	1	195
შ.შაბაიშვილი,	საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკისა და ბიზნესის		
ლ.ჯამაგაძე	ფაქტორები.....	1	199
	საადგილო ეპისტოლე		
	ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, საადგილო ეპისტოლე	2	10

	გეონომიკური თეორია და გეონომიკური პოლიტიკა		
ელგუჯა მექეაბიშვილი ინეზა გაგნიძე	კარლ მარქსი და პიიმან მისისკი.....	2	19
ენგერ ლავგილაბა არჩილ იაკობაშვილი	საქართველოს საერთაშორისო საგანმანათლებლო კავშირები – გეონომიკაში ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების წინაპირობა.....	2	31
	ინფორმაციის სწავლების კონცეპტუალური საკითხები.....	2	41
	ინფლაციის თარგმთერების პოლიტიკური ასპექტები საფალუტო სუბსტიტუციის პირობებში.....	2	59
მერაბ ხმალაძე	საქართველოში დემოგრაფიის და დემოგრაფიული სტატისტიკის განვითარების ისტორიიდან.....	2	73
	მიკრო-მაკროგეონომიკა		
ნოდარ ხადური	საინფესტიციო გარემოს ფორმირების მაკროგეონომიკური და ინსტიტუციური ფაქტორები.....	2	79
დავით ვეკუა, ნინო ფარესაშვილი	საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების თავისებურებები და განვითარების ტენდენციები.....	2	89
ეთერ ხარაიშვილი, ეკატერინე ზეიდაძე	ნედლი ხიდის ევროპული ბაზარი და წარმოების პოტენციალი სა ქართველოში.....	2	97
	მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი		
ნუგზარ თოდუა, დავით ლომინაძე	საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კლდეა. (ინგლ. ენაზე).....	2	113
იოსებ მასურაშვილი	მენეჯმენტის ზოგიერთი თავისებურება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.....	2	127
მამუკა სარჩიშვილი ცაილა ბენაშვილი	დამაშავეობის სტატისტიკის ზოგიერთი საკითხი.....	2	137
	საალრიცხო – ფინანსური და მმართველობითი პრობლემები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში.....	2	143
	ფინანსები და საბანკო საქმე		
დავით ნარმანია მარინე მისურაძე	საჯარო ფინანსების მართვა სრულყოფას მოითხოვს.....	2	161
ნინო ლომიძე	ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ძირითადი ასპექტები.....	2	169
	ფინანსური შედეგების აღიარების თავისებურება სამშენებლო კომპანიაში.....	2	177
	ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ-რეცენზენტთა აზრი?		
რევაზ გოგოხია „დიდნი საქმენი“	მეცნიერული გაწაფულობის ღირსეულ მსურველთა გზამკლევი.....	2	187
	ახალი გამოცემა.....	2	188
	ქძლენება აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ხსოვნას		
იზოლდა ჭილაძე	დაგვიანებული მადლობა დიდ მოძღვარს	2	190
	სახელოვან ადამიანთა გაღვრვა		
	პროფესორი რევაზ გოგოხია – 75	2	197
	გეონომიკური თეორია და გეონომიკური პოლიტიკა	3	

იური ანანიაშვილი, ვლადიმერ პაპუა მილორდ სიჭინავა პაატა კოდუაშვილი ჯემალ ხატიონაშვილი	ლაფერ-კეინზიანური სინთუზის მაკროეკონომიკური მოდელი (რუსულ ენაზე)..... ეკონომიკის პროპედევტიკა..... კოოპერაცია-ქართული სოფლის აღორძინების გზა..... დღვიდ იუმი (1711-1776) ეკონომიკური აზრის სათავეებთან (დაბადებიდან 300 წელი)..... ლოკალიზაცია და გლობალიზაცია – განვითარების რეგულატორები..... გლობალიზაციის არსი, სტრუქტურა და ძირითადი მიმართულებები.....	3 3 3 3 3 3 3	10 35 41 55 61 71
მაკროეკონომიკა			
მალხაზ ჩიჭოვა	ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ მოდელში კიდევ ერთხელ გარკვევის საკითხისათვის.....	3	83
ნონა გელიტაშვილი	საქართველოსა და გერმანიის მოსახლეობის სტრუქტურის შედარებითი ანალიზი.....	3	97
აბასოვა სპ.	კონცეპტუალური მიდგომები სამმართველო ანალიზის, როგორც ფუნქციონალში (რუსულ ენაზე).....	3	109
ირაკლი მაკალათია	სიღარიბე საქართველოში: სტატისტიკა და რეალობა (შედარებითი ანალიზი).....	3	123
ფინანსები და საბანკო საქმე			
დავით ნარმანია	საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში.....	3	131
ნონა ქავთარაძე	საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებები.....	3	143
მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი			
ნუგზარ პაიჭაძე	აღამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგიური ასპექტები.	3	153
ნაირა ღვებაშვილი	აღამიანური რესურსების სამსახურის ფუნქციები თანამედროვე ერაზზე.....	3	165
გია ღაღანიძე	საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების კონკრეტული მიმართულებები.....	3	171
ნინო ფარესაშვილი	ორგანიზაციული კულტურის დინამიზმი უწყვეტი ცვლილებების პირობებში.....	3	184
სახელგან ადამიანთა გავლერება			
	აკადემიკოსი ვახტანგ ბურკაძე 80 წლის გახდებოდა	3	197
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა		
რევაზ გოგოხია, გიორგი დოლონაძე	სოფლის მეურნეობის მხარდამკერი პოლიტიკა მსოფლიოში და ქართული რეალობა.....	4	9
ვახტანგ ჩალაფიქიშვილი	საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გაავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე.....	4	33
მაკროეკონომიკა			
ნუნუ ხარაზიშვილი	მაკროგარემოს ფაქტორების ზემოქმედება აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე.....	4	46
ხათუნა ბარათაშვილი	თავისუფალი ეკონომიკური ზონები საქართველოში.....	4	59
ანი ვაშაგმაძე	გლობალიზაცია და გენდერული თანასწორობის პრობლემა.....	4	70
მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი			

ნუგზარ პაიჭაძე	ზოგიერთი მოსაზრება ხელმძღვანელის მიერ ბრძანების გაცემის ხელშეწყობაზე.....	4	84
ჟანა თოდორიძე	ექსპერიმენტული ეკონომიკის ლაბორატორიის ფუნქციონირების პრინციპები.....	4	95
ეკატერინე გულუა	კულტურის ტენდენციები საერთაშორისო ორგანიზაციებში.....	4	108
ნინო აბესაძე	ტურიზმის სტატისტიკის სრულყოფისათვის საქართველოში.....	4	111
მარიამ ჭურჭელაური	რკინიგზის კლასტერი.....	4	118
სოფიო მეგრელიშვილი	პერსონალის მოტივაციისა და სტიმულირების ფსიქოლოგიური ასპექტები.....	4	127
ფინანსები და საბანკო საქმე			
მარინე ტაბატაძე	ფინანსური წონასწორობის მაკროეკონომიკური გარემო.....	4	137
გულთაზ ლაბარტყავა	ანაბარი – ეროვნული ეკონომიკის სასიცოცხლო არტერია.....	4	144
მაგდა ბოლოთაშვილი	ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების პრინციპები: არსი და მნიშვნელობა.....	4	155
ბუღალტრული აღრიცხვა და ანალიზი			
მერაბ ჯიქია	დებიტორული დავალიანების ანალიზის მეთოდის სრულყოფის საკითხები.....	4	163
ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ-რეცენზენტთა აზრი?			
მურმან ტურაბა	საზრიანად განახლებული და სრულქმნილი სახელმძღვანელო	4	184
ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა			
იაკობ (იაშა) მესხია	საერთაშორისო სარეიტინგო ბიზნესი და ფინანსური კრიზისები.....	5	11
გულნაზ ერქომაიშვილი	მეწარმეობა და მისი განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში.....	5	35
ჯემალ ხარბიონაშვილი	ჯონ სტიუარტ მილის კომპრომისები და თანამედროვეობა.....	5	45
მერაბ ხმაღაძე	კიდევ ერთხელ დემოგრაფიისა და დემოგრაფიული სტატისტიკის შესახებ.....	5	57
მიკრო-მაკროეკონომიკა			
მაია მინდორაშვილი	კუმანური განვითარების ინდექსი: ისტორია და რეალობა.....	5	69
გიორგი ღაღანიძე	საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის ალტერნატივა: დივერსიფიკაცია თუ კონცენტრაცია.....	5	91
სოფიო ჯვარშეიშვილი	უცხოური პრდაპირი ინვესტიციების გაღწევა ეკონომიკურ ზრდაზე.. სიღარიბის დაძლევისათვის საქართველოში.....	5	103
ლაშა ტაბატაძე	XI-XII საუკუნეებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ნიშნები.....	5	117
მარინე ლუღუშაური		5	125
მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი			
ნოდარ ბაგრატიონი	კორპორაციული მმართველობითი გადაწყვეტილების კრიტერიუმები.....	5	139
ვასილ ხიზანიშვილი	კულტურა-ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.....	5	143
ნინო ფარესაშვილი	კონფლიქტის როგორც კონსტრუქციული და დერეგულირებული საწყისის შემცველი პროცესის შესახებ.....	5	152
ნინო აბესაძე	ბიზნესსტატისტიკის ინფორმაციული ბაზის სრულყოფა და მანევრებელთა პროგნოზირება.....	5	161
საბუღალტრული აღრიცხვა და ანალიზი			
იზოლდა ჭილაძე	რეგულაციური და ალტერნატიული ხარჯების მაჩვენებელთა გამოყენება გადაწყვეტილების მიღებისას.....	5	175
ნანა სრესელი	ბიოლოგიური აქტივების შეფასებისა და აღრიცხვის თავისებურებები.....	5	185
ნადეჟდა კეატაშიძე	ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციისა და ცვეთის ხარჯების აღრიცხვის საკითხები.....	5	195

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი